ლამარა ჭატიშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ გამოცანები

თბილისი – კოპენჰაგენი
2000

©
კოპენჰაგენის ქართული
კულტურის ინსტიტუტის
გამომცემლობა

ამ ნაშრომს ვუძღვნი ჩემს
შვილს მარინა არაყიშვილს
და შვილიშვილს
ეკატერინე ბაღდავაძეს

ნინათქმა

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ქართული სულიერი კულტურის გვირგვინია. XII ს. შექმნილი ეს პოემა ქართული პოეტური აზროვნების ნორმის მიუწვდენელი ნიმუშია. „ვეფხისტყაოსანი“ ერთნაირად მასშტაბური ნაწარმოებია, როგორც ადამიანის გარემომცველი ობიექტური რეალობის, ისე მისი შინაგანი ცხოვრების წვდომის თვალსაზრისით.

დიდი გალაკტიონის მოხდენილი თქმით, შოთა რუსთაველმა „შემოქმედება აზრს შეუზავა, ვეფხის დაარქვა მან ტყაოსანი და საუკუნე გააუკვდავა“. მაგრამ განა მხოლოდ XII საუკუნე! შოთა რუსთაველის გენიამ უკვდავყო თავისი მშობელი ერი, ქართული გენი. „სიმღერა დილას ნამღერი შვიდასი წელი გრძელდება“ (გ. ლეონიძე) და კვლავაც გაგრძელდება.

ასეთი განძის მფლობელი ერი ვალდებულია სწავლობდეს და იკვლევდეს ამ დიდებულ ნაწარმოებს. ამ პოემას ეს პატივი, სწორედაც, რომ არ მოჰკლებია.

კვლევის ობიექტია თვით პოემის ავტორის ბიოგრაფია, რუსთაველის პოეზიის სათავეები, პოემის სოციალურ-ეკონომიკური წინამძღვრები, მხატვრულ-ლიტერატურული ანალიზი და კიდევ ვინ მოთვლის რამდენი რამ...

შოთა რუსთაველის ბიოგრაფიაში სარწმუნოა მხოლოდ

ის, რომ „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის თარიღი თამარის მეფობით არის განსაზღვრული. იმ დროს საქართველოში შექმნილი მძიმე ისტორიული პირობების გამო ჩვენამდე არ მოუღწევია არა თუ ავტორისეულ, არამედ არცერთ უძველეს ხელნაწერს. ჟამთა სიავემ ვერც მოგვიანო ხანის (XVII-XVIII ს.ს.) ნუსხები შემოგვინახა. მრავალი ხელნაწერი გაიტანეს საქართველოდან, როგორც სამშობლოს სიყვარულით გულანთებულმა, მაგრამ იძულებით გადასახლებულმა ქართველებმა, ისე უცხო ტომის წარმომადგენლებმა (მისიონერებმა, დიპლომატიურმა მოღვაწეებმა...). ასე რომ, დღესდღეობით არსებულ სხვადასხვა შედგენილობისა და რედაქციის 160-მდე ხელნაწერთა შორის არცერთი არ წარმოადგენს XVII საუკუნეზე ადრინდელს. ყველაზე უძველესი ხელნაწერი დათარიღებულია 1646 წლით.

წინამდებარე ნაშრომი „ვეფხისტყაოსნის გადამწერნი“ ეძღვნება ამ პოემის ხელნაწერთა შესწავლის ისტორიას და გადამწერების ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ავტორი ამ ნაშრომისა გახლავთ რუსთაველის პოეზიაზე უზომოდ შეყვარებული და თავად პოეტური ნიჭით დაჯილდოებული ქალბატონი ლამარა ტატიშვილი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს წიგნი არის ავტორის ხანგრძლივი, თავდადებული და ნაყოფიერი მუშაობის ბრწყინვალე შედეგი.

ნაშრომის შესავალ ნაწილში ავტორი ვრცლად მიმოიხილავს პოემის ხელნაწერთა ისტორიას.

1712 წელს გამოცემულ „ვეფხისტყაოსანს“ ვახტანგ მეექვსემ საფუძვლად დაუდო XVII ს. სარდლის სახლთუხუცეს ზაზა ციციშვილის დაკვეთით მწერალ იოსებ სააკაძე-თბილელის მიერ გადაწერილი ხელნაწერი. ნაშრომის შესავალშივე ქალბატონი ლამარა ტატიშვილი საინტერესოდ მოგვითხრობს იმ რუსთველოლოგთა ღვაწლის შესახებ, რომელთა სახელე-

ბთანაც დაკავშირებულია „ვეფხისტყაოსნის“ შემდგომი პერიოდის გამოცემები.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია შოთა რუსთაველის პოემის ის გამოცემა, რომლისთვისაც მზადება XIX საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო და რომელსაც სათავეში ედგა ილია ჭავჭავაძე. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენაში მონაწილეობდა იმ დროის ყველა გამოჩენილი მოღვაწე. ესაა ხანა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოღვიძებისა საქართველოში. ეს პოემა ხომ ეროვნული თვითმყოფადობის ყველაზე ნათელი გამოხატულებაა. იმის ნათელსაყოფად, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდა დიდი ილია „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემას, საკმარისია აღინიშნოს ერთი ფაქტი: ილია ჭავჭავაძემ ენციკლოპედიისათვის საკუთარი ხელით დაწერილ ავტობიოგრაფიაში საგანგებოდ აღნიშნა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენ კომისიაში თავისი მონაწილეობა და ეს იმ დროს, როცა ილია ყველა ეროვნული საქმის წამომწყები იყო საქართველოში.

ნაშრომის შესავალი ნაწილის ბოლოს ავტორი გვპირდება, შეძლებისდაგვარად გაგვაცნოს ქართული მწიგნობრობისათვის თავდადებული ის უპრეტენზიო, მაგრამ დიდად დასაფასებელი ადამიანები, რომელთაც „ვეფხისტყაოსნის“ გადანუსხვისათვის არ დაიშურეს დრო და ენერგია.

თამამად შეიძლება ითქვას, ქალბატონმა ლამარა ტატიშვილმა არა თუ შეასრულა პირობა (შეძლებისდაგვარად გაეცნო ჩვენთვის გადამწერები), არამედ მის მიერ მიკვლეულ გადამწერთა მსგავსად არ დაიშურა არც დრო და არც ენერგია და დაინტერესებულ მკითხველს მიაწოდა თითოეული გადამწერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამომწურავი ცნობები.

„ვეფხისტყაოსნის“ სულ 32 გადამწერის შესახებ მოგვითხრობს ეს წიგნი. მათ შორისაა მამუკა თავქარაშვილი, იოსებ სააკაძე-თბილელი, სულხან-საბა ორბელიანი, იოანე ლარაძე, პეტრე ლარაძე, პეტრე ქებაძე, გიორგი თუმანიშვილი, დავით რექტორი...

გადამწერთა შორის ქართველ მანდილოსანთა სახელებსაც ვეცნობით (მანანა ზედგენიძე, ანა თუმანიშვილი-ამილახვარი, ნინო ზედგენიძე).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რუსთაველის პოემით ინტერესდებოდნენ არა მარტო ქართველები, არამედ საქართველოში მცხოვრები სხვა ერის წარმომადგენლებიც (ყაზახაანთ ბეჟოიას ასული, ვინმე გურგენა, გასპარა ბაღდასარიშვილი, იოანე იალღუზის ძე გაბარაევი და სხვა). თითოეულ მათგანს ავტორი კუთვნილ პატივს მიაგებს.

ქალბატონ ლამარა ტატიშვილის ნაშრომი „ვეფხისტყაოსნის გადამწერნი“ უაღრესად მდიდარ და საინტერესო მასალას აწვდის (არსებული ლიტერატურის მაქსიმალურად გათვალისწინების საფუძველზე) როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შესწავლით დაინტერესებულ რუსთველოლოგებს, ასევე რუსთაველის გენიის თაყვანისმცემელ ფართო საზოგადოებას.

ირინე ქერქაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი

25.12.1999 წ.

გწვავდნენ და არ იწვებოდი
ცეცხლში დიდების მხვეჭელი,
ვერც ქარიშხალი გფანტავდა
ხეების ამომგლეჯელი.
გ. ლეონიძე

ჩვენმა წინაპრებმა დღემდე შემოგვინახეს დიდი ისტორიული და მხატვრული ღირებულების მქონე ძველი მრავალსაუკუნოვანი ენა თავისი საკუთარი დამწერლობითა და ძველი სამწერლობო ტრადიციებით, რომელიც გვამცნობს ჩვენი ხალხის ისტორიული ცხოვრების გზას, მათ პოლიტიკურსა და ეკონომიკურ მდგომარეობას, სოციალურ წყობას, ეთნოგრაფიულ ყოფას, სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას.

მე-5-9 საუკუნეთა ქართული ხელნაწერების უდიდესი ნაწილი სასულიერო ლიტერატურის ძეგლებს მოიცავს, ხოლო მე-10-12 საუკუნეებიდან სასულიეროსთან ერთად მრავლდება საერო მწერლობის ხელნაწერები, ფილოსოფიური და ისტორიული ტრაქტატები, ხელთუქმნელი ლიტერატურული შედევრები, რომელთა გვირგვინად შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ გვევლინება.

„ვეფხისტყაოსნის“ დაწერით ახალი პერიოდი იწყება ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში.

„ვეფხისტყაოსნის“ ამჟამად არსებული ხელნაწერები კიდევ უფრო გვიანდელ ხანას ეკუთვნის. საფიქრებელია, რომ შედარებით ძველი ხელნაწერები დაიღუპა მე-13-14 საუკუნეებში, როცა

აყვავებული ქვეყანა ნანგრევებად და ნასოფლარებად იქცა ჯალალედინის შემოსევების დროს (1225-1230 წწ.). ხვარაზმელებს მონღოლთა ბატონობა მოჰყვა, სპარსელებს – ყიზილბაშობა, შემდეგ – თურქობა. დაიკარგა და განადგურდა კლასიკური ხანის უამრავი ძეგლი. რა თქმა უნდა, დაიღუპა „ვეფხისტყაოსნის“ ძველი ხელნაწერები, მათ შორის პოემის ავტოგრაფიული ნუსხა.

როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, „იმდროინდელი წერილობითი ძეგლებიდან ცხადად ჩანს, რომ წერა-კითხვის ცოდნაც უკვე საგრძნობლად დაქვეითებულა და ჩვენი ერის კულტურული დონე დაწეული იყო. დუმდა ამ დროს მშვენიერი ქართული მწერლობაც და შემოქმედებით კერაში ცეცხლი ძალზე იყო დაფერფლილი.“[1]

გაიოზ იმედაშვილის თქმით, „რუსთაველმა თავისი ხალხის კულტურა დიდ გზაზე დააყენა იმ საბედისწერო დროს. თუ ევროპის ხალხები ბარბაროსობიდან გამოდიოდნენ, საქართველო, უკვე დიდი კულტურის მქონე, მონღოლურმა შემოსევებმა მოსწყვიტეს განვითარების ლოგიკურ დინებას. ჩვენი ისტორია შუაზე გადატყდა – განადგურდა კულტურის კერები და ძეგლები და მისი პირდაპირი შედეგი ისიც იყო, რომ რუსთაველის ეპოქის დიადი კულტურისაგან მხოლოდ ფრაგმენტები შემოგვრჩა.“[2]

ჟამთა სიავემ არ დაინდო გენიოსი პოეტი და მისი ხელით დაწერილი „ვეფხისტყაოსანი“.

ჩვენმა ბედკრულმა ისტორიამ არ შემოგვინახა გარკვეული ცნობები შოთა რუსთაველის შესახებ. ისტორიული წყაროებით თითქმის არაფერი ვიცით რუსთაველის გვარისა, სადაურობა-ნარმოშობისა, საზოგადოებრივ მდგომარეობასა და მოღვაწეობაზე, მის დაბადება-აღსასრულის ადგილსა და თარიღის შესახებ. მო-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. 4. თბ., 1967, გვ. 199.

[2] გ. იმედაშვილი, „ვეფხისტყაოსანი“ და ქართული კულტურა, 1968, გვ. 10-11.

გვეპოვება მხოლოდ ყრუ, არაპირდაპირი მითითებანი უმთავრესად მოგვიანო დროისა, რომელთა პირველწყაროები ჩვენთვის უცნობია და, ფაქტობრივად, რუსთაველის შესახებ მხოლოდ ლეგენდები და გადმოცემები შემოგვრჩა.

დღეისდღეობით რუსთაველის ბიოგრაფიაში ის არის სარწმუნო, რომ პოეტი ცხოვრობდა თამარის გამეფებისა და მონღოლების საქართველოში შემოსევის დროებს შორის. ჩვენი მეცნიერ-მკვლევარნი „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის თარიღს თამარის მეფობით განსაზღვრავენ.[1] დადასტურებულია, რომ საქართველო წარმოადგენდა ძლიერს, ორ ზღვას შორის გადაჭიმულ ფეოდალურ სახელმწიფოს, რომლის უშუალო მფარველობის ქვეშ იყო შირვანის სამეფო, დაღესტანი, ოსეთი და აგრეთვე ტრაპიზონის სამეფო. შიგნით შედარებით მოწესრიგებული, გარეშე მტერთა თავდასხმისაგან უზრუნველყოფილი და მოსვენებული. ეკონომიკურად და კულტურულად დაწინაურებული. ივანე ჯავახიშვილის გამოანგარიშებით, საქართველოს ყოველწლიურად შემოსდიოდა ხარკის სახით 75 მილიონი დირჰემი (დაპყრობილი ქვეყნებიდან). თამარ მეფის ისტორიკოსის ცნობით, „აღივსნეს ყოველნი საგანძურნი სამეფონი ოქროთა და ჭურჭლითა ოქროსათა, რამეთუ მიწისა მსგავსად შეასხმიდის ოქროსა. ხოლო თვალსა და მარგალიტსა ნყვით დასდებდეს, ხოლო ოქროქსოვილთა ბერძულთა და ლხვათა, ძვირად საპოვნელთა, ვითარცა ცუდთა სამოსელთა ურცხელთა დაჰყრიდეს, ხოლო ვერცხლის ჭურჭელთა არღა-რა აქუნდა პატივი პალატასა შინა მეფისა. რამეთუ ყოველი ოქროსა და ბროლისა წინაგებულ იყო, ინდურთა ქვათაგან შემკობილი,

---

[1] საყურადღებოა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მასალები, რომელიც გვაუწყებს, რომ შ. რუსთაველი იყო დიდი სახელმწიფო მოღვაწე და ეკავა მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობა. იქვეა მისი პორტრეტი, რომელიც დაკარგული იყო; გამოავლინეს და საქართველოში ჩამოიტანეს აკად. ირ. აბაშიძემ, აკ. შანიძემ და გ. წერეთელმა.

რომელთა აგავსნა ყოველნი ეკლესიანი, რომელთა მიანიჭა სამსახურებლად სიწმინდესა საიდუმლოთა.“[1]

თამარ მეფის ისტორიკოსის სიტყვებით, საქართველო იმდენად გამდიდრდა, რომ „გააზნაურდეს ქუეყნისა მოქმედნი და გადიდებულდეს აზნაურნი და გახელმწიფდეს დიდებულნი.[2] თამარის დროს „იყო მდიდრად ესე სამეფო, რომელ აზნაურის ყმანი მათთა პატრონთა სწორად იმოსებოდეს.“[3] იმ დროს საქართველო წარმოადგენდა სტრატეგიული დანიშნულების ქვეყანას. გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ხელსაყრელ პირობებს ვაჭრობის განვითარებისათვის. საქართველოს მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა ირანთან, მცირე აზიის სახელმწიფოებთან, ბიზანტიასთან და ინდოეთთან. კულტურულ ურთიერთობაში იმყოფებოდა არა მარტო დასავლეთის ქრისტიან ერებთან, არამედ აღმოსავლეთის მაჰმადიანურ ქვეყნებთანაც.

დავით აღმაშენებლის მიერ აშენებული და დამშვენებული ქვეყანა – საქართველო, გიორგისა და თამარ მეფის დროს კულტურულად აყვავებული და ეკონომიკურად დაწინაურებული, გაერთიანებული და „იყო მდიდრად ესე სამეფო“, მონღოლთა შემოსევებმა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნანგრევებად და ნასოფლარებად აქცია. ამ დროს ბევრი ხელნაწერი განადგურდა, დაიწვა. ბევრი ტყვედ იქმნა. შესაძლებელია, რომ ამ დროს დაიკარგა ან დაიწვა ან ტყვედ იქმნა ჩვენი ხელიხელსაგოგმანებელი „ვეფხისტყაოსანი“ და რომელიმე ქვეყნის წიგნსაცავშია მოხვედრილი და გამომზეურებას ელის. ან მტრის თავდასხმის შიშით

---

[1] ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია. თბ., 1907, გვ. 51-52. ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, თბ., 1906, გვ. 506.

[2] იგივე წყარო, გვ. 411-505.

[3] ქართლის ცხოვრება. ანა დედოფლისეული ნუსხა, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა. თბ., 1942, გვ. 241.

ღვთისნიერმა ადამიანმა გადამალა, მაგრამ ისიც მტრის მსხვერპლი გახდა და არ ვიცით მისი ასავალ-დასავალი. ერთი სიტყვით, როგორც გაიოზ იმედაშვილი შენიშნავდა, „რუსთაველი და „ვეფხისტყაოსანი“, ნარმოშობითა და შინაარსით, დღემდე ისეთივე ამოცანაა, როგორც თვითონ საქართველო – ხალხით, ენით, ხელოვნებით, საკუთარი ანბანით“[1].

დავკარგეთ რუსთაველი და მისი ხელით დაწერილი „ვეფხისტყაოსანი“. ეროვნული ეპოსის შემოქმედს არ ეწერა სამშობლოში საკუთარი გვარით ყოფილიყო ცნობილი და მადლიერ შთამომავლობას მისი საფლავი სათაყვანებლად გაეხადა.

როგორც ცნობილია, ბევრი ხელნაწერი დაიკარგა შემდეგაც, ახალ საუკუნეებშიც.

1909 წლის პირველ ნოემბერს გაზეთ „დროებაში“ ზ. ჩხიკვაძე იუწყებოდა: ძველ გავაზაში ერთ დედაკაცს ჰქონია ტყავზე ნაწერი სურათებიანი „ვეფხისტყაოსანი“. ბოლოში ქორონიკონი ჩვენ (1455) და ჩფნე (1555) სწერებია. დედაკაცს ხელნაწერი არ დაუნებებია. მისი გარდაცვალების შემდეგ კი ეს ხელნაწერი დაკარგულა.[2]

ეროვნული ოცნების წიგნი „ვეფხისტყაოსანი“, როგორც ძვირფასი რელიქვია, თან მიჰქონდათ სამშობლოდან გადახვეწილ ქართველებს. რამდენიმე ათასი ქართველი წავიდა ემიგრაციაში მე-17-18 საუკუნეებში და ამ დროს ბევრი ხელნაწერი წაიღო თან.

საქართველოდან ბევრი წიგნი გაიტანეს მისიონერებმა, დიპლომატიურმა მოღვაწეებმა, მოგზაურებმა და ა. შ.

„ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე ძვირფასი ხელნაწერი ამჟამად საქართველოს გარეთ, სხვადასხვა კერძო კოლექციებსა და ნაციონალურ ბიბლიოთეკებშია დაცული (ორი ხელნაწერი –

---

[1] გ. იმედაშვილი, ვეფხისტყაოსანი და ქართული კულტურა. თბ., 1968.

[2] გაზ. „დროება“, 1909.

ერთი მე-17, ხოლო მეორე მე-18 საუკუნის დაცულია ოქსფორდში ბოდლეს ბიბლიოთეკის უორდროპისეულ კოლექციაში, ხოლო ორი – 1702 წელს და 1811 წელს გადაწერილი, ინახება პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში).

მე-19 საუკუნეშიც არსებულა „ვეფხისტყაოსნის" რამდენიმე საკმაოდ ძველი ხელნაწერი, რომელიც დღეს დაკარგულად ითვლება. ისინი უნახავს ისტორიკოს პლატონ იოსელიანს და 1870 წელს რუსულ გაზეთ „კავკაზში" დაუბეჭდავს წერილი. იგი აღწერს „ვეფხისტყაოსნის" რამდენიმე ხელნაწერს, რომელთაგან ერთი ქართველი მეფის ალექსანდრე დიდის (1412-1443 წწ.) ნაქონი ყოფილა, გადაწერილი 1440-იან წლებში, რომელიც მას უნახავს აზნაურ ელიოზიშვილის ოჯახში. მეორე უთარიღო, მაგრამ აშკარად ძველი, ეტრატზე ნაწერი, პოლკოვნიკ გრიგოლ წერეთლის საკუთრება ყოფილა.[1] აღნიშნული ნუსხა დაწერილი ყოფილა მსხვილი, ლამაზი, მრგვალი მხედრულით, გვერდების ჩარჩოები ნითელი მელნით, ხოლო კუთხეები კი აღმოსავლური გეომოვნებით ჰქონია მოხატული. „ვეფხისტყაოსნის" უძველესი ხელნაწერის ფრაგმენტი, რომელსაც მე-16 საუკუნის დასაწყისით ათარიღებენ (რ.პატარიძე), 1963 წელს ახალციხის მუზეუმში აღმოაჩინა ხელნაწერთა ინსტიტუტის ექსპედიციამ პროფესორ ილია აბულაძის ხელმძღვანელობით (მეცნ. თანამშრომლების მ. ქავთარიას და ჭანკიევის შემადგენლობით). პოემის ფურცლები ერთი გვიანდელი ხელნაწერის ყდისათვის გამოუყენებიათ. ყდაში ჩაუტანებიათ გასამაგრებლად. ასე გადარჩენილა ორად ორი ფურცელი. ილია აბულაძემ სპეციალური წერილი და მოხსენება მიუძღვნა ამ ხელნაწერს.[2]

„ვეფხისტყაოსნის" ორი სტროფი, რომელიც ვანის ქვაბთა

---

[1] П. Иоселиани. Шота Руставели, "Кавказ", 13.1870. стр. 2-4.

[2] ილია აბულაძე. „ვეფხისტყაოსნის" ახლადმიკვლეული უძველესი (16) ხელნაწერის ფრაგმენტი, ჟურნ. „მაცნე", 1964, № 3, გვ. 142-150.

მონასტრის კედლებზეა მიწერილი და მკვლევარნი ერთხმად მე-15 საუკუნის შესრულებულად თვლიან, ავტორი ამ მინაწერისა პოეტი ქალი ანა რჩეულაშვილია.[1]

მე-12 საუკუნის საერო მწერლობის ეს უძვირფასესი ძეგლი, სიბრძნისა და სიმართლის დიდი წიგნი „ვეფხისტყაოსანი“ ქართველმა ხალხმა ოდითგანვე შეიყვარა და შეისისხლხორცა, როგორც ცოდნისა და სიბრძნის დაუშრეტელი წყარო, ძმობისა და სიყვარულის სიმბოლო. იგი მოეფინა ანდაზებად, თქმებად, ბრძნულ აფორიზმებად თითოეულის ოჯახში და მოიარა მსოფლიო. გაეცნო ახლობელ და შორეულ ქვეყნებს.

რუსულად „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი კონსტანტინე ბალმონტი წერდა: „როგორც ჰომეროსია ელადა, დანტე – იტალია, შექსპირი – ინგლისი, კალდერონი და სერვანტესი – ესპანეთი, ასევე რუსთაველი საქართველოა“.

გერმანელი მწერლის არტურ ლაისტის ცნობით, რუსთაველი განასახიერებს ქართველი ერის კეთილ სულს.[2]

როგორც ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა, „ქართველმა ერმა „ვეფხისტყაოსანს“ შიგ ჩაატანა თავისი ცრემლი და თავისი სიხარული, შიგ ჩაახვია თავისი სული და გული, შიგ ჩააწნა თავისნი უკეთესნი ფიქრნი, ზრახვანი, გრძნობანი“.[3] ვაჟა-ფშაველას თქმით: „რუსთაველი იგივე საქართველოა და საქართველო იგივე „ვეფხისტყაოსანი“. რუსთაველი ღვიძლი შვილია თავისი ერისა,

---

[1] შ. ონიანი. ვანის ქვაბთა მონასტრის ნაწერების პოეზია, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1959.7. გვ. 34-36. შ. ონიანი, „ვეფხისტყაოსნის“ ორი სტროფი ვანის ქვაბთა მონასტრის ერთ ნარწერაში, კ. კეკელიძისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, 1959, გვ. 287-193. ავთ. ვართაგავა, როგორც ცხოვრობენ ფრესკები, თბ. 1991. გვ. 110.

[2] არტურ ლაისტი, „საქართველოს გული“, თბ., 1927, გვ. 115.

[3] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 5, 1991.

ალ. ბარამიძე, რუსთაველი და მისი პოემა, გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1966, 42.

მისი სულის, სისხლის და ხასიათის წარმომადგენელია, რომელიც მთელ ერს, მის კულტურულ ავლადიდებას, როგორც ფოკუსში მოუყრია თავი. იგი ამავე დროს სარკეა თავისი ერისა, არა ჩვეულებრივი, არამედ ცოცხალი".[1]

ცნობილია, რომ ძველი განათლებული ოჯახისათვის აუცილებლობად იყო მიჩნეული გასათხოვარი ქალისათვის მზითევში „ვეფხისტყაოსნის" თუ სხვა ხელნაწერისა და ნაბეჭდი წიგნების გატანება. ამის შესახებ ცნობებს უხვად ვხვდებით მე-17-18 საუკუნეების საბუთებში. ჩვენ აქ მხოლოდ რამდენიმეზე შევჩერდებით. როსტომ მეფის (1633-1658) მეუღლეს მარიამ დედოფალს (დადიანს) მზითევში ჰქონდა „ვეფხისტყაოსანი", „როსტომიანი" და სხვა წიგნები. ქსნის ერისთავის ასულ ელენეს, რომელიც ქაიხოსრო ავალიშვილს მიათხოვეს (1718 წელს), ნაუღია როგორც საეკლესიო (საღმრთო წიგნებიდან: სახარება, დავითნი ხელით ნაწერი, პატარა ჟამნი ერთი, ყოვლად წმინდის სავედრებელი ერთი, წმინდა მარინას ცხოვრებაჲ ერთი, სარწმუნოება ერთი), ისე საერო წიგნებიც (გარეშეს წიგნებისაგან „ვეფხისტყაოსანი" ... „ზილიხანიანი"... „ირდუხტიანი" ... ერთი), სულ 11 ხელნაწერი თუ ნაბეჭდი წიგნი.[2]

საინტერესოა მზითვის წიგნი ანუკა ბატონიშვილისა, რომელიც 1712 წელს მიათხოვეს ვახუშტი აბაშიძეს. მისი მზითვის წიგნში იკითხება: „სახარება ერთი. სახარება სტამბისა ერთი, სამოციქულო სტამბისა ერთი, ჟამნი სტამბისა ერთი, დავითნი სტამბისა ერთი, ხელით დაწერილი პატარა დავითნი ერთი, სტამბის წიგნი ერთი, საეროს წიგნებისაგან: ვეფხისტყაოსანი ერთი. ლეილმიჯნუნიანი ერთი, უსუფზილიხანიანი ერთი, საამიანი

---

[1] ფიქრები „ვეფხისტყაოსნის" შესახებ, ჟურნალი „განათლება", 1911, გვ. 442.

[2] ლევან მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. 1. 1962.

ერთი... და სხვ.[1]

შემთხვევით კი არ უთქვამს გოგლა ლეონიძეს:

„შენ, დედაჩემის მზითევო, ფარხმალო მამაპაპისა...!“

არ შეიძლება აქვე არ გავიხსენოთ დიდი ილიას სიტყვები, როდესაც მისი თაოსნობით დაიწყეს „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემისათვის მომზადება, მან მოითხოვა 2200 ცალი „ვეფხისტყაოსნის“ დაბეჭდვა და დასძინა, რომ „ქართველ ხალხში „ვეფხისტყაოსანზე“ ყოველთვის დიდი მოთხოვნილება იყო და არის. ძველად ამ პოემას ქალებს მზითევში ატანდნენ და ახლაც ეს ასე იქნებაო...“ დ. ერისთავს ამის გამო ილიასათვის შეუნიშნავს: „ძველად არ ვიცი, მაგრამ ახლანდელი სასიძოები ასეთ მზითევს არ დაჯერდებიანო.“[2]

„ვეფხისტყაოსნით“ სულდგმულობს ქართველი ერი რვაასი წლის განმავლობაში, რომელსაც „ივერიის“ მოხდენილი თქმით, „ყოველი ქართველი უბით ატარებს როგორც ავგაროზს, რომელიც ჭირში ჩვენი მოსამძიმრე და განუშორებელია და ლხინში თანამოლხინე და თანამღერალი... ურომლისოდაც ვერც სიცილი გაგვიკვლევია, ვერც ტირილს ვახერხებთ, რომლის თითოეული სიტყვა ჩვენთვის საბუთია, სამართალია, კანონი ... რომელიც საფუძვლად, ხიდად დასდებია ყოველგვარს, ამის შემდეგ ნაწარმოებს ჩვენში“.[3]

მართლაც, არცერთ ლიტერატურულ ძეგლს ჩვენი ერის ცხოვრებასა და შეგნებაზე, მეხუთე საუკუნიდან მოყოლებული დღემდე ისეთი ღრმა და მრავალმხრივი ზეგავლენა არ მოუხდენია, როგორც „ვეფხისტყაოსანს“, რომელიც, როგორც გ. იმედაშვილი აღნიშნავდა, „არა მხოლოდ საამოდ საკითხავი წიგნია, სანადიმოდ, სააშიკოდ, სამღერლად, სალაღობოდ მოსასმენი პოემა,

---

[1] ნაფიქრი და ნააზრევი, გაზ. „ივერია“, 1889, 31.12.279.

[2] გაიოზ იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, 1957, გვ. 158.

[3] ნაფიქრი და ნააზრევი, გაზ. „ივერია“, 1889, 31.12.279.

არამედ დაუშრეტელი წყარო მშვენიერებისა, საქადაგო სიკეთისა, მსმენელთა გულგასაგმირალი მჭევრსიტყვა, ხალხის სანუკვარ საუნჯედ ქცეული მეორე ბიბლია".[1]

ალექსანდრე მანველაშვილის შენიშვნით, „ვეფხისტყაოსანი" ქართული აზრის, გემოვნების, ცოდნისა და მისწრაფებების ამოუწურავი სამყაროა. ამიტომ „თუ მივალთ „ვეფხისტყაოსანთან", იქ დავინახავთ აკლდამას საუნჯეთა, იქ ინახება ჩვენი ეროვნული სული ამაყი; სიყვარულის, მიჯნურობის, მეგობრობის, სიმამაცის, ძლიერი ნებისყოფის, უმაღლესი ფორმების შემეცნება; ქართველთა მრავალსაუკუნოვანი კულტურისა და ცივილიზაციის დაწმენდილი და განსპეტაკებული სახე; ქართველი ერის ოპტიმისტური სული მისი, ესთეტიკა, მის მიერ ამქვეყნიური არსებობის და დანიშნულების უმშვენიერესი გაგება..."[2]

ყოველი ქართველისათვის „ვეფხისტყაოსანი" უსაზღვრო თაყვანისცემისა და ზრუნვის საგანი იყო, ფასდაუდებელი ეროვნული საუნჯე, რომლის ქონებაც ოჯახისათვის დიდ საგვარეულო სიამაყეს წარმოადგენდა. ძველად საქართველოში თითქმის ყოველმა ქართველმა ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსნის" რომელიმე შაირი და დღესაც არ გამქრალა მისი ზეპირად ცოდნის ტრადიცია.

დღესდღეობით არსებულ სხვადასხვა შედგენილობისა და რედაქციის 160-მდე ხელნაწერთა შორის არცერთი არ წარმოადგენს მეჩვიდმეტე საუკუნეზე ადრინდელს. „ვეფხისტყაოსნის" ყველაზე უძველესი და თარიღიანი ხელნაწერი მხოლოდ 1646 წლისაა (H-599) და პოემის ტექსტი ჩვენამდე მოღწეულია მრავალი თაობის გადანაწერი ასლებით, მხოლოდ ინტერპოლირებული ხელნაწერებით, რომელიც თითქმის ოთხას ორმოცდაათი

---

[1] გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, 1957, გვ. 70.

[2] ალ. მანველაშვილი, ვეფხისტყაოსანი და რუსთაველის ზნეობრივი იდეოლოგია, სტამბოლი, 1933, გვ. 5.

წლითაა დაშორებული რუსთაველის ეპოქას.

პოემა საუკუნეთა მანძილზე მიიკვლევდა გზას და სპეციალისტებისათვის კარგად არის ცნობილი, თუ როგორი შეურყვნილი სახით არის მოღწეული ჩვენამდე. მითუმეტეს, რომ პოემა გვიან ხანამდე ხელნაწერების სახით მრავლდებოდა. „ვეფხისტყაოსნის“ გადამწერები თუ თაყვანისმცემელნი თავის კომენტარებსა და სიუჟეტურ ვარიანტებს ურთავდნენ პოემის ტექსტს. ამიტომაც „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებში არის ინტერპოლაციები და პოემას ერთვის გაგრძელებათა მთელი ციკლები. „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებათაგან დამოუკიდებელი თხზულებაც კი არის შექმნილი (ომანიანი).

არჩილ მეორე „ვეფხისტყაოსნის“ ინტერპოლატორის ნანუჩა ციციშვილის „ნამოღვაწარს“ ასეთ სამარცხვინო შეფასებას აძლევს:

„ნანუჩას რუსთველის ნათქუამში ბევრი რამ ჩაურევია,
საბრალოს ვერ შეუწყვია, წმინდა რამ აუმღვრევია...“[1]

ვახტანგ მეექვსის წრის პოეტი იესე ტლაშაძე თაყვანს სცემდა შოთა რუსთაველის პოეტურ გენიას, ის აუგად იხსენიებდა რუსთაველის ინტერპოლატორებს და ეპიგონებს:

„რიტორ რუსთველო, კარგ გამომთქმელო,
ენა ტკბილო და შაქარიანო,
ავმა მთქმელებმა, ქურდმა მელებმა
ლექსი მრავალი მოგპარვიანო...“[2]

როგორც ცნობილია, „ვეფხისტყაოსნის“ უამრავ მადიდებელთა გვერდით იყვნენ მოწინააღმდეგენიც, უმთავრესად საეკლესიო წოდებიდან, რომლებიც პოემას მორალურ-ზნეობრივი თვალსაზრისით ქრისტიანული ეთიკისათვის შეუწყნარებელ თხზუ-

---

[1] არჩილიანი, ა. ბარამიძისა და ბერძენიშვილის გამოცემა, 1987, ტ. 2, სტ. 28.

[2] ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, 1966, ტ. 2, გვ. 270.

ლებად მიიჩნევდნენ.

ეპისკოპოსი ტიმოთე გაბაშვილი, რომელმაც მე-18 საუკუნის შუა წლებში ჩამოგვიტანა ძვირფასი ცნობები რუსთაველის იერუსალიმში არსებული პორტრეტის შესახებ, ეხება „ვეფხისტყაოსნის" ეთიკურ მხარეს. მისი აზრით, „ვეფხისტყაოსანში" აღწერილი სასიყვარულო ამბები ცუდ გავლენას ახდენდა ქართველ ქალთა ზნეობაზე: „ესე რუსთაველი იყო მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმაც ასწავა ბოროტი ბილწიერება და გარყვნა ქრისტიანობა, ხოლო უწინარეს ჩვენთა უმეცართა სამღვთოთ თარგმნეს ბოროტი ლექსი მისიო..."[1]

„ვეფხისტყაოსნის" წაკითხვა ეკრძალებოდათ განსაკუთრებით სასულიერო პირებს, რადგან პოემის ავტორი ქადაგებს ხორციელ სიყვარულს და ქრისტიანულ სამებას არსად არ ახსენებსო.

მე-17 საუკუნის რეალისტი მწერლების ერთმა ჯგუფმა თავისი შემოქმედების საგნად გაიხადა ქართული ეროვნული თემები. ასეთი პოეტები იყვნენ ფეშანგი – ავტორი პოემა „შაჰნავაზიანისა"... იოსებ სააკაძე – ავტორი „დიდი მოურავისა... არჩილი და სხვები. ისინი დიდ პატივს სცემდნენ „ვეფხისტყაოსნის" ავტორს, მაგრამ ედავებოდნენ რუსთაველს მასში, რომ მან „სპარსთნაჭორი... სპარსთშეტმასნლი (არჩილი) ამბები მოგვცაო. თეიმურაზ მეორე პირდაპირ მიმართავს რუსთაველს და ეუბნება: „რად დაშვრი ტყუილს ზედაო... ნესტან-დარეჯან, ტარიელ, ფარსადან, როსტევან – ყველა შეგიტმასნავს, მოგიგონიაო. თვით სახელებიც კი მოგონილიაო."[2]

იოსებ სააკაძის დიდ ავტორიტეტსა და განსწავლულობას

---

[1] ტრიფონ რუხაძე, „ვეფხისტყაოსნის" წინააღმდეგ ბრძოლის სოციალიდეური მოტივები, პუშკინის სახ. პედ. ინსტიტუტის შრომები. 1941, 1, გვ.79-80.

[2] იგივე წყარო, გვ. 79-80.

მაღალ შეფასებას აძლევდა ანტონ კათალიკოსი, მაგრამ „თუმცა დაშურა ამაოთათვისო".[1] თვითონ იოსებ სააკაძე-თბილელიც მწარე სინანულს გამოთქვამდა და აყვედრიდა თავის თავს:

„მე შევიქენ ენაყბედი, სოფლის წიგნის სამ წარმთქმელი.
„სოფლის ზღაპრისა წერისთვის შევიქენ დამნაშავია
მას დარჩა ჭკუის საუნჯე, ვინც ცრემლით ავსო ნავია...
ამ სოფლისა საქმეს მივყევ, მე ვინა და ამის წერა..."

ან

„კარგი ყოფილხართ სამნივე, ჰხოცეთ დევნი და ქაჯები,
წაგიხდა მხნენი ძალგული და დალპა ცუდად მაჯები:
სოფლის ურჯულოდ წასვლისთვის თუ არ აგართვან აჯები,
მიკვირს,მწერალო, ანდერძსა მათსა სწერ,რად ისარჯები."[2]

როგორც ჩანს, ანტონის ფრაზა იოსების „ამაოდ დაშვრისათვის" და თვით იოსების მწარე სინანული, ალბათ, მის მიერ საერო ნაწარმოების და განსაკუთრებით, „ვეფხისტყაოსნის" გადაწერაში გამოიხატებოდა. ტფილელ მიტროპოლიტისათვის, როგორც სასულიერო მწერლისათვის, საერო ნაწარმოებების დაწერა და გადაწერა იმ დროს კომპრომისულ ფაქტად უნდა ჩათვლილიყო.

როგორც ცნობილია, „ვეფხისტყაოსნის" წინააღმდეგ ბრძოლისა და დევნის მიზეზი პირველყოვლისა დაკავშირებული იყო შოთას უკვდავი პოემის ორიგინალობის პრობლემასთან.

მე-17-18 საუკუნეებში და, სამწუხაროდ, ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაშიც, მკვლევართა შორის გავრცელებული იყო აზრი, რომ „ვეფხისტყაოსანი" უცხო, სპარსული ნაწარმოებია. ამ ვერსიას იმეორებდნენ თეიმურაზ პირველი და არჩილი. თეიმუ-

---

[1] ანტ. ბაგრატიონი, „წყობილსიტყვაობა", გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა. თბ., 1980. გვ. 267.

[2] გიორგი ლეონიძე, ლიტერატურული მემკვიდრეობა, 1, 1935, გვ. 20.

რაზი თავის „იოსებ ზილიხანიანში“ იტყვის – „ვპოვეთ ამბავი პირველ სპარსთაგან მბობიაო“.

უცხო წარმოშობის სპარსულ ძეგლებს „აღორძინების პერიოდის“ ქართველმა მწერლებმა გამოუძებნეს შესაფერისი ტერმინები: „ნიგნები ლაყაბიანი... „სიტყვა უქმი“, „ზღაპრად შეთხზული“, „უსარგებლო თქმული“, „ცუდი საქმე“, „სულის უსარგებლო“, „ზღაპრული შაირი“, „ცუდი ზრუნვა“ და მისთანები.[1] ამ თხზულებათა რიცხვს მიაკუთვნეს „ვეფხისტყაოსანი“.

ზოგიერთი მკვლევარი სასულიერო საზოგადოების მხრიდან რუსთაველთან იდეურ პოლემიკის ანარეკლს ჯერ კიდევ „ვეფხისტყაოსნის“ ჩანართ სტროფებში ხედავდა, რომელშიც ნათქვამია:

„პირველთავი დასაწყისი ნათქვამია იგ სპარსულად,
უხმობთ ვეფხისტყაოსნობით, არსსა შეიქმს ხორცს არ სულად,
საეროა, არ ახსენებს სამებასა ერთ-არსულად,
თუ უყურა მონაზონმან, შეიქმნების გაპარსულად“.

ან

„ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,
ვით მარგალიტი ობოლი, ხელის-ხელ საგოგმანები,
ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქენ საჭოჭმანები,
ჩემმან ხელ-მქმნელმან დამმართოს, ლაღმან და ლამაზმანები...“[2]

დღეს უკვე მეცნიერთა მიერ დადგენილია, რომ ეს სტროფები პოემაში რომელიღაც გადამწერის მიერ არის ჩამატებული. ავთანდილის ლოცვაც ნამდვილი მაჰმადიანის ლოცვად მიაჩნდათ და სპარსულიდან მომდინარეობის ერთ-ერთ საბუთად იყო მიჩნეული. ამას გარდა სპარსულ-არაბული სიტყვები, რომელთაც ვხვდებით „ვეფხისტყაოსანში“ და ა. შ.

ორიენტალისტ ბარონ ბრანბეუს-სენკოვსკის შეხედულებებში

---

[1] ტრ. რუხაძის დასახელებული ნაშრომი, გვ. 80.

[2] „ვეფხისტყაოსანი“ რუსთაველისა, გამოცემული გ. დ. ქართველიშვილის მიერ. თბ., 1888, გვ. 4.

უარყოფილი იყო რიცხობრივად პატარა ერში გენიოსის წარმოშობის შესაძლებლობა. ქართული კულტურა, ხელოვნება, კერძოდ კი მხატვრული მწერლობა, თითქოს ბიზანტიურ-სპარსულის მიბაძვას წარმოადგენდა, და მას არა ჰქონდა დამოუკიდებელი ღირებულება.

სენკოვსკის აზრს იზიარებდნენ განსაკუთრებით იოჰან შერმი, პატკანოვი, ვერმიშევი. ჩვენში ივანე ჯაბადარი, რომელსაც ჯეროვანი პასუხი გასცეს აკად. მარი ბროსემ, ილია ჭავჭავაძემ და ნიკო ნიკოლაძემ.[1]

სენკოვსკის შეხედულებების მოზიარე და გამგრძელებელი ნიკო მარი თავის შრომებში სამი ათეული წლის განმავლობაში იმ აზრს ავითარებდა, რომ „ვეფხისტყაოსანი" არ არის ორიგინალური ნაწარმოები, რომ ის სპარსული ორიგინალის თარგმანია, მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ „ვეფხისტყაოსანში" აღწერილი მოქმედება საქართველოში არ წარმოებს, მოქმედ პირებად ქართველები არ არიან გამოყვანილი და რუსთაველი თვით პოემას სპარსულ ამბავს უწოდებს და მას სპარსულის მიბაძვად მიაჩნდა, თვითონ რუსთაველი კი მაჰმადიან პოეტად.

ნიკო მარმა ბოლოს უარჰყო თავისი პირვანდელი შეხედულება და ძველი ქართული კულტურის, მწერლობისა და „ვეფხისტყაოსნის" ღრმა შესწავლით იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „ვეფხისტყაოსანი" თამარის ეპოქის ნაწარმოებია, დაწერილი მისი სასახლის პოეტის შოთა რუსთაველის მიერ, რომელიც თავისი გონებრივი მასშტაბით წინ უსწრებს მსოფლიო მოწინავე ადამიანებს პროგრესული, ჰუმანისტური იდეალების ქადაგებაში. „ვეფხისტყაოსანი" მთლიანად გასაგებია მხოლოდ და მხოლოდ ამ ეპოქის საქართველოს სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ-კულტურულ გარემოში. „ვეფხისტყაოსანი" ორიგინალური ქარ-

---

[1] შოთა რუსთაველი, რამდენიმე პარალელი და ანალოგია, კრებული, ენიმიკის მოამბე, 1938, 3, გვ. 229-250.

თული ნაწარმოებია, თავისი ფესვებით დაკავშირებული ქართული კულტურის განვითარებასთან, ქართული ცხოვრების სინამდვილესთან. რომ მთელი რიგი სპარსულ-არაბული სიტყვები, რომელთაც პოემაში ვხვდებით, სრულიადაც არ მიუთითებენ მათ მომდინარეობას სპარსული ლიტერატურული ძეგლებიდან, რომ ისინი რუსთაველს შეთვისებული აქვს ქართული ხალხური ლექსიკიდან, რომ რუსთაველი, უაღრესად ნაციონალური, შეუდარებელი ოსტატობით გვაზიარებს ქართული ხალხური მხატვრული მეტყველების ამ დაუშრეტელ საგანძურს, რომ რუსთაველი თავის პოემას აშენებს ქართულ ხალხურ საფუძველზე.[1]

მეცნიერთა მიერ უკვე დადგენილია, რომ „ვეფხისტყაოსნის" მსგავსი ამბავი სპარსულ მწერლობაში არ მოიპოვება. პოემაში ყველაზე ნაკლებადაა გამოსახული სპარსული სამყარო. აქ უმთავრესად ინდოელებსა და არაბებზეა ლაპარაკი და ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებული ჩანართი სტროფები, რომლებიც „ვეფხისტყაოსნის" სპარსულიდან წარმოშობის საფუძვლად იყო მიჩნეული, ნაყალბევია.

რაც შეეხება ავთანდილის ლოცვას, მიმართვას ღვთაებისადმი, ეგონათ, რომ ეპითეტები „უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლებათაო," მუსულმანურის კვალია. კერძოდ, ღვთაებისადმი მიმართვის მაჰმადიანური ფორმულა სანყისი ფორმით „ხუდოვენდი ხუდოვენდო ზემინ ოსემან," რაც „ვეფხისტყაოსნის" სპარსულიდან მომდინარეობის ერთ-ერთ საბუთად იყო მიჩნეული.[2] ნამდვილად, როგორც დოკუმენტურად გაირკვა, შენიშნავს გ. იმედაშვილი, ამ თქმის უშუალო წყარო ქართულ სასულიერო მწერლობაში კარგად დამუშავებული ფორმულა ყოფილა და ხში-

---

[1] Грузинская поэма "Витязь в Борсовой Шкуре" Шота Руставели и новая культурно-историческая проблема, ИА Наук, 1917, стр. 478-499. Грузинский язык в история, 1, 1936, стр. 28-40.

[2] რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი", ძველი საქართველო, ტ. 1, გვ. 83-84.

რად გვხვდება ორიგინალურ საგალობლებშიც მრავალი ვარიაციით, სადაც ის დამკვიდრებული ყოფილა როგორც ღვთაებისადმი მიმართვის გაქვავებული ეპითეტი, რომლის ქრისტიანული წარმოშობა და ხასიათი ეჭვს არ იწვევს. კერძოდ, „უფალო უფლებათაოს“ პარალელი მოიპოვება იოანე მტბევარისა და მიქელ მოდრეკილის საგალობლებში. დღედ უკვე გამორკვეულია, რომ ეს თქმა ქართულ ეკლესიურ მწერლობაში ხანგრძლივად მუშავდებოდა და ის დამახასიათებელი იყო პროზისთვისაც, როგორც ქართული მხატვრული მეტყველების ჩვეულებრივი გამოთქმა. ის იკითხება წმინდა ნინოს ცხოვრებასა და გვხვდება იოანე მინჩხთანაც.[1]

„უფლება უფლებათაო“, „მთავარი მთავრობათაი“, „მეუფე მეუფეთა“, როგორც უკვე გამორკვეულია, ასე განმტკიცებული ქართულ სასულიერო და საერო მწერლობაში, ცხადია თავისთავად ქართული წარმოშობისა არ არის, მაგრამ ის არც მუსულმანურის კვალია „ვეფხისტყაოსანში“, როგორც ამას ფიქრობდა პირველ ხანებში იუსტინე აბულაძე.[2] მისი წარმომშობი უფრო ადრინდელი ფორმა უნდა გვესმოდეს სპარსულ სამეფო ტიტულატურაში შემონახული ახალი სპარსულის „შაჰინ-შაჰის“, ფალაურის „შაჰინ-შაჰის“ და აქადურიდან მომდინარე მათი საწყისი ძველი სპარსულის „ხშაიათია-ხშაიათიანამ“ ის (მეუფე-მეუფეთა) სახით, რომლის წარმოშობასაც თავისთავად ხანგრძლივი და ბუნდოვანი ისტორია აქვს.[3] როგორც გ. იმედაშვილი აღნიშნავს, მათი გადმონაშთი „უფლება უფლებათა“ მუსულმანურ სამყაროს წარმოქმნამდე კარგა ხნით ადრევე ყოფილა საქართველოში შეთვისებული.[4] „უფლება უფლებათაო“ რუსთაველსა და

---

[1] გ. იმედაშვილი, „ვეფხისტყაოსანი“ და ქართული კულტურა, 1968, გვ. 10.

[2] რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, ძველი საქართველო, ტ. 1, გვ. 83-84.

[3] A.Meiller, Grammairedu Vilux-Perse, Paris, 1913. p. 14.

[4] გ. იმედაშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ პარალელები მეათე საუკუნის ქა-

ჰიმნოგრაფებს შორის, სხვა ფაქტებთან ერთად, საერთო ქართულ ტრადიციას გულისხმობს მუსულმანობამდე ადრინდელს, ყოველ შემთხვევაში, რუსთაველი მას მზა სახით ითვისებს ქართული მეტყველებიდან, სადაც ის უკვე დამკვიდრებული ყოფილა როგორც ჩვეულებრივად გაქვავებული ფორმულა ღვთაებისადმი მიმართვისა, და არა მუსულმანური წრიდან.[1]

მიუხედავად იმისა, რომ „ვეფხისტყაოსნის" სპარსული წარმოშობის თემამ ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში წინააღმდეგობათა მიუხედავად (ი. გოგებაშვილი, ნ. ურბნელი, მ. ჯანაშვილი, გ. გვაზავა) პირველ ხანებში მიმდევრები ჰპოვა, ივანე ჯავახიშვილის, იუსტ. აბულაძის, ვ. ბერიძის, ს. კაკაბაძის, კიტა აბაშიძის, ალ. ბარამიძის, გ. იმედაშვილის, ნ. მარის, კ. დონდუას და სხვა მეცნიერთა შრომებში ის აზრია გატარებული, რომ ქართული კულტურა მთლიანად არ იყო მოცული სპარსულ-არაბული გავლენით. იუსტინე აბულაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, პოემა რუსთაველმა გაიაზრა ეროვნული გემოვნების მიხედვით.[2]

ცნობილი რუსი მკვლევარის ე. შიშმარიოვის აზრით, „ვეფხისტყაოსნის" გმირთა ყოფა, სპარსულ-არაბულისაგან განსხვავებით, უაღრესად ქართულ გარემოშია მოცემული. „ვეფხისტყაოსანში" სხვისი სახელითა და სხვის სიუჟეტში ადგილობრივი ქართული ურთიერთობანი გამოსჭვივის, რომ „ვეფხისტყაოსანი" არსებითად ქართულ ტიპებს ხატავს.[3]

რთულ ჰიმნოგრაფიაში, „ვეფხისტყაოსანი" და ძველი ქართული მწერლობა, თბ., 1989, გვ. 45-46.

[1] გ. იმედაშვილი, „ვეფხისტყაოსნის" პარალელები მეათე საუკუნის ქართულ ჰიმნოგრაფიაში, „ვეფხისტყაოსანი" და ძველი ქართული მწერლობა, თბ., 1989, გვ. 46.

[2] მე-12 საუკუნის ქართული მწერლობის ხასიათი და რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი", კრებული, ძველი საქართველო, 1909, გვ. 104.

[3] შოთა რუსთაველი (რამდენიმე პარალელი და ანალოგია) კრებული, ენიმიკის მოამბე, 1938, 3, გვ. 229-250.

უცხოელი მკვლევარებიდან პირველი იყო ფრანგი ორიენტალისტი აკადემიკოსი მარი ბროსე, რომელმაც „ვეფხისტყაოსნის“ ამბავი ქართულ ისტორიულ სინამდვილეს დაუკავშირა, როგორც მისი უშუალო წყარო. მისი აზრით, პოემის პერსონაჟებში რუსთაველის თანამედროვე ქართული ისტორიული პიროვნებანი არიან გამოხატული.

ქართული ეროვნული სინამდვილის გაგებას „ვეფხისტყაოსანში“ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ა. ლაისტი, ოლ. უორდროპი, ბარონ სუტნერი, ნიკ. გულაკი, ე. სტალინსკი, ბ. მურიე, ი. სლივიცკი, ფ. ჰოლდაკი, ვ. მორფილი, რ. მილერი-ბუდნიცკაია, მორის ბოურა, ი. მეშჩანინოვი, პ. პავლენკო, კ. ზელინსკი, დელატორე ბოტარო, ი. იედლიჩკა და სხვანი.

როგორც ცნობილია, თეიმურაზ ბაგრატიონმა „ვეფხისტყაოსნის“ ქართული წარმოშობის ახსნაში უკვე იმას მიაქცია ყურადღება, რომ ის „ქართულისა ხარაკტირისა ზედა არს შეწყობილი, ხოლო მელექსეობასა შინა რუსთაველი არცა ბაძავს ბერძენთა, არცა სპარსთა, არამედ აქვს მას მხოლოდ აღრჩეულ ლექსთა თვისთა შეთხზვისათვის საკუთარი ქართული ხარაქტირი და ჩვეულება, გინა ზნეობა... რომ ის „ფრიადითა ხელოვნებითა შეწყობილ არს ესე სრულიად ძველსა ქართველთა ზნეობათა, ჩვეულებათა და ხარაკტერსა ზედა ენისა ჩვენისასა.“[1]

თეიმურაზმა პირველმა მიაქცია ყურადღება რუსთაველის ლექსიკაში არა მხოლოდ სპარსიზმ-არაბიზმების ძიებას, არამედ მათ ქართულ ნიადაგზე ახსნას. მან აღნიშნა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სიტყვები ჰგვანან სპარსულ-არაბულს, მაგრამ ფრიად გამოცდილება უნდა კაცსა, რომ შეამჩნიოს, რომ თუმცა ჰგვანან სხვათა ენისა ლექსთა, მაგრამ კი არ არიან სხვისა ენისა, არა-

---

[1] თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება „ვეფხისტყაოსნისა“ (გ. იმედაშვილის რედაქციით. გამოკვლევითა და საძიებლით), 1960, გვ. 291. საქ. მუზ. ხელნაწერთა ფონდი, S-3716.

მედ ნამდვილნი ქართულნი არიან.[1]

„ვეფხისტყაოსნის“ ქართული წარმოშობის მთლიან გაგებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული სინამდვილის მოვლენებს და, კერძოდ, რუსთაველის ქრისტიანად აღიარებას ვახტანგ მეექვსის ნაშრომში: „თარგმანებანი პირველი წიგნისა ამის „ვეფხისტყაოსნისა“.[2]

მემატიანის ცნობით, „ჯერ კიდევ 1701 წელს ბატონიშვილი ვახტანგი მოვიდა შემოდგომაზედ მამის საუფლისწულოში და დადგა სურამს. შემოიკრიბა თავისთან საუკეთესო მწერალ-მწიგნობარნი, საბას თანამშრომლობით შეადგინა დასტურლამალი, სამართლის წიგნი, შეკრიბა სიგელ-გუჯარნი და ქართლის ცხოვრების მატიანენი, მოაგროვა ხელნაწერნი“.[3] ვახტანგ მეექვსეს მიაჩნდა, რომ ბრძოლა „ვეფხისტყაოსნის“ წინააღმდეგ დამყარებული იყო გაუგებრობაზე, მისი თანადროულობის მიერ პოემის არასწორ გაგებაზე. საჭირო გახდა „ვეფხისტყაოსნის“ კომენტირება და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პოემის ზნეობრივი მხარის ქრისტიანული განმარტება, რაც თავად სწავლულმა ჯანიშინმა იკისრა.

ვახტანგ მეექვსე შოთა რუსთაველის გენიალური ქმნილების ტექსტის დადგენისას მხოლოდ შერჩეულ ხელნაწერებს ემყარებოდა. მან პოემის ყველა საუკეთესო ხელნაწერი შეაგროვა და მათგან უკეთესის და უძველესი რედაქციის შერჩევა შეძლო.

დღეს დადგენილია, რომ ვახტანგ მეექვსემ 1712 წლის „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემას საფუძვლად დაუდო მე-17 საუკუნის

---

[1] თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება „ვეფხისტყაოსნისა“ (გ. იმედაშვილის რედაქციით, გამოკვლევითა და საძიებლით), 1960, გვ. 291. საქ. მუზ. ხელნაწერთა ფონდი, S-3716.

[2] გ. გვაზავა, აკად. ნ. მარი და შოთა რუსთაველი, გაზ. საქართველო. 1917, 8-9.

[3] ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. 1, 1955.

სარდალ-სახლთუხუცეს ზაზა ციციშვილის შეკვეთით ცნობილი მწერლის იოსებ სააკაძე-თბილელის მიერ გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“ (Q-1082).[1]

ვახტანგ მეექვსისა და მის თანამებრძოლთა მიერ „ვეფხისტყაოსნის“ სასტამბოდ მომზადებას წინ უსწრებდა მეცნიერულად ღრმად გააზრებული და კარგად მოფიქრებული მუშაობა (ნაყალბევ ჩანართთაგან ტექსტის განტვირთვა, გადამწერთა შეცდომებისაგან განწმენდა და „ვეფხისტყაოსნის“ პირვანდელი სახით აღდგენა). ამ რედაქციის ტექსტი პირველად სტამბურად დაიბეჭდა 1712 წელს, მხედრული შრიფტით. აღსანიშნავია, რომ ეს იყო ამ სტამბაში დაბეჭდილი პირველი საერო ხასიათის წიგნი (მანამდე გამოსცა სახარება, დავითნი და სხვა სასულიერო დანიშნულების წიგნები). ვახტანგმა ამ გამოცემას დაურთო „თარგმანი ანუ ლექსიკონის ტიპის კომენტარები...

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში თ. ჟორდანიას ფონდის (N392) საქმეში დაცულ პ. კარბელაშვილის რვეულის 29-ე გვერდზე ვახტანგის სტამბაში დაბეჭდილი წიგნების აღწერათა შორის ვკითხულობთ: „არჩილის ძმისწულმა ვახტანგმა მოინდომა წიგნთა ბეჭდვის გამართვა, რომ საღმრთო წიგნნი დაეცვა გადამწერთა მიერ, გაფუჭებისაგან... დაბეჭდა: სახარება, სამოციქულო, დავითნი, კონდაკი, კურთხევანი, ლოცვანი და ჟამნი. აქ დაიბეჭდა 1712 წელს „ვეფხისტყაოსანი“. შემდეგ დაწვეს და ეხლა ძნელი საშოვნელიღაა. ეს წიგნთა საბეჭდავი თათართა შემუსრეს“.[2]

ვახტანგ მეექვსემ ნამდვილი ენციკლოპედიური ხასიათის მუ-

---

[1] ს. ცაიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ისტორია, ტ. 2, თბ., 1970.
ს.ცაიშვილი, შოთა რუსთაველი – დავით გურამიშვილი, 1974, გვ. 130-1156.

[2] H-392. ავთ. იოსელიანი, ქართული მწიგნობრობის წიგნისა და სტამბის ისტორიის საკითხები, 1990, გვ. 55.

შაობა შეგნებულად წამოიწყო. ის შემთხვევით არ დაინტერესებულა ქართული ფეოდალური სახელმწიფოს ძლიერების ისტორიულად გამყარებული სამი ბურჯით: „სახარებით“, „ვეფხისტყაოსნით“ და „ქართლის ცხოვრებით“. მას იდეურ-პოლიტიკური მიზანი ჰქონდა: პირველ რიგში „თავადების პოლიტიკური უფლებების შეზღუდვა, მეფის ხელისუფლების გაძლიერება, სამხედრო, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მოწესრიგება, ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული წინსვლისათვის ხელის შეწყობა. მეორე მხრივ, ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გადაქცევა, ხოლო „იმერეთის მპყრობელთაგან“ და სხვა მთავრებთან კავშირი ქართლის ჰეგემონიით მისივე პოლიტიკური მიზანი იყო.[1]

ცხადია, ამ პოლიტიკური მიზნის შესაბამისად უნდა გამართულიყო სახელმწიფო იდეოლოგიაც. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ვახტანგს თანაბრად უნდა ეზრუნა „სახარებაზე“, „ვეფხისტყაოსანზე“ და „ქართლის ცხოვრებაზე“.

საღმრთო წერილის ბეჭდვა, „ქართლის ცხოვრების“ რედაქცია-გაგრძელება და „ვეფხისტყაოსნის“ საღმრთოდ თარგმნა ქართული ეროვნული ფეოდალური კულტურის ამ სამი სვეტის შემაგრება-შემტკიცების ცდა იყო.[2]

ქრისტიანული იდეოლოგია რომ წარმოადგენდა ეროვნულ დროშას, ეს შეგნებული ჰქონდა ვახტანგ მეექვსეს და ამიტომ იყო, რომ თავისი კულტურული საქმიანობა ამ მიმართულებით წარმართა.

როგორც ცნობილია, გვიან შუა საუკუნეებსა და ახალი დროის დასაწყისში საქართველოს პოლიტიკურმა ვითარებამ ქართული მართლმადიდებლური ეკლესია დიდ გასაჭირში ჩააყენა. მისი განსაცდელი ხელსაყრელი აღმოჩნდა კათოლიკე მისიონერთა მოღვაწეობისათვის.

---

[1] ნიკო ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი 2, გვ.245.

[2] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი 5, გვ.132.

მაჰმადიანური სამყაროსაგან თავის დასაღწევად ევროპული ორიენტაციის მომხრე საქართველოს ხელისუფალნი მფარველობდნენ და გარკვეულ დახმარებას უწევდნენ კათოლიკე მისიონერებს. ბევრი მათგანი კათოლიკური სარწმუნოების გავლენის სფეროში მოექცა. სულ მალე ამ მოძრაობის გაძლიერებამ ქართველთა „გაკათოლიკების" საფრთხე წარმოშვა. მისიონერების ძლიერ მოძრაობას ქართველთა ოფიციალურმა ქრისტიანობამ დაუპირისპირა იგივე იარაღი, რომლითაც გვებრძოდა კულტურულად მძლავრი მოწინააღმდეგე. ვახტანგ მეექვსეს „სწავლულ კაცთათვის" სარედაქციო კოლეგიას, ქართული ეკლესიის ღვაწლის ნარმოჩენისათვის „ქართლის ცხოვრებაში" მთელი წყება საეკლესიო ჩანართებისა შეუტანია, ვინაიდან გაერთიანებული საქართველოს ეპოქაში შემუშავებული სამოქალაქო ხასიათის „ქართლის ცხოვრება" არ კმაროდა და, როგორც ჩანს, ამავე სულისკვეთებით უნდა გამართულიყო „ვეფხისტყაოსანი", რათა ის იდეოლოგიის სამსახურში ჩამდგარიყო. ეს საქმე კი გაცილებით რთული იყო. მაგრამ, როგორც ცნობილია, ვახტანგ მეექვსემ დიდი გაბედულება გამოიჩინა, მან არა მარტო დაიცვა პოემა ხელმყოფელთაგან, არამედ უმაღლესი (იმდროინდელი თვალსაზრისით) შეფასება მისცა მას. ხალხის საყვარელ პოემას ქრისტიანული სამოსელი მოასხა. ეს კი გამოწვეული იყო ეპოქის მკაცრი მოთხოვნილებით.

ვახტანგ მეექვსემ „ვეფხისტყაოსნის" შინაარსი გამოაცხადა საღვთო სწავლად, ხოლო მისი მიჯნურობა – ღვთისადმი (ქრისტესადმი) მიჯნურობად, ამით ის შეეცადა პოემისათვის გზა გაეკაფა თვით ხელმყოფელთა შორისაც და გადაექცია ეს უკვდავი პოემა უძლიერეს იდეურ იარაღად ქრისტიანობის (ქართველების) დასაცავად.[1]

---

[1] ჟურნალი „მნათობი", 1937, გვ. 192.

გ. მჭედლიშვილი, კვლავ „ვეფხისტყაოსნის" დევნის შესახებ, ჟურნ. კრიტიკა, 1989, ნომერი 5.

„მე ვწერ, ... გამგებელი ქართლისა ვახტანგ წიგნსა შემსჭვალვითა ამას უცოდინარობითა და სოფლის ნივთთა სამეძაოდ თარგმნიდნენ მის რიტორსა და ბრძენ მეცნიერისა კეთილად ნამუშაკევსა სამუშაკოსა“.[1]

ამრიგად, ვახტანგ მეექვსემ თავის დროის კვალობაზე შეგნებულად გამართა „ვეფხისტყაოსანი“, მანვე პირველად მართებულად გადაწყვიტა „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის საკითხი და პირველმა „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლმხედველობად ქრისტიანობა მიიჩნია.

ვახტანგმა რომ სარედაქციო მუშაობა პოლიტიკური მიზნით გააკეთა, ამის შესახებ „თარგმანის“ შესავალი ნაწილის დასასრულს სჯულმდებელი მეფე გამოტეხილად წერდა: „თუ უნდა ესეც არ იყო და ისე თარგმანი ხომ ასრე სჯობს... ხოლო უფრო ქვევით განაგრძობს: „ქვეყნის უფროსი ავის დამშლელი ხამს და ამად დავშურო“.

მართალია, ვახტანგ მეექვსემ „ვეფხისტყაოსანი“ გამოაცხადა სრულყოფილ ნაწარმოებად, თავისი ეპოქისათვის მისაღებად, მაგრამ ვახტანგის კომენტარებმა სასულიერო საზოგადოების მხრიდან „ვეფხისტყაოსნისადმი“ პოლემიკის გამძაფრება გამოიწვია. დაიბეჭდა თუ არა „ვეფხისტყაოსანი“, იმავე წუთს დაიწყო ბრძოლა მისი შეხედულებისა და მის მიერ გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ წინააღმდეგ. ამ გარემოებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ვახტანგ მეფის საჭეთმპყრობელობა და მისი აქტიური კულტურული საქმიანობა დიდხანს არ გაგრძელებულა. პოლიტიკაში დაშვებულმა საბედისწერო შეცდომამ ის იძულებული გახადა 1724 წელს დიდი ამალით რუსეთს გამგზავრებულიყო, რათა დახმარება ეთხოვა ქრისტიანული რუსეთისათვის. ქვეყანა დარჩა უპატრონოდ და 1723 წლიდან თორმეტი წლის განმავლობაში ჯერ ქართლი, ხოლო შემდეგ კახეთი „მაჰმადიანთა“ სათარეშოდ გახდა. ქართლ-

[1] ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 2, 1969, გვ. 295.

კახეთი ოსმალთა მძიმე უღელს ატარებდა. 1785 წლის მიწურულს „ოსმალობა" არანაკლებ „ყიზილბაშობამ", ნადირ-შაჰის და მისი ყიზილბაშების უშუალო ბატონობამ შეცვალა. სპარს-ოსმალეთის მეფეები აწინაურებდნენ და სახელმწიფო სკიპტრას აძლევდნენ იმათ, ვინც საკუთარ, ქრისტიანულ რჯულს უარყოფდა და მუჰამედის სარწმუნოებას მიიღებდა. წინააღმდეგ შემთხვევაში მას ელოდა მტრისაგან გაუგონარი სისასტიკე.

გავიხსენოთ ძნელბედობის ხანა საქართველოს ისტორიაში. ქართველი ჟამთაღმწერლის ცნობით, ჯალალედინმა თბილისის აღებისა და განადგურების დროს მცხოვრებთა ერთი ნაწილის იძულებით და ძალმომრეობით გამაჰმადიანება სცადა. ჯალალედინს მე-14 საუკუნის დასასრულიდან გამაჰმადიანებულ მონღოლთა ყაენი თემურლენგი მოჰყვა, რომელიც ცეცხლითა და მახვილით ცდილობდა ისლამის გავრცელებას საქართველოში. თვით ალი იეზდის სიტყვით, შვიდასზე მეტი სოფელი გაუკაცრიელდა. აოხრდა და განადგურდა ბევრი ქალაქი, ყველა ციხე, შესანიშნავი ტაძრები და მონასტრები. ვინც სიკვდილს გადაურჩა, მიუვალ ადგილებში და მთებში გაიხიზნა. „ცხადია, რომ მაშინ და კარგა ხანს შემდეგშიც, როგორც დიდი ივანე ჯავახიშვილი შენიშნავდა, საქართველოში ისლამისა და მაჰმადიანობისადმი ქართველთა გულში სიძულვილის გარდა სხვა არავითარ გრძნობას ადგილი არ ექნებოდა."[1]

მართალია, მაჰმადიანმა დამპყრობლებმა ქართველებს შედარებით ადვილად წაართვეს პოლიტიკური და ეკონომიკური უფლება, მაგრამ, ვერ ამოკვეთეს საუკუნეების განმავლობაში დადგენილი ქართულ-ქრისტიანული ზნეობა. ის მე-17-18 საუკუნეებში უფრო უკომპრომისო გახდა.[2]

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, 1956, გვ. 49.

[2] ჟურნ. კრიტიკა, ნომერი 5, 1989.

პოლემიკისა და ბრძოლის საგანი იყო სპარსული წარმოშობის ყველა ძეგლი, ან ის ძეგლი, რომელზედაც რაიმე ცნობა არსებობდა – სპარსულიაო, თუნდაც იქ ნატამალი არ ყოფილიყო „სპარსული იდეოლოგიისა“.

„ადვილი წარმოსადგენია, წერს აკად. ივ. ჯავახიშვილი, თუ რამდენად შესაბამისი იქნებოდა მაშინ თქმა „ლექსებისა ტკბილისა“ და რა თვალით შეხედავდნენ მაჰმადიანურპერსონაჟებიან წიგნს“.[1]

არქიეპისკოპოსი ტიმოთე გაბაშვილი არ მოერიდა ვახტანგს და უდიერად დაგმო მისი განმარტებანი. იდეური ბრძოლა ფიზიკურ ბრძოლაში გადაიზარდა. უტყუარი ცნობებით დასტურდება, რომ მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში კრებდნენ და ანადგურებდნენ „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეულ ტექსტებს.[2]

ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ ფიზიკურ განადგურებაზე, ანუ ა. შანიძის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „ამ სამარცხვინო ამბის“ შესახებ ცნობების დამკვიდრება სამეცნიერო ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებული შეხედულებით, გამოჩენილ რუს მეცნიერს ევგენი ბოლხოვიტინოვს და ცნობილ ქართველ ერუდისტს პლატონ იოსელიანს ეკუთვნით. შემდეგში ზოგიერთმა მეცნიერ-მკვლევარმა (ნ. ბერძენოვი, ზ. ჭიჭინაძე, დ. ბაქრაძე, თ. ჟორდანია) კიდევ უფრო გააღრმავეს და ხელი შეუწყეს მის გავრცელებას. მომდევნო თაობის მკვლევარი მას საკმაო ნდობით ეკიდებოდნენ. ყოველ შემთხვევაში, ანტონის მორალურ პასუხისმგებლობას არ გამორიცხავდნენ: ივანე ჯავახიშვილი, აკაკი შანიძე, ალექსანდრე ბარამიძე. ღვთისმსახურთაგან „ვეფხისტყაოსნის“ დევნას აღნიშნავდა უცხოელი ქართველოლოგი ქეთრინ ვივიანიც.

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., 1966, გვ. 44.

[2] ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1969, გვ. 295.

როგორც კ. კეკელიძე შენიშნავს, „საქმე ისაა, რომ თხზულება ყველასათვის სანუკვარი და საინტერესო, მაგრამ არა ყველასათვის ერთნაირად გასაგები, საუკუნეთა განმავლობაში შეიქმნა საგანი სხვადასხვაგვარი შეგნებული ოპერაციების მკითხველთა და გადამწერთა მხრივ...[1]

შოთა რუსთაველის გენია ერთხმადაა აღიარებული „აღორძინების ხანის“ ყველა მწერლისა და პოეტის მიერ. ყველას სურდა წაებაძა რუსთაველისათვის.

არჩილის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი ინტერპოლატორის ნანუჩა ციციშვილის მიმართ დანერილ შენიშვნას, რომელსაც უკვე გავეცანით, შალვა ნუცუბიძე შემდეგნაირად განმარტავს: „ეს შენიშვნა დამახასიათებელია, იგი ადასტურებს რუსთაველის ტექსტის ირგვლივ ბრძოლის ფაქტს. ერთნი ცდილობდნენ რუსთაველის ტექსტში ისეთი რამ „ჩაერთოთ... რაც მათ მოსწონდათ და მისაღებად მიაჩნდათ...[2]

იგივე არჩილი ალაპარაკებდა რუსთაველს:

„თუმცა სჩხრეკენ ჩემს ლექსებსა, ვერ ჰპოებენ ვერსად ნაყის,
სადმე ჰპოონ ავად თქმული, ანუ წყალი ვინ დანაყის..?“

როგორც ალ. ბარამიძე შენიშნავს, „არჩილი გვიდასტურებს, რომ გარკვეული წრის წარმომადგენლები სჩხრეკდნენ „ვეფხისტყაოსანს“, რუსთაველს უძებნიდნენ „ავად თქმულსა“ და „ნაყისს“, ცდილობდნენ დიდებული პოემის ვითომდა საძრისი იდეური მხარეების გამოძიებასა და გამომჟღავნებას“.[3]

1852 წელს პლ. იოსელიანმა გამოსცა ტიმოთე გაბაშვილის „მოხილვა“, რომელსაც თავის მხრივ დაურთო შემდეგი სახის შენიშვნა: „ამა ჰაზრისავე იყო თვით კათალიკოსი ანტონ პირველი,

---

[1] კ. კეკელიძე, შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“, 1979, გვ. 4.

[2] შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, 2, თბ., 1958, გვ. 214.

[3] ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 3, 1952, გვ. 11:

რომელმანცა მრავალნი დაბეჭდილნი მეფის ვახტანგის დროს, 1710 წელსა „ვეფხისტყაოსანი“ დასწვნა და შთააყრევინა მტკვარში და აღუკრძალა კითხვა წიგნსა ამის ქართველთა... შესანიშნავ შრომაში „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა... რომელიც ავტორს დაუსრულებია 1867 წელს. გიორგის ნაამბობის თანახმად, პლ. იოსელიანი იმეორებს თავის წინანდელ ცნობას და წერს: „ანტონ კათალიკოსმა „დღესა ერთსა 80 დაბეჭდილი წიგნი („ვეფხისტყაოსანი“) ვახტანგ მეფისავე შთააყრევინა მტკვარსა, ვითარცა წიგნი მავნებელი მკითხველთათვის და მომწამვლელი ქრისტიანთა გონებისა და გრძნობისა“.[1]

ზ. ჭიჭინაძის რწმუნებით და თვით პლ. იოსელიანის შენიშვნით, რომ „ანტონ კათალიკოზი არც ამ გაკიცხვა-შეჩვენებას დაჰჯერდა, მან განიძრახა აღკრძალვა და საქვეყნოდ გამოცხადება, რომ აღარავინ გაბედოს მისი წაკითხვაო, თორემ ვისაც მოასწრებდნენ, იმას „ვეფხისტყაოსანსაც“ წაართმევდნენ და შემდეგ სამართალშიც გადასცემდნენ. ამ განჩინებაზე და გადაწყვეტილებაზე თვით სამეფო პირნიც დასთანხმდნენ და საქვეყნოდ გამოაცხადეს, მაგრამ ამან ვერ იმოქმედა და ხალხში მაინც ვრცელდებოდა. რაკი შეიტყო ანტონ კათალიკოსმა, რომ მათგან გამოცემული ბრძანება ვერ მოქმედებდა, ხალხში მაინც იფინებოდა იგი, ამის გამო მან განიძრახა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ სრულად უნდა გავაქროვო, რომ აღარსად ერთი წიგნიც არ დარჩესო. ამის გამო სამეფო ბრძანება გასცეს, შეაკრებინეს მრავალი ხელთ ნაწერი „ვეფხისტყაოსანი“, რომელთ შეგროვილში ვახტანგ მეფისაგან დაბეჭდილსა უფრო ბევრი ყოფილა და 1768 წ. 23 მაისს სიონის გალავანში დააწვევინეს, ზოგიც ჰავლაბრის ხიდიდამ მტკვარში ჩააყრევინეს. სიონის გალავანში

---

[1] ტიმოთე გაბაშვილი, მოხილვა (გამოსცა და შენიშვნები დაურთო პლ. იოსელიანმა), 1852. ს. ორბელიანიშვილი, ნარკვევები ძველი ქართული ლიტერატურიდან, 1953, გვ. 76.

დაწვასა თვით ანტონ კათალიკოზი დაესწრო, თავისი დასითურთ, სამეფო პირთ თანდასწრებით".[1]

მომხდარი ფაქტის უარყოფა არ უცდია თვით კალისტრატე ცინცაძესაც, რომელიც, როგორც ცნობილია, ქართული ეკლესიის მხრივ „ვეფხისტყაოსნის" დევნის შესახებ აზრის კატეგორიული წინააღმდეგია. მან, მართალია, განუმარტავად, მაგრამ მაინც პირდაპირ თქვა ის, რაც ეჭვმიუტანლად მიაჩნდა: „ჩვენ არ შევდივართ იმის განხილვაში თუ რამ აიძულა მეთვრამეტე საუკუნის ქართველთა შორის „სწორუპოვარი მეცნიერი... ჩაედინა ასეთი ბარბაროსობა, ვიმეორებთ, ფაქტი უტყუარია და მას აღვნიშნავთ მწუხარებით".[2] 1870 წელს გაზეთ „კავკაზში" დაიბეჭდა პლ. იოსელიანის წერილი შოთა რუსთაველზე, რომლის მიზანი იყო განხილვა-შეფასება რუსთაველის ცხოვრება-შემოქმედებისა. იგი აქ უკვე აღარაფერს ამბობს ანტონ პირველის მიერ მეფის ვახტანგის დაბეჭდილ „ვეფხისტყაოსნის" დაწვასა და მტკვარში ჩაყრაზე, აქ იგი ანტონს გენიოსს უწოდებს და ბრძენ კაცად მიიჩნევს.[3]

სოლომონ ყუბანეიშვილი (ე. ბოლხოვიტინოვის ცნობის საფუძველზე) იმ აზრს ავითარებს, რომ ცნობა „ვეფხისტყაოსნის" ფიზიკურად განადგურების შესახებ ეხება მხოლოდ ვახტანგისეულ გამოცემას და არა ხელნაწერ ცალებს, რომ „ვეფხისტყაოსნის" პირველი გამოცემის განადგურების მიზეზი არის ვახტანგის კომენტარები და არა თვით პოემა, მისი „ცუდი აზრები."[4]

ამ შეხედულებას იზიარებს მ. გუგუშვილიც. ალ. ბარამიძე

---

[1] პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკ. გაწერელიას რედაქციით, 1936, გვ. 181.

[2] ს. ეკალაშვილი, „ვეფხისტყაოსნის" ავტორის მსოფლმხედველობისათვის, კრებული, შოთა რუსთაველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბ., 1966, გვ. 230.

[3] გაზეთი „კავკაზი", 1870.

[4] სოლ. ყუბანეიშვილი, ლიტერატურული ძიებანი, 1, თბ., 1943, გვ. 113-116.

თავის მხრივ შენიშნავს: „ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საჭიროდ მიმაჩნია ერთხელ კიდევ აღვნიშნო, რომ ჩვენი ძირითადი დებულება ისაა, რომ გვიანფეოდალურ ხანაში, კერძოდ მე-17-18 სს. მწვავე იდეოლოგიური ბრძოლა იყო გაჩაღებული „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი ავტორის გარშემო. ეს ბრძოლა გაუმწვავებია პოემის პირველ ბეჭდურ გამოცემას, კერძოდ და განსაკუთრებით ვახტანგის თარგმანს: კლერიკალურად განწყობილ წრეებს უცდიათ „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემის ხელყოფაც კი.“[1]

კ. კეკელიძის აზრით კი ნაბეჭდი ცალების განადგურება „მოხდა ეკონომიკურ ნიადაგზე იმ პირთა მიერ, რომელნიც წიგნების, კერძოდ „ვეფხისტყაოსნის“ გადაწერით ცხოვრების სახსარს პოულობდნენ. დაბეჭდილმა წიგნმა მათ ლუკმაპური გამოაცალა და ანტონი, რომელიც ასეთი მაღალი შეხედულების იყო რუსთაველზე, რომელიც ევროპის ცივილიზაციის შემოტანისათვის იმასაც არ მოერიდა, რომ მართლმადიდებლობისათვის ეღალატნა და კათოლიკობა მიეღო და სამშობლო (ერთხნობით მაინც) დაეკარგა, ასეთი ადამიანი ამგვარ ბარბაროსობას და ველურობას ვერ გამოიჩენდა.“[2]

აკად. ალ. ბარამიძის დაკვირვებით, თუ „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი ავტორის დევნას მკვლევარნი ადრე ჩვეულებრივ უყოყმანოდ აღიარებდნენ,... ბოლო დროს საეჭვოდ, გაზვიადებულად და ხელაღებით შეთხზულადაც ეჩვენებათ „ვეფხისტყაოსნის“ დევნის ამბავი“.[3]

---

[1] ალ. ბარამიძე, ისევ ვეფხისტყაოსნის დევნის საკითხის გარშემო, „მაცნე“ – ენისა და ლიტერატურის სერია, 3, 1986, გვ. 20.

[2] ქართული ლიტერატურის ისტორია, 2, 1958, გვ. 126

კ. კეკელიძე, შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“, 1979, გვ. 36.

[3] ალ. ბარამიძე, ისევ ვეფხისტყაოსნის დევნის საკითხის გარშემო, „მაცნე“ – ენისა და ლიტერატურის სერია, 3, 1986, გვ. 5.

სწორედ „ვეფხისტყაოსნის“ ამდენმა დევნამ და ფიზიკურმა განადგურებამ ის შედეგი გამოიღო, რომ დღემდე 1712 წელს ვახტანგის მიერ გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ ტირაჟიდან ჩვენამდე მხოლოდ 20 დაზიანებულმა ცალმა ძლივს მოაღწია. რუსი ღვთისმეტყველ-მკვლევარის ბოლხოვიტინოვის ცნობით, „ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი“ ისეა მოსპობილი, რომ ახლა იშვიათად იპოვება“.

ცნობილი რუსთველოლოგი აკაკი გაწერელია თავის ნაშრომში „კლერიკალური რეაქცია და რუსთაველი“ ამტკიცებდა, რომ „კლერიკალური რეაქციის უმაღლეს გამოხატულებას ანტონ კათალიკოსის მოღვაწეობა წარმოადგენსო... რომ ანტონის „მთელი მოღვაწეობა რეაქციული იყო თავისი შინაარსით და ტენდენციით“, რომ წყობილსიტყვაობის შეფასებით „ანტონ პირველი პირდაპირ ამბობს იმას, რასაც ეკლესია ფიქრობდა რვა საუკუნის მანძილზეო“.[1]

აკ. გაწერელია 1977 წელს გამოქვეყნებულ თავის ნაშრომში – „სდევნიდნენ თუ არა „ვეფხისტყაოსანს... ან მის ავტორს?“ მთლიანად უარყოფს ადრინდელ შეხედულებას.

რიგ მკვლევარებს (ს. ყუბანეიშვილი, მ. გუგუშვილი, ა. როგავა, თ. კუკავა, ზ. გამსახურდია) „ვეფხისტყაოსნის“ დევნა, როგორც კათოლიკოს ანტონის, ისე კათალიკოს დომენტის მხრიდანაც, მათ პიროვნულ ღირსებათა გამო, უკადრებელ საქციელად მიაჩნდათ. მათი ეს „გამოსარჩლება“, ალბათ, გაპირობებულია იმით, რომ დაიცვან მძიმე ბრალდებისაგან ჩვენი კულტურის მოამაგეთა თვალსაჩინო სახელები.

დღეს უკვე აღარ ითვლება სადავოდ, – წერს ზ. გამსახურდია, რომ ვერსია ანტონის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ ცალების განადგურებისა ყოველგვარ საფუძველს მოკლებული გაუგებრო-

---

[1] აკ. გაწერელია, ნარკვევები ქართული პოეტიკიდან, 1938, გვ. 31-45. აკ. გაწერელია, რჩეული ნაწერები, 1, თბ., 1977, გვ. 215-218.

ბაა, დღეს აღიარებულია, რომ ანტონი დიდად აფასებდა რუსთველს, მაგრამ ორიგინალური დაკავშირება ქართული სიტყვიერების ამ ორი კორიფესი ჯერაც არ მომხდარა. და ზ. ჭიჭინაძის ცნობის საფუძველზე იქვე განმარტავს:

„ვეფხისტყაოსნის“ მიმართ უარყოფითად იყო განწყობილი კათალიკოსი ცენზორი – ხუცესი ზაქარია გაბაშვილი, რომელმაც თავისუფალი აზროვნებისათვის მალე თვით ანტონიც გადააყენებინა საკათალიკოსო ტახტიდან თეიმურაზ მეორეს და აიძულა რუსეთს წასვლა. ზაქარია ცილს სწამებდა არა მარტო რუსთაველს, არამედ ანტონსა და ერეკლე მეორესაც. ჭეშმარიტ ღვთისმეტყველთა: იაკობ სამებელ-შემოქმედელის, ვახტანგ მეექვსის, იესე ტლაშაძის, მიტროპოლიტ იოსებ სააკაძის და თვით ანტონის ნააზრევი უკვე მწვალებლობად ითვლებოდა, მათი ჰორიზონტის სიფართოვის გამო, სულის თავისუფლების გამო. და მოჰყავს ანტონის ნათქვამი:

„შოთა ბრძენ იყო, სიბრძნისმოყვარე ფრიად,
ფილოსოფოსი, მეტყველი სპარსთა ენის,
თუ სამ სწადდა – ღვთისმეტყველიცა მაღალ,
უცხო საკვირველ პიიტიკოს მესტიხე,
მაგრამ ამაოდ დაშურა საწუხ არს ესე.“[1]

ამიტომ გახდა იძულებული ანტონ პირველი თავის სათაყვანო მოძღვარზე ასეთი რამ ეთქვაო. ზაქარია გაბაშვილის ჯგუფის წინაშე რიდი რომ არ ჰქონოდა, ანტონ პირველი თავად დაწერდა გაცილებით უკეთეს თარგმანებას „ვეფხისტყაოსნის“ ალეგორიული შინაარსისას, ვიდრე ვახტანგ მეექვსე. როგორ შეიძლებოდა ანტონი შოთას პოემის მდევნელი ყოფილიყო, როდესაც იგი ხმარობდა გამოთქმას: „შოთაებრი კაცი“ (ასე უწოდებს იგი სარგის თმოგველს წყბილსიტყვაობაში).[2]

---

[1] ზვიად გამსახურდია, წერილები, ესსეები, 1991, გვ. 51-52.

[2] ზვიად გამსახურდია, წერილები, ესსეები, 1991, გვ. 51-52.

მკვლევართა ერთი ნაწილი ასეთი ხმების გავრცელებას მათ პირად მტრებს მიაწერს. გურამ შარაძე პლატონ იოსელიანის ცნობასთან დაკავშირებით ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ ფიზიკური ხელყოფის თაობაზე იმ აზრს ავითარებს, რომ პლ. იოსელიანის ოჯახში ანტონისადმი „დიდი ხნის სიძულვილი სუფევდაო.[1]

ასევე განმარტავს საკითხს ა. როგავა. იგი აღნიშნავს, რომ „ანტონი არ ეკუთვნოდა შეზღუდულ, რეაქციულ ფრთას ქართული სამღვდელოებისას, როგორც, მაგალითად, რომანოზ მიტროპოლიტი და ზაქარია ხუცესი. და ამიტომ მის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ დაწვა დაუჯერებელიაო“.[2]

გ. შარაძის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ ნაბეჭდ ცალთა განადგურების მიზეზი, ე. ბოლხოვიტინოვის ცნობით, ყოფილა მომხვდური მტერი, ბარბაროსი აგრესორები და არა საქართველოს საჭეთმპყრობელი“.[3]

იოსებ მეგრელიძე წერს: „საყურადღებოა „პროგრამის“ ცნობა, რომ პირველი გამოცემის (ფიქრობენ 400 ცალიდან) უმთავრესი ნაწილი განადგურდა ჩღუე (1795) ხოჯა აღა მაჰმად ხანის ურდოების მიერ თბილისის დარბევისა და გადაწვის დროს. მაშასადამე, გავრცელებული აზრი, რომ ეს გამოცემა დააწვევინა თუ მტკვარში გადააყრევინა განათლებულმა კათალიკოსმა ანტონ პირველმა (1719-1778), არ მართლდება“.[4]

ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს ის მრისხანე საუკუნეები, როდესაც მაჰმადიანური სამყაროს საფრთხის ქვეშ მყოფი ქართველობა ქრისტიანული სარწმუნოების და თავის გადარჩენისა-

---

[1] გ. შარაძე, პლატონ იოსელიანი, რუსთველოლოგი, თბ., 1980, გვ. 148.

[2] ა. როგავა, ანტონ პირველის დამოკიდებულება საერო მხატვრულ მწერლობისადმი, თბ., 1981:

[3] გ. შარაძე, პლატონ იოსელიანი, რუსთველოლოგი, თბ., 1980, გვ. 148.

[4] ი. მეგრელიძე, რუსთველოლოგიური რჩეული ლიტერატურა, თბ., 1979, გვ. 147).

თვის არ ერიდებოდა არავითარ მსხვერპლშეწირვას თავისუფლების შესანარჩუნებლად.

მე-17-18 საუკუნეებში საქართველო სოციალურ-პოლიტიკურად დაქვეითების გზას დაადგა მტერთა შემოსევებითა და ძარცვის შედეგად. სწორედ ამ ეპოქაში, როდესაც მაჰმადიანური სამყარო შთანთქმით ემუქრებოდა ქართველ ხალხს, ეკლესია იძულებული იყო რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ წინააღმდეგ უფრო აშკარა და ძლიერი ბრძოლა ეწარმოებინა, მაგრამ მხედველობაში გვაქვს არა მთლიანად ნოდება, არამედ ის წრეები, რომლებიც იდეურად ებრძოდნენ პოემას.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ იქნა შენიშნული, სასულიერო და საერო მწრელობისათვის როგორც კრიტიკა, ისე მიბაძვა რუსთაველის პოეტური ქმნილებისადმი, პოემის გარეგან ფორმას არ გასცილებია. ამდენად უნდა ითქვას, რომ აღორძინების ხანის სასულიერო თუ საერო მწერლებისათვის პოემა შინაარსობლივად გაუგებარი აღმოჩნდა.

ილია ჭავჭავაძე შენიშნავდა,რომ იმ პერიოდის ქართველმა მწერლებმა „მიბაძეს მარტო გარეგან ფორმასა ჩვენ უკვდავის რუსთაველის „ვეფხისტყაოსნისას“ და ვერ გაიგეს კი, რომ „ვეფხისტყაოსანი“ თუ არის უკვდავი, არამარტო თავის ფორმით, არამედ თავისი შინაგან ღირსებებით“.[1] რაც შეეხება დომენტი კათალიკოსს, ანტონ პირველს და მათთან შემოკრებილ ბერ-მონაზვნებს, ისინი „ვეფხისტყაოსანს“ მხოლოდ წმინდა სარწმუნოებრივი პოზიციიდან უყურებდნენ.

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში რელიგია თითქმის ყველგან უდიდეს ძალას წარმოადგენდა. იგი გაბატონებული რელიგია იყო. საქართველოს მეთაურობით საერთო კავკასიური სახელმწიფოს შესაქმნელად საჭირო იყო კავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხთან თანამშრომლობა. ამიტომ სამეფო

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 5, 1991, გვ. 59.

ეხლისუფლება ამ დიდი პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად დასაშვებად თვლიდა რჯულშემწყნარებლობას და ზოგჯერ, როდესაც რელიგიური შეხედულებანი და რწმენანი ხელს არ უშლიდნენ საქართველოს მეთაურობით საერთო კავკასიური სახელმწიფოს შექმნას, ინდიფერენტიზმამდეც კი მიდიოდა მისი დამოკიდებულება რელიგიისადმი. წინაამდეგ შემთხვევაში, ქრისტიანული რწმენის საქართველოს, რა თქმა უნდა, გაუძნელდებოდა ერთი ცენტრალიზებულ სახელმწიფოში სხვადასხვა რწმენის მქონე გაერთიანებულ ხალხთან თანამშრომლობა. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, ქრისტიანი მეფე დავით აღმაშენებელი მეჩეთშიც კი შეივლიდა ხოლმე. მემატიანის ალაინის ცნობით, „დავითი უფრო მეტს პატივს სცემდა მუსულმანთ, ვიდრე მთავარი მუსულმანთანი. ალბათ, ქართველი მეფეების სასახლეებში გაბატონებული ამ შეხედულებებით უნდა აიხსნას შოთა რუსთაველის სრული ინდიფერენტიზმიც რელიგიისადმი.[1] ყოველივე ეს კი გვიანი ეპოქისადმი მთლიანად გაუგებარი აღმოჩნდა.

ზ. გამსახურდია აღნიშნავდა, რომ „ქართული მეცნიერების ორი ისეთი სოლიდური ავტორიტეტი, როგორიც იყვნენ ნიკო მარი და იუსტინე აბულაძე, – „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს მუსულმანად თვლიდნენ. მართალია, ნ. მარმა თავისი მეცნიერული მოღვაწეობის შემდეგ ეტაპზე თავად უარყო ეს მოსაზრება, მაგრამ არ შეიძლება თქმა იმისა, რომ მარი ზერელე დაკვირვებამ მიიყვანა ხსენებულ დასკვნამდის და რომ მისი კონცეფცია მხოლოდ ზოგიერთი ტერმინისა და გამოთქმის ვერგაგებაზე იყო და-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., 1956, გვ. 83.

ვახტანგ აბაშმაძე, შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობის საკითხები, თბილისის უნივერსიტეტი შოთა რუსთაველს, საიუბილეო კრებული, თბ., 1966. გვ. 87.

ფუძნებული. არც ის თვალსაზრისია სწორი, თითქოს რუსთაველი იძულებულია ისლამური რელიგიისათვის დამახასიათებელი ტერმინები და რიტუალები მოიხსენიოს მხოლოდ იმიტომ, რომ პოემის მოქმედება პირობითად, ისლამურ ქვეყნებშია გადატანილი. მთავარი და განსაცვიფრებელი ფაქტი მაინც ის არის, რომ „ვეფხისტყაოსანში" სუფევს ისლამის და ამავე დროს ქრისტიანული სული. იგრძნობა, რომ ავტორი ღრმა ქრისტიანია, ოღონდ არა იმ გაგების ქრისტიანი, რომელიც ყველა სხვა რელიგიას და თვით ქრისტიანობის სხვა კონფესიულ ნიუანსებს გმობს და ემუქრება, არამედ ისეთი, რომელიც მიელტვის რელიგიათა შერიგებას ერთი ჰარმონიული საყოველთაო რელიგიის ნიადაგზე. იგი ისეთივე ქრისტიანია, როგორც დავით აღმაშენებელი, რომელსაც ძალუძს ლოცვა როგორც ქრისტიანულ ეკლესიაში, ასევე მეჩეთშიც და სინაგოგაშიც."[1]

ამრიგად, ვახტანგ მეექვსით დაწყებული, თეიმურაზ ბატონიშვილის, მარი ბროსეს, დ. ჩუბინაშვილის, პლ. იოსელიანის, დ. ბაქრაძის, ი. გოგებაშვილის, ზ. ჭიჭინაძის, ნ. ნიკოლაძის, მ. ჯანაშვილის, ალ. ხახანაშვილის, ვაჟა-ფშაველას, ს. ქვარიანის, ა. წერეთლის და თანამედროვე მეცნიერ-მკვლევართა შეხედულებებში ის აზრია გატარებული, რომ ვეფხისტყაოსანი თავიდან ბოლომდე ეროვნულ ნიადაგზეა აღმოცენებული და პოემაში გამოგონილი სახელებითა და სახეებით ალეგორიულად საქართველოს ისტორიული წარსული და პიროვნებანი გამოიხატებიან, არაბულ-ინდურ ამბებში ქართული პოლიტიკური ცხოვრების სინამდვილეა შენიღბული, რაც იმაში მჟღავნდება, რომ პოემა გაჟღენთილია ქრისტიანული იდეალებით, რომ რუსთაველის პოემა, მხოლოდ ქართულ ენაზეა გასაგები, ქართული მსოფლშეგრძნების და ხასიათის თავისებურებებით. „ვეფხისტყაოსნის" სიუჟეტი, მისი ძირი-

[1] ზვიად გამსახურდია, რუსთაველი და ანტონ I, ენისა და ლიტერატურის სერია, 4, 1984, გვ. 46.

თადი მოტივებითა და სახეებით, შთაგონებულია ქართული ისტორიული სინამდვილით, მისი სახეები ანალოგიას პოულობენ ქართულ ცხოვრებაში, მისი თემა, ფაბულა და ხასიათები გადაწყვეტილია სინამდვილის ქართული შემეცნებისა და გემოვნების თვალთახედვით. ამდენადვე „ვეფხისტყაოსანში“ აღწერილი ქვეყნები უთუოდ ქართულ გეოგრაფიულ ჩარჩოებს თუ არ გულისხმობს, თუ მოქმედება ისტორიულ საქართველოში არ წარმოებს და პერსონაჟები უთუოდ ქართველები არ არიან, ეს ხელს არ უშლის „ვეფხისტყაოსნის“ სინამდვილე არსებითად გავიგოთ, როგორც ქართული სინამდვილე.[1]

დღეს უკვე აღიარებულია ის თვალსაზრისი, რომ „ვეფხისტყაოსნის“ რელიგიური მსოფლმხედველობის საფუძველია ქრისტიანული აღმსარებლობა და რუსთველოლოგიაში განვლილ ეტაპად შეიძლება ჩაითვალოს ის დრო, როდესაც მკვლევართა გარკვეული ნაწილის აზრით, „ვეფხისტყაოსანი“ არაქრისტიანულ ნაწარმოებად იყო გამოცხადებული.

თუ ნამდვილ ბრძოლას თუ მაინც სასულიერო იდეოლოგია წარმართავდა „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსობლივი გაუგებრობის გამო, ისიც იმიტომ, რომ კონკრეტულ ისტორიულ პირობებში ქართველთა ეროვნული თვითშეგნება ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, მართლმადიდებლობის ორთოდოქსალურ დაცვას უპირველესად სწორედ სასულიერო წრის წარმომადგენ:ელთაგან მოითხოვდა.

ამ ბრძოლის მიუხედავად, პოემის მოსპობა მაინც ვერ მოხერხდა. „ვეფხისტყაოსანმა“ ქართველ ხალხთან ერთად შეძლო გადარჩენა. მისი გადამრჩენი კი ისევ და ისევ ხალხი იყო პოემისავე დემოკრატიული ხასიათის გამო. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა თეიმურაზ ბატონიშვილის ფრაზა: „მდაბალი ხალხი ძა-

---

[1] გ. იმედაშვილი, ვეფხისტყაოსანი და ქართული კულტურა, თბ., 1968, გვ. 52.

ლიან კითხულობს „ვეფხისტყაოსანსა“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პოემაში თავისი სახე დაინახა, თავისი ხმა გაიგონა, თავისი გულისცემა იგრძნო, ე. ი. პოემა გაითავისა.

თეიმურაზ პირველი გრძნობდა, რომ თანამედროვე მკითხველი საზოგადოება გატაცებული იყო „საშაირო“ ლიტერატურით. ე. ი. საერო პოეზიით და გულგრილობას იჩენდა საეკლესიო-სასულიერო მწერლობისადმი, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ დიდი პატივისმცემელი იყო საერო მწერლობისა, მაინც წუხდა, რომ თანამედროვენი არ არიან იდეურად მტკიცენი და საღვთო წიგნს ივიწყებენო.

„არვის უნდა სახარება, არცა წიგნი მოციქულთა,“

„თუ საღვთო რამე მესიბრძნა, შიგ არვინ ჩაიხედავდა“.

ჩემს „ნაყალბევ“ პოემებს კი დიდი მოწონება და ბევრი მკითხველი ჰყავდაო.[1]

თეიმურაზის შენიშვნას არჩილიც ადასტურებს:

„საღმრთო წიგნი ბევრი წახდა უყდოთა და უბედობით,

საშაიროს ინახავენ სტავრის ბედით ან ნახლობით“.[2]

საშაირო წიგნებად, უწინარეს ყოვლისა, იგულისხმება „ვეფხისტყაოსანი“.

არჩილი თვითონ რუსთაველს ალაპარაკებს:

„საქართველო სავსე არის, ჩემი წიგნი ყველგან გაჰქუხს,

ვის ლხინი აქვს, მას უბნობენ, ანუ ვისცა გული უწუხს“.[3] როცა ჩვენ ვლაპარაკობთ საეკლესიო-სასულიერო საზოგადოების ერთ ნაწილზე, რომლებიც გააფთრებით ებრძოდნენ „ვეფხისტყაოსანს“ როგორც იდეურად, ისე ფიზიკური მოსპობისათვის, არ

---

[1] ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1969, გვ. 296.

[2] არჩილიანი, II, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა, თბ., 1987, გვ. 54.

[3] არჩილიანი, II, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა, თბ., 1987, გვ. 54.

შეიძლება, რომ არ მოვიხსენიოთ არა ერთი საეკლესიო – სასულიერო მოღვაწე, რომელთაც გულწრფელი სამსახური გაუწევიათ ქართული საერო მწერლობისათვის, კერძოდ, „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაციის საქმეში. რუსთაველის დიდი მოყვარული, მე-17 საუკუნის მეორე ნახევრის გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწე, მიტროპოლიტი იოსებ სააკაძე-თბილელი, ნიკოლოზ იეროდიაკონი, ნიკიფორე იკონომოსი, რუსთაველის დიდი თაყვანისმცემელი მღვდელი იესე ტლაშაძე. რუსთაველის კეთილი გავლენა განიცადა ბერად შემდგარმა სულხან-საბა ორბელიანმა და სხვებმა, რომლებზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ეპოქის გამოჩენილი მწერლები თუმცა თხზავდნენ თითო ოროლა სასულიერო ნაწარმოებს, მაგრამ მთელი არსებით ემსახურებოდნენ საერო მიმართულებას. მაგ.: თეიმურაზი, არჩილი, ვახტანგ მეექვსე, დავით გურამიშვილი და სხვ.

როგორც ცნობილია, „ვეფხისტყაოსანი“ დღევანდლამდე მრავალმა ხელნაწერმა შემოგვინახა. მათი რიცხვი, ცალკეული ნაწყვეტების ჩათვლით ორასამდე აღწევს, მაგრამ, როგორც შესწავლამ გაარკვია, აქედან მხოლოდ 52 ხელნაწერია მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი, დანარჩენი ნუსხები გვიანდელია და პირველი ბეჭდური გამოცემებიდან მომდინარეობენ.[1]

ვახტანგ მეექვსისა და თეიმურაზ ბაგრატიონის შემდეგ ქართული კულტურის დიდ მოამაგეს მარი ბროსეს წილად ხვდა შეექმნა ახალი ეტაპი რუსთველოლოგიის დარგში, ისევე ფასდაუდებელია მისი წვლილი „ვეფხისტყაოსნის“ მეორე ბეჭდური გამოცემის საქმეში, რომელიც 1841 წელს პეტერბურგში თეიმურაზ ბაგრატიონის, დავით ჩუბინაშვილისა და ზაქარია ფალავანდიშვილის მონაწილეობით განხორციელდა.

„ვეფხისტყაოსნის“ პირველი ფრანგული თარგმანის ავტორმა აკადემიკოსმა მარი ბროსემ გამოცემას წაუმძღვარა ძალზე

---

[1] ს. ცაიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ისტორია, თბ., 1970, გვ. 8.

საყურადღებო ნარკვევი, რომელშიც მეცნიერულად განიხილა პოემის პოეტური თავისებურებანი და იდეური მხარე. ეს გამოცემა საინტერესოა რედაქციულადაც. ვახტანგის გამოცემასთან შედარებით დამატებულია რამდენიმე ათეული სტროფი (48 შაირი).[1]

„ვეფხისტყაოსანი" დ. ჩუბინაშვილის რედაქციით გამოვიდა პეტერბურგში (1846, 1860); ქართველიშვილის მდიდრული გამოცემა 1888 წელს. დ. კარიჭაშვილის რედაქციით (თბ., 1903, 1920); აბულაძის რედაქციით (თ., 1914, 1926); ს. კაკაბაძის რედაქციით (თ., 1927), 1918 წელს ს. კაკაბაძემ გამოაქვეყნა „ვეფხისტყაოსნის" ვრცელი რედაქციის ტექსტი. ვრცელი რედაქციის ტიპისაა კ. ჭიჭინაძის გამოცემა (თ., 1934): „ვეფხისტყაოსნის" ვრცელი რედაქციის ტექსტი ყველა ჩანართითა და დანართით გამოსცა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა (თბ., 1956).

„ვეფხისტყაოსნის" პირველი გამოცემის შემდეგ დიდი მუშაობა იქნა გაწეული პოემის ნამდვილი ტექსტის დასადგენად. 1937 წელს „ვეფხისტყაოსნის" დაწერის 750 წლისთავზე გამოქვეყნდა რუსთველოლოგთა კომისიის მიერ გამოსაცემად მომზადებული ტექსტები პოემისა (საიუბილეო გამოცემა). საიუბილეო გამოცემის რამდენიმე შესწორებული ტექსტი დაიბეჭდა 1951, 1967 და 1960 წლებში (ალ. ბარამიძის, კ. კეკელიძის და ა. შანიძის რედაქციით).

1966 წელს რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი საიუბილეო დღეებში განხორციელდა „ვეფხისტყაოსნის" რამდენიმე გამოცემა, რომელთა შორის აღსანიშნავია ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში მომზადებული პოემის მასობრივი და მინიატურული გამოცემები (ტექსტი დაადგინეს გ. წერეთელმა, ს. ცაიშვილმა და ს. კარტოზიამ. რედაქტორები: გ.

[1] ს. ცაიშვილი, „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის ისტორია, თბ., 1970, გვ. 8.

წერეთელი, ი. აბაშიძე). საიუბილეო გამოცემის სარედაქციო კოლეგია: ირაკლი აბაშიძე, ალექსანდრე ბარამიძე, პავლე ინგოროყვა, აკაკი შანიძე, გიორგი წერეთელი. დასასრულ, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით გამოვიდა „ვეფხისტყაოსნის" მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტი.

ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი" აღადგინა და ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახადა ა. შანიძემ.[1] ალ. ბარამიძის შენიშვნით – 1712 წლიდან დღემდე „ვეფხისტყაოსანი" სამოცდაათჯერ გამოქვეყნდა.[2]

„ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერთა მეცნიერულ შესწავლას პირველად მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში მიექცა სათანადო ყურადღება, როცა საქართველოში გაღვივდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, „ვეფხისტყაოსნისადმი" ინტერესი ერთი ორად გაიზარდა. რუსთაველის პოემა ნათელი გამოხატულება იყო ქართველი ხალხის ძველი და თვითმყოფადი კულტურისა. სწორედ ამ ხანებში დაიწყეს „ვეფხისტყაოსნის" ახალი გამოცემის მომზადება. ამ მუშაობის სულისჩამდგმელი იყო დიდი ილია ჭავჭავაძე, ხოლო ტექსტის დადგენაში მონაწილეობას იღებდა მე-19 საუკუნის თითქმის ყველა გამოჩენილი მოღვაწე. სახელდობრ, „ვეფხისტყაოსნის" გამოცემის ინიციატორებად გამოვიდნენ რაფიელ ერისთავი, იაკობ გოგებაშვილი, იონა მეუნარგია, რომელთაც გამოცემის მიზნად დასახეს ახალი რედაქციის დადგენა ნაბეჭდი ტექსტისა და ხელნაწერების ერთმანეთთან შეჯერების საფუძველზე. ამ სამუშაოს შესასრულებლად შეიქმნა ავტორიტეტული კომისია, რომელშიც ზემოხსენებულ პირებთან ერთად შედიოდნენ გრიგოლ ორბელიანი, ილია

---

[1] ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 224-225.

[2] შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი აკაკი შანიძის მიერ, თბ., 1987. გაზ. „კომუნისტი", 1989, 18 მარტი.

ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, გიორგი წერეთელი, გაბრიელ ქიქოძე, სერგი მესხი, პეტრე უმიკაშვილი, ნიკო დადიანი, დავით ერისთავი, დავით ჯორჯაძე, იაკობ გოგებაშვილი, ივანე მაჩაბელი, თედო ჟორდანია, ნინო ორბელიანისა, ეკატერინე გაბაშვილი, გ. იოსელიანი, ი. ნინამძღვრიშვილი, ოლღა გურამიშვილი და სხვები. კომისიას ხელმძღვანელობდა გრიგოლ ორბელიანი, მდივნობდა იონა მეუნარგია.[1]

იონა მეუნარგია გადმოგვცემს, რომ ილია ჭავჭავაძეს „ვეფხისტყაოსანზე" მუშაობა იმდენად საპატიო საქმედ მიაჩნდა, რომ თავის ორფურცლიან ავტობიოგრაფიაში, რომელიც მან ენციკლოპედიისათვის დაწერა, სპეციალურად აღნიშნავს: „ვიღებდი მონაწილეობას „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დამდგენელ კომისიაში". კომისიას პოემის დადგენისათვის ჰქონდა „ვეფხისტყაოსნის" 22 ხელნაწერი. ხელნაწერებიდან ტექსტს კომისიას ხშირად ილია ჭავჭავაძე უკითხავდა. ამის გამო ი. მეუნარგია შენიშნავს: „მის კითხვაში ნამდვილი ქართული სიმების ჟღერა ისმოდა... რაღაც გამოუთქმელ სიამოვნებას ვპოვებდი მე ი. ჭავჭავაძის კითხვაში, როცა ის თავის სასიამოვნო ხმის ტემბრით შემოსძახებდა: „მაგას ნუ ბრძანებ, მეფეო, ჯერ ვარდი არ დაგჭკნობია... რაღაც გრძნობებისათვის სასიამოვნო რამ ისმოდა ამ ხმაში, ამ ერის გულიდან გამოსულ სიტყვების განმეორებაში".[2]

როცა „ვეფხისტყაოსნის" ტექსტი მომზადდა და მისი გამოცემის ტირაჟის საკითხი დაისვა, ილია ჭავჭავაძემ მოითხოვა 2000 ცალი დაბეჭდილიყო. მან, სხვათაშორის, ამ დროს ისიც თქვა, რომ ქართველ ხალხში „ვეფხისტყაოსანზე" ყოველთვის დიდი მოთხოვნილება იყო და არის. ძველად ამ პოემას ქალებს

---

[1] ს. ორდანიშვილი, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1953, გვ. 76-77.

[2] გაზ. „დროება", 1881, 21 თებერვალი.

მზითევში ატანდნენ და ახლაც ეს ასე იქნებაო. დ. ერისთავს ამის გამო ილიასათვის შეუნიშნავს: „ძველად არ ვიცი, მაგრამ ახლანდელი სასიძოები ასეთ მზითევს არ დაჯერდებიანო“.[1]

კომისიას პირველ ხანებში ხელთ არ ჰქონდა საკმაო რაოდენობის „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები და ამიტომ 1880 წლის ნოემბერს გაზ. „დროებაში“ თხოვნით მიმართეს მოსახლეობას: „ვისაც აქვს, დროებით გამოგზავნოს“ წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც შემდეგ შესწორებისა დაუბრუნდება პატრონს უკლებლად ყოვლის მიზეზის გარეშე... როგორც ჩანს, ამ განცხადებამ შედეგი ვერ გამოიღო და შემდეგ გ. ორბელიანის ხელმოწერით დაუგზავნეს წერილები ოცამდე პირს, რომლებთანაც ეგულებოდათ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები.[2] ამ წერილის შინაარსი კი შემდეგშია: „ქართულის გაზეთით მოხსენებული გექნებათ, რომ სურვილია შეთანხმდეს დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსანი“ სხვადასხვა ხელნაწერ „ვეფხისტყაოსნებთან“. ამისათვის მოწვეულნი არიან ქართულის მცოდნე პირნი და აგრეთვე ყოველივე, ვისაც ექნება ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი“, ათხოვოს წიგნი ამ კეთილის საქმის მოსურნეთა. მე თვით მივიღე მონაწილეობა ამ სასარგებლო საქმეში და უმორჩილესად გთხოვთ, თუ გქონდესთ, ან თუ შოვნა შეგეძლოსთ, დროებით გამოგვიგზავნოთ ქვემოთ მოყვანილი ადრესით ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი“. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ შემდეგ შესწორებისა, თქვენი წიგნი უნაკლოდ მოგერთმევათ.

თქვენი გულითადი პატივისმცემელი თავადი გრიგოლ ორბელიანი, 30 ნოემბრის 1880 წ.

ადრესი:

---

[1] გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, თბ., 1967, გვ. 153.

[2] ს. იორდანიშვილი, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1953, გვ. 76-77. გაზ. „დროება“, 1881, 21 თებერვალი, 42.

Тифлис, в канцелярию общества распространения грамотности, на Саперной ул. 41.[1]

ამ თხოვნამ ნაყოფი გამოიღო, კომისიამ საკმაო რაოდენობის ხელნაწერი შეაგროვა და 1881 წელს თებერვალში მუშაობას შეუდგა.

აქვე უნდა აღინიშნოს ის დიდი წვლილი, რომელიც გაიღეს მიხაი ზიჩიმ, როგორც მხატვარ-ილუსტრატორმა „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციების საქმეში და ცნობილმა მხატვარმა გრიგოლ ტატიშვილმა, რომელსაც დაევალა წიგნის შემკობა-მორთულობა.

იმის გამო, რომ მიხაი ზიჩიმ ქართული ენა არ იცოდა და ისე ღრმად და საფუძვლიანად ვერ ჩაწვდებოდა ქართულ ეპოსს, ილია ჭავჭავაძის წინადადებით გადაწყდა, პოემა თარგმნილიყო რომელიმე ევროპულ ენაზე. ეს საპატიო დავალება იკისრა იონა მეუნარგიამ. სულ მალე მხატვარს ხელთ ჰქონდა მეუნარგიასეული ფრანგული თარგმანი. ეს თარგმანი, როგორც ს. ცაიშვილი აღნიშნავს, იყო ერთ-ერთი მთავარი გზამკვლევი ბალმონტისეული რუსული თარგმანის შესრულების დროს (მეუნარგიას თარგმანი არ დაბეჭდილა, დღეს დაკარგულად ითვლება).[2]

მეუნარგიას ამ თარგმანმა ძალზე გაუადვილა მუშაობა მხატვარს და საშუალება მისცა ღრმად და საფუძვლიანად ჩაწვდომოდა პოემის სულსა და გულს. მან მთელი თავისი ნიჭი და გამოცდილება ჩააქსოვა ამ საქმეს. აღსანიშნავია ისიც, რომ უცხოეთში სურათების ცინკოგრაფიული დამუშავება თვით ზიჩიმ შეუკვეთა, ხოლო საქართველოში ბეჭდვისა და რედაქციის მძიმე

---

[1] ს. იორდანიშვილი, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1958, გვ. 76. ზ. ჭუმბურიძე, ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ, 1983.

[2] ს. ცაიშვილი, ნარკვევი ი. მეუნარგიაზე. ზუგდიდის მუზეუმის შრომები, ტ. I, 1947.

ტვირთი ივანე მაჩაბელმა იკისრა. გამოცემის მთელი ხარჯები გაიღო ქართველმა მეცენატმა გიორგი ქართველიშვილმა.

თუ გრიგოლ ტატიშვილმა ქართულ მონუმენტალურ არქიტექტურაზე დაყრდნობით საოცარი ხაზებით შეამკო ახალი გამოცემა. მიხაი ზიჩიმ სრულყოფილად შეძლო ჩანვდომოდა პოემის შინაარსს და ახალი ძალით აემეტყველებინა პოემის მარად უკვდავი ქართული სახეები. ბენო გორდეზიანის მართებული შენიშვნით: „ზიჩის რეალისტურმა სურათებმა რუსთაველის ქმნილება გაათავისუფლა ირანული მხატვრული სტილისაგან და „ვეფხისტყაოსნის“ დასურათება საერთაშორისო მხატვრული კულტურის გზაზე დააყენა“.[1]

ქართველიშვილისეულის სახელით ცნობილი ეს მდიდრული გამოცემა დაიბეჭდა და გამოვიდა 1888 წელს.

თუ როგორი მაღალი პოლიგრაფიული ღირსებისაა ეს გამოცემა. საკმარისია ერთი ფაქტი გავიხსენოთ.

ქართველთა შორის ნერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ რამდენიმე წლის შემდეგ „ვეფხისტყაოსნის“ ეს გამოცემა გააგზავნა ქ. მაინცში, გუტენბერგის საიუბილეო გამოფენაზე, მაინცის ქალაქის თავმა ასეთი შინაარსის წერილი გამოუგზავნა: „ეს მშვენიერი საჩუქარი სასახელოა ქართული სტამბისათვის და სამუდამოდ უნდა დარჩეს გუტენბერგის ქალაქში“.

ამრიგად, „ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლის გამოცემის დროს ინიციატორთა მუშაობა შემდგომში საფუძვლად დაედო რუსთაველის პოემის ნუსხათა შეკრებისა და აღწერის საქმეს. ამ მხრივ დიდი ენერგია, დრო და სახსრები არ დაიშურა დიდმა მეცნიერმა ექვთიმე თაყაიშვილმა, რომელმაც გამოავლინა და შეაგროვა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები. არაერთი მათგანი გადაარჩინა დაღუპვას და ყველას კატალოგი შეადგინა. აღწერა და მოგვცა მათი ზუსტი კლასიფიკაცია. ამას თვით ზემოთ ეპიგრაფად წა-

[1] ბენო გორდეზიანი, ლიტერატურული ნერილები, 1966, გვ. 54.

მძღვარებული ექვთიმე თაყაიშვილის სიტყვები ადასტურებს: ზუსტი რიცხვი არ მახსოვსო, მაგრამ, შევძელი, რომ სხვადასხვა გზით შემეგროვებინა თექვსმეტი თუ ჩვიდმეტი ხელნაწერი, რომელთა შორის ზოგი ფრიად საყურადღებო გამოდგა როგორც ვარიანტებით, ისე საუცხოო მხატვრობითა და აშიათა შემკულობით. საერთოდ კი მოვკრიბე ცნობა 24 ხელნაწერის შესახებ, ზოგი მათგანის შეძენა, – განაგრძობს თაყაიშვილი, – პირდაპირ საარაკო თავგადასავლად იქცა თვით ხელნაწერთათვისაც, მათი პატრონებისათვისაც და ჩემთვისაც. მათ შორის უძველესი და უმნიშვნელოვანესი დიდი ცოდნით შევიძინე წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკა – მუზეუმისათვის.

სასიქადულო მეცნიერს განზრახული ჰქონდა დაწვრილებით მოეთხრო და გამოექვეყნებინა მის მიერ შეგროვილი ყველა ხელნაწერის თავგადასავალი, მაგრამ, როგორც ცნობილია, მან ვერ შეასრულა ეს დაპირება. ზოგი ხელნაწერის თავგადასავალი კი ძალზე საინტერესოდ გვიამბო და გამოაქვეყნა კიდეც თავის მოგონებებში.

ქვემოთ მოგითხრობთ ე. თაყაიშვილის ნაამბობზე დაყრდნობით „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთ ხელნაწერთა თავგადასავალზე, რომელთაც მრავალი ჭირ-ვარამი გამოუვლია და ბევრი ცრემლი დასცემია. შეძლებისდაგვარად გაგაცნობთ ქართული მწიგნობრობისათვის იმ თავადადებულ, უპრეტენზიო მოღვაწეთა სახელებს, რომელთაც „ვეფხისტყაოსნის“ გადანუსხვისათვის იმუშავეს, რუსთაველის უკვდავი ქმნილება ხალხის გულამდე მიიტანეს და მისი პოპულარიზატორები იყვნენ.

მამუკა თავქარაშვილი

ყველაზე ძველ დათარიღებულ ხელნაწერს წარმოადგენს სამეგრელოს მთავრის ლევან მეორე დადიანის დაკვეთით 1646 წელს გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“ (H-599), რომლის გადამნუსხველია ცნობილი კალიგრაფი და პოეტი, იმერეთის მეფის მდივანი მამუკა თავქარაშვილი (თავქალაშვილი).

მამუკას პოემის დაწერა დაუწყია 13 ივნისს და დაუმთავრებია 18 აგვისტოს.

მამუკა ოდიშში მოხვდა და იმ ბრძოლების შედეგად, რომლებიც წარმოებდა მე-17 საუკუნის 30-იან წლებში საქართველოში. იმერეთის მეფე გიორგი და კახეთის მეფე თეიმურაზ პირველი ეომებოდნენ როსტომ მეფესა და სამეგრელოს მთავარს დადიანს.

მამუკა ტყვედ ჩავარდნილა 1634 წელს, ხოლო ლევან დადიანი გარდაიცვალა 1657 წელს. ამიტომ მამუკას ლიტერატურული მოღვაწეობა ლევან დადიანის კარზე მოდის 1634-1657 წწ.[1]

მამუკა თავქარაშვილს თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი ლევან დადიანის კარზე აქვს გატარებული. ეს წლები მისი მოღვაწეობის ყველაზე ნაყოფიერ წლებად უნდა ჩაითვალოს. ამ პერიოდში მას ვეფხისტყაოსნის გარდა გადაწერილი აქვს „ზააქიანი“ 1647 წელს“.[2]

ლევან დადიანის გარდაცვალების შემდეგ მამუკა გათავისუ-

---

[1] კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 2, თბ., 1969, გვ. 299-302.

[2] S-1694. ლ. ათანელაშვილი, ცნობები მამუკა თავქარაშვილისეული „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, „მაცნე“, 1974, ნომ. 4.

ფლებულა და დაბრუნებულა იმერეთის სამეფო კარზე, რაზეც მიუთითებს თამარ დედოფლის მიერ ქაიხოსრო მაჭავარიანისათვის მიცემული წყალობით წიგნი, დაწერილი მამუკა თავქარაშვილის მიერ 1687 წელს.[1]

მართალია, ამ დოკუმენტში მამუკა მდივნად არ იხსენიება, მაგრამ საბუთის გადამწერად მამუკა უნდა იგულისხმებოდეს, ვინაიდან საბუთი გაცემულია იმერეთის სამეფო კარიდან და თანაც მამუკას ხელით ამ ხანში სხვა დამწერი არავინ ჩანს. მამუკა თავქარაშვილი პირველად საბუთებში ჩანს 1629 წელს. მას შეუდგენია იმერეთის მეფის გიორგის მიერ ჯაფარიძეებისათვის მიცემული წყალობის წიგნი.[2]

ამრიგად, მამუკა მდივნის მოღვაწეობის წლები მოდის 1629-1687 წწ.

მამუკა თავქარაშვილის შესახებ ცნობას გვაწვდის გიორგი ლეონიძე. იგი წერს: „მე-16-17 ს.ს. მანძილზე იმერეთის მეფის მდივან-მწიგნობრის სახელს მემკვიდრეობით მამიდან შვილზე ასრულებდნენ აზნაური თავქალაშვილები (თავქარაშვილები). ამათგან ალექსანდრე მესამის (1639-1660) კარზე მდივნობდნენ მამუკა (ცნობილი მგოსანი და მხატვარი) და მისი ძმა პაატა. პირველი დატყვევდა 1634 წელს ლევან დადიანის მიერ, ხოლო მეორე 1640 წლიდან აღარ მოჩანს.[3]

ხსენებული ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი ლევან დადიანის კარზე ინახებოდა გარკვეული ხანი, შემდეგ კი იგი სხვადასხვა პირთა საკუთრება გამხდარა.

მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში ეს ხელნაწერი მოხვედრილა ქართლში. ამას ადასტურებს შემდეგი გარემოება: ხელნაწერის 99-ე გვერდზე ილ. 16-ის მეორე მხარეს (ნახატის უკან) გა-

---

[1] HD-15043.

[2] QD-7988.

[3] გ. ლეონიძე, შესავალი „შაჰნავაზიანისათვის", თბ., 1935, გვ. 20.

უწაფავი ხელით გამოყვანილია ქალის გამოსახულება სამეფო გვირგვინით თავზე, ხელაპყრობილი, მხრებზე სამეფო წამოსასხამით. აქვეა წარწერა: „ქ. დედოფალი; როდამის: წყალობა: ამის: დამწერს: „ეს მინაწერი მიუთითებს, რომ ერთ დროს იგი როდამ დედოფლის საკუთრება ყოფილა (როგორც ცნობილია, დედოფალი როდამი იყო პირველი ცოლი ქართლის მეფე ვახტანგ მეხუთე შაჰნავაზისა. რა გზით, ან ვის მიერ იყო ჩამოტანილი ეს ხელნაწერი ქართლში, ჩვენ არ ვიცით, ცნობილია მხოლოდ, რომ მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში თავქალაშვილების ერთი შტო დასახლებულა ქართლში, სოფელ ტინისხიდს.[1] ხსენებულ ხელნაწერს ახლავს სხვა მფლობელთა მინაწერებიც, რომლებიც ხელის მიხედვით მე-17 საუკუნის დასასრულს და მის შემდგომ ხანას განეკუთვნებიან.

როგორც ცნობილია, „ვეფხისტყაოსნის“ (H-599) მინიატურების შესრულება მამუკასვე ეკუთვნის. მას „ვეფხისტყაოსნის“ ეპიზოდების ამსახველი მინიატურების გარდა ტექსტში ჩაურთავს შემკვეთის ლევან დადიანისა, პოემის ავტორის რუსთაველისა და საკუთარი სურათიც. ინტერეს იწვევს ზოგიერთ მინიატურაში ჩაწერილი კრიპტოგრამის ისტორია. მაგ.: ლევან მეორე დადიანის კრიპტოგრამა ასე იკითხება: „ესე წაიკითხა თ“.

როგორც ისტორიული წყაროებიდან გახდა ცნობილი, ლევან მეორის გარდაცვალების შემდეგ 1661 წელს ვახტანგ მეხუთე შაჰნავაზმა დადიანად დასვა ლევან მეორის ძმისშვილი შამადავლე,[2] ანუ ლევან მესამე და ცოლად შერთო თავის ძმისშვილი თამარი. ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: „შაჰნავაზმა მერმე დასუა და დადიანად ლევან და მისცა ძმისწული თვისი თამარ ცოლად“.[3]

ლევან მესამესა და ბაგრატ იმერთა მეფეს (ალექსანდრე

---

[1] გ. ლეონიძე, შესავალი „შახნავაზიანითათვის“, თბ., 1935, გვ. 20.

[2] საქართველოს სიძველენი, II, (ე. თაყაიშვილის რედაქციით), 1902, გვ. 81.

[3] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1978, გვ. 836.

მე-2 იმერთა მეფის ძეს) ბრძოლა გადაუხდიათ ბანძას. ამ ბრძოლაში გაუმარჯვია ბაგრატს, რომელსაც დადიანისათვის წაურთმევია ცოლი თამარი და მისთვის შეურთავს თავისი და თინათინი, რომელიც ყოფილა გოშაძის ნაცოლარი.[1]

ლევან მესამის ოჯახის კუთვნილ „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერისათვის კრიპტოგრაფიული წერწერაც გაუკეთებია მის მეუღლე თინათინს, რომელმაც თავისი სახელი ინიციალით „თ" წარმოადგინა.[2]

მე-17 საკუნეში არის აგრეთვე შესრულებული შემდეგი კრიპტოგრამა ანჩანური სისტემისა, რომელიც პირველად ამოუხსნია თ. ბარნაველს, მაგრამ არ გამოქვეყნებულა. იგი გამოაქვეყნა გივი მიქაძემ.[3] ეს კრიპტოგრამა ხელნაწერისათვის მიუწერია ვინმე ხაზუა გოშაძის ქალს, რომელიც კრიპტოგრაფიული საიდუმლო მინაწერებით ესაუბრება თინათინ დედოფალს. გავეცნოთ ამ კრიპტოგრამას: „გოშაძის ქალი ხაზუა ვიკადრებ, დედაო დედოფალო, ნუ დაგავიწყდები, გახსომდე შენი ჭირიმე, ბატონო".

როგორც გამორკვეულია, ამ კრიპტოგრამაში მოხსენიებული დედოფალი – თინათინია. ლევან მესამის მეუღლე, რომელსაც არ დავიწყებას ევედრება ხაზუა გოშაძის ქალი.

მამუკა მდივნის მინიატურის კრიპტოგრამაში თინათინ დედოფალი ნიშნის მოგებით მოიხსენიებს ვინმე პაატა ნიჟარაძეს: „ღმერთო, ღვთით რაც უნდოდა დაემართა პაატა ნიჟარაძეს".

---

[1] თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, 1897, გვ. 480. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1973, გვ. 837. ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია, 1922, გვ. 99. ქართლის ცხოვრება, 4, 1973, გვ. 837. ნ. დადიანი, ქართველთა ცხოვრება, (შ. ბურჯანაძის გამოცემა), 1962, გვ. 163.

[2] ლ. ათანელაშვილი, ცნობები მამუკა თავქალაშვილისეული „ვეფხისტყაოსნის" შესახებ, „მაცნე", 1974, ნომ. 4.

[3] გ. მიქაძე, „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა კრიპტოგრამები, ლიტერატურის ინსტიტუტის კრებული, შოთა რუსთაველი, 1964.

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ლევან მესამე დადიანსა და ბაგრატ მეფეს შორის შუღლი არც შემდეგ შეწყვეტილა. დადიანს კვლავ უნდოდა დაებრუნებინა თამარი. ამის შესახებ ვახუშტი გადმოგვცემს: „ხოლო დადიანი ივლტოდა ოდიშსავე, და დაიპყრა, ბაგრატ უმეტესად იმერეთი, გარნა კუალად არა დასცხრა დადიანი, რამეთუ შური აქუნდა ცოლისა თვისისა თამარისათვის, რომელი იყო ფრიად კეკლუცი და აღმატებული სიმშუენიერითა სრული უმეტესად. მოიკრიბა სპანი, მოვიდა და მიერთნენ სრულიად იმერნი. მაშინ მოუხდა ბაგრატ მეფესა ქუთაისს ქორონიკონსა ჩქოა. ქარ. ტ-ნთ. ხოლო ბაგრატ მეფე წარვიდა რაჭას და დადიანი დადგა გეგუთს. არბევდნენ იმერეთსა. მაშინ ბაგრატ მეფემან შემოიკრიბა რაჭა-ლეჩხუმი და რაოდენნიმე იმერნი მისთანა. ჩამოვიდა, ენყო გეგუთს დადიანსა ბრძოლასა იძლია დადიანი, მოისრნეს სპანი მისნი და ლტოლვილ დადიანი შეიპყრეს კუალად და მის თანა მრავალნი სხუანი მოართუეს ბაგრატ მეფესა და დაიპყრა იმერეთი. მერმე დადიანი აფუცა ერთგულებასა ზედა და განუტევა. ვინაითგან ჰყვა დაი ბაგრატ მეფესა ცოლად“.[1] ამრიგად, ვახუშტის ცნობით, ლევან დადიანი დამარცხებულა, მაგრამ ბაგრატ მეფეს იგი გაუთავისუფლებია, როგორც თავისი დის ქმარი.[2]

ლევან დადიანსა და ბაგრატ მეფეს შემდგომ წლებშიაც ჰქონიათ თამარის გამო ბრძოლა. 1678 წელს არჩილს გამოუყვანია თამარ დედოფალი სკანდის ციხიდან და დაუბრუნებია იგი ლევან მესამე დადიანისათვის, მაგრამ ოსმალების დახმარებით ბაგრატი 1679 წელს კვლავ ამარცხებს დადიანს და იბრუნებს თამარს.[3] ამის შემდგომ დიდხანს აღარ უცოცხლიათ მათ. 1680

---

[1] გ. მიქაძე, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა კრიპტოგრამები, ლიტერატურის ინსტიტუტის კრებული, შოთა რუსთაველი, 1964.

[2] ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1978, გვ. 840.

[3] ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია, 1922, გვ. 101-102.

წელს გარდაიცვალა ლევან მესამე დადიანი, 1681 წელს ბაგრატ მეფე, ხოლო თამარი – 1683 წელს.[1]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თინათინ დედოფლის მიერ მამუკა მდივნის მინიატურის კრიპტოგრამაში ნიშნის მოგებით მოხსენიებული პაატა ნიჟარაძე თან ხლებია სწორედ იმ ბრძოლებში დადიანს, რომელიც თამარის გამოსახსნელად მოაწყო მან 1671 წელს. ლევანი ამ ბრძოლაში დამარცხდა, მასთან ერთად მოისრნეს სპანი მისნიო". – გადმოგვცემს ვახუშტი. ამ „სპაში" როგორც ლ. ათანელაშვილი შენიშნავს, უნდა ყოფილიყო პაატა ნიჟარაძეც, რომლის მოხსენიება ნიშნის მოგებით, თინათინ დედოფლის იმ ტრაგიკულ ბედზე მიუთითებს, რაც მან ლევან მესამის დადიანის ოჯახში განუცდია, რომელიც წლების მანძილზე კვლავ თამარის, თავის პირველი ცოლის დაბრუნებაზე ოცნებობდა.[2]

დავუბრუნდეთ ისევ მამუკა თავქარაშვილის მიერ გადაწერილ „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერს, რომელსაც ბოლოში მამუკასვე ხელით აქვს მიწერილი: „დიდება სრულმყოფელსა ღმერთსა, ყოველთა შემწე-მფარველსა. ვიწყე ეს ვეფხისტყაოსანი თიბათვესა ცამეტსა, სრულ ვყავ თვრამეტსა აგვისტოსა. ქორონიკონსა სამას ოცდათოთხმეტსა. თუ რამ აკლდეს, ნურავინ დამწყევლით, ტყვეობაშიდ ვწერდი. შიგნით ოცდაცხრა რვეული არის, ფურცელი ორას ოცდათოთხმეტი".[3]

ხსენებული „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერი (H-599) დასურათებულია. ერთ-ერთ სურათზე გამოსახულია გადამწერი მაგიდა-

---

[1] ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია, 1922, გვ. 101-102.

[2] თ. ჟორდანია, „ქრონიკები", II, 1897, გვ. 495-497.

ლ. ათანელაშვილი, ცნობები მამუკა თავქალაშვილისეული „ვეფხისტყაოსნის" შესახებ, „მაცნე", 1974, 4.

[3] ლამარა ტატიშვილი, „ვეფხისტყაოსნის გადამწერნი", გაზ. „სახალხო განათლება", 1966, 28 სექტემბერი, ნომ. 39.

სთან მჯდომი. სურათს დართული აქვს ანდერძი: „ღმერთო, შემინდევ ცოდვანი ჩემ.. ... უფრო ქვემოთ მიწერილია: „ამისი მწერალი მდივანი მამუკა".[1]

პირველი ცნობები ამ ხელნაწერის შესახებ ეკუთვნის იონა მეუნარგიას (1881), ხოლო შემდგომში მისი დაწვრილებითი აღწერილობა მოგვცა ექვთიმე თაყაიშვილმა 1908 წელს.

ხსენებული ხელნაწერის მფლობელად ნინო კორინთელი გვევლინება. მანამდე კი ეს ხელნაწერი აზნაურ გრიგოლ ანთაძის საკუთრება ყოფილა. ნინო კორინთელმა დროებით სარგებლობისათვის დაუთმო „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დამდგენ კომისიას 1888 წლის გამოცემის მომზადების პერიოდში. 1911 წელს კი ექვთიმე თაყაიშვილის მცდელობით, წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ შეიძინა ეს ხელნაწერი კორინთლისაგან.

---

[1] H-599, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H ფონდი, ტ. II, 1951, გვ. 51-52.

იოსებ თბილელი - სააკაძე

საინტერესო ისტორია აქვს ცნობილი პოეტისა და კალიგრაფის იოსებ სააკაძის მიერ 1660-იან წლებში გადაწერილ „ვეფხისტყაოსანს“ (Q-1082), რომელიც სამეცნიერო წრეებში ცნობილია „ზაზასეულის“ სახელით, რადგან მისი დამკვეთი და პირველი მფლობელი ყოფილა მე-17 საუკუნის ცნობილი სარდალი და სახლთუხუცესი ზაზა ციციშვილი.[1]

იოსებ თბილელი მეტად განსწავლულ პიროვნებად გვევლინება. დაახლოებული იყო სამეფო კართან. განსაკუთრებით – შაჰნავაზად წოდებულ ვახტანგ მეხუთესთან. იოსებს დიდი წვლილი მიუძღვის ვახტანგის ძის არჩილის აღზრდაში. ერთ ძველ ხელნაწერზე არჩილისავე ხელითაა მიწერილი: „იოსებ სააკაძემ მასწავლა წმინდა და საკვირველებათა სავსე წიგნი ესე სახელთ ოდენ მეფესა არჩილსო“.[2]

იოსები, როგორც ცნობილი კალიგრაფი და მდივან-მწიგნობარი, მონაწილეობას იღებდა მეფის კარის კულტურულ ცხოვრებაში. კერძოდ, აწარმოებდა მიმოწერას და სიგელ-გუჯრების შედგენას.

ცნობილ მეცენატ მარიამ დედოფალთან, რომელიც იყო ქველმოქმედი და დიდად ხელის შემწყობი მწიგნობრობისა და მწე-

---

[1] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი Q-1082.

ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, ტ. 2, 1970.

ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1967. გვ. 112-116.

გ. ლეონიძე, ვეფხისტყაოსნის ახალი ხელნაწერი, გამოკვლევები და წერილები, ტ. I, 1959, 187-205.

[2] ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1966, გვ. 371.

რლობისა, იოსებმა თავი გამოიჩინა მწიგნობრობის გაჩაღების საქმეში. იოსებ თბილელის უკანასკნელი წლებიც მჭიდროდაა დაკავშირებული ქართლის სამეფოსთან. იგი მხარში ედგა შაჰნავაზის ძეს გიორგი მეთერთმეტეს. იოსებ თბილელი ერთ-ერთი ბრძოლის დროს მოკლეს, როცა მეფე დუშეთს იღებდა (არაგვის ურჩი ერისთავების მეთოფურეებმა 1688 წელს).[1]

იოსებ თბილელი-სააკაძე დაბადებულია სოფელ ბობნევში (ატენისხეობა) 1620 წელს. იგი აღიზარდა ქვაბთახევის მონასტერში და აქვე აღიკვეცა ბერად.

იოსებ სააკაძე ცნობილია როგორც პოეტი, კალიგრაფი, საეკლესიო მოღვაწე, ნიკორწმინდის მღვდელმთავარი. 1660 წლიდან თბილისის მიტროპოლიტი (აქედან მისი სასულიერო წოდება ტფილელი).[2]

იოსებ სააკაძის დიდ ავტორიტეტსა და განსწავლულობას მაღალ შეფასებას აძლევდა ანტონ კათალიკოსი:

„იოსებ კმადღა გამოცდილ იყო სრულად
პიიტიკოსთა ხელოვნებითა მიმართ,
საყუარელ იყო მეფეთა მაშინდელთა,
საყუარელ იყო ერთაცა ყოველთაგან,
აქებდეს მისსა სიბრძნის-მოყუარებასა...

მიუხედავად ასეთი პატივისა, რომელსაც ანტონი მიუწყავს იოსებს, და, როგორც შესავალშიც აღვნიშნეთ, „თუმცა დაშურა ამაოთათვსო“.[3]

---

[1] ქართლის ცხოვრება (მარი ბროსეს და დავით ჩუბინაშვილის გამოცემა) ტ. II, პეტერბურგი, 1854, გვ. 59.

[2] გ. ასათიანი, იოსებ თბილელის ბიოგრაფიისათვის, ჟურნ. „მნათობი“, 1968, გვ. 182-187. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, 1969, გვ. 360. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 5, 1980, გვ. 202. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1966, გვ. 221.

[3] ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, 1980, თბ., გვ. 257-258.

იოსებ სააკაძე-თბილელს, როგორც მდივან-მწიგნობარს, მეფის კარის კულტურული ცხოვრების მონაწილეს და მეფის ნდობით აღჭურვილ პირს, ი. ჟან-შარდენის გადმოცემით, შაჰნავაზის სახელით ევროპასთან კულტურულ-ეკონომიკური კავშირის დასამყარებლად მათთან მოლაპარაკება უწარმოებია.[1]

საქართველოში მყოფი კაპუცინების წერილებიდან ჩანს, რომ იოსებ ტფილელი მფარველობას უწევდა მათ და შუამავლობდა მეფე შაჰნავაზთან.[2]

როგორც ცნობილია, იოსებ სააკაძეს უთავებია სიონის დაკარგულ წიგნსაცავის დაარსება.[3]

საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში დაცული უცნობი ავტორის წერილიდან ვგებულობთ, რომ იოსებ სააკაძე-ტფილელის მიერ აშენებულ წიგნსაცავის კარების შესავალზე ერთი მარმარილოს ქვა იყო კლდეში და ზედ ეწერა შემდეგი სიტყვები: „ეს წიგნსაცავი აღვაშენე ტფილელმა მიტროპოლიტმა იოსებ-სააკას-ძემან, შევამკე და განვავრცე წიგნებით და მოვრთვი ოქსინოთი".[4]

იოსების მიერ სიონში დაარსებული ბიბლიოთეკა შემდეგ განახლებული იქნა სახელგანთქმული მწერლის, მეცნიერისა და სახელმწიფო მოღვაწის, მეფე ვახტანგ მეექვსის მიერ.

მე-18 საუკუნის საქართველოს კათალიკოს დომენტის იოსებ თბილელის ბიბლიოთეკის შენობაში დაუარსებია წიგნსაცავი. ანონიმი ავტორი გვიამბობს: „დომენტიმ დააარსა ბიბლიოთეკა

---

[1] მიხეილ თამარაშვილი, ისტორია კათოლიკოსობისა ქართველთა შორის, 1902, გვ. 223-224.

[2] ჟან-შარდენი, მოგზაურობა საქართველოში, 1935, გვ. 199-200. საქ. სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერი, 6334/4.

[3] გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, 1959, გვ. 89.
ნანა გურგენიძე, ძველი წიგნსაცავები საქართველოში, 1969.

[4] საქ. სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერი 6334/4.

დასაწყის მეთვრამეტე საუკუნისა, იმ ალაგასა, საცა (მეჩვიდმეტე საუკუნეში) თბილელ მიტროპოლიტს იოსებ სააკაძეს დაუარსებია“.[1]

იმავე ცნობიდან ირკვევა, რომ ის წიგნსაცავი 1860 წლის შემდეგ ეგზარხოს ევსევის ბრძანებით დააქციეს.[2]

იოსებ თბილელის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ჩვენამდე ყველაფერი არ უნდა იყოს მოღწეული. იოსები ერთ ადგილას აღნიშნავს („დიდმოურავიანი“, სტრ. 484), რომ „ზოგი რამ საღმთოც დავსწერე, სიტყვაც ვთქვი წმინდა ქებისა“.[3] მართლაც, ცნობილია მისი რამდენიმე სასულიერო ხასიათის თხზულება. მაგალითად, „ცხოვრება და მოქალაქეობა ალექსი კაცისა ღმრთისა, ახლად შაირად გადათარგმნილი სააკაძისაგან იოსებ ტფილელისა“. ავტორს გაულექსავს აგიოგრაფიული ნაწარმოები ალექსის შესახებ; „ქება და წამება წმინდა მარინასი“ (S-1512) და წმიდათა კრებათათვის (S-281).[4] პლატონ იოსელიანს გამოქვეყნებული აქვს ერთი ანბანთქება, რომელსაც მინერილი აქვს: „ანბანთქება, თქმული ბაბათაშვილის იოსებ ტფილელის მიერ“.[5] (იოსებ სააკაძე სამეცნიერო ლიტერატურაში ბაბათაშვილის გვარითაც მოიხსენიება).

ზაქარია ჭიჭინაძე. თავის ნარკვევში „ქართული მწერლობა და ქართველი მწერლები მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებში“ ასახელებს იოსების კიდევ რამდენიმე სასულიერო თხზულებას. მაგ.: „მოგზაურობა თბილისიდან ახალციხემდე... სადაც

---

[1] გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, 1959, გვ. 89.

[2] გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, 1959, გვ. 89.

[3] დიდმოურავიანი, 1951, გვ. 75, სტრ. 484.

[4] კ. კეკელიძემ ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 616. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1958, გვ. 522, 532.

[5] დიდმოურავიანი, 1851, გვ. 75.

ავტორი აღწერდა მესხეთის ეკლესია-მონასტერთა მდგომარეობას. „ლუარსაბ მეფის ცხოვრება“, და აგრეთვე „სასურველი ვენახი“, მაგრამ, როგორც ცნობილია, ამ თხზულებებს ჩვენამდე არ მოუღწევია.[1]

კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია ისტორიული პოემა „დიდმოურავიანი“, რომელიც 1663-1666 წლებში არჩილის დავალებით გაულექსავს იოსებ სააკაძე-თბილელს. იგი ამის შესახებ გადმოგვცემს: „ამბავი გალექსით გადათარგმნილი დიდი მოურავის გიორგის ძისა შაუშისა, რომელი იყო ტფილისისა, ცხინუალისა და კავკასიის მთისა მდვალეთისა მოურავი, კაცი ძლიერი, სახელოვანი, ჰაეროვანი და ომისა ფრიად შემმართებელი, რომელიცა დაშვრა დიდითა შრომითა საქართველოსა ზედა ქართლსა და კახეთსა, რომელმანცა მრავალგზის განათავისუფლნა საქართველო ყიზილბაშისა მეორისა შაჰაბაზისაგან აოხრებასა და იყო მთავარი ქართლის სამეფოსა შინა, მდიდარი ფრიად... „დიდმოურავიანის“ ანდერძში ვკითხულობთ: „დასრულდა დიდის მოურავის ამბისა, ლექსად თქმული თვისივე ტომის იოსებ ტფილელის მიტროპოლიტისაგან, კურთხეულმცა არს სული მისი, ამინ, გეძღნუას ჩემგან ნიგნი ესე“.[2]

იოსებ სააკაძის მიერ გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“, ჩასმულია ტყავგადაკრულ მუყაოს ყდაში, რესტავრირებულია, გადანერილია სპარსულ ქაღალდზე მხედრულად. სათაურები და სტროფთა დასაწყისები სინგურით. პოემის ტექსტი მოთავსებულია ოქროს ვარაყიან ოთხკუთხა ფერადებიან ჩარჩოში. ხელნაწერის აშიები შემკულია ყვავილებიანი გრავიურით. ერთი სიტყვით, ეს არის იშვიათი ხელოვნებით შემკული უძვირფასესი ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნისა“.

---

[1] ზ. ჭიჭინაძე, ქართული მწერლობა XVII-XVIII საუკუნეებში, 1888.

[2] S-4629. გ. ლეონიძე, ვეფხისტყაოსნის ახალი ხელნაწერი, გამოკვლევები და წერილები, 1959, გვ. 90.

ლექსად დაწერილ ანდერძში ვკითხულობთ:

„სურდა ამ წიგნის პატრონსა მეც ხელვყავ ესე წერითა,
ხელი დამიშრო კალამმან, თვალნი გაშტერდეს მზერითა,
ხელსა მკითხველი შეიტყობს, სიმართლით სხვა სჯობს ვერითა,
ან გაგიჩნდების მხატვარო შემკობა შესაფერითა.
მწერლებს ვჰკადრებ მამისმინონ, რომ არ იყვნენ ჩემზე ზრახვით,
ან დაწერონ უკეთესი, ანუ ამის რამე სახვით,
სიმართლეს და სიტყუის წყობას ვინ მიხვდების ერთის ნახვით,
მკითხველნი და მართლად მსმენნი არ არიან სევდა ახვით."

არსებობს მოსაზრება, რომ ამ ლექსის ავტორი იოსებ თბილელია.

ცნობილია, რომ იოსებ სააკაძეს თავის მიერ გადაწერილ „ვეფხისტყაოსანში" საკუთარი სტროფებიც ჩაურთავს (ოთხი სტროფი), ბოლოშიც დაუმატებია ორი ანდერძი – ტარიელისა და ავთანდილისა (61 სტროფი). ასე რომ, 65 სტროფი ამ ხელნაწერში იოსებ თბილელს ეკუთვნის. ხელნაწერის 176 ფ. მინაწერი გვამცნობს: „კიდევ სხვა ანდერძი ავთანდილისა, რომელი თქვა ჟამსა სიკვდილისასა. ტფილელის იოსებისაგან თქმული", კიდევ სხვა ანდერძი ავთანდილისა ტფილელის იოსების ნათქვამი".[1]

ამავე ხელნაწერში ჩართულია რამდენიმე სტროფი, ავთანდილის ანდერძი. მეორე პოეტის ნანუჩა ციციშვილისა, რომელიც ასევე მე-17 საუკუნეში მოღვაწეობდა და რომლის შესახებაც მეფე პოეტი არჩილი წერდა:

„ნანუჩას რუსთველის ნათქვამში ბევრი რამ ჩაურევია,
საბრალოს ვერ შეუწყვია, წმინდა რამ აუმღვრევია.
მასთან რას სწერდა მის ლექსსა, სირეგვნე მით მოერია,
რუსთველი სიბრძნის ტბა არის, არცა თუ იგ მორევია..."[2]

---

[1] ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1957, გვ. 116.

[2] გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა, არჩილიანი, 1937, გვ. 3-4. არჩილი „ძველი და ახალი მელექსეთა" 1937, გვ. 108.

სულ სხვა შეხედულებისაა ნანუჩაზე „ზააქიანის“ გამლექსავი მამუკა მდივანი. მას უწოდებს „მანუჩარ მწერალს, ტკბილი სიტყვისა მხმობელსა“, რომელიც „ერიდებოდა სიტყვასა უშვერსა და საგმობელსა“ და აყენებდა მე-17 საუკუნის მწერალთა გვერდით.[1]

საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში დაცული ხელნაწერის 3061-ის 488 გვერდზე წითლურად ნარწერილი სათაური ასე იკითხება: „ანდერძი ავთანდილისა ჟამსა სიკვდილისა ნანუჩას ნათქვამი“.[2]

კ. კეკელიძის აზრით, ნანუჩა იყო პოეტი დაახლოებით მე-17 საუკუნის პირველი მეოთხედისა. ხოლო გ. არაბულის მოსაზრებით, ნანუჩა დაბადებული უნდა იყოს 1590 წელს და გარდაცვლილი 1650-იან წლებში. იგი მოღვაწეობდა როსტომ მეფის (1632-1650) დროს. 1636-1646 წლებში იყო სამეფო კარის სახლთხუცესიო.[3]

თეიმურაზ ბაგრატიონი გადმოგვცემს, რომ ნანუჩა იყო ქართლის თავდთაგანი, გვარად ციციშვილი, ცხოვრობდა შაჰნავაზ მეფის ბახუტას შვილის დროს, კარგი კაცი ვინმე იყო, ღმერთმა აცხონოს, მაგრამ დიახ, ცუდი პიიტიკოსი ბრძანებულა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ თავის მიერ მოგონილი ლექსები შეურთავსო“.[4]

---

[1] კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, 1969, გვ. 302.

[2] საქ. სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი 3061.

[3] კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, 1969, გვ. 302. გ. არაბული. ზოგი რამ ნანუჩას შესახებ „მაცნე... ენისა და ლიტერატურის სერია, 1979, 4, გვ. 15-22. გ. არაბული, ნარკვევები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, 1983, გვ. 15.

[4] რუსთველოლოგიური რჩეული ლიტერატურა (შეადგინა ი. მეგრელიძემ), 1979, გვ. 66-67.

ზაქარია ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ „ნანუჩა ციციშვილი იყო ქართველი მწიგნობარი, მცოდნე სხვადასხვა ენებისა და მწერლობისა. ჰქონდა მდიდარი ბიბლიოთეკა ქართული წიგნებისა. მას როსტომ მეფის მახლობლივ სამეფო საქმეებში დიდი ადგილი ეკავა. ამ კაცს საქართველოში ბრძნად სახავდნენ. მას ბევრნაირი ლექსებისა და მოთხრობების წერას აკუთვნებდნენ, მაგრამ მისმა ნაწერებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია.[1]

როგორც ჩანს, მე-17 საუკუნეში და შემდეგაც ნანუჩას პოეზიაზე სხვადასხვა შეხედულებისა ყოფილან.

სამეცნიერო წყაროებიდან ცნობილია, რომ მანუჩარ ციციშვილი „ქვემო ციციშვილების გვარიდან“ ყოფილა. ჰყოლია ძმები: ბაადური, ზაზა და ყაია. 1610-1620 წლებში თეიმურაზ პირველის კარზე ვხედავთ. იგი მონაწილეობს ქართლის თავადების სისხლის საქმეების გარჩევაში.[2]

შაჰ აბაზის მიერ მეფე ლუარსაბის დატყვევებისა და სპარსეთში წაყვანის (1614) შემდეგ, როდესაც „ქართველნი უპატრონოდ დარჩნენ...“ მანუჩარი, მისი ძმები და მათი განაყოფები, ქაიხოსრო და მერაბი, ადგილ-მამულებზე დაობდნენ, რამდენჯერმე მოხდა ერთმანეთზე დაცემა „ლაშქრით“, ცემა-ტყეპა, „ჯალაბობის თრევა“ და სახლ-კარისათვის ცეცხლის წაკიდება.

1623 წლის შემდეგ, ახლო ხანში, ზაქარია კათალიკოსის შუამავლობით შერიგდნენ, მაგრამ ერთმანეთის მიმართ მტრობა მაინც გულში ედოთ. ქაიხოსრომ ბაადური შინ დაპატიჟა და ღალატით მოკვლა დაუპირა. ამის საპასუხოდ ბაადურმა და მანუჩარმა დახოცეს ძმები – ქაიხოსრო და მერაბი. ერთიანად ამოწყვეტის შიშით ქაიხოსროს შვილები პაპუნა, ხოხონა, მათი ერთი ძმა და ერთი და სპარსეთში წასულან. ამის შემდეგ მანუჩარმა და მისმა ძმებმა უფრო შეიმატეს მამული. ეს ამბავი მომხდარა

---

[1] ზ. ჭიჭინაძე, ქართული მწერლობა XVII-XVIII საუკუნეებში, 1888, გვ. 58.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, IV, გვ. 63.

1623-1630 წლებში ზაქარია კათალიკოსის დროს. მას შენდობის წიგნი მიუცია ბაადურისა და მანუჩარისათვის ამ მკვლელობის გამო.[1] ქართლში როსტომის გამეფების (1629) შემდეგ მანუჩარი მას მიმხრობია და სახლის ერთ-ერთი მოხელეც გამხდარა. იგი სახლთუხუცესად იხსენიება 1638 წლიდან 1646 წლამდე.[2]

მანუჩარის ცხოვრებიდან საინტერესოა ისიც, რომ 1640 წელს როსტომ მეფემ გაარჩია მისი და პაპუნა ციციშვილის სასისხლო საქმე და მტრები შეარიგა. ყოფილი მოსისხლეები შემდეგ დამოყვრებულან კიდეც. მანუჩარის ქალიშვილი ანა (ანუკა) ცოლად შეურთავს პაპუნას ვაჟს ზაზას. ეს უნდა მომხდარიყო 1650-იან წლებში. ვინაიდან 1650-იანი წლების დოკუმენტებში მანუჩარ ციციშვილი აღარ ჩანს. იგი ამ დროს უკვე გარდაცვლილია, ხოლო განჩინებაში, რომელიც 1654-58 წლებით თარიღდება, 1756-1657 წლებში სახლთუხუცესად იხსენიება ციციშვილი ყაია. მანუჩარის უმცროსი ძმა. [3]

ზაზა ციციშვილის მამა, პაპუნა ციციშვილი საბუთებში პირველად იხსენიება 1624 წელს.[4] ახალგაზრდობაში იგი ქართულ ფეოდალურ არისტოკრატიის იმ ნაწილს ეკუთვნოდა, რომელმაც შაჰ-აბაზის დროს პოლიტიკური მიზეზების გამო სახელისა და დიდებისათვის ყაენის კარზე აირჩია სამსახური და რომელთა შესახებ გიორგი სააკაძე 1620 წელს ამბობდა: „დღეს სრულ საბატიოს ქართველთ კაცის შვილები იქ არიანო".[5]

როგორც ფარსადან გორგიჯანიძე გადმოგვცემს, როდესაც ტახტის დასაჭერად ერანის ლაშქრით მომავალი როსტომი წამო-

---

[1] გ. არაბული, ნარკვევები „ვეფხისტყაოსნის" შესახებ, 1983, გვ. 14.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] იქვე.

[5] საქ. ცენტ. არქივის სიგ. ფ. 27-161. საქართველოს სიძველენი, II, 1902, გვ. 62.

ვიდა საქართველოში, პაპუნა ციციშვილიც თან ხლებია სხვა ერანოფილ ქართველებთან ერთად. როსტომი მას ერთგულსა და თავდადებით ნამსახურს უწოდებდა. პაპუნა ციციშვილი მონაწილეობდა ბანძის ბრძოლაში, როცა როსტომმა ზემო ქართლის ლაშქარი მიაშველა ლიპარიტ დადიანს ალექსანდრე მესამის, იმერთა მეფის წინააღმდეგ.[1]

როსტომის გარდაცვალების შემდეგ (1658 წ. 18 ღვინობისთვეს), როცა დედოფალი მარიამი ყაენის ჰარამჰანაში უნდა წაეყვანათ, ფ. გორგიჯანიძის სიტყვით, დედოფალმა სიბერის ნიშნად თავისი თეთრი თმა ყაენს გაუგზავნა „აქედან ნუ დამძრავო... თმაც და წიგნიც პაპუნა სარდალს მისცეს და ჩაფრად გაისტუმრეს. ყაენს სწყენოდა როსტომ მეფის სიკვდილი, დედოფლისა დიად ბევრი დედაკაცობა უამბო და თმა თეთრი უჩვენა. ყაენმა დედოფალიც შეიწყალა და ვახტანგსაც ქართლი დაუმტკიცა... მალე გამოისტუმრეს პაპუნა, საახალწლოდ მოვიდაო."[2]

პაპუნა ციციშვილს თავის დროინდელ საზოგადოებაში დიდი ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული. იგი ყოფილა გულოვანი და დარბაისელი ადამიანი. ერთ დოკუმენტში იგი იხსენიება, როგორც „სახელოვანი, სახელგანთქმული, მრავალჯერ სახელოვნად ომგამარჯვებული, ღვთისაგან და დიდთა სახელმწიფოთაგან ღირსად სამართლად პატივცემული. სწორუპოვარი და სიკეთეზედან ჭკვა უნაკრულო."[3]

ზაზას დედა დედისიმედი იყო და დომენტი კათალიკოსისა და ბიძაშვილი შაჰნავაზ მეფისა. 1680-იან წლებში პაპუნას გარდაცვალების შემდეგ ეს ორივე თანამდებობა ზაზას მიუღია. მისი კარიერისათვის ხელი უნდა შეეწყო მის ფართე ნათესაურ კავშირს სა-

---

[1] საქართველოს სიძველენი, II, 1902, გვ. 62. საქ. ცენტ. არქივის სიგ. ფ. 51.

[2] საქართველოს სიძველენი, II, 1902, გვ. 62.

[3] ექვთიმე თაყაიშვილი, საისტორიო მასალანი, I, 1918, გვ. 46.

გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, 1959, გვ. 89-90.

მეფო სახლთან. ზაზას ახლო ნათესავები იყვნენ აგრეთვე პოეტი ნოდარ ციციშვილი, მეფე-პოეტი არჩილი, დიდი მწერალი და მეცნიერი სულხან-საბა ორბელიანი. მას ცოლად ჰყავდა სახლთუხუცეს მანუჩარ ციციშვილის ასული ანუკა. პაპუნას და ზაზას ბევრჯერ გაუწევიათ ერთგული სამსახური მეფისათვის. მაგრამ, როგორც ჩანს, ამავე დროს, სხვა დიდ ფეოდალებთან ერთად ზაზა იბრძოდა მეფის უფლებათა შეზღუდვისათვის. იგი ვახტანგ მეფესთან (შაჰნავაზთან) დაუსმენიათ და მეფეს მისი შეპყრობა უბრძანებია. ვახუშტის გადმოცემით, „ხოლო განდიდნა და იქცეოდა ამაყად ზაზა სპასპეტი მეფისა ზედა. ამისათვის ინება მეფემან წურთნა მისი და მოყვანა. იგი არამედ ძემან მეფისამან გიორგიმ, რომლისათვის შეესმინათ, უგვანოდ ინება შეპყრობა მისი, ხოლო იგი (ე. ი. ზაზა) მოწვდილითა ხანჯლითა მიეტევა მონათა მისთა და მოჰკლა ფავლენიშვილი, ამისათვის მოჰკლეს იგიცა ბრძანებით გიორგის მეფის ძისათა... მსმენელი ამისი დამძიმდა მეფე ფრიად, ვინადგან იყო ნათესავი“.[1]

ოცდაათი წლის ზაზა ციციშვილი დაუკრძალავთ ყინწვისის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის ეკვდერში.

ვახუშტის ცნობით, ზაზა უდანაშაულო იყო, მართალი და რომ შემდეგში შაჰნავაზის შვილების უბედური დასასრული (გიორგის ტრაგიკული სიკვდილი ყანდაჰარში, არჩილის გადახვენა რუსეთში, ლევანისა და ლუარსაბის ერანში სიკვდილი, არევ-დარევა მსგავსად ბიბლიურ დავითის შვილებისა) ზაზას უსამართლო დასჯის მიზეზით მოხდაო.

ზაზას მოკვლას მოჰყოლია მისი ოჯახის აკლება. მისი ბიბლიოთეკის დარბევა. ძველი წიგნების, ხელნაწერების და სიგელ-გუჯრების დატაცება.

ზაზას სიკვდილის შემდეგ მისმა შვილმა უთრუთმა და ძმამ

---

[1] საქართველოს სიძველენი. ტ. II, 1902, გვ. 442. ქართლის ცხოვრება, 1854, გვ. 53.

ზაალმა, როცა ისინი საგვარეულო მამულებს ედავებოდნენ ნათესავ ციციშვილებს, სამართალში განაცხადეს, რომ „ჩვენი სიმართლის დასამტკიცებელი საბუთების წარდგენა არ შეგვიძლიანო, აღარ გვაქვსო, რამეთუ, როდესაც სარდალი ზაზა მოკლესო, მაშინ შაჰნავაზ მეფემ ჩვენი ქონება აიკლო და სიგელები და მისი საპასუხო წიგნები მაშინ წაგვიხდაო.“[1]

აქედან ცხადი ხდება, რომ ზაზა ციციშვილის ძვირფასი ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნისა“ ამ გზით მოხვდა შაჰნავაზის ერთ-ერთი შვილის ლევანის ხელში და მისი ოჯახის საკუთრება გახდა. ის სტრიქონი, სადაც სარდალ-სახლთუხუცესის სახელი „ზაზა“ ენერა, წაუშლიათ და დაუწერიათ „ლევან მირზა“.

„ვაქებთ კაცს ბრძენსა, ჭკვით სავსეს სარდალ-სახლთუხუცეს ზაზასა.“

„ვაქებთ კაცს ბრძენსა, ჭკვით სავსეს ლევან მირზასა.“[2]

ზაზა განთქმული ვაჟკაცი ყოფილა. 1664 წ. ბრძოლაში, როდესაც შაჰნავაზს და მის შვილს არჩილს ღამით თუშებისა და კახთ რაზმით კახეთის მემკვიდრე ერეკლე თავს დაესხა, მაშინ დამხდურთა მხრივ, ზაზამ დიდი გამბედაობა გამოიჩინა, ვახუშტის სიტყვით, „როცა მეფეთა ამალა იცლტოდა, მაშინ ზაზამ თუშები მარტომ შეაყენა: „არამედ მისლვასა სპათასა, ეკუეთნენ ძლიერად და შემუსრა ბრძოლითა ზაზამ შუბი ხუთი“.[3] ზაზას ვაჟკაცობას ბრძოლაში ასე აღტაცებით გადმოგვცემს მგოსანი ფეშანგი პოემა „შაჰნავაზიანში“:

„სარდარი ზაზა მიუხდა, ცხენ მალედ ვითა მეხია;
ცისა ელუასა უგუანდა, იგ მისგან დანაჭეხია;
შეიჭრა, ჯარი გაწყუიტა, არ მოუცუალა ფეხია;
კაცი კაცსა ჰკრა სრულითა, თითქმის ლახუარსა ეხია,

---

[1] ე. თაყაიშვილი, საისტორიო მასალანი, წ. I, 1918, გვ. 49.

[2] გ. ლეონიძე, ლიტერატურული მემკვიდრეობა, 1935 წ. გვ. 20. „მოხილვა“, 1852. გვ. 7-8.

[3] ექვთიმე თაყაიშვილი, საისტორიო მასალანი, I, 1913, გვ. 49.

შეუტივეს წინა ჯართა, ვინცა იყო კაცი ქუელი,
მდივანბეგი შეერივა, მწარედ იბრძვის სისხლთა მღრუელი;
მივიდნენ და წამოყარეს, კვლავ გაიკრეს ხმალსა ხელი".[1]

როგორც ცნობილია, ახალგაზრდა ზაზას ჯერ კიდევ როსტომ მეფის ყურადღება დაუმსახურებია. პაპუნასთან ერთად როსტომი აღნიშნავს „ერთგულსა და თავდადებით ნამსახურობასაც".

იოსებ თბილელს ხსენებულ „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერის ბოლოს ლექსად დაწერილ ანდერძში ხოტბის სტრიქონები ჩაურთავს დამკვეთის – სარდალ სახლთუხუცეს, საბარათიანოს სპასპეტ ზაზა პაპუნას ძე ფანასკრტელ-ციციშვილის შესახებ, რომლის შინაარსიც ინტერესმოკლებული არ იქნება მკითხველისათვის:

„ვაქებ კაცს ბრძენსა ჭკვით სავსეს, სარდარ სახლთხუცეს ზაზასა,
გულისხმით მყოფსა კეთილთა კარგ საქმის მონახაზასა,
ნახავთ ტკბილ სიტყუას გიამბობს, დაგიფენს გულის მაზასა,
როს ლხინი სწადდეს ავს კაცსა დაუკლიტევდით რაზასა,
კარგ კაცთან ტკბილსა სიტყუასა ეწყობის გასაგონებლად,
ვინც ამისთვის ხართ იცოდეთ, თავი აქვს თქვენთვის მონებად,
არ მდომი არცა მას უნდა უგბელი შესაგონებლად
ძნელი ადვილ სჩანს გაბედვით, ღრმა გავლა გასაფონებად.
როს ცხენზე ნახავთ, თქვენც იტყვით, ერთ კაცად ესეც კმარისო,
გაგონილსა სჯობს ნახული, მისთვის არ გაიკმარისო,
ნადირობის დროს ნადირმან გარეთ ვერ გააკარისო,
და
მხეცნი კარს შიგნით შერბოდეს, ვიცით ისარი გვკარისო.
სიმხნე, ჭქუა და გონება მას სამივ შეუკრებია.
სმენთათვის სიტყუის სასმენად იტყვით რომ შესამცნობია.
თუ მას არ ევნოს სხვისათვის, სხვისგან მას არ ვნებია
და

---

[1] ფეშანგი, „შაჰნავაზიანი" (ლეონიძისა და იორდანიშვილის გამოცემა) 1935.

ძნელის საქმის ქნა ამისგან ადვილად შესაძლებია,
ჯერ ჭაბუკი არს, არ არის ოცდა ათისა მეტია,
მნახვთათვის ტურფა სანახი, მშვენებით შესამჭვრეტია,
ლხინს მოყვრობს, სევდა გულთაგან არა აქვს დაუშრეტია,
ომის დღე მისთა მებრძოლთა დამცემი, დამარეტია.
მამაცად არის მებრძოლი, რაზმთ ურცხვნად შემნახავია,
დროშისა ზურგი მაგარი, მტერზე მან არყოს ზავია,
სჯობს გვართა ნამუსისათვის, რომ ისახელოს თავია,
მებრძოლთა სისხლის მორევსა შიგან აცუროს ნავია".[1]

ზაზა ციციშვილს ხსენებული „ვეფხისტყაოსანი" მდიდრულად შეუმკვინებია. როგორც ყინწვისის ეკლესიის ეპიტაფიიდან ირკვევა, „თავადთა უთავადესი" ზაზა ციციშვილი მამულისა, ქონებისა და დიდების პატრონი ყოფილა და, რასაკვირველია, მას არ გაუჭირდებოდა ამ ხელნაწერის ასე მდიდრულად შემკობა.

საგულისხმოა, რომ ზაზას ინიციატივა და შემკვეთელობა „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერისა, შემთხვევით არ ყოფილა და წიგნის მეცენატობა ოჯახს საერთოდ თავიდან მოსდგამდა. მის ძმას ზაალს 1661 წელს გადაუწერინებია და მდიდრულად – „უნაკლულო და ყოველთურთ აღსრულებული ჯაზულითა და დახატვითა წიგნი „ჟამ-გულანი", რომლის მინაწერშიც ვკითხულობთ: „მე, სასოწარკვეთილმა და არა კეთილად მოღვაწემა, მე ცოდვილთა უნარჩეველსმა და უნანულმა, ფრიად ცოდვილმა ფანასკერტელმა ციციშვილმა სარდარის - პალატთ-უხუცის პაპუნას ძემან ზაალ და თანა მეცხედრემან ჩვენმან ასულმან ამირეჯიბისგან ბატონმან მარიამ, ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ და აღვანერინეთ წმინდა ესე და სულთა განმანათლებელი უნაკლო და ყოველთურთ აღსრულებული ჯაზულითა და დახატვითა ესე ჟამ-გულანი სულისა ჩვენისა საოხად და ძეთა სადღეგრძელოდ და სასურველისა ჩვენისა მშობლისა სასულიეროდ და მოსახსე-

[1] Q-1082.

ნებლად, ქართველთ მეფის დის დედისიმედის საოხად".[1]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზაზასეული „ვეფხისტყაოსანი" ლევან მირზას საკუთრება გახდა. მისი გარდაცვალების შემდეგ კი მისი შვილის, გონიერი სახელმწიფო მოღვაწის, სამშობლოს ნათელი მომავლისათვის თავდადებული მებრძოლის, მეფე-პოეტის ვახტანგ მეექვსისა. ვახტანგ მეექვსემ ხსენებული ხელნაწერი მზითევში გაატანა თავის ასულს თამარს, მეფე თეიმურაზ მეორის მეუღლეს. ერეკლე მეორის დედას. ერეკლე მეორემ ეს „ვეფხისტყაოსანი" მზითევში გაატანა თავის ასულს თეკლე ბატონიშვილს. თეკლეს ვაჟმა, 1832 წლის შეთქმულების მონაწილემ, დიდად განათლებულმა და მწიგნობარმა თავადმა ალექსანდრე ორბელიანმა 1853 წლის პირველ სექტემბერს, თეკლეს მზითვის „ვეფხისტყაოსანი" საჩუქრად მიართვა მეფის ნაცვალს ვორონცოვს. ამ ხელნაწერის მინაწერში ვკითხულობთ: „Книга Барсова Кожа" принесена в дар князью М. С. Воронцову князьем Александром Вахтангевич Орбелиановым 1 сент. 1853 года, Тифлис".

როგორც გამორკვეულია, აღნიშნული წარწერა პლ. იოსელიანის ხელით არის გაკეთებული, რომელსაც შუამავლის როლი უნდა შეესრულებინა.

პლ. იოსელიანი ვორონცოვის საგანგებო მინდობილობათა მოხელედ ითვლებოდა. ალ. ორბელიანი 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, არ იყო კარგი განწყობილებით ვორონცოვთან, რომელიც ალექსანდრეს საიდუმლო მიმოწერას აბრალებდა შამილთან. ამის გამო, ალექსანდრე ყოველნაირად ეცდებოდა ვორონცოვის გულის მოგებას და შესაძლებელია, რომ ეს ხელნაწერი სწორედ იმ ხანებში აჩუქა ვორონცოვს.[2]

გარდა ხსენებული „ვეფხისტყაოსნისა", სხვადასხვა დროს ქართველ თავადებს ვორონცოვისათვის ძველებურ იარაღთან და

---

[1] საისტ. საეთნ. საზოგადოების (H ფონდი) ხელნაწერი ნომ. 1142.

[2] ზურაბ ჭუმბურიძე, ძველი ხელნაწერების კვალდაკვალ, თბ., 1983, გვ. 283.

ძვირფას ნივთებთან ერთად ქართული ხელნაწერებიც მიუძღვნიათ. მაგ., ტიმოთე გაბაშვილის თხზულების „მოხილვა“... ორიგინალი. როგორც პლ. იოსელიანი გადმოგვცემს, „თვთ ნამდვილი ხელ-წერილი ტიმოთეს მოხილვისა ახლავს ან უგანათლებულესსა კნიაზ მ. ს. ვორონცოვსა. იგი მიართუა მას თავადმან ნიკოლოზ იოსების ძემან ფალავანდოვმან, დასაცუავად მისსა წიგნთა საცავსა“.[1]

პლ. იოსელიანისავე ცნობით, ვორონცოვისათვის უჩუქებიათ აგრეთვე ერეკლე მეორის შესანიშნავი პორტრეტი, რომელიც პერგამენტზე ყოფილა შესრულებული (ირაკლის კაბინეტის საკუთრება). გარდა ამისა, თვითონ ვორონცოვი სურათებს და მინიატურებს გულმოდგინედ აღებინებდა მხატვრებს ძველ-ძველ სიგელ-გუჯრებიდან. საქართველოდან წასვლის შემდეგაც ქართველი თავადაზნაურობა რუსეთში უგზავნიდა ვორონცოვს ქართულ რელიქვიებს.[2]

პლ. იოსელიანი ვორონცოვის ნაქონ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერის ისტორიას კარგად იცნობდა, მიმოიხილა კიდეც. 1870 წელს გაზეთ „კავკაზში“ (13) მან გამოთქვა მოსაზრება, რომ ამ ხელნაწერის მიხედვით უნდა ჩამოყალიბებულიყო ვახტანგის 1712 წლის გამოცემაო.[3] მისივე ცნობით, ამ ხელნაწერს კუთვნებია აგრეთვე შოთა რუსთაველის პორტრეტი, სადაც პოეტი წარმოდგენილია ფეხმორთხმით მჯდომარე, აღმოსავლურ ყაიდაზე, ერისკაცის ტანსაცმელში, მაგრამ იგი დაკარგულად ითვლებოდა.

1922 წლის ივნისში ს. კაკაბაძესთან, რომელიც მაშინ ცენტრალური არქივის უფროსი იყო, მისულა ივანე კოლოფაშვილი

---

[1] პლ. იოსელიანის შენიშვნა ტიმოთე გაბაშვილის „მიმოხილვის“ გარშემო, 1852, გვ. 154.

[2] პლ. იოსელიანის შენიშვნა ტიმოთე გაბაშვილის „მიმოხილვის“ გარშემო, 1852.

[3] გაზეთი „კავკაზი“, 1870, ნომ. 13.

და უცნობებია, რომ ყაზაროვს ბათუმში ჰქონია გაგზავნილი შოთა რუსთაველის პორტრეტი ინგლისელებისათვის მისაყიდადო. ს. კაკაბაძეს ეჭვი შეპარვია, გასაყიდად წაღებული პორტრეტი ხომ არ არის ამოღებული ვორონცოვისეული ხელნაწერიდან, რომელიც ალექსანდრე ორბელიანის ნაქონი იყოო. ს. კაკაბაძე დამუქრებია ყაზაროვს, მასაც შეშინებია და უკან ჩამოუტანია ხსენებული სურათი, რომელიც შოთას პორტრეტის დაკარგული ორიგინალი აღმოჩნდა. ხოლო ყაზაროვისათვის გზის ხარჯები უნდა გადაეხადა ცენტრალურ არქივს, მაგრამ თანხის უქონლობის გამო ს. კაკაბაძის თანაშემწის იოსებ ჭეიშვილის მცდელობით, ცნობილ მეყვავილეს მიხეილ მამულაშვილს, რომელსაც მაშინ ერევნის მოედანზე ქარვასლაში დიდი საყვავილე მაღაზია ჰქონდა, ყაზაროვთან ანგარიში გაუსწორებია. სანაცვლოდ, მიხეილს შესთავაზეს, თავისი სურვილით ამოერჩია დანესებულება, რომელსაც შოთას პორტრეტს გადასცემდნენ. მიხეილ მამულაშვილს დაუსახელებია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. რუსთაველის პორტრეტი თბილისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას გადაეცა.

ამრიგად, შოთა რუსთაველის პორტრეტი 1922 წელს თბილისის უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმის საკუთრება გახდა.

უნივერსიტეტის მაშინდელმა რექტორმა ივანე ჯავახიშვილმა მიხეილ მამულაშვილს ასეთი სამადლობელი წერილი გაუგზავნა:

მიხეილ მამულაშვილს.

სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობის სახელით უღრმეს მადლობას მოგახსენებთ თავ. გაგარინის ხელში ნაქონი შოთა რუსთაველის ძველი სურათის შემოწირვისათვის.

რექტორი პროფესორი ი. ჯავახიშვილი.[1]

ამჟამად რუსთაველის პორტრეტი ინახება საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.

ხსენებული „ვეფხისტყაოსნის“ ნუსხა დაკარგულად ითვლე-

[1] ზ. ჭუმბურიძე, ძველი ხელნაწერების კვალდაკვალ, 1983, გვ. 288.

ბოდა. 1933 წელს მოსკოვურ ჟურნალში „Литературное наследство“, (N 9-10) ი. ტროცკიმ გამოაქვეყნა ვორონცოვთა არქივის მიმოხილვა და აღნიშნა, რომ არქივში აღმოჩნდა „ვეფხისტყაოსნის“ დეფექტური, მაგრამ გრაფიკულად შესანიშნავი ხელნაწერიო. ამ ცნობას ყურადღება მიაქცია გ. ლეონიძემ და განცხადებით მიმართა უნივერსიტეტის მაშინდელ რექტორს ლ. აღნიაშვილს, რომელმაც ლენინგრადში მიავლინა ალ. დუდუჩავა ხელნაწერის ჩამოსატანად. 1934 წლის 27 დეკემბერს ხელნაწერი ადგილზევე იქნა შემოწმებული ალ. დუდუჩავას მიერ, მას ეხმარებოდნენ მ. ჩიქოვანი და ი. მეგრელიძე.[1] 1834 წლის პირველ იანვარს „ვეფხისტყაოსნის“ ეს ხელნაწერი თბილისში იქნა ჩამოტანილი, რომლის შესახებაც ცნობა გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტში“.

იმავე წელს „ლიტერატურული მემკვიდრეობის“ პირველ წიგნში გ. ლეონიძემ გაარკვია ხელნაწერის გადაწერის დრო, მისი გადამწერი და მომგებელი.[2]

1847 წელს პარიზში ლემერიეს ფერად ლითოგრაფიაში გრ. გაგარინის მიერ დაბეჭდილ ალბომში, რომელშიც მოთავსებული იყო სურათები დახატული ნატურიდან და მათ შორის 33 სურათი ეძღვნებოდა საქართველოს თემას, მათ შორის დაბეჭდილი იყო შოთა რუსთაველის პორტრეტი, რომელსაც ასეთი განმარტება ახლდა: „პორტრეტი, რომლის ასლსაც მე-11 ტაბულა იძლევა, მოთავსებული იყო ერთ ძალიან ძველ ხელნაწერში. ეს ხელნაწერი შედიოდა თავად რევაზ ერისთავის ქალის მზითევში, რომელიც ცხოვრობდა დაახლოებით 1700 წელს, შემდეგ იყო საკუთრება ბატონიშვილი ერეკლესი, ერეკლე მეორის უმცროსი ქალისა. დღეს იგი ეკუთვნის მის ვაჟს, თავად ალექსანდრე ორბე-

---

[1] გ. ლეონიძე, „ვეფხისტყაოსნის“ ახალი ხელნაწერი, ლიტერატურული მემკვიდრეობა, 1935, წ. I, გვ. 19-36.

[2] გ. ლეონიძე, „ვეფხისტყაოსნის“ ახალი ხელნაწერი, ლიტერატურული მემკვიდრეობა, 1935, წ. I, გვ. 19-36.

ლიანს, რომელმაც დაგვდო პატივი და გაგვაცნო ამ გამოცემის ავტორები". უკვე გამორკვეულია, რომ გაგარინს ამ ხელნაწერიდან ამოუღია რუსთაველის პორტრეტი (იგი სხვა ხელნაწერიდან გადმოუტანიათ ზაზასეულ ხელნაწერში).

პლ. იოსელიანი ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსვლის" კომენტარებში წერდა: „აქა თბილისს მეფის ირაკლის ასულს თეკლას აქუნდა ძუელად ნაწერი ვეფხისტყაოსანი სახით ანუ პორტრეტითურთ თვით რუსთაველისა, ერისკაცისა სამოსით, უფრო ყიზილბაშთა წესით. ეს წიგნი და პორტრეტი წარუდგინე კნიაზს მ. ს. ვორონცოვსა და ამან წარგზავნა სახე ესე ხელითა აქა ყოფილი ფრანცუზის მოგზაურის ფლერისა საფრანგეთისა ქალაქსა პარიჟსა, რათა გარდაბეჭდონ იგი მრავალრიცხვედ ეგზემპლარებად ხრომოლიტოგრაფიით".[1]

1870 წელს გაზეთ „კავკაზში" გამოქვეყნებულ წერილში პლ. იოსელიანი იხსენებს, რომ „ვორონცოვმა თავისი სურვილი ვერ განახორციელა და ჩემს ხელთ არსებული ეგზემპლარი იმავე პორტრეტისა გასულ (1869) წელს მივართვი მოსკოვში განათლებულ თავადს დ. ბ. გრუზინსკის მამულისა და მეფური წინაპრების იშვიათობათა და სიძველეთა შემკრებსა და დამცველსო".[2] (იხ. თავფურცელზე).

რუსთაველის პორტრეტის ორიგინალი თავიანთ გამოკვლევებსა და „ვეფხისტყაოსნის" გამოცემებში გამოაქვეყნეს პავლე ინგოროყვამ („რუსთაველიანა", 1926 წ.), იუსტინე აბულაძემ (1926 წ.) და სარგის კაკაბაძემ (1927 წ.).

---

[1] პლ. იოსელიანის შენიშვნა ტიმოთე გაბაშვილის „მიმოხილვის" გარშემო. 1852, გვ. 154.

[2] პლ. იოსელიანის წერილი გაზეთ „კავკაზში". 1870, ნომ. 13.

ბეგთაბეგ თანიაშვილი (მარტიროზაშვილი)

ერთ-ერთ საუკეთესო ნუსხად ითვლება „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი (H-54), რომელიც მეფე გიორგი მეთერთმეტის დაკვეთით 1680 წელს გადაუწერია მეფის მდივანს, ცნობილ მწერალსა და კალიგრაფს ბეგთაბეგ ავთანდილის ძე მარტიროზაშვილს.

ხელნაწერის ანდერძში ვკითხულობთ: „სახელითა ღმრთისათა, აღვასრულე ქორონიკონს ტ. მე ფრიად ცოდვილმან და სახელით ოდენ მდივანმან და საქმითა ყოველთა მწიგნობართა უნარჩევესმან ბეგთაბეგ და თუ უგბივებითა ჩემითა დამცდარი ნახოთ, ოდეს აღწერა მიბრძანეს, არწეს არს უარი პატრონისა, თუ არრა უხილავისსა და ხილულისა მტრისაგან დიდად შეღულარქმნილ იყო გონება ჩემი და კაეშნისა აღტუირთულობამ უკედ ვერ შემაძლებინა და ამად შემინდობდეს მე მეტება-დაკლებისათვის“.[1]

გიორგი მეთერთმეტის კარზე მრავლად იყვნენ მწიგნობრები, პოეტები, მეხოტბენი, ზოგიერთი მათგანი მეფის დავალებითა და მითითებით მუშაობდა.

ბეგთაბეგის სახელით გიორგი მეფის კარ ზე მწიგნობრის თანამდებობაზე ჩანს ბეგთაბეგ შანშეიან-მარტიროზაშვილი, რომლის მიერ შედგენილი 25-მდე დოკუმენტია ჩვენამდე მოღწეული.

მკვლევარი ანა ბაქრაძე (საქ. მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბეში) აღნიშნავს, რომ შანშეიან-მარტიროზაშვილების საგვარეულოში მდივან-მწიგნობრის სახელი მემკვიდრეობითია და ამ თანამდებობაზე ვხვდებით 1610 წლიდან ბეგ-

---

[1] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის H ფონდის აღწერილობა. ტ. I, 1946, გვ. 43-45.

თაბეგის მამას ავთანდილს, ხოლო შემდეგ მის ძმას სულხანს.[1]

შანშეიან-მარტიროზიშვილების საგვარეულო და მისი ერთი შტო ბეგთაბეგიშვილები განუწყვეტლივ ჩანან ქართლის სამეფო კარის მდივნებად XVIII საუკუნის ბოლომდე.[2] როგორც გამორკვეულია, ბეგთაბეგიშვილები ყოფილან სოფელ ვაყიდან (სადგურ გომიდან ორი კილომეტრის დაშორებით).

კ. კეკელიძის აზრით, ბეგთაბეგი ცნობილია თანიაშვილის გვარით, იმ ცნობის საფუძველზე, რომელიც დაცული აქვს არჩილ მეფეს „ძველთა და ახალთა საქართველოს მელექსეთა" აღნუსხვისას, სადაც ბეგთაბეგის ძმა სულხანი თანიაშვილად იწოდება.[3]

თანიაშვილების გვარი გვხვდება აგრეთვე 1678 წლის სიგელში, რომელიც გაცემულია ნიკოლოზ ამილახვრისა და ევდემოზ კათალიკოსის მიერ დიღმის წმინდა გიორგის დეკანოზისადმი. აქ იხსენიება მოწმედ ვინმე ელიზბარ თანიაშვილი.[4] ერთ-ერთ სიგელში კი დადასტურებულია საკუთარი სახელი თანია, საიდანაც სულხანის გვარი წარმოსდგება.[5]

სამეცნიერო ლიტერატურაში ბეგთაბეგის ვინაობა უფრო უკეთაა წარმოდგენილი, ვიდრე სულხანისა. კ. კეკელიძე წერს: „იგი უნდა იყოს ბეგთაბეგი, რომელიც ცნობილია როგორც მდივანი და მწიგნობარი მეფის გიორგი XI შაჰნავაზისა. მას გადაუწერია „ვეფხისტყაოსნის" ერთ-ერთი საუკეთესო ნუსხა (H-54), მეტად ენანყლიანი კაცი ყოფილა, რასაც ამოწმებს გიორგი მეფის პროზაული შექება. ის რომ ამასთანავე პოეტიც ყოფილა, ჩანს იქიდან,

---

[1] ა. ბაქრაძე, მე-17-18 სს ქართველ მდივან-მწიგნობართა გენიალოგიის საკითხისათვის, საქ. მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. IV, 1961, გვ. 55.

[2] Л. Меликседбек, усыпальница кн. Бектабековых, 1914, стр. 3.

[3] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1941, გვ. 31.

[4] საქართველოს სიძველენი, II, 1902, გვ. 95.

[5] საქართველოს სიძველენი, II, 1902, გვ. 95. იოანე ბატონიშვილი „კალმასობა", მცირე უწყებანი ქართველთა მწერალთათვის, ბთ., 1936, გვ. 36.

რომ „ვეფხისტყაოსნის“ ამავე ნუსხაში მას მოუთავსებია თხუთმეტსტროფიანი ლექსით ქება ან ოდა გიორგი მეფისა“.[1]

ს. კაკაბაძის ცნობით, იგი იხსენიება, როგორც „შანშეიან-მარტიროზის შვილი, რომელსაც თავადობა მიუღია და ბეგთაბეგიშვილობათა გვარისათვის დაუდვია სათავეო.[2]

მართლაც, შახნავაზის, გიორგი XI-ისა და ნაზარალხანის მიერ გამოცემულ სიგელ-გუჯრებში მოხსენებულია ბეგთაბეგი, როგორც კარის მდივან-მწიგნობარი „შანშეიან-მარტიროზაშვილი“ (სიგელი გაცემულია 1670, 1675 წწ). ასე რომ, სულხანი და ბეგთაბეგი, რომელთაც გაულექსავთ „ამირანდარეჯანიანი,“ მარტიროზა თანიაშვილის შვილები ყოფილან.[3] იუსტინე აბულაძის აზრით, ბეგთაბეგი უნდა იყოს VII საუკუნის პირველი ნახევრის მელექსე ბეგთაბეგ, რომელსაც დავით გურამიშვილი ათავსებს საქართველოს საუკეთესო პოეტთა პანთეონში.[4]

როგორც გამორკვეულია, სულხან თანიაშვილი მე-17 საუკუნის მეორე ნახევრის პოეტია, „ამირანდარეჯანიანის“ ერთ-ერთი გამლექსავი (გაულექსავს პროზაული ვერსიის პირველი სამი კარი).

არჩილ მეორის ცნობით, განსწავლული კაცი და კარგი მელექსე იყოო და იქვე შენიშნავს: „სულხან თანიაშვილმა თქვა ამირანდარეჯანიანის ძის გამოჩვენება (ანუ თავმომწონეობა)“. ამ ცნობის მეცნიერულ დასაბუთებას შეეცადა გ. ჯაკობია და გალექსილი „ამირანდარეჯანიანი“ სულხანის სახელით გამოსცა კიდეც.[5] არჩილი წერს: „სულხანი მეც მახსოვს, იყო ჩემობას“.

---

[1] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 2, 1960, გვ. 355-360.

[2] ს. კაკაბაძე, რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“, 1966, გვ. 94.

[3] ს. კაკაბაძე, რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“, 1966, გვ. 94.

[4] იუსტინე აბულაძე, რუსთველოლოგიური ნაშრომი, თბ., 1967.

[5] სულხან თანიაშვილი, „ამირანდარეჯანიანი“ ჯაკობიას რედაქციით, 1941, გვ. 380.

სულხანი ახალგაზრდა გარდაცვლილა. დაახლოებით 1788 წელს, რადგან შაჰნავაზის (1658-1676 წწ.) მეფობის დროს მის მიერ გადაწერილი სიგელები არ ჩანს.[1]

ამრიგად, სამეცნიერო წყაროებიდან დადასტურებულია, რომ სამეფო კარის მდივან-მწიგნობრად თითქმის ორმოცი წლის განმავლობაში ბეგთაბეგი მოჩანს (იგი იხსენიება 1661-1697 წლებში გადაწერილ დოკუმენტებში).[2]

როგორც ჩანს, სულხანმა „ამირანდარეჯანიანის" გალექსვა დაიწყო სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, ხოლო მისი ნაღვაწი გააგრძელა და დაასრულა მისმა ძმამ ბეგთაბეგ თანიაშვილმა 1680 წლამდე (ვეფხისტყაოსნის გადაწერამდე).

ბეგთაბეგი „ამირანდარეჯანიანის" მინაწერში ამბობს:

„არსად მეთქვა ამის მეტად ლექსი წიგნსა ჩასაწერად".

„ბეგთაბეგ გკადრებ მკითხველსა,

მე ვლექსობ უცნობლობითა". (649).

„სულხანს ეთქვა ჩემს ძმასა... ლექსი გარკვევით მშვენვარე." (661).

„მაგრამ მას სოფელმა უმუხთლა, მისცა ვნებანი, ის წიგნი დარჩა უსრულად, იმ სოფლისკენ ქმნა რებანი." (357).

„ამიტომ ამ წიგნს მივჰყევ ხელი დასასრულად." (440)

„და, რაც ძმას დარჩა, მე ვასრულებ." (753)

ბეგთაბეგ თანიაშვილის მიერ 1680 წელს გიორგი მეფის დაკვეთით გადაწერილი „ვეფხისტყაოსნის" ტექსტი XVII საუკუნისათვის დამახასიათებელი ლამაზი მხედრულით არის დაწერილი. შესრულებულია მაღალმხატვრულად და კალიგრაფიული ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს.

---

[1] სოლ. ყუბანეიშვილი, „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერთა სტროფული შედგენილობა, თბ., 1959, გვ. 316.

[2] სოლ. ყუბანეიშვილი, „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერთა სტროფული შედგენილობა, თბ., 1959, გვ. 316.

ხსენებული ხელნაწერი საგანგებოდ მორთული წიგნია, როგორიც უნდა ყოფილიყო მეფის საკუთარი წიგნი. ყოველი გვერდი ჩასმულია სწორკუთხა ჩარჩოში, რომელიც სინგურის ლურჯი და ოქროსფერი ზოლებისაგან არის შედგენილი. ხელნაწერის აშიები ოქროთია მოხატული. ქაღალდის თეთრ ფონზე ირანული ყაიდის მცენარეული ორნამენტია მოცემული. ოქრო ორი ტონისაა – ერთი უფრო მოყვითალო, მეორე – მომწვანო. აშიებზე გამოხატულია ფოთლებ და ყვავილებგაბმული რტოების ხლართი, რომელშიც ზოგან თითქოს სურათებია – ბუჩქები, თაიგულები, ცხოველები, მაგრამ ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ხელნაწერის მხატვრული გამფორმებელი ბეგთაბეგი არ უნდა იყოს.[1]

თავის ანდერძში ბეგთაბეგი აღნიშნავს: „სახელ მშვენიერმან პატრონმან უფალმან ჩვენმან გიორგი – ბრძანება იყო ჩემდა მიმართ დასაწერად წიგნისა ამის ვეფხისტყაოსნისა და წარაგო მრავალი წარსაგებელი, ვითარცა საცნაურ ჰყოფენ თუალნი მხიარულთანი ხელოვნებასა ამის წიგნისასა, და ენება, რათამცა ფრიად კეთილ შუენიერ ყოფილიყო, – ესეცა უწყოდით, უფალნო ჩემნო, მრავალნი მეფენი გარდაცვალებულან და არავის შეუმკია წიგნი ვეფხისტყაოსანი მსგავსად პატრონისა ჩუენისად. განაძლიეროს და მრავალჟამსყოს ღმერთმან მეფობა და ხელმწიფობა ამისი. ნახუიდეთ სცნობთ, არს, და თქუენცა ბრძანებთ, ვითარმედ კეთილ არს. ხოლო სრულ იქმნა წიგნი ესე ინდიკტიონსა მფლობელსა ჩუენისასა მეოთხესა.[2] ე. ი. წიგნი, ისე როგორც მეფეს ენება, მართლაც მშვენიერია. ნაწერის გარდაო /ის რაც არსცა ფრიად კეთილ და შუენიერი/, ზოგი მკვლევარის აზრით, სხვისი ნამოღვაწარია.[3]

---

[1] შ. ამირანაშვილი, შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ ძველ ქართულ ხელოვნებაში, III, 1938, გვ. 55. მისივე Грузинское искусство, стр. 282-287.

[2] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H ფონდი, ტ. I, თბ., 1946, გვ. 43.

[3] ვახტანგ ბერიძე, „ძველი ქართველი ოსტატები“, თბ., 1967, გვ. 99.

როგორც გამორკვეულია, ბეგთაბეგის მიერ გადაწერილი „ვეფხისტყაოსნის“ შემკობ-გამფორმებელი არ არის ცნობილი, მაგრამ, რადგანაც კალიგრაფი ბეგთაბეგი სამეფო სიგელებს ორნამენტებით ამკობდა, სავსებით შესაძლებელია, რომ ამ ხელნაწერის შემკობ-გამფორმებელიც ის იყოს.

ბეგთაბეგ თანიაშვილს თავის მიერ გადაწერილი „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერისათვის დაურთავს ქება გიორგი მეფისა:

„ბულბული უტყქმნის გაცუდდის რა იქმდის სიტყუას თქმეულად,
და ავს თუალითა მის მნახი ღმრთის განმც გახდების წყეულად,
გულტკბილი, ენაშაქარი არ თქმულა მისგან მკუხია.
ხელფეხ ჩაუქი ვეფხისებრ ან გკადრო კულა სიუხია,
მისგან გაცემა სიმრავლით ცის მსგავსად მოსაქუხია.
ბურთის მტაცს დიბას მთელს მისცემს, ვეჭუ ვერვინ გარდაუხია,
აჰა გასინჯეთ მჭვრეტელნო ვით სცოდნავს ბურთი სრეული.
გავიდის გკადრო ხელფიცხად მისგან ჩოგანი ქნეული,
ერთხელ აიგდის, ამოჰკრის უცდურად ოთხ-ხუთეული,

და

ძრიელ კურით ბურთი გახეთქის ან ქნის ჩოგანი მტურეული.
ცხენსა მჯდომარე მას ჰგუანდა კირჩხიბით იხსნას მზევიდა,
იქმოდენ დარბაისელნი მას საბურთალად წყევითა,
უბრძანებს რადგან იჭურვით ნახეთ ვიბურთებ მე ვითა,

და

საჭრუეტლად ყუოველ სულდგუმლ არს ერთმანეთსა წევითა,
ისარს ისროდა ხელმარჯვედ მშუილდს უყუის გამოზიდობა,
მან ლომი მოკლის ჩაუქად არ ჰქონდეს მისი რიდობა,
სხვას რასაც ნადირს მან უყუის სასროლად გამოკიდობა,
მობრუნდის ვნახოთ მოკლული მარქაფას ჰქონდა კიდობა.“[1]

მემატიანე ბერი ეგნატაშვილი გიორგი XI-ს საკმაოდ კარგი გარეგნობის და ვაჟკაცური ბუნების ადამიანად წარმოგვიდგენს:

---

[1] H-54, (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, თბ., 1946, გვ. 43.).

„ძლიერი, გოლიათებრ, სამხედროთა საქმეთა სრული და ხელგა-მოვლილი, ასეთი სიტყუა ჰქონდა, მტერნი მოყურად შეცვალის“.[1]

სეხნია ჩხეიძე შენიშნავს: „მის ხუმრობასა და სიტყვის მარ-ჯობას არა გაეწყობოდა რა“.[2]

გიორგი XI იყო თავისი დროის ქართული ენის დიდი მესი-ტყვე. მწიგნობრობის თავკაცი და მეცენატი, თანაც მწერლობაში ხელგაწაფული. მისი თხზულებაა „თხრობანი სულთა და ხორ-ცთანი ურთიერთას“, თქმული საქართველოს მეფის გიორგის მიერ“... მისი მითითებით არაერთი ხელნაწერი იქნა გადანუს-ხული. ქართული სტამბის ინიციატორი თავის ძმა (განსწავ-ლული სამეცნიერო წიგნთა) ლევანთან ერთად. აგრეთვე, მას მხარში ედგა მისი სულიერი მოძღვარი, მისივე აღზრდილი სულ-ხან-საბა ორბელიანი, რომელიც ყოველი მისი კეთილშობილური საქმის სულისჩამდგმელი იყო.

ისტორიულად ცნობილია, რომ გიორგი XI-ის მეფობის ხანა ხასიათდებოდა მეტად მძიმე და რთული საშინაო და საგარეო ვი-თარებით. მართალია, ქართლს ნომინალურად განაგებდნენ ნაცი-ონალური დინასტიის წარმომადგენლები, მაგრამ ქვეყნის ბედ-იღბალი ნამდვილად შაჰზე იყო დამოკიდებული. ამასთან, გამე-ფების აუცილებელი პირობა გახდა მაჰმადიანურ რჯულზე გა-დასვლა.

როგორც ცნობილია, გიორგი XI ცდილობდა მეფის ხელი-სუფლების განმტკიცებას და ირანელთა ბატონობის მოსპობას ქართლში და აჯანყდა ოსმალების წინააღმდეგ. ამას თან და-ერთო ფეოდალთა თვითნებობა, რომლებიც იბრძოდნენ სამეფო ტახტის წინააღმდეგ და გიორგიმ ვერ დათრგუნა მათი თავაშვე-

---

[1] ქართლის ცხოვრება, (მარი ბროსეს და დავით ჩუბინაშვილის გამო-ცემა), პეტერბურგი, ტ. II, 1854, გვ. 7-76.

[2] ქართლის ცხოვრება, (მარი ბროსეს და დავით ჩუბინაშვილის გამო-ცემა), პეტერბურგი, ტ. II, 1854, გვ. 7-76.

ბული მოქმედება. ყოველივე ამას დაერთო ისიც, რომ ყაენმა როგორც თავის ვასალს გიორგის მოსთხოვა მძევლად ძმა – ლევანი და ძე ბაგრატი. ეს მძიმე ვითარება უფრო გაამძაფრა 1688 წლის აჯანყებამ.[1] ფეოდალთა უმეტესობამ მხარი დაუჭირა შაჰის მიერ ქართლში მეფედ გამოგზავნილ გამაჰმადიანებულ ერეკლე პირველს, თეიმურაზ პირველის შვილიშვილს, რუსეთში აღზრდილ „ნიკოლაი დავიდოვიჩს"; სპარსეთში ცნობილ ნაზარალხანს, რომელმაც 1688 წელს სპარსული საინტერვენციო ჯარების დახმარებით გააძევა გიორგი და ტახტი ხელთიპყრა. გამაჰმადიანებულმა ერეკლე პირველმა როსტომ მეფესაც კი გადააჭარბა სპარსულ-ყიზილბაშური წესების შემოტანასა და გავრცელებაში. ვახუშტი გადმოგვცემს: „შეერიათ ქართველთა განცხრომა, სმა-ჭამა ყიზილბაშური, სიძვა, მრუშობა, ვიდრე სოდომიადმდე, ტყუვილი, ხორც-განსვენება, უგვანო კეკლუცობა. რამეთუ ამა საქმეთა მოქმედთაგან კიდე არავის სცემდნენ პატივსა, მღვდელმთავარნიცა ჰყოფდნენ უჯეროთა".[2]

ერეკლე პირველი ქართლის გავლენიანი საზოგადოებისათვის ორმაგად აღმოჩნდა მიუღებელი. ჯერ ერთი, ამით საქართველოში მტკიცდებოდა უხეშ ძალმომრეობაზე დამყარებული ხელისუფლება სპარსულ-მაჰმადიანური ხასიათისა. მეორეც, ნაზარალხანი კახეთის ბაგრატოვანთა შტოს ეკუთვნოდა და ლეგიტიმურ მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებდა. ყოველივე ეს და მრავალი სხვა მიზეზი იწვევდა ქართლის მოსახლეობის უკმაყოფილებას.

იმერეთს თავშეფარებული მეფე გიორგი კვლავ განაგრძობდა ბრძოლას ქართლის ტახტის დასაბრუნებლად.

გამოხდა ხანი. სპარსეთის მპყრობელმა შაჰ ჰუსეინმა თა-

---

[1] ლეონიძე, წინასიტყვაობა „სიბრძნე სიცრუის" (ს. იორდანიშვილის რედაქციით), 1938, გვ. I.

[2] ქართლის ცხოვრება, ტ. II, 1854, გვ. 7-76.

ვისთან იხმო მეფე გიორგი. შეიწყალა, დაუბრუნა ქართლის ტახტი, უბოძა სპარსეთის უმაღლესი მთავარსარდლობა, ბეგლარბეგობა ქირმანისა, ყანდარჰარისა და გროშკისა, სამაგიეროდ, შაჰს სჭირდებოდა ბრძოლებში ნაწრთობი გიორგი და მისი ლაშქარი ავღანელების ასალაგმავად, რომლებიც იბრძოდნენ შაჰის ხელისუფლების დასამხობად.

გიორგიმ დიდი გამჭრიახობა გამოიჩინა, შაჰის „ყველა ურჩი დაამშვიდა, რამეთუ ხოსროშა და მადადა მპყრობელნი ბელუჭისაგან მოვიდნენ წინაშე მისისა შიშით შეძრწუნებულნი და თაყვანისმცემელნი“.[1] გიორგი მეფემ აჯანყების მოთავე მირვეისი კი შაჰს მიჰგვარა. მაგრამ გიორგის მტრებმა შაჰი გადაიბირეს და ავღანთა ბელადი უდანაშაულოდ ცნეს. შაჰის მეშვეობით მტრები შერიგდნენ. გიორგიმ გულიდან ამოირეცხა ყოველგვარი წყენა მირვეისის მიმართ და მიენდო. ავღანელთა ბელადს კი გიორგის მიმართ ღალატი ედო გულში და დროს უცდიდა.

ერთ დღეს, როცა მირვეისმა ნადიმი გამართა გიორგის პატივსაცემად და მიიწვია მთელი ამალით, აღელვებულმა მირვეისმა აუწყა გიორგის ფირანთა ამბოხის შესახებ. გიორგიმ არ დააყოვნა და თავისი საუკეთესო ლაშქარი გაგზავნა ფირანთა ბუდეების მოსათხრელად. თავისთან კი მებრძოლთა მცირე ნაწილი დაიტოვა. მირვეისს თავის განზრახვის აღსრულების დრო დაუდგა. ნადიმზე მიპატიჟებულ სტუმრებს ღვინოს აძალებდა ავღანელი. ქართველებიც მიეძალნენ ღვინოს, ნადიმი შუაღამემდე გაგრძელდა. ქალაქიდან სამი ვერსის მოშორებით ჩასაფრებული ავღანთა ჯარი მირ-ვეისის ნიშანს ელოდა. დამთავრდა ნადიმი და ღვინით ხელდარეული ქართველები დაბრუნდნენ სახლში. მეფე გიორგი მარტოდმარტო შევიდა სასახლეში.

ძილში ჩაძირულ ქართველებს თავს დაესხა ავღანთა ჯარი და ერთიანად ამოჟლიტა. მეფე გიორგის ტრაგიკულ სიკვდილს

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. II, 1854, გვ. 7-76.

კი ასე აგვიწერს მწერალი ლევან სანიკიძე: „კარის ზრიალმა და თოფის გრიალმა წამოაგდო ფეხზე გიორგი. მშვილდი და კაპარჭი აიტაცა და რვაჯერ მოასწრო ისრის გასროლა. რვაჯერ გაისმა მომაკვდავის ბღავილი, ისრები რომ შემოეხარჯა, ხელგამართული ეკვეთა მტერს, ზედიზედ დასცა მომხდური. „თოფებიო"! – დაიძახა მირ-ვეისმა და საშინელმა გრიალმა შეაზანზარა სასახლე. სისხლით დატბორილ იატაკზე ათ-თორმეტი მკვდარი ესვენა – ზოგი ისრით გულგაპობილი, ზოგიც ხმლით შუაგაჩეხილი. ცალკე იწვა ვეება გვამი, ტყვიით დაცხრილული. ეს იყო გიორგი XI, მეფე ქართველთა. ... მიეჭრა მირვეისი, დალეწილი მკერდი მოუჩხრიკა და ... ქრისტეს ჯვარცმამ იელვა ქართველი მეფის მეწამულ მკერდზე. იქვე, სარეცლის სასთუმალ ქვეშ ბიბლია გამოჩნდა, ფსალმუნზე გადაშლილი. ღმუილი აღმოხდა მირ-ვეისს: შაჰსა და ქვეყანას მაჰმადიანობას ეფიცებოდა, ხოლო სულით და გულით ქრისტიანად დარჩენილა![1] ჯვარი ააგლიჯა მკერდიდან მოკლულს, ბიბლიაც აიტაცა და მალემსრბოლი იხმო. მეორე დღეს, შუაგულ მოედანზე ქართველთა გვამებით აღმართულ გორაზე, რომელსაც ზემოდან მეფე გიორგის უზარმაზარი ცხედარი გადასწოლოდა, ცხენზე ამხედრებულმა ავღანელმა ბელადმა ჯარისა და ხალხის გასაგონად, ხელი გიორგისაკენ გაიშვირა და შესძახა: „აი, ხელმწიფე გურგი-ხან, იგი უკვე აღარ არსებობს ცოცხალთა შორის, ქართველი კაცი, ერთადერთი სპარსელთა შორის, რომელმაც ღირსეულად დაიმსახურა სახელი ჭეშმარიტი მხედრისა, ხელმწიფისა და ვაჟკაცისა!"[2]

მართლაც რომ გულდასაწყვეტია ამ დიდი მამულიშვილის, სამშობლოდაკარგული კაცის სიცოცხლის ტრაგიკული დასასრული 51 წლის ასაკში, 1709 წლის 21 აპრილს ავღანეთში (ყანდაჰარაში). შემდგომ წლებში ავღანელებთან ბრძოლაში დაიღუპ-

[1] ლევან სანიკიძე, დედაისტორია, II, 1986, გვ. 67-70.

[2] ლევან სანიკიძე, დედაისტორია, II, 1986, გვ. 67-70.

ნენ აგრეთვე გიორგის ძმა ლევანი, ქაიხოსრო და ალექსანდრე ლუარსაბის ძე (1711), გიორგის ერთადერთი ძე ბაგრატი სპარსეთში მძევლობაში აღესრულა მშობლიურ მიწას მოცილებული და ქართველი დედისაგან დაუტირებელი.

გიორგი მეფის, უკანასკნელი დიდი გიორგის უებარი სიქველე და თავგანწირვა უმადურ „უცხო თესლთათვის" უცხო მხარეში, მაინც დიდ მადლად გამოადგა მის სამშობლო საქართველოს. სწორედ მან წარმართა საქართველოს მოსისხლე სპარსეთის ხარბი თვალი აღმოსავლეთ ირანსა და ავღანეთისაკენ, ხოლო ეს დრო კარგად გამოიყენა გიორგის ძმისწულმა ვახტანგ მეექვსემ და მშობლიური ქართლი მკვდრეთით აღადგინა, ააღორძინა და ააყვავა, ყოველივე ეს გიორგი XI-ის მადლი იყო. მისი „უიღბლობა" მისსავე სამშობლოს ფეხბედნიერ „იღბლად" მოევლინა.

გიორგი XI-ის შეკვეთით გადაწერილი „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერი ბოლოს ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის საკუთრება გამხდარა. რასაც ადასტურებს ბოლო ფურცლის მინაწერი: „ქორონიკონს ჩღჟა მოველ საქართველოდამ სამეუფოსა ქალაქში მოსკოვს მე, თავადი გრიგოლ სახლთუხუცის ძე ქაიხოსრო ჩოლოყაევი, საქართველოს მეფის ირაკლის დროს, და ვიყავი კახეთის სახლთუხუცესი და ამილახვარი, და ვიშოვე აქ მოსკოვს ეს ვეფხისტყაოსანი და წაველ ისევ საქართველოში ჩღჟგ (1793) წელსა, თვესა მაისს, ვინც ეს ნაიკითხოთ, ამ წერილით მოგონებული მყავით, „ქაიხოსრო".[1]

როგორც მინაწერიდან ირკვევა, ხელნაწერი საქართველოდან წაუღიათ რუსეთში. 1791 წელს მოსკოვში წასულა კახეთის სახლთუხუცესი და ამილახვარი ქაიხოსრო გიორგის ძე ჩოლოყაშვილი, რომელსაც შეუძენია აღნიშნული ხელნაწერი და 1793 წელს სამშობლოში წამოუღია. ამის შემდეგ ის დაცული ყოფილა

[1] H-54.

სოფელ ახმეტაში ჩოლოყაშვილების ოჯახში. ბოლოს მისი პატრონი გამხდარა რევაზ ჩოლოყაშვილი. მისი ვაჟი სწავლობდა თბილისის ქართულ გიმნაზიაში, რომლის გამგეც იმ დროს ექვთიმე თაყაიშვილი იყო.

ექვთიმემ რომ შეიტყო, მისი მონაფის ოჯახში „ვეფხისტყაოსანი" ინახებოდა, მან ჯერ ითხოვა ჩოლოყაშვილის ვაჟისაგან შესასწავლად, შემდეგ კი მუზეუმისათვის დაათმობინა. ვაჟის დედას მიუხედავად მძიმე ეკონომიკური პირობებისა, ძალიან უჭირდა ხელნაწერის შელევა. მას უთქვამს, რომ გაყოფის დროს ჩემმა ქმარმა ცამეტი დღიური მიწა დაუთმო ამ ხელნაწერის სარგოდ ძმებსო. დიდი ხვეწნის შემდეგ 1909 წელს ხელნაწერი ას მანეთად შეიძინა ე. თაყაიშვილმა საისტორიო საეთნოგრაფო საზოგადოებისათვის.[1]

– ეს იყო უდიდესი საფასური, რაც კი ოდესმე მიმიცია ქართულ ხელნაწერშიო, – შენიშნავს ექვთიმე თაყაიშვილი და იქვე დასძენს: ეს ხელნაწერი ევროპის რომელიმე მუზეუმს რომ მიუტანოთ, ულაპარაკოდ მოგცემენ მილიონსო.[2]

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ჩოლოყაშვილების ოჯახს ეკონომიკურად გაუჭირდათ და ექვთიმესაგან მოითხოვეს ხელნაწერის უკან დაბრუნება. ჩოლოყაშვილების ვაჟს ექვთიმემ უპასუხა: „შეგნებული ახალგაზრდა ხარ და კარგად უნდა გესმოდეს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის ამ ხელნაწერს, როგორ შეიძლება იგი საქართველოს დაეკარგოსო". ვაჟმა კი მორცხვად მიუგო: თითონაც მცხვენოდა ამ საქმეზე თქვენთან მოსვლისა, მაგრამ დედაჩემმა საშველი აღარ მომცაო. ჩემი და ერთ ინგლისელს მისთხოვდა (ეს ის დრო იყო, როდესაც ჩვენში

---

[1] ექვთიმე თაყაიშვილი, მოგონებები, ჟურნ. „მნათობი", 1958, ნომ. 7, გვ. 163.

[2] ს. ყუბანეიშვილი, „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერთა სტროფული შედგენილობა, თბ., 1959, გვ. 301-302.

ინგლისის ჯარი იდგა) და სიძე ეუბნება დედაჩემს, თუ მართლა ეგეთი ძვირფასი შემკულობა აქვს იმ ხელნაწერს, ძვირად გაგიყიდითო". ექვთიმეს უთხოვია ვაჟისთვის მიეყვანა ის ინგლისელი ექვთიმესთან მოსალაპარაკებლად. ვაჟს მართლაც მიუყვანია თავისი სიძე.

„დიდად სიმპათიური ახალგაზრდა გამოდგაო, წერს ე. თაყაიშვილი. სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი, განათლებული, რუსულის მცოდნე. მე, რა თქმა უნდა, ავუხსენი, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის იმ ხელნაწერს და ვთხოვე, დაგვხმარებოდა, მით უმეტეს, რომ ხელნაწერი თავის დროზე ნაყიდი იყო წერაკითხვის საზოგადოების მიერ და ამიტომ საქმე უსასამართლოდ ვერ გადაწყდება, საზოგადოება შეძენილ ხელნაწერს ისევ გამყიდველს ვერ დაუთმობს მეთქი. მერე თვითონაც ვაჩვენე ამ ინგლისელს ის ხელნაწერი და თავიდან ბოლომდე დავათვალიერებინე. ძალიან მოეწონა და მითხრა: „ასეთი წიგნი ყოველი ერისათვის ნაციონალური სიამაყის საგანია და, რასაკვირველია, ეგეც ქართველებს უნდა დარჩეთო, ოღონდ, ჩემი სიდედრი რომ დავაშოშმინო, თუ შეიძლება, ცოტა ფული მაინც უბოძეთო".[1]

თაყაიშვილის შუამდგომლობით საისტორიო-საეთნოგრაფო საზოგადოების გამგეს დავით კარიჭაშვილს დამატებით გაუღია 200 მანეთი.[2] ამჟამად ხსენებული ნუსხა „ვეფხისტყაოსნისა" დაცულია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში (H-54).

---

[1] ექვთიმე თაყაიშვილი, მოგონებები, ჟურნ. „მნათობი", 1958, ნომ. 7, გვ. 163.

[2] ექვთიმე თაყაიშვილი, მოგონებები, ჟურნ. „მნათობი", 1958, ნომ. 7, გვ. 163.

პაპუნა ბებურიშვილი

ერთ-ერთ საუკეთესო ნუსხას წარმოადგენს კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი (S-28-29), გადაწერილი 1688 წელს ერეკლე პირველის სახლთუხუცესის პაპუნა ბებურიშვილის დაკვეთით.

ხსენებული ხელნაწერი ძველადვე ყოფილა დაზიანებული. რესტავრირებულია და ჩასმულია მუყაოს ყდაში. დაწერილია მხედრულად, მრგვალი, ლამაზი კალიგრაფიული ხელით. სათაურები და სტროფის დასაწყისი სიტყვები სინგურით. გადამწერი და გადაწერის ადგილი უცნობია.[1]

„ვეფხისტყაოსნის“ ამ ნუსხის (S-28-29) ანდერძი გვაძლევს ცნობას დამკვეთსა და თარიღზე.

„ბებურიშვილს ღმერთმან ახმაროს, პაპუნა სახელიანი,
ერეკლეს სახლთხუცესია, ბრძანდების სამართლიანი.
ბატონიშვილი ერეკლე მოწყალე, დავლათ სვიანი,
და
ქორონიკონი ჯდებოდა ტარი, ონი, ვინიანი.“

პაპუნას დაკვეთით გადაწერილი „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი საყურადღებოა კრიპტოგრაფიული წარწერებით, რომელთა გაშიფრვის შემდეგ მკვლევარმა გივი მიქაძემ ამოიკითხა ცნობები სალომე წერეთელსა და მის ახლობლებზე. გავეცნოთ ზოგიერთ მათგანს:

„დაო ბატონო სალომე, ტანზე გამშვენებს ტოფია,
გონებით განუშორებლად მუდამ ვარ შენთან მყოფია!“

---

[1] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის S ფონდის ხელნაწერი, ნომ. 28-29.

„ჩემო გულო და სულო, ბატონ წერეთლის ასულო.“

ზემო აშიაზე: „ნეტაი პაატა აბაშიძის სიცოცხლეს – სალომეს რომ ცოლათ იფიქრებს, სახლთუხუცეს – სიმამრათ და დადიანის ქალს – სიდედრათ: მოყვრებადა სვიმონს, დავითს და გრიგოლს“.

„ეს ვეფხისტყაოსანი სახლთუხუცესის ასულის სალომესი არის. ღვთისმშობელმა და მკვდრეთით აღდგომილმა იესომ მისი მამის, დედის, ძმების სიცოცხლით მრავალჟამიერ ახმაროს წელთა მრავალთა. ვინც ეს სალომეს მოპაროს, ათასის პატრიარქისაგან დაინყევლოს და შეაჩვენოს (და იმ სოფელსა წარწყმიდოს და ამა სოფელსა)“.[1]

როგორც მინაწერებიდან ირკვევა, ხელნაწერის მფლობელი ყოფილა სახლთუხუცეს ზურაბ წერეთლის ასული სალომე.

ზურაბ წერეთელი იმერეთის მეფეთა, ჯერ სოლომონ პირველის, შემდეგ სოლომონ მეორის სახლთუხუცესი, პირველი ვეზირი იყო. 1782 წელს დავით მეორემ კათალიკოს მაქსიმე აბაშიძესა და მდივანბეგ დავით კვინიხიძესთან ერთად პეტერბურგში ელჩად წარავლინა.

ზურაბ წერეთელმა დიდი როლი შეასრულა დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების რუსეთის მფარველობაში შესვლისა და მასთან შეერთების საქმეში. ამ დამსახურებისათვის მას პოლკოვნიკობა ებოძა. 1810 წელს კი იმერეთის აჯანყების ჩაქრობაში აქტიური მონაწილეობისა და სოლომონ მეორის იმერეთიდან განდევნისათვის, რუსეთის მთავრობამ ზურაბი იმერეთის მმართველობის პირველ ნევრად დანიშნა, 1811 წელს კი გენერალ-მაიორის ჩინი (ჯამაგირითურთ) და წმინდა ანას ორდენი უბოძა.

არსებობს ცნობა, რომ ზურაბ წერეთელი ცარიზმის კოლო-

---

[1] გ. მიქაძე, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების შესახებ, „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. 12, 1959, გვ. 236-238.

ნიური რეჟიმის წინააღმდეგ იმერეთის 1819-1820 წლების აჯანყების შესახებ ცნობებს აწვდიდა გორის ოლქის უფროსს და ცდილობდა აჯანყება თავისი ინტერესების სასარგებლოდ გამოეყენებინა.[1]

სალომეს დედა თამარ გიორგის ასული დადიანი იმერეთის მეფის სოლომონ მეორის და იყო. სვიმონი, დავითი და გრიგოლი კი სალომეს ძმები არიან.

სალომე გათხოვილა პაატა გიორგის ძე აბაშიძეზე.

ხსენებული „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერისა (S-28-29) და ხელნაწერთა ინსტიტუტის იმავე ფონდში დაცული „ვეფხისტყაოსნის" (S-44-99) შეჯერებით, მეცნიერთა მიერ გამორკვეულია, რომ ორივე ხელნაწერი ერთი კალიგრაფის მიერ არის გადაწერილი, ოღონდ მას სხვადასხვა დედნით უსარგებლია.[2]

მეორე ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნისა" (S-44-99) გადაწერილი მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში, 1899 წლის იანვარში ვიღაც სომეხს უნახავს თათრის ოჯახში და წამოუღია სოფელ იდგირში, რომელიც შეუძენია ერევნის გუბერნატორის თანაშემწეს მიხეილ ალექსანდრეს ძე ნაკაშიძეს.[3]

ექვთიმე თაყაიშვილს რომ გაუგია ხელნაწერის ამბავი, ნერილით უთხოვნია ხელნაწერი ნაკაშიძისათვის. ნაკაშიძეს უთხოვებია ხელნაწერი და თან უთქვამს: „რამდენ ხანსაც გინდა გქონდეს, სულ კი ნუ წამართმევ, ეს ჩემთვის სანუკვარი ნივთიაო, თორემ შენ ისეთი სახელი გაქვს, რომ ხელნაწერი თუ ხელში ჩა-

---

[1] შ. ბურჯანაძე, თავად ზურაბ წერეთელი, ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. 20, 1959, ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია, 1922, გვ. 127. ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დას. საქ. სოც.-პოლ. ისტორიიდან (სათავადოები), ტ. 2, 1981.

[2] ს. ცაიშვილი, „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის ისტორია, ტ. II, თბ., 1970, გვ. 33.

[3] იურისტი, ნიკო ნიკოლაძის, ძმები პოლტარაცკებისა და სხვათა დროის სტუდენტი პეტერბურგში.

გივარდა, იმის წირვა გამოსულიაო". ექვთიმეს კი უპასუხნია: „რაკი ეგეთი სახელი მქონია, შენს ხელნაწერსაც ეგ ბედი უნდა ეწვიოსო".[1] ნაკაშიძეს გაუცინია და ხელნაწერი ექვთიმესათვის გადაუცია.

ნაკაშიძის გარდაცვალების შემდეგ კი ხსენებული ნუსხა ანდერძის თანახმად, წერა-კითხვის საზოგადოებას გადაეცა, ხოლო 1905 წლის 4 ივნისს ექვთიმე თაყაიშვილს ნაკაშიძის სახელით წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკა-მუზეუმისათვის შეუწირავს.

[1] ექვთიმე თაყაიშვილი, მოგონებები, ჟურნ. „მნათობი", 1958, ნომ. 7, გვ. 168. სოლომონ ყუბანეიშვილი, „ვეფხისტყაოსნის" სტროფული შედგენილობა, 1959, გვ. 305.

თარხანმოურავისეული „ვეფხისტყაოსანი“

მე-17 საუკუნეს მიეკუთვნება „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი (W-27), რომელიც ბრიტანეთში, ოქსფორდში, ბოდლეს ბიბლიოთეკაშია დაცულია. ამ ხელნაწერს თავი და ბოლო აკლია და არც დამკვეთის ან გადამწერის შესახებ, არც გადაწერის დროის შესახებ ცნობები არ შემოუნახავს. შიგადაშიგ დაზიანებული ადგილები აღუდგენიათ მე-18 საუკუნეში.[1]

ხსენებული ხელნაწერი ჩასმულია მუყაოს ყდაში, მიკროფილმი დაცულია საქ. მეც. აკადემიის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. შეიცავს 1536 სტროფს.[2] წიგნში ჩართულია სპარსულ ყაიდაზე შესრულებული 21 მინიატურა, რომლის მხატვარიც აგრეთვე უცნობია. ამათგან სამი მინიატურა ტექსტშივე არის ჩართული, დანარჩენები კი ცალკე ფურცელზეა მოთავსებული და ხელნაწერში მოგვიანებით უნდა იყოს ჩაკერებული. სურათების მეორე ცარიელ გვერდებზე გვიანდელი მინაწერებია.[3] ტექსტში ჩართული მინიატურების ტიპის ერთი სურათი, რომელზედაც თინათინის გამეფების სცენაა გამოსახული, რამდენიმე წლის წინათ აღმოჩნდა ხელნაწერთა ინსტიტუტში.[4]

ექვთ. თაყაიშვილის ცნობით, ეს ხელნაწერი ქართველ სიძველეთა მაძიებელს პოლიევქტოვ კარბელაშვილს მიუყიდია ელენე ერისთავ-თარხნიშვილისათვის. ამიტომაც ეს ნუსხა თარხნიშვილისეული ხელნაწერით არის ცნობილი.

---

[1] ს. ცაიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ისტორია, ტ. II, 1970, გვ. 33.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] იქვე.

ელენე კონას ასული ერისთავი ბებიით სოლომონ პირველის შთამომავალი იყო. იგი ქართველ არისტოკრატთა წრეს ეკუთვნოდა. კონა ერისთავი დიდად განათლებული ყოფილა. სამეცნიერო წყაროებიდან ცნობილია, რომ იგი მუშაობაში ეხმარებოდა აკადემიკოს მარი ბროსეს. იგი ცხოვრობდა გორის მახლობლად სოფელ ატენში.

ელენეს მამიდა ანა ცოლად ჰყავდა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს გაგარინს,[1] რომელიც სვანეთის მთავარმა კონსტანტინე დადეშქელიანმა მოკლა. ელენე მამიდასთან ხშირად იმყოფებოდა, მის მწუხარებას ინაწილებდა და ანუგეშებდა.

ელენეს მამიდა რომ გარდაეცვალა, იგი იალტის მახლობლად, ქუჩუქ-ლამბათში, გაგარინის მამულში დამარხეს. ელენეც ახალი დაქვრივებული იყო და ისიც ქუჩუკ-ლამბათში გადასახლდა. მამიდას სასაფლაოზე ააშენა პატარა ეკლესია და მზრუნველობას უწევდა საყვარელი მამიდას სასაფლაოს.

ელენეს ფინანსურად თავისი ქალიშვილის ქმარი იოსებ დადიანი ეხმარებოდა, რომელიც იმ დროს თავისი ოჯახით ბაქოში ცხოვრობდა და გაგარინისეულ ნავთის სარეწაოებს განაგებდა.

ელენეს მეორე ქალიშვილიც ჰყავდა, ნაადრევად დაქვრივებული და არისტოკრატიული ცხოვრების მიმდევარი, რომლის ქმარი გრაფი იყო. როდესაც დავით სარაჯიშვილმა სოლოლაკში სახლი შეიძინა, გადაწყვიტა მისი დანგრევა და ახლის (ახლანდელი მწერალთა სასახლე) აშენება. დანგრევის წინ მეჯლისი გამართა ძველ სახლში და დიდძალი ხალხი მიიწვია. მათ შორის მეჯლისზე იმყოფებოდნენ გრაფი და ელენე თარხნიშვილის

---

[1] ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს გაგარინს ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა და კონსტანტინე დადეშქელიანის რუსეთში გაგზავნა გადაეწყვიტა, ამის გამო დადეშქელიანს უძვრია ხანჯალი და სასიკვდილოდ დაუჭრია გაგარინი, თან მიუყოლებია მისი თარჯიმანი და მზარეული. კონსტანტინე დადეშქელიანი დაუხვრეტიათ.

ასული, რომლებიც სულ უბრალო საკითხზე შელაპარაკდნენ, გრაფმა ეს იწყინა, გავიდა მეორე ოთახში და თავი მოიკლა.

ელენე მარტო ცხოვრობდა. იგი ხშირად უჩიოდა ჯანმრთელობას, სიარული უჭირდა და ამიტომ მოწყალების და მასთან იმყოფებოდა და საჭირო წამლებს აძლევდა. ელენესთან ერთი ახალგაზრდა მღვდელი დადიოდა, ტოლსტოის იდეების მიმდევარი, სხვა არავინ.

ბოლო ხანებში იოსებ დადიანსა და ელენეს შორის უსიამოვნება ჩამოვარდა ფინანსურ საკითხთან დაკავშირებით. იოსებ დადიანის შემოსავალი გადიდებულ ხარჯებს ვეღარ სწვდებოდა და ვალებში ჩავარდა და, როგორც ჩანს, ხშირად ვეღარ ეხმარებოდა სიდედრს.

იოსებ დადიანს ექვსი ულამაზესი ქალიშვილი ჰყავდა. ერთი ასული ცოლად შეირთო გიორგი ამილახვრის ვაჟმა, რომელიც სამხედრო სამსახურში იყო და მეორე მსოფლიო ომის დროს მოკლეს სირიაში. დე გოლი თურმე ხუთ საათს უამბობდა მის გმირობას ტელეფონით იქიდან პარიზში თავის მომხრეებს.[1]

ელენე თარხნიშვილი უამრავი განძის მფლობელი იყო, მათ შორის ჩვენთვის კარგად ცნობილი „ვეფხისტყაოსნისა".

ექვთიმე თაყაიშვილს ამ ხელნაწერის არსებობა და ადგილმდებარეობა რომ გაუგია, წერილი მიუწერია ივანე დუმბაძისათვის, რომელიც ამ დროს გენერალ-გუბერნატორი იყო და დიდ პატივს სცემდა ექვთიმეს. ივანეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ნიკოლოზ მეორესთან და, როცა იალტაში ჩადიოდა, სულ თან დაჰყვებოდა. მისი მცველი და ავან-ჩავანი იყოვო. – იგონებს ე. თაყაიშვილი. იგი სთხოვდა ივანეს, როგორმე აეძულებინა ელენე, ხსენებული „ვეფხისტყაოსანი" საქართველოს საისტორიო და სა-

---

[1] ექვთიმე თაყაიშვილი, მოგონებები, ჟურნ. „მნათობი", ნომ. 11, 1958, გვ. 167. იოსებ მეგრელიძე, ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1989, გვ. 178.

ეთნოგრაფო საზოგადოების მუზეუმისათვის დაეთმო. მაგრამ, როგორც ჩანს, ივანეს ხვეწნა-მუდარამ შედეგი ვერ გამოიღო.

ერთ ზაფხულს ექვთიმე თაყაიშვილი წასულა ძმასთან, გენერალ ვარლამ თაყაიშვილთან, რომელიც ჩერნიგოვის გუბერნიაში თავის ცოლის მამულში ცხოვრობდა და იმ მამულში აღმოჩენილ ქვანახშირს ამუშავებდა. უკან დაბრუნებისას გამოუვლია იალტაში, ჩუქ-ლამბადში, იმ განზრახვით, რომ ივანე დუმბაძის თანხლებით სწვეოდა ე. თარხნიშვილს, მაგრამ ივანე იალტაში არ დახვედრია. დუმბაძის ცოლის დას ტელეფონით გაუცვნია ელენე თარხნიშვილისათვის ექვთიმე თაყაიშვილი და უთქვამს, რომ ექვთიმეს სურდა მასთან მისვლა. ელენეს პირველად შეშინებია, ექვთიმე რევოლუციონერი ხომ არ არისო, მაგრამ დუმბაძის ცოლის დას აუხსნია ვინც იყო, რომ მისი არავითარი შიში არ უნდა ჰქონოდა. ამის შემდეგ ელენემ კარგად მიიღო ე. თაყაიშვილი. საუბრის დროს ექვთიმემ გაახსენა, რომ ის ნამყოფი იყო მის სახლში თბილისში, მისი ქალისა და იოსებ დადიანის ქორწილზე და ჰკითხა, თუ რა იცოდა სიძისა და ქალის შესახებ. ელენემ გულამოსკვნით უპასუხა: „О-о-о, этот хитрый мингрелец хочет меня убить, чтобы завладеть нашим имуществом." გაკვირვებულმა ე. თაყაიშვილმა დააწყნარა ელენე და უთხრა „თუ თქვენ ეგ ამბავი მართლა გწამთ, ახლავე უკან უნდა წავიდე, იოსებ დადიანი ჩემი სიყრმის ამხანაგია, გიმნაზიაშიც და უნივერსიტეტშიც ერთად ვსწავლობდით და ვიცი, რომ ის ბუზსაც კი ვერ მოკლავს, არა თუ ადამიანის სიკვდილი მოინდომოს ან მასში გაერიოს, პირადად მე ახლა მასთან მჭიდრო კავშირი აღარა მაქვს და ვემდური კიდევაც, რომ აღარ მნახულობს, მაგრამ რასაც თქვენა ბრძანებთ, ყოვლად დაუჯერებელი ჭორია და სწორედ ის ყოფილა თქვენი მტერი, ვისაც ასეთი ჭორი მოუტანია თქვენთან". ატირებული ელენე გადაეხვია ექვთიმეს, აკოცა და უთხრა: „არ შემიძლია, თქვენ არ დაგიჯეროთ და ღმერთმა ქნას, რომ ეგრე იყოს, როგორც ამბობთო.

ექვთიმემ სამი დღე დაჰყო ელენე თარხნიშვილის სახლში და მას უამბო, როგორ მუშაობას ეწეოდა ის ქართული მუზეუმებისა და ბიბლიოთეკის გამდიდრებისათვის. რომ ყველა ძველი ქართველი ოჯახი ხალისით აძლევს მუზეუმისათვის ნივთებსა და ხელნაწერებს და თქვენც არ უნდა დაიშუროთ თუ კი რაიმე მოგეძევებათო.[1]

ელენე თარხნიშვილი დაპირდა, რომ მის მდიდარ კოლექციას და მათ შორის „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერს გადასცემდა მუზეუმს, მაგრამ იმჟამად ხელნაწერი და განძეულობა იალტის ხაზინაში ჰქონდა შენახული.

ელენემ რწმუნების ქაღალდი შესთავაზა ექვთიმეს „ვეფხისტყაოსნის“ ხაზინიდან გამოსატანად, მაგრამ ექვთიმეს საამისო დრო არ ჰქონდა და ხელნაწერის წაღება ვერ მოხერხდა.

დარბაზში ეკიდა სოლომონ პირველის ასულის (ელენეს ბებიის), მარიამ ბატონიშვილის (ელიზბარ ერისთავის ცოლი. მათი შვილის კონა ერისთავის ასული იყო ელენე თარხნიშვილისა, თარხან მოურავი ელენეს მეუღლე იყო) ფერადი სურათი, შესრულებული გერმანელი მხატვრის მიერ იმერეთში, მე-18 ს. მიწურულს. ექვთიმემ პატრონს სურათის დათმობაზე ჩამოუგდო სიტყვა. ელენემ უარი უთხრა იმ მოსაზრებით, რომ იმპერატორი ნიკოლოზი იალტაში როცა ჩამოდის, ხშირად სეირნობს ამ არემარეში, მითხრეს, შენთან აპირებს მოსვლას და, რომ მოვიდეს, სხვა რაღა ვაჩვენო, აქ არაფერი მაქვს, თუ არა, სოლომონ მეფის ქალის სურათი, მაგრამ გაძლევთ პატიოსან სიტყვას და მერწმუნეთ, რომ არა თუ ამ სურათს, არამედ აუარებელ ვერცხლეულს, ნოხებს, ძველ ნაქარგ-ნაკეთობას და იმ „ვეფხისტყა-

---

[1] ექვთიმე თაყაიშვილი, მოგონებები, ჟურნ. „მნათობი“, ნომ. 7, 1958.

ს. ყუბანეიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა სტროფული შედგენილობა, 1959, გვ. 312.

ზ. ჭუმბურიძე, ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ, 1983, გვ. 261-268.

ოსანსაც“ ანდერძით თქვენ დაგიტოვებთ, ოღონდ მითხარით, თუ ვის სახელზე და როგორ დავწერო ეს ანდერძი. ექვთიმე თაყაიშვილმა ანდერძის ტექსტი შეადგინა და ელენეს დაუტოვა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ელენე თარხნიშვილს თითონ გამოუტანია ლომბარდიდან „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი და თავის სიძისათვის, იოსებ დადიანისათვის უთხოვია, რომ ხელნაწერი ექვთიმესათვის წაეღო თბილისში, მაგრამ დადიანი იმ დროს პირდაპირ თბილისში არ მიდიოდა და ხელნაწერის გზაში დაკარგვის შიშით უარი უთხრა „ვეფხისტყაოსნის“ წაღებაზე. როგორც ცნობილია, იოსებს ამის გამო დიდი საყვედური მიუღია თაყაიშვილისგან.[1]

ექვთიმე თაყაიშვილი გვიამბობს: „პარიზში რომ გავემგზავრე, იოსებ დადიანს იქ შევხვდი, პარიზის მახლობლად სევრში ცხოვრობდა და იქ ვინახულე. კარგა ვისაუბრეთ სხვადასხვა საგნებზე. მერე გავიდა მეორე ოთახში და რაღაც ყდიანი ხელნაწერი გამოიტანა. დავხედე – „ვეფხისტყაოსანი“ იყო, სურათებიანი. ეს ის ხელნაწერია, რომელიც შენთვის გადმოსაცემად მაძლია სიდედრმა ქუჩუქ-ლამბათში. დასძინა იოსებმა, მაგრამ, როგორც გითხარი, მაშინ ვერ წამოვიღეთ და ხომ გახსოვთ, რა დავიდარაბა ამიტეხე ამის გამო? ემიგრაციაში რომ წავედით, ერთხანს კონსტანტინეპოლში ვცხოვრობდი და, ვნახოთ, იქ მოიტანა ერთმა ქართველმა ეს ხელნაწერი და მეუბნება, „სევასტოპოლის ბაზარში ვიყიდე და ახლა ვყიდიო“. მე ვუთხარი, „ეგ ხელნაწერი ჩვენი ოჯახისა იყო, ქუჩუქ-ლამბათში ინახებოდა და სევასტოპოლის ბაზარზე რა უნდოდა-მეთქი? ცხადი იყო, რომ ტყუილს ამბობდა. რევოლუციის დროს ქუჩუქ-ლამბათი აეკლოთ.

---

[1] ე. თაყაიშვილი, მოგონებები, ჟურნ. „მნათობი“, 1958, ნომ. 7.

ს. ყუბანეიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა სტროფული შედგენილობა, 1959, გვ. 312.

ზ. ჭუმბურიძე, ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ, 1983, გვ. 268.

ჩემი სიდედრი იქ გარდაცვლილიყო და მისი ნივთებიდან ჩვენ აღარაფერი გვინახავს". „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერი კი დიდი ვაჭრობის შემდეგ ათას ლირად შეუსყიდია. ექვთიმემ უთხრა: „ახია შენზე, რომ ეგრე ძვირად დაგჯდომია ეგ ხელნაწერი შენი დაუდევრობის წყალობით, ახლავე გამიხვიე ქაღალდში-მეთქი. „მიგაქვსო" – მკითხა. „მაშ შენ დაგიტოვებ? ეგ ხომ შენი სიდედრის შემოწირულია-მეთქი". ხმა აღარ ამოუღია, გამიხვია ქაღალდში და გამომატანა".[1]

ხსენებული ნუსხა ოცი წლის განმავლობაში ინახებოდა ექვთიმე თაყაიშვილთან. მან გულდასმით აღწერა ხელნაწერი და მის შესახებ მოკლე ცნობები გაზეთში გამოაქვეყნა, ვრცელი აღწერილობა კი თბილისის უნივერსიტეტს მიაწოდა.

ხელნაწერის რამდენიმე მინიატურა გადაიღო პარიზში ყოფნისას მხატვარმა დავით კაკაბაძემ და გამოუგზავნა თბილისში თავის ძმას – პროფესორ სარგის კაკაბაძეს, რომელმაც ისინი დაბეჭდა თავის მიერ გამოცემულ „ვეფხისტყაოსანში".

გავიდა წლები. იოსებ დადიანის ოჯახს ეკონომიკურად გაუჭირდა. იოსებ დადიანმა მიაკითხა თაყაიშვილს და მორიდებით უთხრა: „შინ ქალებმა ლამის შემჭამონ, დედაჩვენის „ვეფხისტყაოსანი" რომ თაყაიშვილს გადაეცი, იმის შენირვას, მართალია, დაპირებია დედაჩვენი, მაგრამ მან ხომ ვერ შეასრულა დაპირება და მერე ხომ შენ შენი ფულით იყიდე, ახლა ჩვენია ის წიგნი და რომ გავყიდოთ, კარგ ფასსაც მოგვცემენო; ამიტომ უთხარით თაყაიშვილს, დაგვიბრუნოსო!"

თაყაიშვილმა წიგნის დაბრუნებაზე უარი უთხრა იოსებ დადიანს, მაგრამ შემდეგ თვითონ ქალებმა მოაკითხეს, მეცნიერმა ხელნაწერი უკან დაუბრუნა. იმათ ჯერ პარიზის ბიბლიოთეკას

---

[1] სოლომონ მეფის ნაქონი ზოგიერთი ნივთი და მათ შორის ყავის საფქვავი, საისტორიო-საეთნოგრაფო საზოგადოების მუზეუმს შემოსწირა კონა ერისთავის მეორე გაუთხოვარმა ქალმა, ელენე თარხნიშვილის დამ.

შესთავაზეს. ექვთიმე თაყაიშვილისთვის სასურველი იყო, რომ ხელნაწერი პარიზშივე დარჩენილიყო, რათა მისთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო. ბიბლიოთეკის გამგეს იცნობდა და როცა წერილი გამოუგზავნა ექვთიმეს პარიზიდან ბიბლიოთეკის გამგემ, მაცნობეთ, რა ღირსებისაა, თაყაიშვილმა წერილობით უპასუხა: მართალია, ხელნაწერს თავშიც და ბოლოშიც აკლია, მაგრამ საწერი მასალისა და ხელის მიხედვით, იგი მე-17 საუკუნეს მიეკუთვნება. ტექსტი მრავალ ვარიანტს შეიცავს სხვა ამგვარ ხელნაწერებთან შედარებით, თან, საყურადღებო მხატვრული მინიატურებითაა დასურათებული და სასურველია, რომ შეიძინოთ ეს ძვირფასი ხელნაწერი. მაგრამ ბიბლიოთეკის გამგე ვერ მოურიგდა დადიანებს. 10.000 ფრანკზე მეტი ვერ შეაძლია.

დადიანებს აღმოაჩნდათ ერთი ნაცნობი მდიდარი ინგლისელი, რომელსაც ხელნაწერი ძლიერ მოეწონა და იკითხა, თუ რომელ საუკუნეს განეკუთვნებოდა. დადიანებმა უპასუხეს, რომ ხელნაწერს თარიღი არ უწერია, მაგრამ პროფესორი თაყაიშვილი მე-17 საუკუნეს აკუთვნებსო. ინგლისელს უთქვამს, ბევრი ძველი ხელნაწერი მინახავს, ვერკვევი მათში და ეს ხელნაწერი, მასალის მიხედვით, მე-17 საუკუნეზე უფრო ძველი უნდა იყოსო (ქაღალდი კია, მაგრამ სქელია და ტყავსა ჰგავს!). ინგლისელმა დადიანებისაგან იყიდა ხელნაწერი 25.000 ფრანკად. ამ თანხის ნახევარზე მეტი (15.000 ფრანკი) დადიანის ცოლის დამ წაიღო და მაროკოში წავიდა თავის შვილთან. დანარჩენი დადიანებს დარჩათ.[1]

როგორც ცნობილია, ელენე თარხან-მოურავისეული „ვეფ-

---

[1] ე. თაყაიშვილი, მოგონებები, ჟურნ. „მნათობი", 1958, ნომ. 7, გვ. 166-169.

ს. ყუბანეიშვილი, „ვეფხისტყაოსნის" სტროფული შედგენილობა, 1959, გვ. 312.

ს. ცაიშვილი, „ვეფხისტყაოსნის" ძველი რედაქციები, 1968, გვ. 63.

ზ. ჭუმბურიძე, ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ, 1983, გვ. 268.

ხისტყაოსანი“ ინგლისელმა ბოლოს ბრიტანეთის მუზეუმს შესწირა.

დევიდ მარშალ ლენგის ცნობით, „ეს ხელნაწერი უყიდია (ოქსფორდში) სერბერნარდ ეკსტეინის ანდერძის აღმსრულებელთაგანს 1949 წელს. ფასის ნახევარი გადახდილი ყოფილა მარჯორი უორდროპის სახელობის ფონდიდან.[1]

ამჟამად ხსენებული „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი ინახება ოქსფორდში, ბოდლეს ბიბლიოთეკის უორდროპისეულ კოლექციაში.

•

[1] დ. ლენგი, ქართველოლოგიური კვლევა-ძიება ოქსფორდში, ჟურნ. „ცისკარი“, 1967, გვ. 161.

სულხან-საბა ორბელიანი

მე-17 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-18 საუკუნის დასაწყისის დიდი ქართველი მწერალი, ლექსიკოგრაფი, სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი სულხან-საბა ორბელიანი დიდი თაყვანისმცემელი იყო რუსთაველისა. მის მიერ გადაწერილი (ხელის მიხედვით დადგენილია) შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტის ერთ-ერთ ფონდში (S-3077).[1]

ისტორიული წყაროებიდან დადასტურებულია, რომ სულხან-საბა ორბელიანის წინაპარი ორბელიანები, იგივე ორბელიშვილები, ყაფლანიშვილები (ჯამბაკურ-ორბელიანებადაც იხსენიებოდნენ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში) ფეოდალური საგვარეულო იყო საქართველოში მე-17-18 საუკუნეებში. ქაჩიბაძე-ბარათაშვილების ერთ-ერთი შტო.[2]

სულხან-საბა ორბელიანის ძმა ნიკოლოზ თბილელი ერთ თავის შრომაში წერს: „ღმერთო, აცხონე ამ წიგნის ქართულ ენაზე გამწყობი ტფილელი მიტროპოლიტი ნიკოლოზ ორბელიშვილი“.[3]

ორბელიანთა გვარის ფუძემდებელი ყოფილა ორბელ ბარათაშვილი, რომელსაც ძმასთან – იოთამ ბარათაშვილთან გაყრისას, საადგილმამულო ქონებიდან რგებია 59 სოფელი, 617 კომლი

---

[1] S-3077. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. IV, 1965, გვ. 272-280.

ი. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი XVII საუკუნის პირ. მეოთხ., ნაწ. 3-4, თბ., 1938.

[2] გ. ჯამბურია, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, 1955. გვ. 58.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ნომ. 7, 1984, გვ. 225.

[3] ი. ლორთქიფანიძე, ქვევმო ქართლი XVII საუკუნის მეოთხედში, ნაწ. 3-4, თბ., 1938.

გლეხითურთ ლოქის მთის ნახევარი, ფიტარეთისა და დმანისის ეკლესიების ნახევარი.

მე-17 საუკუნის ათიან წლებში ორბელის შთამომავლებს შორის ამტყდარა დავა საადგილმამულო ქონების გაყოფასთან დაკავშირებით. ბარათა ორბელიანს ამოუხოცავს თავისი ძმები და მათ მამულებს დაპატრონებია. გადარჩენილა ერთი ძმა ყაფლანი, რომელსაც ირანისთვის შეუფარებია თავი. 1625 წელს მარაბდის ომში ყაფლანი შაჰ-აბას პირველის მხარეზე იბრძოდა. ამ ბრძოლაში დაიღუპა ბარათა და ყაფლანი მარტო თავის მამულების მფლობელი კი არ გახდა, არამედ, ბარათა ორბელის მამულისაც. ყაფლანმა ააშენა „მკვიდრი მამული... სოფელი 61", განაახლა ფიტარეთის მონასტერი, ააგო ხულუტის ციხე და სხვა მრავალი ნაგებობანი და ოთხმოცამდე სოფელი დაუტოვა თავის შთამომავლებს.[1]

ორბელიანების სამფლობელო (საორბელო ან საყაფლანიშვილო) მე-18 საუკუნეში მოიცავდა ქციისა და დმანისის ხეობათა დიდ ნაწილს, აგრეთვე ტაშირს.

ორბელიანებს ჰყავდათ ასამდე ვასალი აზნაური და ორასამდე ყმა გლეხი, რომლებიც ცხოვრობდნენ 160-მდე სოფელში. სასახლეები და კარის ეკლესია ჰქონდათ სოფელ ტანძიას. მე-18 საუკუნის ბოლოს, ქვემო ქართლის აოხრებასთან დაკავშირებით. ორბელიანები გადასახლდნენ თბილისში. ორბელიანები იყვნენ მეწინავე სადროშოს სარდლები, ქართლის სახლთუხუცესები, ეშიკაღასბაშები, მდივანბეგები.[2]

ორბელიანების გვარიდან იყვნენ ცნობილი ქართველი მოღვაწეები: სულხან-საბა ორბელიანი, ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი, სარდალი დავით ორბელიანი, პოეტები – ვახტანგ და

---

[1] გ. ჯამბურია, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 58. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ნომ. 7, 1984, გვ. 225.

[2] ი. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი მე-17 საუკუნის მეოთხედში, ნაწ. 3-4, თბ., 1938.

გრიგოლ ორბელიანები და სხვ.[1]

სულხან-საბა ორბელიანი იყო შთამომავალი როსტომ მეფის (1634-1658) სახლთუხუცესისა და მდივანბეგის. დიდად შეძლებული და გავლენიანი ფეოდალის-ყაფლანისა და პირმშო „საქართველოს ბჭეთ-მთავრის და მოსამართლეთუხუცესის“ ყაფლანის შვილისა, ვახტანგისა.

სულხანის მამას, ვახტანგს რვა ვაჟი და სამი ასული ჰყავდა. მათი ოჯახი შემდეგ ქართული კულტურის კერად იქცა და სულხანთან ერთად მან რამდენიმე სასახელო ორბელიანი აღზარდა, ნიკოლოზ თბილელი – სასულიერო პოეტი და კალიგრაფი, ზაალ ყოფილ, ზოსიმე – აგრეთვე ცნობილი კალიგრაფი.

სულხანის დედა თამარი იყო ასული ანტისპარსული მოძრაობის მეთაურის და სულისჩამდგმელის ზაალ არაგვის ერისთავისა.

სულხან-საბა ორბელიანი დაიბადა 1658 წლის 24 ოქტომბერს სოფელ ტანძიაში (ახლანდელი ბოლნისის რაიონი). სულხანი თვითონვე აღნიშნავს, რომ იგი „დაბადებულა ქართულის ქორონიკონს ტმვ (1658), ოკტომბერს კდ (24), რომ ლათინურად ოთხი ნოემბერი იქნება „დღესა კვირიაკესა, ჟამსა შუაღამისასა“.[2]

სულხანის პაპა და მამა ძალზე დაახლოებული იყვნენ სამეფო ოჯახთან. ყაფლანის ასული როდამი მეუღლე იყო ვახტანგ მეხუთე შაჰნავაზისა. ქართლის დინასტიის წარმომადგენლები, შაჰნავაზის განათლებული ვაჟები, არჩილი, გიორგი, ლეონი არიან სულხანის მამიდაშვილები.[3]

წარმოშობით სულხან-საბა ორივე მხრივ არისტოკრატულ წრეს ეკუთვნოდა და ორბელიანთა შეძლებულ, გავლენიან და

---

[1] გ. ჯამბურია, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 58. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ნომ. 7, 1984, გვ. 225.

[2] პ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1969, გვ. 368.

[3] ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1966, გვ. 447.

დიდი კულტურის ტრადიციების მქონე ოჯახში აღზრდილს, თავისი დროისათვის ჩინებული განათლება უნდა მიეღო.

სულხანის სწავლა-აღზრდაზე დიდი გავლენა ჰქონდა სამეფო ოჯახს, მის მამას ვახტანგს და ბატონიშვილს, შემდეგში მეფე გიორგი მე-11-ს, რომლებიც ხელმძღვანელობას უწევდნენ და სათანადო მიმართულებას აძლევდნენ მის სწავლა-აღზრდის საქმეს.

სულხან-საბა გიორგი მე-11-ს „სულიერ მოძღვრად" მიიჩნევდა. სულხანი გადმოგვცემს, რომ ის იყო გიორგისაგან „შვილურად" გაზრდილი და განსწავლებული".

სულხან-საბა ორბელიანს მწვრთნელ მასწავლებლებად ჰყოლია მცხეთელი ზედგენიძე ბერუკა, „მწვრთნიდა მცხეთელი, ზედგენიძეთ სახლის ძე ბერუკაო". სულხანი აღნიშნავს, რომ ზედგენიძე „მზრდიდა სათუთად და ნებიერად, ვითარც შვენის თავადთა ძეთაო". „სიმღერის სრულობას მწვრთნიდა იაშვილი გიორგიო". სულხანის სურვილი ყოფილა გამხდარიყო ლოტბარი.

ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულ ძილისპირთა ხელნაწერზე (564), რომელიც სულხანს შეუძენია, მას თავისი ხელით მიუწერია: „ქ. მე, ბარათიანთ დიდის ორბელიშვილის, ყაფლანის ძის, საქართველოს ბჭეთმთავრის და მოსამართლეთუხუცესის, პატრონის ორბელ ვახტანგის პირმშომან ძემან, ჯერეთ ყრმა კაცმან სულხან დავიწყე ძლისპირთა და გალობათა სწავლა წადილითა იესოსითა და ბრძანებითა მის უსწოროსა მამისა ჩემისასა. ვიწყე თვესა აპრილსა კ... აწ... ევედრენით ღმერთსა ლოდბარად შექმნისა და ცოდვათა მოტევებისა ჩემთვის და სწავლისა აღსრულებისათვის, რამეთუ ვიყავ სწავლისა ფრიად მოყვარე".[1]

მოტანილი მინაწერიდან ჩანს, რომ სულხანი ნიჭიერი და სწავლის დიდი მოყვარული ყოფილა. „ანბანთქება", რომელსაც გ. ლე-

[1] ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1966, გვ. 448.

ონიძე სულხანს მიაკუთვნებს, მას დაუწერია ცამეტი წლის ასაკში.[1]

სულხან-საბა ორბელიანს განათლების ფართე დიაპაზონი ჰქონდა. როგორც მისი თხზულებიდან ჩანს, მას კარგად სცოდნია ღვთისმეტყველება და სასულიერო მწერლობა, ფილოსოფია, ბუნებისმეტყველება, გეოგრაფია, ასტრონომია, მათემატიკა, ფილოლოგია და უცხო ენებიდან საფუძვლიანად – თურქული, რომელიც იმ დროს საერთაშორისო ენის უფლებით სარგებლობდა აღმოსავლეთში და ნაწილობრივ დასავლეთშიც. პრაქტიკულად იცოდა სომხური, მეცნიერულ-ლექსიკოლოგიური მიზნით სარგებლობდა ბერძნულით, ლათინურით და რამდენადმე რუსულით.[2]

განათლებული საბას საგანგებო პატივს მიაგებდნენ სამეფო კარზე. მემკვიდრეობით, როგორც უფროს ვაჟს, მამის მდივანბეგობა უნდა მიეღო, მაგრამ სულხანი გრძნობდა, რომ მისი მოწოდება მწერლობა, ლიტერატურა იყო და ამ გზას გაჰყვა. ისტორიას არ შემოუნახავს მისი ოფიციალური მდგომარეობა სამეფო კარზე, მაგრამ მოღწეული დოკუმენტები ნათელჰყოფენ მის უდიდეს დამსახურებას გიორგი მე-11-ისა და ვახტანგ მე-6-ის წინაშე (მას დაეკალა მომავალი ტახტის მემკვიდრის ვახტანგ ლევანის ძის, შემდეგში ვახტანგ მე-6-ის აღზრდა).

სულხან-საბა ორჯერ ყოფილა დაოჯახებული. პირველ ცოლად ჰყავდა ბაგრატიონთა ასული დარეჯანი,[3] რომლის გარდაცვალების (1688) შემდეგ მეორე ცოლად შეურთავს სამცხის ათაბაგის ასული თამარი, რომელიც 1709 წელსაც ცოცხალი ყოფილა.[4]

როგორც ცნობილია, სულხან-საბა ორბელიანი ჭაბუკობიდანვე ჩაება სახელმწიფოებრივ, სამწერლო და სამეცნიერო საქმი-

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1959, ნომ. 238.

[2] ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1966, გვ. 450.

[3] მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკოსობისა საქართველოში, 1902,გვ. 328.

[4] გ. ლეონიძე, წინასიტყვაობა „სიბრძნე სიცრუის" ს. იორდანიშვილის რედაქციით, თბ., 1938, გვ. I, X.

ანობაში. მას სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლა საქართველოს მეტად მძიმე საშინაო და საგარეო ვითარებას დაემთხვა. მე-17 საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართლი და კახეთი ირანის სახანოს წარმოადგენდა. სულხან-საბა იყო ირან-ოსმალთა აგრესიის წინააღმდეგ გაჩაღებული ბრძოლის ერთ-ერთი თავკაცი, გიორგი მე-11-ის და, მოგვიანებით, ვახტანგ მე-6-ის პოლიტიკურ ორიენტაციათა ძიების ერთგული თანამდგომი, ეროვნული ინტერესების დამცველთა შორის ერთ-ერთი პირველთაგანი, როგორც ნაციონალური თავისუფლებისათვის მებრძოლი და ქართველ ლეგიმისტთა მომხრე. იმ დროს, ქართლის ტახტს განაგებდა გიორგი მე-11. იგი ირანის შაჰმა თავისთან გაიწვია, შეწყნარებული და პატივნაცემი ავღანელთა წინააღმდეგ ბრძოლაში ჩააბა.

გიორგი მე-11-ის სპარსეთში წასვლის შემდეგ სულხან-საბა ორბელიანი 1698 წელს ბერად აღიკვეცა წმინდა დავით გარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტერში. საბას სახელით.

მე-18 საუკუნის დასაწყისში ქართლის სამეფო ტახტის გამგებლად სულხანის გაზრდილი ვახტანგ მე-6 დაინიშნა. სულხან საბა ტოვებს მონასტერს და კვლავ პოლიტიკურ-კულტურულ ცხოვრებას უბრუნდება.

ვახნტანგ მე-6-ის სახელს უკავშირდება იმ პერიოდის ქართლში თითქმის ყველა კულტურული წამოწყება: სტამბის დაარსება, „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ბეჭდური სახის მეცნიერული გამოცემა 1712 წელს, კანონების კოდექსი „დასტურლამალი“ და სხვა, რომლის შესახებაც ჩვენ უკვე ზემოთ აღვნიშნეთ.

ვახტანგ მე-6-ის ყოველი კულტურული წამოწყების სულისჩამდგმელად სულხან-საბა ითვლებოდა, რომლის ჭკუა-გონებასაც დიდად აფასებდა ვახტანგი. მაგრამ ხანმოკლე აღმოჩნდა ვახტანგის მეფობის პირველი პერიოდი (1708-1711 წწ.). 1711 წელს ირანის შაჰმა ვახტანგ მე-6 სპარსეთს გაიწვია, სადაც მასთან ერთად ირანის შაჰის წინაშე საბაც წარსდგა. შაჰმა ვახტანგს სარწმუნოების გამოცვლა მოსთხოვა და როდესაც ვახტანგისაგან

უარი მიიღო მაჰმადიანობის მიღებაზე, ქართლი ჩამოართვა, მის გამაჰმადიანებულ ძმას იესეს გადასცა, ვახტანგი დააპატიმრა და ქირმანში გაგზავნა.[1] ამ ამბით შეწუხებული საბა სასწრაფოდ გამობრუნდა საქართველოში და 1713 წლის 17 აგვისტოს დიპლომატიური მისიით მისიონერ რიშარის თანხლებით მიემგზავრება დასავლეთ ევროპაში[2] ვახტანგის დასახსნელად და საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. საბა ამ მიზნით ეწვია რომის პაპს კლიმენტი მე-11-ს და საფრანგეთის მეფე ლუი მე-14-ს. საბამ მათ ვახტანგ მე-6-ის წერილები გადასცა და თავად აუწყა საქართველოს მძიმე მდგომარეობა.[3]

საქართველოს ელჩი მათგან ითხოვდა ფინანსურ დახმარებას (300.000 ეკიუს გაღებას) ირანის ტყვეობიდან ვახტანგის დასახსნელად. სანაცვლოდ სულხან-საბა პირდებოდა ფრანგი კომერსანტებისათვის სავაჭრო გზას საქართველოზე და 24 წვრილი ტომის შეერთებას კათოლიკურ ეკლესიასთან. ორჯერ წარდგა საბა რომის პაპთან და საფრანგეთის მეფის წინაშე. საფრანგეთის მეფემ დახმარება აღუთქვა, რომის პაპმაც დიდი პატივით მიიღო, მითუმეტეს, რომ საბას მიღებული ჰქონდა უკვე კათოლიკური აღმსარებლობა.[4] პაპმა გულთბილი სიტყვები უთხრა საბას: „ჩემი სისხლიც რომ მთხოვო ვახტანგისა და ქვეყნის სასა-

---

[1] გ. ლეონიძე, წინასიტყვაობა „სიბრძნე სიცრუის", ს. იორდანიშვილის რედაქციით, 1958, გვ. L X.

[2] გ. გაბაშვილი, სულხან-საბა ორბელიანი როგორც დიპლომატი; სულხან-საბა ორბელიანი, 1668-1758, საიუბილეო კრებული, საქ. მეცნ. აკადემიის გამოცემა, 1959, გვ. 61-76. ლ. მენაბდე, სულხან-საბა ორბელიანი, თბ., 1958.

[3] ი. ტაბაღუა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), თბ., 1972.

[4] მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა საქართველოში, 1902, გვ. 328. ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1966, გვ. 453.

რგებლოდ, იმასაც დასაქცევად მოგცემო".[1]

მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთისათვის იმ საქმეების მოგვარება, რომელსაც სულხან-საბა მოითხოვდა, მათთვის ხელსაყრელი იყო, მაგრამ საფრანგეთს მაშინ არ შეეძლო საქართველოს გულისათვის დაეთმო თავის სავაჭრო და პოლიტიკური ინტერესები სპარსეთში. საფრანგეთი უფრო დაინტერესებული იყო სპარსეთთან 1708 წელს დადებული ტარიფიკაციის საკითხით; ეს ხელშეკრულება განსაკუთრებულ შეღავათს ანიჭებდა ფრანგ ვაჭრებს სპარსეთის ტერიტორიაზე. ამ ტარიფიკაციის დასაჩქარებლად, როგორც ცნობილია, საფრანგეთს ეწვია სპარსეთის ელჩი მოჰამედ როზა-ხანი, რომელსაც დიდი საზეიმო შეხვედრა მოუწყეს და საბას იქ ყოფნა დაუმალეს.

სამი წლის შემდეგ (1716) ჯანგატეხილი, ტკბილი სიტყვებითა და ცრუ დაპირებებით ხელმოცარული საბა საქართველოში ბრუნდება.[2]

უნებურად გვახსენდება სტრიქონები მუხრან მაჭავარიანის ლექსიდან „საბა":

„ – წვიმა არ არი!
საბას კაბა დაუსველა რამ?!
– თოვლი არ არი!
საბას თავი გაუთეთრა რამ?!
– რამ დაასველა!
– რამ გაათეთრა?
რა აკანკალებს?!
საქართველოა
მისთვის:

---

[1] მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა საქართველოში, 1902, გვ. 328. ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1966, გვ. 453.

[2] მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა საქართველოში, 1902, გვ. 328. ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1966, გვ. 371.

წვიმაც,

თოვლიც და ყინვაც!..

„ – მოგწყინდა განა უნაყოფოდ, ელჩო, ყიალი?!..

გულს ნუ გაიტეხ! – მუხა კვლავაც შეიმოსება!..“[1]

სამშობლოში მომავალი სულხან-საბა ორბელიანი, რომელსაც თან ახლდა რამდენიმე კათოლიკე მისიონერი და ბურსელი ვაჭარი, ტრაპიზონის მახლობლად ხომალდიდან ხმელეთზე გადმოუსხამთ. მგზავრებს ხოფასთან თავს დასხმიან ზღვის აბრაგები. იგი თავის დღიურებში აღნიშნავს, რომ „ბერი კაცი ვიყავ და სნეული, და მაცხელებდაო“. იმ დროისთვის საბა უკვე ხანშიშესული იყო და გზაში მალარიით დაავადებულა.

ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ საქართველოში ჩასულ საბას სამეფო კარზე დიდი არეულობა დახვდა, გაურკვეველი უნდობლობით შეხვდა მას კათალიკოსი დომენტი. ეკლესიას იგი თითქოს შეუჩვენებია მისი გაკათოლიკებისა და კათოლიკე პატრების მოყვანის გამო. საბა ამის შესახებ გულისტკივილით აღნიშნავს: „სამღვდლო შფოთი აღძრეს ჩემზე. კრება და ბოროტის ქნა მოინდომესო“. ცნობილი ფაქტია, რომ საბა კათოლიკობას ბოლომდე არ შერჩენია. როდესაც ის დარწმუნდა, რომ კათოლიკობამ ვერ გაამართლა ის მისწრაფებანი და იდეალები, რისთვისაც მან რომის პრიმატობა აღიარა, უკანვე დაუბრუნდა ის მამაპაპეულ აღმსარებლობას.[2]

როგორც კ. კეკელიძე შენიშნავს, „მისი გაკათოლიკება იყო უბრალო კონფესიური აქტი, იგი კათოლიკობაში გადავიდა არა უპირატესობის შეგნებით, არამედ წმინდა პოლიტიკური მოსაზრებით. იგი ცდილობს „ქართლის ჭირი“ კათოლიკური ქვეყნების ყურამდე მიიტანოს“.[3]

---

[1] მუხრან მაჭავარიანი, ლექსები, თარგმანები, თბ., 1985, გვ. 65-67.

[2] ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1966, გვ. 453.

[3] ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია (კ. კეკელიძის და ბარამიძის რედაქციით), 1969, გვ. 371.

როგორც ცნობილია, ევროპიდან დაბრუნებულ სულხან-საბა ორბელიანს ქართლის ტახტის გამგებლად დახვდა იესე, რომელიც, როგორც საბა აღნიშნავს, „ვერც იმაზე იყო კაის გულიჱთა“. იესესათვის, როგორც მაჰმადიანისათვის, სარწმუნოების თვალსაზრისით თითქოს სულ ერთი უნდა ყოფილიყო, საბა კათოლიკე იქნებოდა თუ მართლმადიდებელი, მაგრამ იესემ კარგად იცოდა, რომ კათოლიკობის გავრცელებას ჩვენში მოჰყვებოდა ირანის საწინააღმდეგოდ ევროპაზე პოლიტიკური ორიენტაცია, ეს კი მიუღებელი და შეუწყნარებელი იყო იესესთვის, როგორც მაჰმადიანური ირანის მომხრესათვის. ამასთან ერთად საბა იბრძოდა ვახტანგის ინტერესებისათვის და ამ ფაქტსაც მტკივნეულად აღიქვამდე იესე.[1]

ცნობილი ფაქტია, რომ საბასა და ვახტანგ მეექვსეს შორის წარმოიშვა კონფლიქტი. ვახტანგმა ჩამოიშორა თავისი აღმზრდელი, ღვაწლმოსილი თანაშემწე და მესაიდუმლე, ვახტანგის ჭირისა და ლხინის მოზიარე, ოდესღაც „საქართველოს მამად“ აღიარებული სულხან-საბა ორბელიანი, რომელსაც გულს უკლავდა ვახტანგის უმადურობა. იგი ამბობს:

„მეფისთვის მოვკვდი, ვერა ცნა, არც ვინ აუწყა შორითა,
ჩემნი ერთგულნი სარჯელნი ბოროტად უთხრეს ჭორითა“.[2]

სულხან-საბა ამ უსიამოვნების შესახებ მოგვითხრობს: „ეს სულხან-საბა ორბელიანი... ვახტანგის ბიძად და გამზრდელად წოდებულ და დიდად საყვარელი (იყო) ამ სოფლის სიმუხთლემ ერთმანეთს მოაშორა, და ჩხუბიანმა კაცებმა მათ შუა დიდი განხეთქილება ჩამოაგდო. მეფე მას და მის ძმათზე უბრალო მწყრომელი შექმნესო“.[3] ამის შესახებ საბას გამოუთქვამს ავტოგრაფიული ხასიათის სამი შესანიშნავი იგავ-არაკი და ჩაურთავს „ქილილა და დამანას“ წინასიტყვაობაში.

---

[1] ქართული ლიტერატურის ისტორია, 1966, გვ. 453.

[2] ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, 1969, გვ. 371.

[3] ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, 1969, გვ. 371.

როგორც ცნობილია, ეს გაუგებრობა მეფესა და საბას შორის დიდხანს არ გაგრძელებულა. მათ შორის ლიტერატურულ ნიადაგზე მოხდა შერიგება. ვახტანგმა ის კვლავ დაიახლოვა და პოლიტიკურ-საზოგადოებრივ-კულტურულ მოღვაწეობაში ჩააბა. საბა ბოლომდე დარჩა ერთგული ვახტანგისა.

ისტორიული და სამეცნიერო წყაროებიდან ცნობილი ფაქტია, რომ ვახტანგ მეექვსემ ირანის შაჰის თვალის ასახვევად ფორმალურად მიიღო მაჰმადიანობა, რომლის შედეგადაც მან დაუბრუნა ქართლის ტახტი, მაგრამ მალე პოლიტიკურად კვლავ დაძაბული ურთიერთობა შეიქმნა საქართველოსა და სპარსეთს შორის. ვახტანგმა კურსი შეცვალა და რუსეთის მეფესთან, პეტრე პირველთან გადაწყვიტა მეგობრული ურთიერთობის დამყარება. 1724 წელს დიდებული ამალით იგი რუსეთს გაემგზავრა. სხვა მრავალ ორბელიანებთან ერთად საბაც გაჰყვა ვახტანგს რუსეთში. ღრმად მოხუცებული არ შეუშინდა შორეულ მგზავრობას, ის ერთ-ერთი პირველი ჩავიდა მოსკოვში, მოძებნა ქართული ახალშენი და სესენკას (ვსესვიატსკოე) არჩილ მეფის ასულის დარეჯანის სასახლეში დამკვიდრდა. იგი გარდაიცვალა 1725 წლის 26 იანვარს დარეჯანის სასახლეში. მეფის ასულმა ცხარე ცრემლებით დაიტირა ეს დიდი მამულიშვილი. საბა დასაფლავებულ იქნა იქვე, მართლმადიდებელი ეკლესიის გალავანში.[1]

საბას ძმის, დიმიტრი ორბელიანის სიტყვებით, ეს „ფრიად დამაშვრალი მუშაკი მოკვდა, დაეუფლა რუსთ ველსა".[2]

სულხან-საბა ორბელიანს ბედმა არ არგუნა სამშობლოში დაეხუჭა თვალები; სიცოცხლეში დამაშვრალმა, დევნილმა, ტანჯულმა, საუკუნო განსვენება ჩრდილოეთის ყინულოვან მიწაში ჰპოვა. მან საფლავში ჩაიტანა მწარე ფიქრები თავისი სათაყვანე-

---

[1] ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1969, გვ. 382.

[2] კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, (XIV), 1967, გვ. 155-156.

ბელი სამშობლოს მომავლის შესახებ. სანამ ცოცხალი იყო, ის ამბობდა: „ჩემს უკან ღმერთმა ქნას, და ჩვენს ქვეყანაში უკეთესობა შეიქნესო“.[1]

ქართველმა ხალხმა დააფასა მისი ესოდენ დიდი ღვაწლი სამშობლოს წინაშე და 1959 წელს დაბადებიდან სამასი წლის იუბილე გადაუხადა თავის სათაყვანებელ შვილს სულხან-საბა ორბელიანს.

მართალია, საბას დიპლომატიური მისია უშედეგო იყო, მაგრამ ლიტერატურულად ნაყოფიერი გამოდგა. სულხან-საბა ორბელიანმა დაწერა ქართული დოკუმენტური პროზის ცნობილი ნაწარმოები „მოგზაურობა ევროპაში“, რომელიც დღიურების სახით არის დაწერილი. სამწუხაროდ „მოგზაურობის“ დედანს ჩვენამდე არ მოუღწევია, რომელმა ხელნაწერმაც მოაღწია, ისიც დაზიანებული სახით, დაკარგულია პირველი თავები.[2]

სამეცნიერო ლიტერატურასა და მწერლობაში ცნობილია, რომ სულხან-საბა ორბელიანმა ქართულ მწერლობაში დაამკვიდრა მანამდე უცნობი ლიტერატურული ჟანრი. კერძოდ, საფუძველი ჩაუყარა მემორიალური ჟანრის მწერლობას. შემდეგომში საბას მრავალი მიმდევარი გაუჩნდა. საბას გზას აგრძელებენ ვახტანგ ორბელიანი, ტიმოთე გაბაშვილი, იონა გედევანიშვილი, გიორგი ავალიშვილი და სხვები.

სულხან-საბა ორბელიანმა დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა. ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“, რომელიც ორიგინალურ-მხატვრულ შედევრად ითვლება და თარგმნილია სხვადასხვა ენაზე. ხსენებული თხზულება საბას დაუწერია „ჟამსა სიჭაბუკისასა“ ე. ი. ბერად შედგომამდე, 1698

---

[1] მოგზაურობა ევროპაში, ს. იორდანიშვილის გამოცემა, 1940.

„სიბრძნე სიცრუისა“, ს. იორდანიშვილის გამოცემა, გვ. 145-151.

[2] კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1967, გვ. 155-166-157.

წლამდე, მეფე გიორგი XI-ის ბრძანებით. სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურულ და დიპლომატიურ საქმიანობას ერთი და იმავე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მიზნები ჰქონდა. ვინაიდან პოლიტიკური განთავისუფლება ქვეყნისა ვერ ხერხდებოდა, ამიტომ საბამ განიზრახა ლიტერატურული გზითაც ებრძოლა ქართველთა ეროვნული მეობის გადასარჩენად და გადაგვარების თავიდან ასაცილებლად ამ მიზნით მიმართა მამხილებელ იგავ-არაკულსა და ჰომილეტიკურ ჟანრს.

ცნობილია, რომ სულხან-საბა ორბელიანს იგავ-არაკულ ჟანრში წინამორბედები ჰყავდა მსოფლიო ლიტერატურაში. იგავ-არაკული ჟანრის სათავედ ეზოპეს მიიჩნევენ (მე-6 საუკუნე ჩვენს წელთაღრიცხვამდე). ამ გზას აგრძელებს რომაელი ფედრა (I საუკ. ჩვენს ერამდე), მათ აღწერეს მონათმფლობელური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი უარყოფითი მხარეები. დაახლოებით საბას თანამედროვე ყოფილა ფრანგი ლაფონტენი (გარდ. 1694 წელს), ხოლო შემდეგი საუკუნის მოღვაწენი – გერმანელი ლესინგი – მე-18 ს., რუსი კრილოვი – მე-19 ს.

აღსანიშნავია, რომ აღორძინების ხანაში პროზა საკმაოდ დაქვეითებული იყო. პროზას გაურბოდნენ კიდეც. პროზით დაწერილ თხზულებებს ხშირად ლექსავდნენ. მიუხედავად იმისა, რომ სულხან-საბა ჩინებული პოეტი იყო, თავის საკუთარ შრომებში არ გაჰყვა ამ ტრადიციას და ისინი პროზის სამოსელში დაგვიტოვა, მაგრამ წინა ხანის პოეზიასთან მას კავშირი არ გაუწყვეტია. რუსთაველის გავლენას ვერც ის ასცდა, მაგრამ სიტყვასიტყვით რუსთაველს ის არსად არ იმეორებს. მაგრამ, სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ზოგიერთი სიუჟეტური მომენტი „სიბრძნე სიცრუისა", „ვეფხისტყაოსნის" ეპიზოდებს მოგვაგონებს. შინაარსობრივად საბა ნათესაურ კავშირს ამჟღავნებს არჩილის პოეზიასთან.[1]

---

[1] ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1966, გვ. 450.

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია „სიბრძნე სიცრუისას“ და მსოფლიოში კარგად ცნობილი იგავ-არაკთა კრებულების „სიბრძნე ბალავარისა“, „ფანჩატანტრას“, „ათას ერთი ღამის“ და სხვათა მსგავსებაზე. ამის შესახებ კორნელი კეკელიძე შენიშნავს: „ეს მსგავსება უნდა ავხსნათ არა ლიტერატურული გავლენით, მწერალზე, არამედ იმით, რომ ერთი და იგივე იგავ-არაკული სიუჟეტი შეიძლება მოიძებნოს სხვადასხვა ერებსა და ტომებში, რომელთაც ერთმანეთში არავითარი ურთიერთობა არ ჰქონიათ. სიუჟეტური დამთხვევა სოციალური ნათესაობის შედეგია. ერთსა და იმავე სოციალურ პირობებს სხვადასხვა, ერთმანეთისაგან დაშორებულ ქვეყანაში შეუძლია მსგავსი იდეოლოგიური, ზედნაშენობრივი, კერძოდ სიუჟეტი წარმოშვას.[1]

სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული შემოქმედებიდან აღსანიშნავია საეკლესიო-სასულიერო შინაარსის თხზულებანი. აქედან ზოგი კანონიკური და ზოგი დოგმატიკური.

სულხან-საბას დიდი წვლილი მიუძღვის სასულიერო ძეგლების, განსაკუთრებით ბიბლიის შესწავლა-რედაქტირებაში.

სასწავლო-აღმზრდელობითი დანიშნულების თხზულება „სამოთხის კარი“, რომელშიც ქრისტიანული მოძღვრების ძირითადი დოგმებია გადმოცემული, ავტოგრაფიულ ნუსხაში მას ასეთი სათაური აქვს: „საქრისტიანო მოძღვრება, პირველად სასწავლო ყრმათათვის, აღწერილი სულხან-საბა ორბელიანისაგან, რომელსა ეწოდების სამოთხის კარი“.[2]

ჰომილეტიკური კრებული „სწავლანი“ წარმოადგენს სულხან-საბა ორბელიანის მიერ გარეჯის უდაბნოში სამონასტრო საკრებულოს წინაშე წარმოთქმულ ქადაგებებს. ერთად ერთი სრული ცალი ამ თხზულებისა გადაწერილია მოსკოვში 1729 წელს საბას ძმის ზოსიმეს მიერ (A-479) და შეიცავს 46 მო-

---

[1] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1958.

[2] ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1966, გვ. 474.

ძღვრება-ქადაგებას.[1]

მეცნიერული ღირებულებისაა გეოგრაფიული რუკა ამიერკავკასიისა, რომელიც 1714 წელს საბამ წარუდგინა საფრანგეთის მეფე ლუი მე-14-ს. რომელსაც დიდად აინტერესებდა ამიერკავკასიის გეოგრაფიული ვითარება და სავაჭრო ურთიერთობის დამყარება აღმოსავლეთის ქვეყნებთან, კერძოდ, ირანთან. ამიერკავკასიისა და კასპიის ზღვის გზით რუკის მინაწერი ადასტურებს, რომ ის შედგენილია საბას მიერ საფრანგეთის მეფისათვის. 1723 წელს ფრანგ გეოგრაფს გ. დელილს ამ რუკის საფუძველზე შეუდგენია ამიერკავკასიის და კასპიის ზღვისპირეთის რუკა, რომელიც გამოუცია კიდეც.[2]

„ქილილა და დამანა", რომლის სამშობლოდ ინდოეთი ითვლება და თარგმნილია თითქმის ყველა ენაზე, როგორც სამეცნიერო წყაროებიდან არის ცნობილი, ქართულ ენაზე თარგმნილი უნდა ყოფილიყო არა უგვიანეს მეთორმეტე საუკუნისა. მაგრამ, როგორც ვახტანგ მე-6 საკუთარი თარგმანის წინასიტყვაობაში აღნიშნავს, „ქილილა და დამანა" უთარგმნიათ „უამსა... „მეფეთ-მეფისა თამარისა, რომელი ცხოვრებასა ქართლისასა წერილ არისო". თამარის ისტორიკოსი იმონმებს „ქილილა და დამანას" ტექსტს: „ვითარ ჰითქმის ინდოთა აღწერილსა ქილილა-დამანასა შინა იგავი ბუთა და ყვავისაო".[3] „ქი-

---

[1] ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1966, გვ. 474.

[2] დ. დონდუა, სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში მოგზაურობის გეოგრაფიული მნიშვნელობა, საიუბილეო კრებული „სულხან-საბა ორბელიანი", 1658-1958, 1959, გვ. 77-106. ი. ტაბალუა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი, 1972. გ. ზარდალაშვილი, სულხან-საბა ორბელიანი როგორც მოგზაური და გეოგრაფ-კარტოგრაფი, უნივერსიტეტის საიუბილეო კრებული, 1959, გვ. 11-91. ე. მეტრეველი, სულხან-საბა ორბელიანის მონაწილეობით შედგენილი რუკა, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. III, 1956, გვ. 227-282.

[3] ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1966, გვ. 487.

ლილა და დამანას" ძველ ქართულ თარგმანს ჩვენამდე არ მოუღწევია, ვახტანგის თქმით, „ჟამთა ვითარებით დაკარგულიყო". ტექსტის ხელახალი ქართული თარგმანები ეკუთვნის მე-16-18 საუკუნეებს. ყველა ისინი „ანვარი სოჰაილის სახელითაა ცნობილი".[1]

„ქილილა და დამანა" ძალზე პოპულარული ყოფილა ძველ საქართველოში. ვახტანგ მე-6-ის მოწმობით, რამდენსაცა საქართველოსა შინა ანუ არაკსა, ანუ იგავსა, ანუ ზეპირს მუნასიბსა ლექსსა იტყვიან, უფროსი ერთი ამაში სწერია".[2]

„ქილილა და დამანას" თარგმნა ქართულ ენაზე წამოუწყია კახეთის მეფე დავითს, თეიმურაზ პირველის მამას, მაგრამ იგი გარდაცვლილა და ვერ მოუსწრია ბოლომდე მისი თარგმნა. დავითის თარგმანის ტექსტი ხელში ჩავარდნია ვახტანგ მე-6-ს. მისი დავალებით, დავითის წამოწყებული საქმე გაუგრძელებია და დაუსრულებია 1710-1714 წლებში ორ უცნობ მწიგნობარს. „ქილილა და დამანა" ვახტანგს შეუსწორებია და რედაქციულად გაუმართავს ისპაჰანში (ირანში) ყოფნისას. როგორც ჩანს, ვახტანგს არ მოსწონებია თხზულების ქართული თარგმანი „ლექსი, სიტყვა და გაწყობა ბევრი აკლდაო" და მას თითონ დაუწყია თავიდან „ქილილა და დამანას" თარგმნა. 1714-1716 წლებში ვახტანგს დაუმთავრებია თხზულების საკუთარი თარგმანი. თხზულებაში ჩართული ლექსებიც პროზაულად უთარგმნია, მაგრამ სალექსო პროზაული ტექსტების გაწყობა, მთელი თხზულების რედაქცია, ე. ი. „ქილილა და დამანას" გაწყობა და გაჩალხვა ვახტანგს ჯერ მიუნდვია ონონა მდივნისათვის, ხოლო, როდესაც ევროპიდან დაბრუნდა სულხან-საბა ორბელიანი, ტექსტი იმისთვის გაუგზავნია და მიუწერია: „ეს ჩემი ჭირნახული გაჩალხე გემოიანად და სადაც ლექსები ჩართული იყოს, აგრეთვე ქართუ-

---

[1] ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1966, გვ. 487.

[2] ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1966, გვ. 487.

ლად ლექსები ჩაურთეო".[1] საბას „ქილილა და დამანას" ვახტანგისეული თარგმანი საფუძვლიანად გადაუმუშავებია როგორც პროზის, ისე ლექსით ნაწილში. ვახტანგის ტექსტი მართლაც „გემოიანად გაუჩალხავს" და მისი სრულიად ახალი რედაქცია მიუცია.[2] „ქილილა და დამანას" ტექსტი სულხანს გაუწყვია არა სპარსული რიგით, არამედ ქართული ლექსის ბუნების მიხედვით, რომელშიც გამოიყენა ახალი სალექსო ფორმები.[3]

ქართული ლექსწყობის დამსახურებული ნოვატორი მამუკა ბარათაშვილი სულხან-საბას თითქმის რუსთაველს უტოლებს. იგი ამბობს: „ორბელიანმა ქილილა და დამანა გალექსა, თუმცა რუსთვლის ნათქვამი არ არის, მაგრამ ნაკლებად სათქმელიც არ არის"...[4]

ანტონ კათალიკოსი შენიშნავს: „შაირნი მისნი საქებელობენ, შაირთა ვაქებ... უცხო არს იგი საქებელ პიიტიკა, რაცა სოფლიოთ გამოთქუა სულხან-საბა".[5]

იოანე ბატონიშვილის დახასიათებით, სულხან-საბა ორბელიანი იყო „უცხო პიიტიკოსი და ქებული, ძველთა მოშაირეთა შესადარი".[6]

---

[1] ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1966, გვ. 486.

[2] ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1966, გვ. 486.

[3] კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, 1969, გვ. 376.

სიბრძნე მალაღობელი (ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, ალ. ბარამიძის რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1947, სტრ. 812.

კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1958.

[4] გ. მიქაძე, მამუკა ბარათაშვილის „ლექსის სწავლის წიგნი", თბ., 1956, გვ. 137.

[5] ანტონ ბაგრატიონი, „წყობილსიტყვაობა" (გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა), 1980, გვ. 282.

[6] იოანე ბატონიშვილი, „კალმასობა", II, (კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით), 1948, გვ. 287-288.

ვახტანგ მე-6 საპატიო ადგილს უთმობს სულხან-საბა ორბელიანს ქართულ პოეზიაში რუსთაველის, ჩახრუხაძისა და არჩილის გვერდით.

„რუსთველისა ლექსი მეფეა ტახტზედ გვირგვინით მჯდომელი.
კვლავ ჩახრუხაძე აგრეთვე სხვისი რიგისა მჯდომელი,
მეფის არჩილის სარჯელი სწავლაა დაუცხრომელი,
საბა თავადი მჯდომელი, მამუკა ბოლოს მდგომელი".[1]

სულხან-საბა ორბელიანმა დიდი პოეტური შემართებითა და შემოქმედებითი ნიჭის წყალობით შეძლო ეხსნა ქართული პოეზია იმ დროს რუსთაველის მონური მიბაძვისა და მისი წამლეკავი ზეგავლენისაგან, რომელიც სახიფათო იყო ქართული პოეზიის წინსვლისა და განვითარებისათვის. რუსთაველურ პოეტურ ნორმებს გადაუხვია და საკუთარ ნიადაგზე დადგა. მართალია, იდეებისა და შინაარსის სფეროში ეს შეასრულა არჩილმა, მაგრამ მას არ ეყო პოეტური ძალა, რომ ახალი იდეები და შინაარსი მისთვის შესაფერისი ახალი ფორმებით გამოეხატა. როგორც ალ. ბარამიძე აღნიშნავს, სულხან-საბამ ახალ იდეებს და შინაარსს მისთვის შესაფერისი ახალი ფორმები მოუნახა და იგი ქართული ლექსის რეფორმატორი გახდა თავის თანამედროვე პოეტებთან ერთად. სულხან-საბა ორბელიანმა, პირველმა შეანგრია ქართული ლექსის ძველი ნორმების ციხე-სიმაგრე.[2]

სულხან-საბა ორბელიანის კვალს გაყვნენ ვახტანგ მე-6, მამუკა ბარათაშვილი, დავით გურამიშვილი და სხვები.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს სულხან-საბა ორბელიანის დამსახურება ლექსიკოგრაფიაში.

ყველამ კარგად იცის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ლე-

---

[1] სიბრძნე მალაღობელი (ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, ალ. ბარამიძის რედაქციითა და შენიშვნებით), თბ., 1947, სტრ. 812.

[2] ალ. ბარამიძე, ნარკვევები, I, 1945, გვ. 341. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1966, გვ. 503.

ქსიკონის შედგენას ამა თუ იმ ხალხისათვის. ლექსიკონი სრულ წარმოდგენას გვიქმნის სიტყვათა მარაგის შემქმნელი ერის კულტურულ პროფილზე, ცივილიზაციის დონეზე, იმ გზაზე, რომელიც მან განვლო საუკუნეთა სიღრმიდან ჩვენს დღეებამდე. ყოველ ლექსიკონში ერის სული და გონებაა ჩაქსოვილი, რომ იგი მისი შემქმნელის ბუნებისა და გენიის გამოვლენაა,რადგან ასეთ წიგნში კონდენსირებული სახითაა აღბეჭდილი წინაპართა ჩვენთა აზრები და სიხარული, გარჯა და სიმძიმილი...[1]

დღეს უკვე დადასტურებული ფაქტია, რომ ცივილიზაციის ადრეულ საფეხურიდანვე სიტყვას მაგიურ ძალას ანიჭებდნენ. იოანეს სახარების ცნობილ ფრაზას თუ გავიხსენებთ, „პირველთაგან იყო სიტყუაი და სიტყუაი იგი იყო ღმრთისა თანა და ღმერთი იყო სიტყუაი იგი“, მაშინვე ვრწმუნდებით სიტყვის („ლოგოსის“) ჭეშმარიტებაში. სიტყვის მარაგის თავმოყრაც ადრევე დაუწყიათ ჩვენს მწიგნობრებს. მათ საფუძვლიანად ესმოდათ ლექსიკონის უაღრესი მნიშვნელობა და ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნიდან მოკიდებული ძალზე ინტენსიურად შეუდგნენ ქრისტიანული წიგნების თარგმნა-გავრცელების საქმეს. ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები, ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი, თუ იოანე პეტრიწი მთარგმნელობით მოღვაწეობასთან ერთად ქართულ მეცნიერულ ლექსიკოგრაფიასაც უყრიდნენ ბალავერს.[2] (სხვათა შორის, ფორმალური თვალსაზრისით მათ კვალს გაჰყვა ვახტანგ VI, როცა ქმნიდა პირველ რუსთველოლოგიურ ნაშრომს „ვეფხისტყაოსნის“ განმარტებას“).[3]

პირველი და თანმიმდევრული ლექსიკოგრაფის სახელი დი-

---

[1] ს. ცაიშვილი, ძველი ლექსიკოგრაფიული ნაშრომი „ვეფხისტყაოსანზე“ და მისი უცნობი ავტორი, ჟურნ. „მნათობი“, 1984, ნომ. 8.

[2] მზექალა შანიძე, შესავალი ეფრემ მცირის ფსალმუნთა თარგმანებისა, თსუ, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, II, 1968.

[3] ჟურნალი „მნათობი“, 1984, ნომ. 8.

დმა სულხან-საბა ორბელიანმა დაიმკვიდრა.

როცა ძველ ქართველ მწიგნობართაგან დაწყებული საქმე ჟამთა ვითარების გამო ერთგვარად შენელდა, და ახალ საუკუნეებში შედარებით გამოცოცხლება დაეტყო ქართულ მწერლობას, ეს დიდი საქმე იტვირთა სულხან-საბა ორბელიანმა.

„სიტყვის პაპას" კარგად ესმოდა, თუ რა ძნელსა და ქართული კულტურისათვის სასიცოცხლო საქმეს მოჰკიდა ხელი.

როგორც სულხან-საბა ორბელიანი აღნიშნავს, მის დროს „ქართულსა ენათა ლექსიკონი აღარ იპოებოდა, რამეთუ ჟამთა ვითარებითა უჩინო ქმნილ იყო", „ქართული ლექსიკონის" („სიტყვის კონაზე") შედგენაზე სულხან-საბა ორბელიანს მუშაობა დაუწყია ბერად შედგომამდე. ის თვითონ აღნიშნავს: „ლექსიკონის შედგენის შემდგომად ის (სულხანი) მონაზონ იქმნაო".[1]

სულხან-საბა გადმოგვცემს: „მე სულხან-საბა ორბელიანსა, ჭაბუკობისა ჟამსა და სიყრმესა, ფრიადი შრომა დამიცს ამა წიგნსა ზედა, რამეთუ ქართულსა ენათა ლექსიკონი აღარ იპოებოდა... მაშინ ქრონიკონი იყო ჩქპე".[2]

როგორც ცნობილია, საბას ლექსიკონზე მუშაობა დაუწყია 1658 წელს და დაუმთავრებია 1715 წელს. ხსენებული ლექსიკონი საბას გიორგი მე-11-ის მითითებით შეუდგენია. სულხან-საბა თავის ლექსიკონში აღნიშნავს: „ვახტანგ მეფის ბიძამ, გიორგი მეფემ, მიბრძანა ამის ხელყოფაო". ამ ლექსიკონის შედგენისათვის ზრუნავდნენ აგრეთვე გიორგის ძმებიც. საბა შენიშნავს: „მეფის არჩილისა და მეფის გიორგისა და ბატონ ლე-

---

[1] ი. ლოლაშვილი, სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობიდან, (1698-1713), თბ., 1959.

[2] ლ. ქუთათელაძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, (ავტოგრაფების მიხედვით), თბ., 1972. გ. ჯიბლაძე, ესთეტიკური თეორიის საკითხები, თბ., 1961.

ონის... ბრძანებით აღიწერა".[1]

სულხან-საბა ორბელიანის „ქართულ ლექსიკონს" ორი სახელწოდებით ვიცნობთ: „ლექსიკონი" და „სიტყვის კონა". პირველი სახელი ავტორისეულია, მეორე კი ვახტანგ მე-6-ის მიერ არის შერქმეული. სულხანის მოწმობითაც: „მე სულხან-საბა ორბელიანს, ჭაბუკობისა ჟამსა და სიყრმესა ფრიადი შრომა დამიცს ამა წიგნსა ზედა, რამეთუ ქართულთა ენათა ლექსიკონი აღარ იპოებოდა... რომელსა მეხუთე ვახტანგ (მეექვსე) მეფემან ქართულად „სიტყვის კონა" უწოდა, ვინათდან პატიოსანი ესე წიგნი დაჰკარგოდათ, ენა ქართული თვისა ნებაზე გაერყვნათ".[2]

სულხან-საბა ორბელიანმა ღირსეულად დაასრულა საშვილიშვილო საქმე და თავის ხალხს უძვირფასესი საუნჯე უანდერძა. როგორც არნოლდ ჩიქობავა აღნიშნავდა და სამეცნიერო ლიტერატურაშიც არაერთგზის არის შენიშნული, საბას ლექსიკონი გამოირჩევა არა მხოლოდ უნიკალური ლექსიკური მასალით, არამედ ლექსიკოგრაფიის ზოგადი საკითხების გაგების მხრივაც საბას ლექსიკონი უფრო მაღლა დგას, ვიდრე იმდროინდელი ფრანგული აკადემიური სალექსიკონო შრომები".[3]

როგორც ცნობილია, გიორგი XI ხსენებულ ლექსიკონს ანუ „სიტყვის კონას" პირველად ყანდაარში გასცნობია, მას ძალიან მოსწონებია და საბასთვის მიუწერია: „დიახ, კარგი წიგნია, და

---

[1] ლ. ქუთათელაძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები (ავტოგრაფების მიხედვით), თბ., 1972. გ. ჯიბლაძე, ესთეტიკური თეორიის საკითხები, თბ., 1961. გვ. 20.

[2] ლ. ქუთათელაძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, (ავტოგრაფების მიხედვით), თბ., 1972. გ. ჯიბლაძე, ესთეტიკური თეორიის საკითხები, თბ., 1961. გვ. 20.

[3] არნოლდ ჩიქობავა, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, შესავალი წერილი, 1950, გვ. 14.

კარგადაც გავეწყევ".[1]

სულხან-საბას ქართულ სიტყვასთან მხარში ედგა მისივე გაზრდილი ვახტანგ მე-6, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო ლექსიკონის სრულყოფის საქმეს. ვახტანგმა, როგორც ს. ცაიშვილი შენიშნავს, სათავე დაუდო აგრეთვე სულხანთან ერთად) „ვეფხისტყაოსნის" ლექსიკის შესწავლას და შემდგომში მთელი მიმართულებაც შექმნა ამ დარგში.[2]

1712 წლის ბეჭდური „ვეფხისტყაოსნის" აღდგენისა და ვახტანგის „ვეფხისტყაოსნის" განმარტებაზე" მუშაობისას აკაკი შანიძემ დაადგინა, რომ ვახტანგი ვეფხისტყაოსნის რიგი სიტყვების განმარტებისას ეყრდნობოდა სწორედ სულხან-საბას სწორუპოვარ ნაშრომს.[3]

მაგრამ, როგორც ს. ცაიშვილი შენიშნავს, ბოლო წლების გამოკვლევებით გამოვლინდა, რომ ვახტანგის კომენტარების ბეჭდურად გამოქვეყნების შემდგომ (1712) სულხან-საბა კვლავ განაგრძობდა თავის „სიტყვის კონაზე" მუშაობას და თვით სულხან-საბა იყენებდა ვახტანგის კომენტარებს და ლექსიკონის უკანასკნელ რედაქციებში ზოგი სიტყვის განმარტება სიტყვა-სიტყვით აღებულია სწორედ ვახტანგის კომენტარებიდან.[4]

დავუბრუნდეთ სულხან-საბა ორბელიანის მიერ გადაწერილ „ვეფხისტყაოსანს" (S-3077). ხსენებული ნუსხა სპარსულ ქაღალდზეა დაწერილი და ძალზე ნაკლულია. პროლოგი მთლიანად დაზიანებულია, გადაწერილია მხედრულად, სათაურები და სტრო-

---

[1] ქართული ლიტერატურის ისტორია, 1966, გვ. 482.

[2] ჟურნ. „მნათობი", 1984, ნომ. 8.

[3] აკაკი შანიძე, ვახტანგი როგორც ლექსიკოგრაფი, იხ. „ვეფხისტყაოსნის" 1712 წლის გამოცემა, აღდგენილი 1937 წელს აკაკი შანიძის მიერ, გვ. 368-370.

[4] ს. ცაიშვილი, ლიტერატურული წერილები, 1966, გვ. 87-97.

ფის პირველი სიტყვები სინგურით.[1]

სულხან-საბა ორბელიანს მის მიერ გადაწერილ „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერში ჩაურთავს ერთი სტროფი, რომელიც, როგორც ს. ცაიშვილი შენიშნავს, მარტო ამ ხელნაწერშია მოთავსებული და ინტერესმოკლებული არ იქნება მკითხველისათვის.

„მოუხდეს ჯოგი ნაუსხეს დალეწეს ჩიხი და ღობა,
იგ უყვეს შეუტყობელად მათ ლაღთა კარგი ლაღობა,
ფრიდონ გაფრთხილდა საომრად, მაგრამ ტარიელ ლაღობა,
და
სამთავ შვენოდა სიცილი და ტკბილი ამხანაგობა."[2]

შესაძლებელია, რომ ამ სტროფის ავტორი თვით სულხან-საბა ორბელიანი იყოს. ხელნაწერს ახლავს სხვა გვიანდელი მინაწერებიც.

ხსენებული ნუსხა „ვეფხისტყაოსნისა" 1908 წელს აღწერა და გამოაქვეყნა ექვთიმე თაყაიშვილმა „აღწერილობის" მე-2 ტომში.

---

[1] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. IV, 1965, გვ. 279-280.

ს. ცაიშვილი, „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის ისტორია, ტ. II, 1970, გვ. 19.

ს. ყუბანეიშვილი, „ვეფხისტყაოსნის" სტროფული შედგენილობა, 1959, გვ. 305.

[2] ს. ცაიშვილი, „ვეფხისტყაოსნის" ძველი რედაქციები, 1963, თბ., გვ. 59.

ყაზახაანთ ბეჭოიას ასული

პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერის (P-10) გადამწერია ქალაქ შემახაში (აზერბაიჯანში) მცხოვრები ქალი ყაზახაანთ ბეჭოიას ასული. მას ეს ხელნაწერი 1702 წელს გადაუწერია. როგორც ე. თაყაიშვილი აღნიშნავს, სომეხი ქალი ვერ ყოფილა დახელოვნებული და ბევრი შეცდომა მოსვლია.[1]

ხსენებული ხელნაწერი წარმოადგენს კრებულს. გარდა „ვეფხისტყაოსნისა“, მასში მოთავსებულია სხვადასხვა ლექსები. ხელნაწერი ჩასმულია ყდაში, რომელსაც ე. თაყაიშვილი სპარსულ რიგისად მიიჩნევს.[2]

მარი ბროსეს აღწერილობით, ხელნაწერი აკინძულია აღმოსავლური მანერით, გადაწერილია დაუდევრად, სასვენი ნიშნების გარეშე, თუ არ ჩავთვლით უადგილო ალაგას დასმულ მრავალწერტილებს.

ხელნაწერს დართული აქვს გადამწერის ანდერძი ნაწილი ლექსად, ნაწილი პროზაულად. გავეცნოთ გადამწერის ანდერძს:

„ესე ლექსი აღამა გადმოწერა, რომ არის ბეჭოიას ასული (ა).
ცოდვისგან ვიტანჯვი მიშველეთ ვინც ხართ სომხის შვილია
ადრე წავიდეთ სამოთხეს შემოვიხვეწოთ მარიამის შვილია.

და

ცოდვისაგან მალ ნუ მამკლავს ვაჯი თუ თავის დედის შვილია.

---

[1] ე. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები, 1933, გვ. 43-44.

[2] ე. თაყაიშვილი, პარიზის ნაცონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები, 1933, გვ. 43-44.

„ვახსენოთ დამბადებელი ღმერთი არსისგან ქებული,
წამის ხანს შექმნა ქვეყანა არვისგან დაწუნებული,
ადამ და იევა, დაბადა კაცთაგან შედარებული,
და
ანგელოზი დასი შეამკო, ეშმაკი შექმნი ვნებული".

და ესე წიგნი არის სამასი რვა (?) არის, დაიწერა შამახის, წიგნი იანვრის იე (?) გასულას. ქორონიკონს ტჟ".

„ქ. მე, ცოდვილი ყაზანთ ბეჟუოს ქალმა, დამიწერია ვეფხისტყაოსანი, ვინა გამოასწერას, შენდობა მითხრას მე".[1]

ხელნაწერს თავფურცელზე ასეთი მინაწერი ახლავს: „დიაღ, ცუდი ვეფხისტყაოსანია, მეთორმეტე ფურცლის აშიაზე კი – „მე იოანე სარდლის შვილმან ვნახე, მინდა მეყიდა და აღარ ვიყიდე. 1723. იოანე".[2]

როგორი უწიგნურადაც არ უნდა იყოს დაწერილი ხსნებული პოემა, მთავარი მაინც ის არის, რომ „ვეფხისტყაოსანმა" მთელი მისი არსებით, მუსიკით, აზრითა და სიყვარულით მოაჯადოვა შემახაში მყოფი სომეხი ქალი ისევე, როგორც იგი ხიბლავდა და აჯადოებდა ყველას, განურჩევლად ეროვნებისა.

ამ ხელნაწერის აღწერილობები თავის დროზე გამოაქვეყნეს ი. მეუნარგიამ, ა. ხახანაშვილმა და ე. თაყაიშვილმა. ამჟამად კი ჩვენ მოგვეპოვება ამ ხელნაწერის ფოტოპირი, რომელიც ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში (P-10).

ხსენებული ხელნაწერი პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკისათვის შეუწირავს ცნობილ ორიენტალისტს აბელ რემუზას.[3]

1828 წელს გამოქვეყნებულ წერილში მარი ბროსე ახსენებდა ხელნაწერს, რომელიც ინახებოდა პარიზის ნაციონალურ ბიბლი-

---

[1] ს. ცაიშვილი, „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის ისტორია, ტ. II, 1970, გვ. 76.

[2] ს. ცაიშვილი, „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის ისტორია, ტ. II, 1970, გვ. 76.

[3] ე. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები, 1933.

ოთეკაში. ეს ხელნაწერი ბროსემ მთლიანად გადაწერა და იყენებდა თავისი ფრანგული თარგმანის შესასრულებლად. ამჟამად ბროსეს გადანაწერი ნუსხა ინახება სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში (K-23) (ძველი შრიფტით 103) და, როგორც ცნობილი გახდა, იგი წარმოადგენს პირს 1702 წელს შემახიაში გადაწერილი „ვეფხისტყაოსნისა".[1]

[1] ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, ტ. II, 1970, გვ. 13.

გივი თუმანიშვილი

საყველთაოდ ცნობილია, რომ თუმანიშვილთა საგვარეულოდან გამოვიდა არა ერთი პოეტი, მთარგმნელი, გადამნუსხველი და ბიბლიოფილ-მწიგნობარი, რომელთა სახელები საისტორიო წყაროებიდან შემოგვრჩა.

გივი ზურაბის ძე თუმანიშვილიც მეფეთა კარის მდივან-მწიგნობარი იყო, წერდა ლექსებს და კალიგრაფობდა.

1788-1798 წლებში გივი თუმანიშვილი ნაზარალხანის კარის მდივან-მწიგნობარია.[1]

1701 წელს გივი თუმანიშვილმა არჩილ მეფის დავალებით გადანუსხა „არჩილიანი" (S-425).

1701-1702 წლებში გ. თუმანიშვილი ორბელიშვილთა საბუთებს წერს, როგორც სამეფო კარის მდივანი.[2]

1703-1704 წლებში გივი თუმანიშვილი ლევან ბატონიშვილის (შაჰ-ყულიხანის) მდივნად იხსენიება.[3]

1712 წელს გივი თუმანიშვილი მეფე ვახტანგ მე-6-ის მდივან-მწიგნობარია.[4]

1718 წელს გივი ისევ ორბელიშვილთა საბუთებს წერს.[5]

1721 წელს გივი თუმანიშვილმა ვახუშტი ბაგრატიონთან ერთად, ვახტანგ მე-6-ის განკარგულებით საბარათიანო აღწერა. მას ჰქვია „საბარათაშვილოსა და სომხითის აღწერა", რომლის ნუსხამაც ჩვენამდე მოაღწია. ტექსტი გამოქვეყნებულია ე. თაყა-

---

[1] საქართველოს სიძველენი, ტ. II, გვ. 1902, 104-114.

[2] იქვე, გვ. 184-188.

[3] იქვე, გვ. 264.

[4] იქვე, გვ. 265.

[5] იქვე.

იშვილის მიერ 1907 წელს.[1]

კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში (S-2457) აღრიცხულია ორი სხვადასხვა ხელით ნაწერი ნუსხა, რომელსაც ჰქვია „შესავალი და ზანდუკი ვახტანგ მე-6-ის სამართლის წიგნისა". თ. ენუქიძე შესავალი ტექსტის ავტორად გივი ზურაბის ძე თუმანიშვილს მიიჩნევს.[2]

გივი თუმანიშვილს, როგორც პოეტს, პირველად საგანგებო წერილი მიუძღვნა ელენე მეტრეველმა. „გივი თუმანიშვილი, – წერს ელენე მეტრეველი, – რომ გამოცდილი და თავის კალმის სიმარჯვეში დარწმუნებული პოეტი იყო, ეს იქიდანაც ჩანს, რომ „არჩილიანის" ნუსხაში (გივის მიერ გადაწერილია 1701-1704 წლებში(მას საკმაოდ შეუტანია ისეთი ცვლილებები და დამატებები, რომლებიც სცილდება არა მარტო გადამწერის, არამედ რედაქტორის კომპეტენციასაც კი.[3]

„არჩილიანის" ამავე ნუსხამ (S-424) და ხელნაწერმა Q-548 გივი თუმანიშვილის ლექსებიც შემოგვინახეს.

გამოცდილი მწიგნობრის ხელი ემჩნევა გივი თუმანიშვილის მიერ გადაწერილ საბუთებსა და ანდერძებს (S-424, S-5031), რომლებიც გამოირჩევა თავისი მაღალფარდოვანი ენით, ვრცელი საღვთისმეტყველო შესავლებით და პრეტენზიული სტილით.

წლების მანძილზე ლექსი „ვახტანგ მეექვსის ეპიტაფიად" წოდებული, ვახტანგისვე მიეწერებოდა. იგი სხვადასხვა ხელნაწერებში გვხვდება და რამდენჯერმე დაიბეჭდა კიდეც.

მკვლევარმა ელ. მეტრეველმა გამოარკვია, რომ დასახელებული ლექსის ავტორი გივი ზურაბის ძე თუმანიშვილია.[4]

---

[1] ა. ბარამიძე, ნარკვევები, ტ. II, 1945, გვ. 226-227.

[2] ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნები, 1955, გვ. 12-13.

[3] ე. მეტრეველი, ვახტანგ VI-ის ეპიტაფიის ავტორი, „თსუ შრომები", ტ. 43, 1951.

[4] თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1951, ტ. 43.

ხელნაწერთა ინსტიტუტის S - ფონდის ხელნაწერის ერთ ფრაგმენტში მოთავსებულია ლექსები: 1. „საქართველოს გამგებლის ბატონიშვილის ვახტანგის ნაბრძანები", 2. „საბას ნათქუამი", 3. „მდივნის გივის ნათქუამი".

ელენე მეტრეველმა, რომელმაც პირველმა მიაქცია ყურადღება ამ ფრაგმენტს, წერს: „სამივე ლექსი ერთ თემაზეა დაწერილი და ვახტანგის გამოთქმით, „შვიდ მთიებთა ბუნებას" შეეხება.

სამსავე ავტორს მოჰყავს მთიებთა ქართულ-არაბული სახელები და ჩამოთვლიან მათ თვისებებს. ერთ თემაზე დაწერილი და ერთად შეკრებილი ეს ლექსები ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ისინი ლიტერატურული პაექრობის დროს საგანგებოდ დაწერილი ლექსები იყოს. ჩანს, ამგვარი ლიტერატურული პაექრობა სჩვევიათ ვახტანგსა და მის თანამოღვაწეებს.

მიუხედავად იმისა, რომ სამსავე ავტორი შეზღუდული იყო თემით, მაინც ლექსები ძლიერ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და ავლენენ თითოეული ავტორის პოეტურ ინდივიდუალობას.[1]

გივი თუმანიშვილი ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს, როგორც „ვეფხისტყაოსნის" გადამწერი. მე-18 საუკუნის დასაწყისში მას გადაუწერია „ვეფხისტყაოსანი" (H-30-61), რომელიც დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში.

როგორც ს. ცაიშვილი აღნიშნავს, „ვეფხისტყაოსნის" ეს ტექსტი ვახტანგისეული ნაბეჭდი გამოცემის (1712) ტექსტზე გაცილებით უფრო ვრცელია და, საერთოდ, მას არ მისდევს, საფიქრებელია, რომ იგი 1712 წელზე ადრეა გადაწერილი (1703-1712)".[2]

---

[1] თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1951, ტ. 43.

[2] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. VI, 1953, გვ. 368-370.

ლამარა ტატიშვილი, „ვეფხისტყაოსნის გადამწერნი", გაზ. „სახალხო განათლება", 1966, ნომ. 39.

პოემის ხსენებული ხელნაწერი 1795 წელს აღა-მაჰმადხანის მიერ თბილისის აოხრების შემდგომ ბეგთაბეგ ბეგთაბეგიშვილს შეუძენია. მინაწერი გვამცნობს: „ოდეს მოვიდა წყეული მძლავრი აგარიანი საჭურისი აღა-მაჰმადხან და მოაოხრა ტფილისი და უკან იქცა, შემდგომად მისსა საფასოთი მოვიყიდე ვეფხისტყაოსანი ესე მკითხველთა შესაქცევად მე ყოვლად უმდაბლესმან ბეგთაბეგოვმან მდივანმან ბეგთაბეგ. აღმომკითხველნო, კეთილი წარსთქვით ჩემთვის და არა ბოროტი, რათა თქვენცა შეგეძინოსთ სოფელსა ამას საწამწუთასა და მერმესა მას საუკუნეს კეთილი და დიდება დაუსრულებელი. ამინ.“[1] ხელნაწერს 191 გვერდის ქვემო აშიაზე, მსუქანი კალმის მოსმით, ტექსტის ხელით, კალმის საცდელად მიწერილი აქვს: „გივი“.

---

[1] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. VI, 1953, გვ. 368-370.

ლამარა ტატიშვილი, „ვეფხისტყაოსნის გადამწერნი“, გაზ. „სახალხო განათლება“, 1966, ნომ. 39. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1957., გვ. 93. სოლ. ყუბანეიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ სტროფული შედგენილობა, 1959, გვ. 312. ს. ცაიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ძველი რედაქციები, 1968, გვ. 71-132.

იოანე ავალიშვილი

კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია შესანიშნავად მოკაზმული „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი (H-2074), გადაწერილი მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში.

ხსენებული ნუსხა ჩასმულია ოქროსვარაყიან ყდაში, მდიდრული აშიებით, სათაურები და სტროფის დასაწყისი სიტყვებიც ოქროთი არის ნაწერი, შიგ ჩართულია ილუსტრაციები.[1]

მეცნიერთა აზრით, ამ ხელნაწერს იოსებ სააკაძე-თბილელის ხელში გამოუვლია, ხელნაწერის ერთ-ერთი ფურცლის აშიაზე მისი ხელრთვაა და ხელნაწერის ბოლოში დართული სამი სტროფი (მათ შორის ერთი თეიმურაზ პირველისა), მის მიერ უნდა იყოს მიწერილი.[2]

„ვეფხისტყაოსნის“ ეს ხელნაწერი დიდხანს ინახებოდა მოსკოვის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში და მის შესახებ ილია ჭავჭავაძეს ცნობას აწვდიდა ილია ოქრომჭედლიშვილი[3] ჯერ კიდევ 1870-იან წლებში.[4] „ვეფხისტყაოსანი“ (S-2074) საქართველოს დაუბრუნდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1922 წლის 9 სექტემბერს მოსკოვის ცენტრალური არქივიდან. ხსენებული ვეხფისტყაოსნის დასათარიღებლად მრავალმა

---

[1] H-2074 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. V, 1953, გვ. 41-42.

[2] ს. ცაიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ისტორია, ტ. II, 1970, გვ. 62.
ს. ცაიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ძველი რედაქციები, 1963, გვ. 110-112.

[3] ილია ლაზარეს ძე ოქრომჭედლიშვილი (1838-1891), საზოგადო მოღვაწე, მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტის პროფესორი.

[4] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ილია ჭავჭავაძის არქივი, 1720.

მეცნიერმა გამოთქვა თავისი აზრი. ეს ხელნაწერი პირველად გაინიხილა მოსკოვის საგარეო საქმეთა სამინისტროს მთავარ არქივში ქართული ლიტერატურის ცნობილმა ისტორიკოსმა ალ. ხახანაშვილმა. (1866-1912).

ვინაიდან ამ ხელნაწერს არ მოეპოვებოდა არც დაწერის თარიღი, არც გადაწერის ადგილი და ცნობილი არ იყო გადამწერის ვინაობაც, ალ ხახანაშვილმა პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით დაადგინა გადაწერის დრო მე-16 საუკუნის ბოლო და მე-17 საუკუნის დასაწყისი.[1]

როცა ხსენებული ნუსხა „ვეფხისტყაოსნისა" 1923 წელს საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოებას გადაეცა, იგი შეისწავლა სარგის კაკაბაძემ და ამ ხელნაწერს სპეციალური წერილი მიუძღვნა.[2]

ს. კაკაბაძე პოემის დახასიათებას იძლევა სტროფული მოცულობის მიხედვით და აღნიშნავს, რომ იგი წარმოადგენს ერთერთ სრულყოფილ რედაქციას „ვეფხისტყაოსნისას". იგი იკვლევს აგრეთვე ხელნაწერის დათარიღების და მხატვრობის საკითხს.

ს. კაკაბაძე „ვეფხისტყაოსნის" (H-2074) დაწერილობის ხასიათს ადარებს თეიმურაზ კახთ-ბატონის მიერ 1612 წელს თავისი მეუღლის ანას გარდაცვალების გამო ბოძებულ წყალობის წიგნს, დაცულს საქ. ცენტრალურ არქივში და გადაწერილს „ხელითა ავალიშვილისა მთავარეპისკოპოსისა და იოანესითა (ეს საბუთი მოკლედ მოხსენებული აქვს თედო ჟორდანიას „ქრონიკებში", წიგნი II, 1897). იგი ასკვნის: „ამ საბუთების აღმოჩენის შემდეგ ცხადი შეიქნა, რომ ხსენებული ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნისა" ამ იოანე ავალიშვილის მიერ არის დაწერილი. ეს ცხადი იყო საბუთის და ხელნაწერ „ვეფხისტყაოსნის" დამწერლობის ხასიათის ერთი თვალის გადაკვრითაც. დეტალური შედარების შემდეგ ეს

---

[1] **А. Хаханов, Труды восточной комисии. т.1, 2, Москва, 1895.**

[2] ს. კაკაბაძე, საისტორიო მოამბე, ტფ., 1924, გვ. 157-158.

აზრი ურყევ ფაქტად იქცა.[1]

ს. კაკაბაძე ამ ნუსხის აშიების მოხატვასაც იოანე ავალიშვილს აკუთვნებს. მისი აზრით, ეს უნდა მომხდარიყო თავის ერისკაცობაში და ახალგაზრდობაში უწინარეს 1600-1605 წლებისა, საფარის მონასტრის წინამძღვრობის დროს.

ს. კაკაბაძის შემდეგ, ხსენებული „ვეფხისტყაოსნის“ მოკლე აღწერილობა და დათარიღების შესახებ თავისი აზრი გამოთქვა ცნობილმა რუსთველოლოგმა იუსტინე აბულაძემ, რომელმაც თითქმის მთელი საუკუნით გადმოსნია მისი თარიღი. იგი წერს: „ჩვენის აზრით, ხელნაწერი როგორც ხელის, ისე თავისი შედგენილობის მიხედვით, ან უკეთ მე-17 საუკუნის მეორე ნახევრის ახალი სტილით დაწერილი ჩანართი ხანების მიხედვით, მე-17 საუკუნის მეორე ნახევარზე ადრინდელ დროს არ უნდა ეკუთვნოდესო“.[2] ამრიგად, იუსტინე აბულაძე არ ეთანხმება ს. კაკაბაძის მიერ ამ ხელნაწერის დათარიღებას.

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი (H-2074) მხატვრული თვალსაზრისით განიხილა შალვა ამირანაშვილმა. იგი არ იზიარებს კაკაბაძის იმ მოსაზრებას, რომ ამ ხელნაწერის აშიების სამკაულები და მინიატურები შესრულებულია კალიგრაფ იოანე ავალიშვილის მიერ. შ. ამირანაშვილის აზრით: „ირანული სტილით შესრულებული ბორდიურების შესწავლა რამდენსამე მინიატურისთვის (არა ნაკლებ ოთხისა) ხელს არკვევს და ყოველ მათგანს საკუთარი თავისებურებანი აქვს. ბორდიურები ცალკეა შესრულებული და შემდეგ მიწებებული ტექსტზე. ბორდიურების ერთი ჯგუფი თითქმის სრულიად ემთხვევა ზარეს კოლექციის ზილიხანიანის ხელნაწერების აშიების სამკაულს (ეს ხელნაწერი 1551 წ. თარიღდება) და საადის პოემის ბუსტანის მე-16 ს. ხელნაწერთა შემკულობას. ასეთივეა როზენბერგის მიერ გამოცემული მე-16

---

[1] ს. კაკაბაძე, საისტორიო მოამბე, ტფ., 1924, გვ. 157-158.

[2] ს. კაკაბაძე, საისტორიო მოამბე, ტფ., 1924, გვ. 157-158

საუკუნის დამლევის მინიატურის ბორდიური და ის მოსაზრება, რომ ხელნაწერის ბორდიურები ერთი მინიატურისტის – კალიგრაფის მიერაა შესრულებული, – იხსნება".[1]

სოლომონ იორდანიშვილი წერს: „შალვა ამირანაშვილი, მართალია, უარყოფს ს. კაკაბაძის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ვეფხისტყაოსნის ამ ხელნაწერის მინიატურისტ-კალიგრაფი იოანე ავალიშვილი იყო, მაგრამ გარკვევით არ აღნიშნავს, მისი აზრით – მაინც რომელ საუკუნეს მიეკუთვნება იგიო. ხელნაწერში წარმოდგენილი ბორდიურების ის ირანული ანალოგიები, რომლებიც აქვს დასახელებული (ზილიხანიანისა და ბოსტანის ხელნაწერების ბორდიურებში), მე-16 ს-ით თარიღდება. ასე რომ, თითქმის არ არის გამორიცხული შესაძლებლობა ხელნაწერის მე-16 საუკუნის უკანასკნელი ათეულით დათარიღებისაო."[2]

ს. იორდანიშვილი იუსტინე აბულაძის მსგავსად ეყრდნობა ხელნაწერის სტროფულ მოცულობას, მის შეჯერებას „ვეფხისტყაოსნის" სხვა თარიღიან ხელნაწერებთან და პოემაში ტაეპების ჩამრთველ-გადამწერებზე. ნანუჩა ციციშვილსა და იოსებ თბილელ-სააკაძეზე და საბოლოოდ ასკვნის: „ვეფხისტყაოსანი" (H-2074) იოსებ თბილელის ხელში უნდა იყოს გამოვლილი და მის სიცოცხლეში გადაწერილი მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში.[3]

---

[1] შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი", იუსტ. აბულაძის გამოცემა, 1926, გვ. 16. იუსტ. აბულაძე, რუსთველოლოგიური შრომები (გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ი. მეგრელიძემ), თბ., 1967, გვ. 144.

[2] „ვეფხისტყაოსნის" დასათაურება, მინიატურები, შესრულებული XVI-XVIII საუკუნეებში, 1966, გვ. 24-25. ს. იორდანიშვილი, ნარკვევები ქართული ლიტ. ისტორიიდან, თბ., 1953, გვ. 15. ქართული ხელოვნების ისტორია, 1961, გვ. 414.

[3] ს. იორდანიშვილი, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1953, გვ. 16.

დიმიტრი ბაქრაძე შენიშნავდა: „რადგანაც მასალა-ქაღალდი, რომელზედაც დაწერილია პოემა, ნებას არ გვაძლევს გადავწიოთ იგი მე-16 საუკუნისაკენ, ამიტომ მას მივაკუთვნებთ მე-17 საუკუნის დასაწყისს. ამის შემდგომ კიდევ გადაწევის საფუძველს არ გვაძლევს დაწერილობის ხასიათი“.[1]

ს. ცაიშვილმა საბოლოოდ დაასკვნა, რომ H-2074 ნუსხა შესაძლებელია არსებულიყო უკვე 1629 წლისათვის, ე. ი. მე-17 საუკუნის პირველ მეოთხედში.[2] ამრიგად, მეცნიერ-მკვლევარნი „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერის (H-2074) გადამწერად იოანე ავალიშვილს მიიჩნევენ. ხელნაწერს კი ათარიღებენ მე-17 საუკუნის პირველი მეოთხედით.

გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწე, კალიგრაფი იოანე ავალიშვილი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მე-16 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში. 1595-1600 წლებში სამცხეში ყოფილა. მე-17 საუკუნის დასაწყისში ქართლში მოღვაწეობდა. 1609 წელს ქვათახევის წინამძღვრად იხსენიება. ამ წელს მას ქეთევან დედოფლის (წამებულის) ბრძანებით გადაუწერია იამბიკონი ღვთისმშობლისანი, რომელსაც შემდეგი ანდერძი აქვს დართული: „ქრისტე ღმერთო, ადიდე ორთავე შინა ცხოვრებათა და ამზეგრძელე დედოფალთ დედოფალი პატრონი ქეთაონ, რომლის ბრძანებითა აღიწერა წმიდაი ესე წიგნი დღითიდღე სალოცველი, ქორონიკონსა სჯზ. მრავალმცა არიან წელნი ცხოვრებისა მისისანი, ამინ. ხელითა ფრიად ცოდვილისა ქუათახევის წინამძღვრისა ავალიშვილის იოანესითა“.[3] ნუსხურად გადაწერილი ამ პატარა წიგნის ყოველი ფურცელი მოოქროვილ ჩარჩოშია ჩასმული.

---

[1] ს. იორდანიშვილი, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1953, გვ. 16.

[2] ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, თბ., 1963, გვ. 110.

[3] ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, თბ., 1963, გვ. 110.

იოანე ავალიშვილს 1612 წელს დაუწერია თეიმურაზ მეფის მიერ ალავერდისათვის მიცემული ყმა-მამულის შეწირულობის წიგნი, სადაც იგი მთავარეპისკოპოსად იხსენიება.[1] ეს ლამაზი კალიგრაფიული მხედრულით ნაწერი გრაგნილია, ოქროსფერით გამოყოფილი სტრიქონებით, „დაიწერა მტკიცე და უცუალებელი წიგნი და ბრძანება ესე ქორონიკონსა ტ. თუესა მაისსა. ინდიკტიონსა მეფობასა ჩუენისა ვ. ხოლო ხელითა ფრიად ცოდუილისა ავალიშვილისა მთავარეპისკოპოზისა იოანესითა“.[2]

თეიმურაზის სხვა სიგელში, რომელშიც არსენ საფარელ ავალიშვილისადმია ბოძებული, იოანე მოხსენიებულია, როგორც „სწავლითა უფსკრულის და ფილასოფოსი“.[3]

1612 წლიდან იოანე ავალიშვილი უკვე ალავერდის ეპისკოპოსია, 1630 წელს ქართლის ეპისკოპოსი. 1639 წელს კი უკვე გარდაცვლილად იხსენიება.[4]

---

[1] ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, III, 1910, გვ. 439.

[2] H-284.

[3] საისტორიო მოამბე, წ. I, 1925, გვ. 146-154.
ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, 1961, გვ. 239.
ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, თბ., 1946, გვ. 200-201.

[4] ვ. ბერიძე, ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967, გვ. 14.

გურგენასეული „ვეფხისტყაოსანი"

მე-17 საუკუნის 60-იანი წლებით ათარიღებენ (ხელნაწერში არსებული ჭვირნიშნებით – რ. პატარიძე) „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერს (Q-930), რომელსაც გადამწერისა და დამკვეთის შესახებ არავითარი ცნობები არ მოეპოვება. ეს ხელნაწერი სომეხი კალიგრაფის მიერ უნდა იყოს გადაწერილი. იგი ვერ ყოფილა დახელოვნებული ქართულში და ბევრი შეცდომა მოსვლია.

ხსენებული ნუსხა წარმოადგენს პოემის ვრცელ რედაქციას. დაზიანების გამო ხელნაწერს პროლოგი არ გააჩნია. ხელნაწერის ბოლო 12 ფურცელი აღდგენილია შემდეგ, სხვა ხელით.[1]

„ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერს (Q-930) რამდენიმე ადგილას მოეპოვება ვინმე გურგენას მიერ შესრულებული მინაწერი, რის გამოც, ამ ხელნაწერს სპეციალურ ლიტერატურაში „გურგენასეულს" უწოდებენ.

ჯერ კიდევ 1904 წლის ჟურნ. „მოამბის" მეხუთე ნომერში გამოქვეყნდა საზოგადო მოღვაწისა და მკვლევარის ეპისკოპოს კირიონის (გ. საძაგლიშვილ-ივერიელის) წერილი, რომელშიც ავტორი ეხებოდა ვეფხისტყაოსნის ერთ ხელნაწერს, რომელიც ხელთ ჰქონია რამდენიმე დღის განმავლობაში. იგი წერს: „ამ ათი წლის წინათ ჩვენ ჩაგვივარდა ხელში ერთი შესანიშნავი ვარიანტი „ვეფხისტყაოსნისა". მაგრამ შემთხვევა არ გვქონდა გაგვეცნო ქართველი საზოგადოებისათვის ეს ძვირფასი ხელნაწერი. ვარიანტი რამდენიმე დღით მომიტანა სასულიერო სასწავლებლის მოწაფემ ბ. მიროტაძემ და, როგორც მან გადმომცა, ის

[1] ს. ცაიშვილი, ვეხფისტყაოსნის ტექსტის ისტორია, II, 1970, გვ. 44-45.

ეკუთვნოდა თბილისში მცხოვრებ სომეხ ქვრივ მანდილოსანს.[1]

როგორც ცნობილია, ს. ცაიშვილმა შეისწავლა კირიონის ხელნაწერი იმ 52 მნიშვნელოვან ხელნაწერთა მიმართებაში და დაასკვნა, რომ ზუსტად იმეორებს „გურგენასეულ" ხელნაწერს. უფრო მეტიც, ყველა მონაცემებით მტკიცდება, რომ კირიონისა და „გურგენასეული" ხელნაწერი არის ერთი და იგივე ნუსხა (შედგენილობით, ნაკითხვებით, ხელნაწერის ისტორიით), ეს ხელნაწერი სომხის ოჯახიდან მოდის, ჩანს, რომ კირიონის მიერ ნანახი და აღწერილი ხელნაწერი იგივე ნუსხაა, რომელიც 1946 წელს საქართველოს გადასცა საჩუქრად სომხეთის მთავრობამ და „გურგენასეული" ნუსხით არის ცნობილი.[2]

ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ გურგენა მამა-პაპით თბილისის მკვიდრი ენაკოლოფაშვილი ყოფილა. მისი პაპა თურქ-ოსმალების შემოსევის დროს ყარაბაღში გადასახლებულა, იქიდან კი სპარსეთში წასულა. გურგენას ბებია თამარი კი ნადირშაჰის არამში თარჯიმნის მოვალეობას ასრულებდა და კარგ გასამრჯელოსაც იღებდა. ერეკლე მე-2 და ქეთევანი – ნადირშაჰის ძმიშვილის ადილშას მეუღლე, დიდად სწყალობდა თურმე თამარს.

თამარი ქვრივი ყოფილა. მას თავისი შვილი, რძალი და შვილიშვილები ყარაბაღში დაუტოვებია. შვილი და რძალი გარდაცვლილან და ობლად დარჩენილი ბავშვები, გურგენა, მიხეილი და აზარია სპარსეთში წასულან, მათ კარგად შეუსწავლიათ მუ-

---

[1] ჟურნ. „მოამბე", 1904 წ. ნომ. 5.

[2] ალ. ბარამიძე, ნარკვევები, III, 1952, გვ. 230-235.


ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, 1968, გვ. 60-120.

ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის კირიონისეული ხელნაწერი, ჟურნ. „მოამბე", 1963. №3.


ც. კარბელაშვილი, ვეფხისტყაოსნის გურგენასეული ხელნაწერი, ძველი მწერლობის საკითხები, II, 1964, გვ. 303.




შოთა რუსთაველი მიართმევს თამარ მეფეს „ვეფხისტყაოსანს“.



შოთა რუსაველის პორტრეტი
ჯვარის მონასტრიდან იერუსალიმში.




ა რუსთაველის პორტრეტი შესრულებული
მამუკა თავაქარაშვილის მიერ.




თავაქარაშვილის ავტოპორტრეტი.

„ვეფხისტყაოსნის“ ფრაგმენტები, რომლებიც [illegible]ეში
ანა რჩეულაშვილის ხელით კედელზეა მი[illegible]

მამუკა თავქარაშვილის მიერ გადაწერილი
„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერის ნიმუში H-599.




იოსებ თბილელის (სააკაძე) მიერ გადაწერილი
„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერის ნიმუში Q-10-82.



ბეგთაბეგ თანიაშვილის მიერ გადაწერილი
„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერის ნიმუში H-54.

პაპუნა ბებურიშვილის მიერ გადაწერილი
„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერის ნიმუში S-28-29.



იოანე ავალიშვილის მიერ გადაწერილი
„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერის ნიმუში H-2074.

სიკა, სხვადასხვა ენები და მრავალი წლის შემდეგ დაბრუნებულან თბილისში. გურგენა თავისი ძმებით ხლებია ერეკლე მეფეს და მის ვაჟს გიორგის. მეფის კარზე გულთბილად მიუღიათ ძმები. ერეკელს და გიორგის განსაკუთრებით მოსწონებიათ გურგენა, როგორც გონიერი და ჭკვიანი კაცი და მისთვის მირზობა უბოძებიათ. გურგენა თურმე „საკრავითაც შეაქცევდა ხოლმე ბატონებს“.[1]

მეფე ერეკლეს დროს გურგენს უმაღლესი მუშის (ვეზირის) თანამდებობა ეკავა.[2] მეფე ხშირად აგზავნიდა მას მეზობელ ქვეყნებში საგარეო საქმეების მოსაგვარებლად.

ერთხელ, როცა გურგენას მეფე ერეკლეს დავალება ბრწყინვალედ შეუსრულებია და სტამბოლიდან თბილისში დაბრუნებულა, მას დიდი ზეიმით შეხვედრიან.

იესე ბარათაშვილი ამ ფაქტის შესახებ თავის ცხოვრება-ანდერძში წერს: „განცვიფრდა ყოველი სული და ადიდებდნენ ღმერთსა (მეფესა) ამის ესრეთს ბედნიერებას; ხონთქარი ესრეთ, ყეენი ესრეთ, რუსეთის იმპერატორი ესრეთ, შვილნი მორჩილნი ესრეთ, ყმა დამონებული, მეზობელნი მორჩილნი, ესრეთ და სხვა მრავალი ბედნიერება აურაცხელი“.

გურგენას სახელი მოიხსენიება აგრეთვე ომან ხერხეულიძის ქრონიკებში, მ. ბროსეს საქართველოს ისტორიაში, (ფრანგულ ენაზე), დ. ფურცელაძის „გლეხთა სიგელებში“. ისტორიკოს დუბროვინის წიგნში „ძმები პოტიომკინები კავკასიაში“, ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“ (1884 წ. 7-8), იესე ბარათაშვილის „ცხოვრება-ანდერძში“.

თანამედროვე მწერლებიდან იგი მოხსენიებული ჰყავს აკაკი ბელიაშვილს „ბესიკ გაბაშვილის თავგადასავალში“ და გერონტი

---

[1] ომან ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა, 1989, გვ. 90-91.

[2] ი. ენიკოლოფაშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ხელნაწერის ისტორია, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 21 ოქტომბერი.

ქიქოძეს „ერეკლე მეორეში".

როგორც ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, გურგენას ჰყოლია სამი ვაჟი: მირზას, რომელსაც ერეკლესა და მეფე გიორგიმ ე-12 კარზე შესაფერისი განათლება მიუღია, კარგად სცოდნია თურქული, სპარსული, არაბული და კავკასიური ენები. გიორგი მე-12 მეფობის დროს მას ვხედავთ საგარეო საქმეთა სამინისტროში.[1] იგი ამიერკავკასიის მთავარმართებლის საქალაქო კანცელარიაში დიპლომატიურ განყოფილებაში მუშაობის პერიოდში გასცნობია გრიბოედოვს და შემდგომში ოჯახებით დაახლოებიან ერთმანეთს. აღალო კი თავის მეუღლესთან ერთად, გვერდიდან არ მოსცილებიან ნინო ჭავჭავაძეს გრიბოედოვის მოკვლის შემდეგ და თბილისშიც ჩამოჰყოლიან. უმცროს ძმა – მანუჩარი კი ქართველ ცხენოსანთა ჯართან ერთად 1804 წელს მონაწილეობდა ირანთან ლაშქრობაში, როცა ციციანოვი ერევანთან სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა მტერს, იგი ტყვედ ჩავარდნილა. მტერმა დაასაჭურისა და შაჰის ჰარამხანაში გაგზავნა. მანუჩარი მალე დაწინაურებულა უცხოეთში და 1815 წლიდან ობერცერემონიმეისტრის თანამდებობაზეა. ბოლოს, ომის შემდეგ მას ვხედავთ დელეგატად შეუზღუდავი უფლებამოსილებით საზავო კონფერენციაზე. როგორც „სახელმწიფო უმაღლესი ნდობით" აღჭურვილი პირი, ალბათ, დიდი ნდობით სარგებლობდა შაჰის კარზე. მანუჩარი გრიბოედოვს იცნობდა ჯერ კიდევ თურქმენჩაის ხელშეკრულების დროიდან, რომელსაც ორივემ მოაწერა ხელი. გრიბოედოვმა რუსეთის დელეგაციის მეთაურის სახელით, ხოლო მანუჩარმა კი ირანის დელეგატის სახელით. სწორედ მანუჩარს გაუგზავნია თავისი დისწული სოლომონ მელიქოვი გრიბოედოვთან გასაფრთხილებლად, რომ მას საფრთხე ელოდა და დაეცვა თავისი სიცოცხლე. სოლომონიც გრიბოედოვთან ერთად დაღუპულა.

---

[1] საქართველოს ცენტრალური არქივი, ფ. 16, ნომ. 16.

მირზა აფრიამის ოჯახში შემონახული „Горе от ума“-ს ასლი, როგორც ჩანს, მიხეილ თუმანიშვილს მიღებული აქვს ცოლის ოჯახიდან.

როგორც ცნობილია, 1840 წელს მირზა აფრიამის გარდაცვალების შემდეგ, მისი ასული სოფიო ცოლად მიჰყვება მიხეილ თუმანიშვილს.

დავუბრუნდეთ გურგენასეულ „ვეფხისტყაოსანს“.

გურგენას ჰქონია შესანიშნავი ბიბლიოთეკა. მისი გარდაცვალების შემდეგ 1786 წელს ბიბლიოთეკის მფლობელი გამხდარა მისი შვილი მირზა აფრიამი.

1795 წელს აღა-მაჰმადხანის შემოსევისას და თბილისის გადაწვისას, რა თქმა უნდა, გურგენას ბიბლიოთეკაც ვერ გადაურჩა განადგურებას. ძირითადი ნაწილი ბიბლიოთეკისა დაიღუპა, საუკუეთესო წიგნები კი ნადავლის სახით წაიღო მტერმა ჯერ თეირანში, იქიდან კი შაჰის სასახლეში. ქონების გადასარჩენად ქალაქში დარჩენილმა აფრიამმა, როგორც ჩანს, დატყვევებამდე მოასწრო მისთვის მეტად სანუკვარი „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერის გადამალვა და ერთი წლის შემდეგ ტყვეობიდან გამოქცეულმა, იპოვა თავის ხელით შეფუთული „ვეფხისტყაოსანი“.[1] სწორედ ეს ნუსხა „ვეფხისტყაოსნისა“ 1946 წელს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავთან დაკავშირებით, გადაეცა „საბჭოთა სომხეთის მშრომელთა სახელით საჩუქრად მოძმე ქართველ ხალხს“.[2]

1832 წელს მირზა აფრიამი (აბრაამ), რომელიც დიპლომატიური კანცელარიის სამსახურშია, ბარონ როზენს ელჩად გაუგზავნია ირანში. მას აუდიენცია ჰქონია შაჰთან, რომელსაც, რო-

---

[1] ი. ენიკოლოფაშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ხელნაწერის ისტორია, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 1966.

[2] ალ. ბარამიძე, გურგენასეული „ვეფხისტყაოსანი“ (მოკლე აღწერილობა), ნარკვევები, III, 1952, გვ. 230-234.

გორც საგვარეულო რელიქვია ენაკოლოფაშვილებისა, 1795 წელს თბილისიდან გატაცებული ორი წიგნი: „ანთოლოგია არაბულენოვანი“ და „ნადირშაჰის ლაშქრობა“ მისთვის დაუბრუნებია.

ყურადღებას იპყრობს ანთოლოგია, რომელიც შეიცავს ძველი და ახალი საუკუნეების გამოჩენილ მწერალთა, მეცნიერთა, ლიტერატორთა და პოეტთა ნაწარმოებებს. მას ერთვის მინაწერები, რომლებიც მოგვითხრობენ ამ წიგნის დატყვევებასა და ისევ თბილისში დაბრუნების თავგადასავალს, კერძოდ, მირზა გურგენას ეს ხელნაწერი როგორ მოხვდა ირანელი ურდოს ხელში. აგრეთვე მინაწერიდან ვგებულობთ, რომ „1795 წელს ოქტომბერში უკან გაბრუნებულ ირანელ ურდოს მუღანის ველზე მიუყვანია თბილისში დატყვევებული რვა ათასი ქართველი და სომეხი ქალი და კაცი“.

ხსენებული წიგნები ამჟამად დაცულია საქართველოს არქივის იშვიათ წიგნთა ფონდში ნომრით 576.[1]

[1] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის არაბულ ხელნაწერთა კატალოგი. „მეცნიერება“, 1978.

ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ გადამწერთა შორის ცნობილია ქართველი მწიგნობარი და კალიგრაფი ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილი. ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილი მე-17 საუკუნის პირველი მესამედის სასულიერო პირია. იგი მეტწილად სასულიერო-საეკლესიო შინაარსის თხზულებათა ხელნაწერებს ამრავლებდა, მაგრამ საერო-მხატვრული ძეგლების შედგენასა და ცალკეულ ნუსხების დამზადებაშიც დიდი წვლილი მიუძღვის.

ჩაჩიკაშვილების თავდაპირველი სამოსახლო ქ. გორი ყოფილა. ამ გვარის უკანასკნელი წარმომადგენლები 1920 წლის მიწისძვრის შემდეგ საცხოვრებლად თბილისში გადმოსულან.[1]

ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილი მოღვაწეობდა თბილისში და გარდაიცვალა 1810 წელს.

ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილი მის მიერ გადაწერილ ხელნაწერის ანდერძებში ყოველთვის ნიკოლოზ მღვდლად იწოდება. მის მიერ გადაწერილი ხელნაწერები ჩანს მე-18 საუკუნის 50-იანი წლების მიწურულიდან მე-19 საუკუნის დასაწყისამდე. იგი წერდა როგორც ნუსხურად, ასევე მხედრულად.

ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილზე ცნობები გვხვდება მის მიერ გადაწერილ ხელნაწერების ანდერძ-მინანერებში.

კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული „ჟამნის“ (S-4549) მინაწერი გვაწვდის ცნობას ნიკოლოზის მრავალრიცხოვანი ოჯახის შესახებ: „... ესე აღიწერა ჩემ ცოდვილის ხელით ჩაჩიკაშვილის ნიკოლოზისათა. ღმერთო, ჩემი ცოდვა და

---

[1] სოლომონ ხუციშვილი, გორელი კალიგრაფი, გაზ. „სტალინელი“ (გორი), 1959, 2 დეკემბერი, ნომ. 25.

უშჯულოება მაპატივე და შეენიე უძლურსა ხორცსა ჩემსა და სნეულსა ჩემსა, შეინყალე სულიერად და ხორციელად, მეუღლესა ჩემსა დარეჯანსა და ძესა ჩემსა იოანეს და ასულთა ჩემთა მოგვეც შენი სიყვარული და წყალობაი გარდმოგვივლინე და დაამშვიდე ქრისტიანობაი, და შეენიე და აცოცხლე ძმა ჩემი კაცია, და დედა ჩემი, და განუსვენე შენის მოწყალებით ბიძა ჩემს ელისე დმანელს მასწავლებელსა ჩემსა, და შენ განუსვენე მამასა ჩემსა ასლამაზს და ძმათა ჩემთა ფირანსა და ზაზას, და დათა ჩემთა და ყოველსა სულს ქრისტიანსა. ჩემი მოწყალე და კეთილის მყოფელი დაიფარე შენის მადლითა და მოწყალებითა და შეინყალე ჩვენის კეთილის მყოფელი მღვდელი მოსე მეუღლითა და ასულითა, ღმერთო შეინირე მცირე ჩემი ნაღვაწი და ნაშრომი, ძმანო და დანო, ვინც იხილოთ და მიიღოთ, ლოცვასა ყოფდით ჩემთვს ღვთის სიყვარულისა, შეცდომით რაც მომსვლოდენ ნუ მწყევთ სიყვარულისათვის სულისა თქვენისა. აღესრულა ქალაქსა ტფილისისასა მას ჟამსა, ოდეს მეფე ირაკლიმ მეფობასა თვისსა სტამბა გამოიღო პალატასა სამეფოსასა. ის ჟამი იყო აზატხან ქერიმხან წააყვანინა. აღესრულა მარტსა (1), დასაბამითგან სოია ქორინიკონს აქეთ ჩღ გ. ქორონიკონს უნა."[1]

როგორც ანდერძიდან ირკვევა, ნიკოლოზის მამას ასლამაზი რქმევია, ნიკოლოზის მეუღლეს დარეჯანი, ძმებს: ზაზა, კაცია და ფირანი. სხვა წყაროებიდან ირკვევა, რომ ნიკოლოზს ვაჟებიდან იოანეს[2] გარდა კიდევ ჰყოლია კორნელი,[3] თომა,[4] პროტონ,[5] ასულთა სახელებს კი ნიკოლოზი ანდერძ-მინაწერებში არსად იხსენიებს.

---

[1] S-1763 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. VII, 969, გვ. 22-28. ვახტანგ ბერიძე, „ძველი ქართველი ოსტატები", თბ., 1967, გვ. 226-227.

[2] ხელნაწ. აღწ. S ფონდი, ტ. IV, 1965, გვ. 95.

[3] ხელნაწ. აღწ. H ფონდი, ტ. V, 1949, გვ. 194.

[4] ხელნაწ. აღწ. S ფონდი, ტ. IV, 1965, გვ. 95.

[5] ხელნაწ. აღწ. S ფონდი, ტ. IV, 1965, გვ. 95.

ნიკოლოზის შვილები კორნელი და თომა მამის კვალს გაჰყოლიან და მრავალი საყურადღებო ნუსხა დაუმზადებიათ, კორნელს 1777 წელს გადაუწერია „ყარამანიანი“ და „ამირანდარეჯანიანი“,[1] 1782 წელს სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“,[2] 1783 წელს „კრებული“ (S-1145), 1792 წელს თავის ძმასთან თომასთან ერთად, მეორედ გადაუწერია „სიბრძნე სიცრუისა“,[3] აგრეთვე „კრებული“[4] და „შაჰნამე“.[5]

როგორც გამორკვეულია, ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის შთამომავალი იყო რუსი მწერალი ალექსანდრე მიხეილის ძე ჩაჩიკაშვილი (დაბ. 1893 წ.), რომელიც ცნობილი იყო სხვადასხვა ფსევდონიმით: ა. ჩ. „ალიასკარ“, „ალექსანდრ ჩაროვ“ და „ჩაჩიკოვ“. განსაკუთრებით ცნობილია ჩაჩიკაშვილის გვარით.

ალ. ჩაჩიკაშვილს რუსულად უთარგმნია ვეფხისტყაოსნის ოცდაათი სტროფი. ასევე დაუწერია პოემა რუსთაველზე „Поэма о Руставели“, რომელშიც გადმოცემულია ფანტასტიკური ბიოგრაფია.[6]

როგორც ჩანს, ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილი ეკუთვნოდა გავლენიან წრეს. ეს იქიდანაც დასტურდება, რომ მისი ბიძა ელისე დმანელი დმანისის ეპისკოპოსად ჩანს. ნიკოლოზი მოუნათლავს სიონის მღვდელს მოსეს,[7] რომელიც შემდგომში ხელს უმართავდა თავის ნათლულს ხელნაწერების გადაწერაში.[8]

---

[1] გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერი, ნომ. 64.

[2] აკად. ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. VII, 1953, გვ. 192.

[3] ქართულ ხელნ. აღწ. S ფონდი, ნომ. 1011.

[4] ლიტერატურის მატიანე, წ. 5, ნაკ. მეორე, თბ., 1949, გვ. 43.

[5] S-15-15.

[6] საქართველოს სიძველენი, 1, გვ. 296.

[7] ქართულ ხელნაწ. აღწ. S ფონდი, ტ. II, 1961, გვ. 521.

[8] ქუთაისის სახ. მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, 1953, გვ. 223.

საფიქრებელია, აღნიშნავს გივი მიქაძე, რომ ნიკოლოზს სწორედ ამ სიონის მღვდლის მოსეს ზედამხედველობით უნდა მიეღო სწავლა-განათლება და მღვდლად კურთხეულიყო.[1]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილი წერდა როგორც ნუსხურად, ასევე მხედრულად. მას სცოდნია სომხური ენა. 1761 წელს გადაწერილ „ზატიკის" ანდერძი ნიკოლოზს სომხური ასოებით დაუწერია და, როგორც გ. მიქაძე აღნიშნავს, მას სომხური ასოებისათვის მიუმართავს ანდერძის შინაარსის დაფარვის მიზნით და ხსენებული ანდერძი კრიპტოგრამად უნდა ჩაითვალოსო.[2] როგორც ჩანს, ნიკოლოზი დაუფლებული ყოფილა კრიპტოგრაფიულ წერასაც.„ ამირანდარეჯანიანის" ერთ-ერთ ნუსხაზე (H-929) მას კრიპტოგრამად მიუწერია: „ ქ. დასრულდა წიგნი ესე ამირანდარეჯანიანი ხელითა ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილისათა".[3]

ნიკოლოზს ერთი ხელნაწერი გადაუწერია „საფასის ბოძებითა მეფის ირაკლისათა", 1778 წელს კი ანახანუმ დედოფლისათვის გადაუნუსხავს „ფსალმუნი" (H-1264).

ახლა გავეცნოთ 1774-1779 წწ. ნიკოლოზის მიერ გადაწერილ საერო ხასიათის თხზულებათა კრებულის ანდერძს: „განსრულდა ნიგნი ესე როსტომიანი, ბარამიანი, ყარამანიანი, ამირანდარეჯანიანი, ვეფხისტყაოსანი, ომანჭაბუკიანი, მცირე ბარამიანი, ბარამ გულიჯანიანი... დიდი ბარამიანი, მირიანი, დავრიშიანი, თიმსარიანი, სიბრძნე სიცრუვე, სარკე თქმულთა, ანბანთქება, კრების ამბავი, შემოდგომა-გაზაფხულის ბაასი, ხეხილთ-

---

[1] გ. მიქაძე, „ვეფხისტყაოსნის" გადამწერი ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილი, 1970, გვ. 268.

[2] გ. მიქაძე, ძველი ქართული საიდუმლო დაწერილობის უცნობი ნიმუშები, საიუბილეო კრებული კ. კეკელიძის დაბადების 80 წლისთავზე, 1959, გვ. 280.

[3] H-929.

ქება და ბაასი ვარდბულბულისა, შამი ფარავანასი, მაჯამა მუნასიბი, წამება ქეთევან დედოფლისა, ქრისტიანისაგან თათართ ბაასი. ესენი აღვწერე მე ცოდვილმან ჩაჩიკაშვილმან მღვდელმან ნიკოლაოზ".[1]

როგორც ანდერძიდან შევიტყეთ, კრებულში არსებულა ნიკოლოზის მიერ გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი", მაგრამ დროთა განმავლობაში ვიღაცას კრებულიდან ამოუღია და ცალკე სახმარ წიგნად გაუხდიათ.[2]

შოთა რუსთაველის სახ. ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში დაცულია „ვეფხისტყაოსანი" (ვახტანგისეული გამოცემა), რომლის დაზიანებული ტექსტი ადგილ-ადგილ აღდგენილია ორი პირის მიერ. აღდგენილი ტექსტის პალეოგრაფიული შესწავლის შედეგად (ქაღალდი, ჭვირნიშანი, ხელი), გაირკვა, რომ ერთ-ერთი აღმდგენელი ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილია.[3]

ახლა ზოგადად ჩამოვთვლით ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის მიერ გადაწერილ ხელნაწერებს: „სვინაქსარი" (S-2569), „მარხვანი" (ქუთ. ხელნ. აღწ. 1, გვ. 222-223), „კურთხევანი" (A-1465), „კურთხევანი" (A-436), „ზატიკი" (S-2552), „კურთხევანი" (ქუთ. ისტ. ეთნ. მუზ. აღწ. 1, გვ. 291-292), „ჟამნი" (S-1252), „სამოციქულო" (S-2572), „კურთხევანი" (A-1376), „შეხვეტილიანი" (კრებული A-999, A-860), „ლოცვანი" (H-2270), ხელნაწერი კრებული (ცენტ. არქ. აღწ. 2), სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონი" (S-4549), (S-2575), ნიკოლოზ ორბელიანის „ქორონიკონი" (H-90), „ჟამნი" (S-4575), „წიგნი ისტორია" (H-1168), „სადღესასწაულო" (S-2578), „ხრონოგრაფია" (S-1198), „ფსალმუნი" (H-1264), „კუ-

---

[1] A-860.

[2] გ. მიქაძე, „ვეფხისტყაოსნის" გადამწერი ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილი, საიუბილეო კრებული შოთა რუსთაველს, თბ., 1966, გვ. 264-267.

[3] გ. მიქაძე, „ვეფხისტყაოსნის" გადამწერი ნიკოლოზ ჩიჩიკაშვილი, საიუბილეო კრებული შოთა რუსთაველს, თბ., 1966, გვ. 264-267.

რთხევანი" (გორის ისტ. მუზ. ხელნ. ნომ. 3), „მარხვანი" (S-1376), ხელნაწერი კრებული (S-1675), დოგმატურ-პოლემიკური (S-2951), „თვეთა მეტყველებანი" (S-1321).

ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის მიერ გადაწერილი ნუსხებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა „შეხვეტილიანი" (კრებული), რომელშიც თავმოყრილია სხვადასხვა ავტორის და სხვადასხვა შინაარსის მხატვრული ძეგლები, რის გამოც მას ეწოდა „შეხვეტილიანი", ე. ი. შეხვეტილი, ერთად შეკრული, თავმოყრილი.

თანამედროვე ტერმინოლოგიით, როგორც გ. მიქაძე აღნიშნავს, მას ვუწოდებთ ალმანახს ან ანთოლოგიასო.

ხსენებული კრებული ამჟამად დაყოფილია ნაწილებად და ნაკლულია. მისი ძირითადი ნაწილია ხელნაწერი (A-860), შეიცავს „შაჰნამეს", „ზააქიანს", „საამიანს" და საკუთრივ „როსტომიანს", ხოლო მეორე ხელნაწერი A-999 შეიცავს „ბარამიანს". ხსენებული ანთოლოგია (კრებული) შემოსულია მუზეუმში გრ. ორბელიანის მემკვიდრეებისაგან.[1]

გადამწერის ანდერძიდან ვგებულობთ, რომ კრებულში ანუ ანთოლოგიაში („შეხვეტილიანში") ყოფილა აგრეთვე „ამირანდარეჯანიანი", „ვეფხისტყაოსანი" და „ომანიანი", დასახელებული თხზულებები ამჟამად ხელნაწერში აღარ ჩანს. ამ უზარმაზარი კრებულის გადაწერა ნიკოლოზს დაუსრულებია 1779 წლის 24 იანვარს.

დასახელებული ხელნაწერისათვის ნიკოლოზს საკუთარი ლექსიც მიუწერია, მაგრამ დროთა განმავლობაში ზოგიერთი ადგილები ძალზე დაზიანებულა და აღარ იკითხება. აღდგენილი სახით ეს ლექსი გამოქვეყნებული აქვს გ. ჯაკობიას.

---

[1] М. Джанашвили, Описание, 3, стр.847

Е. Такаишвили, Опис. рукоп. Орг. II, стр. 252-253.

ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, 1962, გვ. 108-175.

ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილმა კრებულს („შეხვეტილიანს“) დაურთო ყოველმხრივ საინტერესო ანდერძი, რომელშიც გადმოცემულია არა მარტო გადამწერის პირადი ცხოვრების დეტალები, არამედ მაშინდელი საქართველოს მდგომარეობაც. ნიკოლოზი გულისტკივილით აღნიშნავს: „ესენი აღვსწერე მე ცოდვილმან ჩაჩიკაშვილმან მღვდელმან ნიკოლოზ. რიგი არ იყო ჩემგან ამისი წერისა. მაგრამ ამ მიზეზით, რომ დიად შეწუხებული ვიყავი და მწუხარებისაგან გული დიად შეპყრობილი მქონდა ჩემის სასურველის შვილების და მეუღლის ამიერ სოფლით გარადაცვალებითა. ამის უკან პატრონი და ნუგეში არავინ მყვანდა და მარტოობით ვაღამებდი და მათთვის ვწუხდი, მამულიდან მტრისაგან გამოვარდნილი ვიყავ და სამწყსო და საყდარი არა მქონდა, რომ მით შევქცეოდი და შემემუშავა, ავდეგ და ეს მოვიგონე, ცუდაობას ესევ ვამჯობინე; ბევრი კარგი ამბავი ჩემს წყლულს გულს დაკოდილს მალამოთ დავადე და ამით უკუვიყრიდი და მწუხარება გამეყრებოდა ხოლმე. ახლა ამას გევედრებით; ვინც იხილოთ ეს ჩემი წლის ნაშრომი, ნუ მიძრახავთ და ნურცა მწყევთ, ამათ რომე ბევრი კარგი საღმრთოც და საეროც არის კაცთა შესამატათ. ვინც იკითხოთ და ამ წიგნს შეექცეთ, ჩემთვის შენდობა ბრძანეთ, რამეთუ ნაშრომი ესე დარჩების და ჩვენ წარვალთ. გევედრებით, რომ ეს ნიგნები ერთმანეთს არ მოაშორვოთ, ღმერთო, მშვიდობაში ახმარე ამის პატრონს ძესა ჩემსა კორნელიეს და ძმასა მისსა თომასა და ცოლთა და შვილთა მისთა, რომ ჩემად სახსენებლად და იადგრად ჩემდა დარჩეს და ამაზედ მომიგონონ და არ დაიკარგოს ჩემი გვარი და სახელი. წყეულ იყოს ის კაცი თუ ქალი, თხოვნით ნაიღოს და ამის პატრონს დაავიწყდეს და აღარ გამოუჩინოს. წყეულ იყოს, რომელსაც აქედამ ამბავი მოეწონოს და ან რვეული ამოგლიჯოს და ან ფურცელი ამოხიოს და ან უბრალოდ არშიაზე ბღაჯვა დაუწყოს და ან ფინთად და უნაღვლელად და ნისიად იხმაროს...“

როგორც ჩანს, გადამწერს ძალზე აფიქრებდა მომავალში

თავისი კრებულის ბედი. იგი ანდერძში ყველას ევედრება, რომ ეს წიგნები ერთმანეთს არ მოაშოროთო, მაგრამ დრომ თავისი გაიტანა და ეს უზარმაზარი კრებული დროთა განმავლობაში ნაწილებად იქცა. გადამწერი ანდერძში წყევლა-კრულვას უთვლის იმას, ვინც წიგნიდან ფურცელს ამოხევდა, ან წაიღებდა და პატრონს თავის დროზე არ დაუბრუნებდა, რადგან მან კარგად იცოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა წიგნს ახალგაზრდობის განათლებისათვის. იგი მოუწოდებს ყველას ამგვარი საქმეების გასაფართოებლად.

ამავე ანდერძიდან ჩანს, თუ როგორ უმსუბუქებდა მწუხარებას, პირადი თუ თავისი ქვეყნის მდგომარეობით გულშეღონებულ მწიგნობარს ლიტერატურული შემოქმედება.

ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილმა იცოდა, რომ მისი ნაშრომი დარჩების, რომ ასეთი შრომა საკმარისია იმისათვის, რომ მუშაკი მოიგონონ და მისი სახელი და გვარი არ დაიკარგოს.

ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილმა იცოდა, რომ „ხელი მწერლისა ლპების“, მაგრამ „ნაწერი მისი უკუნისი უკუნისამდე“.

ბაღდასარაშვილი მუშრიბ გასპირა

ყველაზე ვრცელ ნუსხას წარმოადგენს კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული „ვეფხისტყაოსანი“ (H-757). გადაწერილი 1671 წელს ბაღდასარაშვილი მუშრიბ გასპარას მიერ“[1]

ხსენებული ხელნაწერი 1812 წელს საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოების მუზეუმისათვის შემოუწირავს ბეჟან ნერეთელს.

„ვეფხისტყაოსნის“ ეს ნუსხა ჩასმულია მუყაოს ყდაში, გადაკრული აქვს იმიტირებული ტყავი, მოთავსებულია ფერადი და ოქრომელნით შემოხაზულ მარტივი ფორმის ჩარჩოში, დაწერილია საკმაოდ ლამაზად, მრგვალი ასოებით.[2]

ხელნაწერის გადაწერის პერიოდში ოჯახში დაბადებულა ვაჟი, რომლისთვისაც დავითი დაურქმევიათ და „ვეფხისტყაოსნის“ ეს ნუსხა გასპარას თავის ძისთვის აღუთქვამს. ხელნაწერის ანდერძში ვკითხულობთ: „შეცა უწყოდით, უფალნო ჩემნო, რომელ ჟამსა, ოდენ ვეფხისტყაოსანს ვსწერდი მე აღმურაანთ ბაღდასარაშვილმა მუშრიბი გასპარამა, მაშინ ღმერთმა წყალობა მიყო და დაიბადა ჩემი ყმაწვილი დავით, ენკენისთვის კგ, ქორონიკონს ტნთ, შაბათს, კვირაძალს, და მაშინვე აღვთქუი მისთუის ეს ვეფხი-

---

[1] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. II, გვ. 140-141.
შ. რუსთაველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, 1966, გვ. 84.
იუსტინე აბულაძე, რუსთველოლოგიური შრომები, 1947, გვ. 141.

[2] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. II, გვ. 140-141.
შ. რუსთაველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, 1966, გვ. 84.
იუსტინე აბულაძე, რუსთველოლოგიური შრომები, 1947, გვ. 141.

სტყაოსანი. ანე ამას გეხვეწები და გეაჯები ყოველს ამ წიგნის წამკითხავსა, ვინ გინდა იყუნეთ ადამიანის ნათესავი, ჩემს შვილს ნურვინ გამოართომს ამ წიგნსა, ჩემი იედგარ არს".[1]

როგორც ანდერძიდან ჩანს, გასპარას ხსენებული ხელნაწერი თავის ახალდაბადებული ვაჟისათვის მიუძღვნია, იგი სთხოვს მომავალ ახალგაზრდობას, რომ ამ „ვეფხისტყაოსანს" ნუ გამოსნირავენ მის შთამომავლებს.

გასპარა ბაღდასარაშვილი ეროვნებით სომეხი ყოფილა, რაც მის სახელთან და გვართან ერთად მოწმობს მისი თავისებური ქართულიც, მაგრამ რაოდენ სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ ჩვენი ეროვნული საუნჯე „ვეფხისტყაოსანი" იმდენად გაითავისა და შეისისხლხორცა სომეხი ეროვნების ადამიანმა, რომ თავის ახალდაბადებულ ვაჟს მიუძღვნა. ეს კი მეტყველებს იმ დიდ ძმურ და კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთობაზე, რომელიც ამ ორ ერს შორის საუკუნეების მანძილზე გრძელდება.

როგორც ცნობილია, თბილისის ქართული და სომხური მოსახლეობის საუკუნეთა მანძილზე მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობა თანდათან სპობდა მათ შორის ზღვარს. იგი თანდათან დაუახლოვდა როგორც კულტურულად, ასევე ენობრივადაც ქალაქის ძირითად ქართულ მოსახლეობას, სომხური მოსახლეობა თითქმის უკვე აღარ განსხვავდებოდა კულტურულად და ენობრივად ქართული მოსახლეობისაგან.

როგორც ვახუშტი ბატონიშვილი მიუთითებდა, „მისი დროის თბილისელი სომხები „ქცევა-ზნითა" ფაქტობრივ ქართველები იყვნენ".[2]

---

[1] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. II, გვ. 140-141.
შ. რუსთაველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, 1966, გვ. 84.
იუსტინე აბულაძე, რუსთველოლოგიური შრომები, 1947, გვ. 141.

[2] ვახუშტი, აღწერა, 1834, გვ. 54.

აღმურაანთ ბაღდასარაშვილი გასპარა მე-17 საუკუნის ცნობილი პიროვნებაა. იგი იხსენიება როგორც სალაროს მუშრიბი, ანუ მალე მწერალი.

გასპარა მოღვაწეობდა ქართველი მეფეების შაჰნავაზის, გიორგისა და ნაზარალხანის კარზე 1664-1699 წლებში. იგი ხშირად გვხვდება, როგორც საბუთების გადამწერი 1653 წლიდან.[1]

გიორგი მეფის მიერ ზევდგინ ზევდგინიძისათვის მიცემული მამულის წყალობის წიგნი დაწერილია მუშრიბ რატი ნირქვალელიძის მიერ.[2] ხოლო 1617 წელს წყალობის წიგნი გაცემულია კარის მწიგნობარ მუშრიბის სუმბატ ურდოველისშვილისათვის.[3] 1626 წელს სვიმონ მეფის წყალობის წიგნში მოხსენებულია სამეფო კარის მუშრიბი პაატა ყორღანაშვილი. როგორც ანა ბაქრაძე აღნიშნავს, – სალაროს მუშრიბის ქვეშ სამეფო კარის სალაროს მუშრიბი უნდა იგულისხმებოდესო.[4]

აღმურაანთ ბაღდარაშვილი გასპარა ხშირად გვხვდება როგორც საბუთების დამწერი. იგი ჩანს 1664 წლის 18 მარტს, როგორც შემდგენელი ასლან ბეჰბუდასშვილის მიერ ეჩმიაძინისათვის მიცემული ქულბაქების შენირულების წიგნისა.[5] ხოლო 1672 წლის ივნისში, როგორც მოწმეს ვხვდებით აღმურაანთ ბაღდასარაშვილს.[6]

---

[1] თ. ჟორდანია, ქრონიკები, ნ. II, გვ. 266-267.

[2] ანა ბაქრაძე, „ვეფხისტყაოსნის“ გადამწერნი, შოთა რუსთაველი, „ფილოლოგიური ძიებანი“, 1966, გვ. 85-91.

[3] ანა ბაქრაძე, „ვეფხისტყაოსნის“ გადამწერნი, შოთა რუსთაველი, „ფილოლოგიური ძიებანი“, 1966, გვ. 85-91

[4] ანა ბაქრაძე, „ვეფხისტყაოსნის“ გადამწერნი, შოთა რუსთაველი, „ფილოლოგიური ძიებანი“, 1966, გვ. 85-91.

[5] ანა ბაქრაძე, „ვეფხისტყაოსნის“ გადამწერნი, შოთა რუსთაველი, „ფილოლოგიური ძიებანი“, 1966, გვ. 85-91. Sd-754.

[6] ანა ბაქრაძე, „ვეფხისტყაოსნის“ გადამწერნი, შოთა რუსთაველი, „ფილოლოგიური ძიებანი“, 1966, გვ. 85-91. Sd-804.

აღმურაშვილების შესახებ ცოტა ცნობები მოგვეპოვება. როგორც მასალებიდან ირკვევა, საგვარეულო მკვიდრნი ჩანან ქართლიდან. ვინმე აღმურაანთ ესტატეს ვხვდებით 1732-1736 წწ. თუმანიშვილების მიერ გაცემულ მზითვის წიგნში, 1638 წელს სამამულო დავის გადაწყვეტილების წიგნში, რომელიც სამეფო კარის მდივნის მერაბ ყორღანაშვილის მიერ არის დაწერილი, მოხსენებულები არიან აღმურაშვილები როსტომი და ბაიულა.[1]

სოლომონ ყუბანეიშვილმა, რომელმაც „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი (H-757) ჩანართითა და დანართი ტექსტებით გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო (1956, გვ. 06-07), გამოარკვია, რომ „გარდა ზემოაღნიშნული ხელნაწერისა, გასპარას გადაწერილი უნდა ჰქონდეს „ვეფხისტყაოსნის“ სხვა ნუსხაც (Q-0779). ხელნაწერს გადამწერის ვინაობა არ ახლავს, მაგრამ ხელის მიხედვით ის სწორედ მუშრიბ გასპარას მიეკუთვნება, აღნიშნული ხელნაწერი შვილისათვის საჩუქრად გადაწერილ ცალზე ადრინდელი (ე. ი. 1671 წელზე უწინარესი) უნდა იყოს, მაგრამ ხელის სილამაზით და შემკულობით მას ვერ შეედრება“. გასპარას მიერ გადაწერილ „ვისრამიანსა“[2] და „ამირანდარეჯანიანის“ ანდერძებში იგი იხსენიება, როგორც სალაროს მუშრიბი.[3]

ბაღდასარაშვილის მიერ გადანუსხულ „ვეფხისტყაოსანს“ (Q-779) ზედა აშიაზე მიწერილი აქვს საიდუმლო ასო ნიშნებით მინაწერი ორსტროფიანი ტექსტი. კრიპტოგრამაში გაშიფრულია ხელნაწერის ერთ-ერთი მფლობელის ვინაობა. ეს კრიპტოგრამა, როგორც გ. მიქაძე აღნიშნავს, ძველი საიდუმლო დაწერილობის უცნობი ნიმუშია და მიეკუთვნება პირობითი ნიშნების სისტემას.

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები საქართველოს ისტორიიდან, წ. I, ნომ. 34.

[2] ალ. ბარამიძე, პავლე ინგოროყვა, ვისრამიანი, 1938, გვ. 15.

[3] სანკტ-პეტერბურგის სალტიკოვ-შედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა, იოანე ბატონიშვილის კოლექცია, ნომ. 29-189 V. შ. რუსთაველი „ფილოლოგიური ძიებანი“, 1966, გვ. 85.

აღნიშნული კრიპტოგრამა წაუკითხავს აგრეთვე თ. ე. ბარნაველს.[1] კრიპტოგრამის გახსნის შემდეგ პირველი კრიპტოგრამა ასე იკითხება: „ეს ვეფხისტყაოსანი ეკუთვნის მის ბრწყინვალებას კნიაზ იოვან დავითის ძე აბაშიძეს პრაპოშჩიკს".[2]

„ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერს (Q-779) ყდაზე მიწერილი აქვს ამ პოემის მფლობელის დავით მდივნის ცნობა, თუ როგორ მოხვდა ეს ხელნაწერი მათ ოჯახში: „იმერეთის მეფემ სოლომონმა აჩუქა ჯილდოთ იმერეთის ჯარების სარდალს ხახული აბაშიძეს, რომლის შვილი ნინო, დედა იყო ჩემი ბაბუის ბარონ დავითის ძე მდივნისა. ხახულმა გამოატანა იგი თავის ქალიშვილს ნინოს მზითვად დავით მდივანზე გამოთხოვების დროს, რადგან საქართველოში წესად იყო შემოღებული „ვეფხისტყაოსნის" მზითვად გატანება.[3]

როგორც მინაწერიდან გახდა ცნობილი, ზემოხსენებული ხელნაწერი იმერეთის მეფის სოლომონის საკუთრება ყოფილა. შემდგომში სოლომონ მეფეს ის თავის სარდალ ხახული აბაშიძისათვის უჩუქებია, აბაშიძეს კი მზითევში გაუტანებია თავის ასულ ნინოსათვის, რომელიც დავით მდივანს გაჰყოლია ცოლად. მათი შთამომავალი იყო ზოვრეთელი დავით კონსტანტინეს ძე მდივანი, რომლის ოჯახიდანაც ეს ხელნაწერი 1936 წელს შეიძინა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

---

[1] გ. მიქაძე, „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერთა კრიპტოგრამები, შ. რუსთაველი, „საიუბილეო კრებული", 1966, გვ. 353.

[2] გ. მიქაძე, „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერთა კრიპტოგრამები, შ. რუსთაველი, „საიუბილეო კრებული", 1966, გვ. 353.

[3] Q-779

მანანა ზედგინიძე

ჩვენს ძველ ხელნაწერებს შემოუნახავთ მრავალი ათეული სახელი ქალებისა, რომლებიც ითვლებოდნენ ლიტერატურის მეცენატეებად და დახელოვნებულ კალიგრაფ-გადამწერებად.

პოეტი ქალების სახელებს ჩვენს საისტორიო დოკუმენტებში ვხვდებით ძირითადად მე-17 საუკუნიდან, მაგრამ შეუძლებელია, რომ წინა საუკუნეებში, ისტორიის უძველეს პერიოდში არ მოღვაწეობდნენ ქალები, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ ლიტერატურასთან და თავისი წვლილი შეჰქონდათ ნაციონალური კულტურისა და მხატვრული მეტყველების საგანძურში.

დროთა განმავლობაში დავიწყებულ მწიგნობარ ქალთა რიცხვს მიეკუთვნება პოეტი მანანა ზედგინიძე. ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ თითქმის არაა შემორჩენილი, უცნობია მისი დაბადებისა და გარდაცვალების წლები.

მანანა გარდამავალი ხანის პოეტია. მას იმ პერიოდში მოუხდა მოღვაწეობა, როდესაც დიდ ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა თეიმურაზ მე-2. „რუსთაველისებრ ხმატკბილობით“ ამღერებდა თავის ლექსებს ბესიკი. ლიტერატურულ და ისტორიულ სარბიელზე მოღვაწეობდნენ სარდალი დავით ორბელიანი, ო. ხერხეულიძე, მდივანბეგი მზეჭაბუკ ორბელიანი, მსაჯული სოლომონ ლიონიძე, მდივანბეგი ქაიხოსრო ანდრონიკაშვილი, გ. ავალიშვილი, დ. ჩოლოყაშვილი და სხვები.

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში მოვიდნენ მგოსნები და მეხოტბენი, კარის ისტორიკოსები და მომღერლები, რომლებიც გარს ერტყნენ თეიმურაზ მეორეს. ერეკლე მეორეს საკუთრად ჰყოლია მგალობელ-მწიგნობრები. განვითარდა სახოტბო პოეზია, მეფეთა თუ ბატონიშვილთა ქებამ თავი იჩინა როგორც მე-

მატიანეთა (პ. ორბელიანი, ო. ხერხეულიძე), ისე პოეტების (ბესიკი, ამბროსი წილკნელი, დავით რექტორი და ა.შ.) შემოქმედებაში (ქლი, 2, 1966). ამ პერიოდში განვითარდა აგრეთვე სასულიერო მწერლობა, რომელსაც სათავეში ანტონ პირველი ედგა. განვითარდა ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობა, როგორც სასულიერო-საეკლესიო მწერლობის (ფ. ყაითმაზაშვილი, დ. ჩერქეზიშვილი), ისე საერო მხატვრული ლიტერატურის სფეროში. მომრავლდა კალიგრაფთა სკოლები, გახშირდა ძველი ხელნაწერების აღდგენა და ახალი ნუსხების დამზადება.

როგორც ისტორიული წყაროებიდან, ასევე მანანას პოეტური მემკვიდრეობიდან ჩანს, რომ იგი ერეკლე მეორის თანამედროვეა. იგი სოფელ ძევერის (გორის რაიონი) მკვიდრია (ახლაც ცხოვრობენ ამ სოფელში ზედგინიძეები). ჰყოლია ერთი ქალიშვილი.[1]

დავით რექტორმა მრავალ დავიწყებულ სახელთან ერთად ქართულ ლიტერატურის ისტორიას შემოუნახა მანანას სახელიც, ორი მისი საკმაოდ მოზრდილი პოეტური ნაწარმოები „შაირნი“ და „ციებასთან ბაასი“ დავით რექტორს (მესხიშვილი) შეუტანია თავის ცნობილ ანთოლოგიაში.

ბიოგრაფიულ-რელიგიური ხასიათის ნაწარმოები „შაირნი“ წარმოადგენს საკმაოდ მოზრდილ ნაწარმოებს და შეიცავს 68 ტაეპს. დაწერილია თექვსმეტმარცვლიანი შაირით. მასში ვხვდებით გარკვეულ ისტორიულ ფაქტების დასახელებას. მაგ.: ერეკლეს ბრძოლა ჭარ-ლეკებთან და სხვ. მანანა მოწმეა ირაკლის სამხედრო და პოლიტიკური ძლიერებისა. „შაირებში“ მანანა გვაძლევს მეფის გაზვიადებულ, მაგრამ მაინც საგულისხმო დახასიათებას.

როგორც მანანას ლექსებიდან ვგებულობთ, მისი ზოგიერთი ლექსი ხანდაზმულობაში უნდა იყოს შეთხზული. „შაირებში“ იგი არა ერთხელ იმეორებს: „დაცემული ვარ ცოდვისგან, ყოველჟამ სიკვდილს მოველი“. იგი მოსთქვამს, რომ ცოდვილი დედაკაცია

---

[1] ქართული მწერლობა, 1927, ნომ. 5.

და ეშინია სამოთხის კარი დახურული არ აღმოჩნდეს მისთვის. მისი არსება მოიცავს სინანულს: „მე სული დავისნეულე, დავბნელდი მწარის სენითო, არასდროს კარგი არა ვთქვი, მუდამ ღმერთს ვცოდე ენითო“.[1]

მანანას მეორე ნაწარმოები „მანანასაგან ციების ბაასი“ წარმოადგენს სახუმარო დიალოგს, დაწერილი თექვსმეტმარცვლოვანი რუსთველური შაირით და შეიცავს შვიდ სიტყვა-პასუხს.

ხალხური პოეზიის მკვლევარი ვ. კოტეტიშვილი შენიშნავს, რომ „ვერსია „ციებასთან გაბაასებისა“ ხალხშიც არსებობს, ჩვენს ზეპირსიტყვიერებაში ეს ვარიანტი ტექსტის თვალსაზრისით ცოტაოდენ სახეცვლილია. პერსონაჟადაც მანანას ნაცვლად გამოდის გაუპიროვნებელი ვინმე „გოგონა“. ლექსი „ციება და გოგო“ ეკუთვნის მანანას და ციების ლექსის ციკლს, რომელიც მრავალი სახით გვხვდება მწიგნობრულ ლიტერატურის ხელნაწერ ძეგლებში. ეს ციკლი ხალხური პოეზიიდან მომდინარეობს. შესაძლოა ისიც ვიფიქროთ, – დასძენს მკვლევარი, რომ ლიტერატურული გზით არის ეს ლექსი ხალხში შესული, აკლიმატიზაციაქმნილი და სათავე იმ ბურუსში გახვეულ პოეტი ქალის მანანას პოეზიაში უნდა მოიძებნოს, რომლის სახელიც თითქმის შეექსოვა ციებასთან გაბაასების ლექსთა ავტორს“.[2]

მანანას მიეწერება აგრეთვე ორი ვარიანტი პატარა ლექსისა სანადირო ჩიტის მარჯნის შესახებ („ესაც რაღაც ღარიბად თქმული“), სახუმარო ლექსი კიბიდან ჩამოვარდნის შესახებ („სიფიცხით მთას ვერ მოგლევჯ“ და პორნოგრაფიული გაშაირება ახალციხელ მესტვირე კოტაშვილთან). სხვადასხვა ხელნაწერებში გვხვდება აგრეთვე ფრაგმენტების სახით ვარიანტები მანანას დიალოგისა „ციებასთან“.

მანანას პოეტურ შემოქმედებას ამშვენებს მის მიერ გადანე-

---

[1] ლ. ასათიანი, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, 1936.

[2] ვ. კოტეტიშვილი, ხალხური „პოეზია“, 1984, გვ. 244-246.

რილი „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები: (Q-296) და გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი (ნომ. 124).

პირველი ნუსხა „ვეფხისტყაოსნისა“ (Q-296) წარმოადგენს კრებულს. მასში მოთავსებულია გალექსილი „წმინდა გიორგის ცხოვრება“ და თვით „ვეფხისტყაოსანი“, რომლის ტექსტიც მომდინარეობს ვახტანგისეული გამოცემიდან. რესტავრირებულია XIX საუკუნის ხელით, მაგრამ ქაღალდის ჭვირნიშანი 1788 წელს აღნიშნავს.[1] მანანა თავის ლექს-ანდერძში, რომელიც დართული აქვს ხსენებულ ნუსხას, კრიტიკოს-შემფასებლის როლში გვევლინება. საერო „ვეფხისტყაოსანს“ საღმრთო „წმინდა გიორგის ცხოვრებას““ ადარებს და ამ უკანასკნელს აძლევს უპირატესობას. გავეცნოთ ამ ანდერძს:

„დავწერე წიგნი საერო, ეს საღმრთო უკეთესია,
ზოგს ის უყვარს და ზოგს ესა ამ სოფელს ესე წესია,
რომელს რომელი გენებოს, იკითხეთ ორივ ესია,
დამწერს შენდობა მიბრძანეთ, თქვენც შეგენიოთ მესია.
კანონად მიჩნდა მსოფლიო მხნეთა ამბავთა წერანი,
ნაშრომთა ჩემთა ნაყოფნი ვპოვე სარგებლად ვერანი,
შესაქცევია გულისა, სულსა შევმატე მე რანი?

რას მომეხმარვის ტარიელ, როს ვიქმნა მიწა მტვერანი...“

თავდება:

„წმინდავ გიორგი, მომხედე, შენგან წყალობა-ჩვეულსა!
მანანა ღირს მყავ სუფევას, ეშმაკთან ნუ მყოფ ძლეულსა!
მიხსენ სატანას ხელთაგან, ნუ მიმცემ ღვთისგან წყეულსა!
უხვად მიმფინე წყალობა, ანგელოსთ მიმეც რჩეულსა“.[2]

---

[1] ს. ცაიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ისტორია, ტ. II, 197, გვ. 87-88.

[2] Q-296. ლამარა ტატიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ გადამწერნი, გაზ. „სახალხო განათლება“, 1966, ნომ. 39, ხელმადლიანი ქართველი ქალები. „საქართველოს ქალი“, 12.1969.

მეორე ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნისა“ (ნომ. 124) გადაწერილია 1839 წელს ზედგინიძე ფებრონიას (იგივე მანანა) მიერ.[1]

ხელნაწერში წარმოდგენილი ტექსტი მომდინარეობს „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული რედაქციიდან (1712 წლის გამოცემა). ოღონდ გზადაგზა (კერძოდ, პროლოგი და პოემის შუამონაკვეთშიც) ერთვის რამდენიმე ჩანართი სტროფი, რომელიც ამოღებულია პოემის ვრცელი რედაქციის შემცველი რომელიღაც ნუსხიდან.[2]

ხსენებულ ხელნაწერს ბოლოში დართული აქვს ანდერძი: „აღიწერა ესე ვეფხისტყაოსანი ზედგინიძის ასულ ფებრონიასაგან. ჩყლთ წელსა (1839) აპრილის პირველ დღესა...“ ამას წინ უძღვის სამსტროფიანი ლექსითი ანდერძი, სადაც დამატებულია ცნობა, რომ ფებრონიას სახელი მონაზვნამდე მანანა ყოფილა. გავეცნოთ ამ ლექს-ანდერძს:

„ამა სოფლისა სიბრძნე-სიმდიდრე იმ სოფელს არ საქებელი,
ინდოთ და არაბთ მეფეთა ანბავთა შესაგაბელი,
ზედგინიძის ქალმან დავსწერე სულისა არ სარგებელი,

და

მკითხველნო, ღმერთსა მითხოვე კეთილი მისაგაბელი.
თამარ მეფისა ბრძანებით შეთხზული რუსთველთ ენითა,
ვახტანგ მეფის დროს ბეჭდილი მესტამბე მიქაელითა,
მანანამ ვპოვე ნიშანი, მეც დავშვერ ჩემი ხელითა,
ვინც რომ იკითხოთ, შეექცეთ სიტყვათა მოსმენითა,
ვეფხისტყაოსნად ხმობილი ამბავი სამთა გმირისა,
შესხმა ლომთა და მნათობთა და გარდახდომა ჭირისა,
რუსთაველისგან ნათქვამი ქება ბროლ-ლალთა მჭურთანი

---

[1] ს. ცაიშვილი, „ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია“, ტ. II, 1970, გვ. 136-137.

[2] ს. ცაიშვილი, „ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია“, ტ. II, 1970, გვ. 136-137.

და

მკითხველო, ღმერთსა მიმადლე კეთილი მისაგებანი...

განსრულდა ეს ვეფხისტყაოსანი

აღიწერა ესე ვეფხისტყაოსანი ზედგინიძის ასულის ფებრონიასაგანა-მიერ ჩული წელსა

აპრილის პირველ დღესა."[1]

აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერი Q-296 და გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული „ვეფხისტყაოსანი"[2] (ნომ. 124) გადაწერილია მანანა (ფებრონია) ზედგინიძის მიერ, რომლის ბიოგრაფია აქამდე ბურუსით იყო მოცული.

მანანა ზედგინიძეს პირველი ხელნაწერი (Q-296) 1788 წელს გადაუწერია, სანამ მონაზვნად აღიკვეცებოდა, რადგან მას ხელნაწერის ანდერძში თავისი ქალიშვილობის სახელით ვეცნობით. ხოლო მეორე ხელნაწერი (ნომ. 124) კი უფრო მოგვიანებით, 1839 წელს. ამ დროს იგი უკვე მონაზონია და ფებრონიას სახელით წარმოგვიდგენს თავის თავს.

---

[1] გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერი, ნომ. 124.

ლ. ტატიშვილი, ხელმადლიანი ქართველი ქალები, ჟურნ. „საქართველოს ქალი", 12.1969.

ლ. ტატიშვილი, ვეფხისტყაოსნის გადამწერნი, გაზ. „სახალხო განათლება", 39, 1966.

ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, ტ. 2, 1970, გვ. 136-137.

[2] იქვე.

იოანე ლარაძე

როგორც ცნობილია, ბოლო წლების არქეოგრაფიულმა ძიებამ ხელნაწერების თავგადასავლიდან ზოგ რამეს ნათელი მოჰფინა. ამ მხრივ საინტერესოა კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი A-855.

ხსენებული ნუსხა ყურადღებას იპყრობს არა მარტო თარიღით და სისრულით, არამედ თავისი ლექსიკონით, რომელშიც განმარტებულია 700-მდე სიტყვა, რითაც იგი საგრძნობლად აღემატება თვით ვახტანგის განმარტებასაც კი.[1]

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი A-855 გადაწერილია მე18 საუკუნის მიწურულს, ზუსტად 1790 წელს (მხარს უჭერს ჭვირნიშნის ჩვენებაც). ე. ი. თარიღით უსწრებს ამჟამად ჩვენთვის ცნობილ ყველა ლექსიკონიან ნუსხას.[2]

ხსენებულ „ვეფხისტყაოსანს“ ბოლოში ერთვის მიძღვნითი ხასიათის აკროსტიქი, რომლის ასოებშიც იკითხება გიორგი და იოანე.

„გონება შენი სიბრძნით განათლებული,
იქმნა რა ჩემგან შემეცნებულ ოი ძმაო,
ოდენ მოგიძღვენ სიყვარული მყვარველსა,
რომლის ნიშნად, შენმან შემყვარებელმან
გიმკენ აღწერით შენგან შეყვარებულნი“.[3]

მოტანილი აკროსტიქიდან ჩანს, რომ პირველი მათგანი (გიორგი) ადრესატია, მეორე (იოანე) კი თვით აკროსტიქის ავტორი

---

[1] ს. ცაიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ისტორია, II, 1970.

[2] ს. ცაიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ისტორია, II, 1970.

[3] A-855.

– შესაბამისად თვით ხელნაწერის გადამწერიცა და „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერზე დართული ლექსიკონის ავტორიც.[1] ს. ცაიშვილმა ხსენებული „ვეფხისტყაოსნისა“ და იოანეს მიერ გადაწერილი სხვა ხელნაწერის, კერძოდ, ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული კიდურწარწერებიანი ჰიმნის „ქრისტიშობის მილოცვა“, რომელიც მიძღვნილია ერეკლე მეორისადმი, გადაწერილია 1790 წელს (S-2588) ხელის შეჯერებით დაადგინა, რომ A-855 და S-2588 ხელნაწერები შესრულებულია ერთი ხელით – იოანე ლარაძის მიერ.[2]

იოანეს „ვეფხისტყაოსნის“ გადაწერა დაუწყია 1790 წლის 14 თებერვალს და დაუმთავრებია 1790 წლის 13 აპრილს.[3]

იოანემ ანონიმურად, მაგრამ მაინც თავისი წვლილი შეიტანა ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიაში. იგი კალიგრაფობასთან ერთად ლექსებსა თუ აკროსტიქების წერასაც ეწყობოდა.

იოანე გიორგის ძე ლარაძე იყო უფროსი ძმა ცნობილი პოეტის, მწიგნობრისა და კალიგრაფის პეტრე გიორგის ძე ლარაძისა.

როგორც ექვთიმე თაყაიშვილი გადმოგვცემს, „ლარაძეები შთამომავლობით იყვნენ მეგრელები. ძველად გადმოსახლებულნი ქართლში და დასახლებულნი სომხით-საბარათიანოში. აქ მათ გაუშენებიათ ორი სოფელი – დიდი ეგრისი და პატარა ეგრისი. დიდი ეგრისი არის ორ ვერსზედ გომარეთიდან თრიალეთის სა-პრისტაოში. ორი ვერსის სიშორეზედ დიდი ეგრისიდან იწყება მდინარეზე ზურტაკეტის ხრამი, რომელიც აქა ქციის ხრამზედ განიერია, ასე რომ, ჩაღმართის დაწყებიდან წყლის პირამდე ხუთი ექვსი ვერსი იქნება. ამ ზურტაკეტის ნაპირს ყოფილა პატარა ეგრისი. პატარა ეგრისში დარჩენილია ეკლესია ლარაძი-

---

[1] ს. ცაიშვილი, წერილები და გამოკვლევები, ტ. I, 1984, გვ. 450.

[2] ს. ცაიშვილი, წერილები და გამოკვლევები, ტ. I, 1984, გვ. 450.

[3] ს. ცაიშვილი, წერილები და გამოკვლევები, ტ. I, 1984, გვ. 450.

აანთ აშენებული, სასახლის ნანგრევები და სხვა შენობები. აქ აღარავინ არ ცხოვრობს ამ ჟამად. სოფელი არ დარჩენილა აგრეთვე დიდ ეგრისშიც. სადაც პეტრე ლარაძის პაპის დროს სახლებულა ასი კომლი გლეხი. ამ ჟამად დიდს ეგრისში სახლობს მხოლოდ უკანასკნელი წარმომადგენელი ლარაძიაანთ გვარისა კნეინა მართა ივანეს ასული შალიკაშვილისა;[1] აქვეა ორი ძველი პატარა ეკლესია ქვისა. ერთი მათგანი, როგორც წარწერიდან სჩანს, აშენებულია პეტრეს მამის გიორგი მღვდლის მიერ, ხოლო მეორე უფრო ძველი უნდა იყოს".[2]

როგორც სიგელებიდან ჩანს, მეფე ლუარსაბ მოწამის (მე-17 საუკ.) დროს ყოფილან ლარაძეები დიდ ეგრისში.[3]

იოანეს მამა გიორგი ლარაძე თბილისის ხარების ეკლესიის დეკანოზი ყოფილა. გარდა იოანესი, კიდევ ჰყოლია შვილები: დავით, პეტრე და იოსები. გიორგის შვილებიდან საზოგადო მოღვაწე მხოლოდ პეტრე გახდა. ასეთივე მწიგნობრები, პოეტები და კალიგრაფები იყვნენ მისი ახლობლები ლარაძეთა ოჯახიდან.

---

[1] ე. თაყაიშვილი გადმოგვცემს: „ლარაძეების უკანასკნელი ჩამომავალი, ერთ-ერთის ცოლი, ჩემ დროს გარდაიცვალა. საკვირველი ამბავი იყო. დიდი მამულები ჰქონდა. გომარეთი სულ მაგისი იყო და გარშემო სულ ყაჩაღებით იყო სავსე, იკლებდნენ იქაურობას, მაგას არ ეშინოდა, მარტოდმარტო ცხოვრობდა თავის ლარაძის სოფელში (ახალში). ერთი მოურავი ჰყავდა მარტო, სულხანა. ამ თათრებს პატიჟებდა, აჭმევდა და ხელს არ ახლებდნენ... იტყოდა ხოლმე, გალიცინი რომ იყო ბელი კლუჩი, ის მთხოულობდა და არ გავყევიო. კარგი მეოჯახე იყო ძალიან. მერე მისი მამული გენერალმა ვასილ გაბაროევმა ჩაიგდო ხელში". ამ ქალის ხარჯით მღვდელ ზაქარია გულისაშვილს გამოუცია პეტრე ლარაძის „დილარიანი" (ქლი, ტ. II, 1966, გვ. 696-697, ე. თაყაიშვილი, რჩეული შრომები, ტ. I, 1958, გვ. 166-167).

[2] ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, I. რჩეული შრომები, ტ. I, 1968, გვ. 166-167.

[3] ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, I. რჩეული შრომები, ტ. I, 1968, გვ. 166-167.

კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი (S-305). გადაწერილი იოანე იოსების ძე ლარაძის (1809-1892) მიერ. როგორც ალ. ბარამიძე შენიშნავს, „ვეფხისტყაოსნის“ ეს ნუსხა თუმანიშვილისეული (არტანუჯული) რედაქციისა არის. ხელნაწერს ერთვის ანდერძი: „სახელითა ღთუისა... სრულ იქმნა წიგნი ესე ხმობილი ვეფხისტყაოსნად, კეთილშობილის კოლეჟსკის რეღისტრატორის იოანე იოსების ძე ლარაძის მიერ.“

ხსენებული ვეფხისტყაოსნის (S-305) გადამწერი იოანე ლარაძე სწორედ გიორგი ლარაძის შვილის, იოსების ვაჟია.[1]

როგორც ცნობილია, გიორგი ლარაძეს ახლო ურთიერთობა ჰქონია თეიმურაზ მეორესთან და მისადმი ერთგულება არაერთხელ გამოუჩენია. მაგ.: თეიმურაზ მეორის წინააღმდეგ აღმდგარი აბდულ ბეგი (ძე ვახტანგ მეექვსის ძის იესესი), გიორგისავე წინამძღოლობით არ შეუშვიათ ქვეშის ციხეში. გიორგის შეუთვლია თურმე რენეგატ აბდულა-ბეგისათვის: „ვინემდისინ მეფის თეიმურაზის და მისი შვილის ირაკლის სახელი საქართველოში იხსენიება, ამ ციხეს ცოცხალი ვერ დაგანებებო“.

თეიმურაზ მეორემ დაუფასა ერთგულება თავის ქვეშევრდომს და უბოძა ხარების ეკლესია თბილისში, იქვე მდგარი სასახლითურთ, (რომელიც მანამდე თეიმურაზ მეორის მიერ შერისხულ კათოლიკე-პატრებს ჰკუთვნებია).

1794 წელს გარდაიცვალა გიორგი ლარაძე. მან თავის შვილებს დაუტოვა ანდერძი, რომ ერთგულად ემსახურათ ქართველი მეფეების კარზე.

გიორგის გარდაცვალების შემდეგ ხარების ეკლესიის დეკანოზი გახდა იოანე ლარაძე, რომელიც შემთხვევით მოსული კაცი არ უნდა იყოს ქართულ მწერლობასა და მეცნიერებაში. „ესე აღიზარდა საფილოსოფოსისა სწავლასა და შინა მზეჭაბუკ ორბე-

[1] ს. ცაიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული რედაქცია, 1957. გვ. 15

ლიანთან. ესე იოანე იყო მშვენიერი მწერალი და კარგი დიალექტიკოსი. ამან შემდგომად მამისა თვისისა, გიორგი ხარების ეკლესიის დეკანოზისა, მიიღო ადგილი მისი და კეთილად იღვაწა სულისა მისთვის და ესრეთ განვლო წელნი თვისნი".[1] ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული მე-19 საუკუნეში გადაწერილი კრებულის" (S-5009) მინაწერი გვამცნობს იოანე ლარაძის გარდაცვალების თარიღს: „კურთხეული იოანე ლარაძე დეკანოზი, კაცი იგი ზეცისა, მიიცუალა ალავერდს, მწირობასა შინა წელსა ქ ესით ჩყდ, ქკნს უუბ, დღესა სამშაბათსა, თუესა ივლისსა კვ. საუკუნოდ იყავნ სახელი მისი დაწერილი წიგნსა მას შინა ზეცათასა".

როგორც „კრებულის" მინაწერიდან შევიტყეთ, იოანე ლარაძე გარდაცვლილა 1804 წლის 26 ივლისს, სამშაბათ დღეს.

იოანე ლარაძის მიერ გადაწერილი ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერზე (A-855) დართული ლექსიკონის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენ საქმე გვაქვს ფრიად განსწავლულ ლექსიკოგრაფთან.

როგორც ს. ცაიშვილი აღნიშნავს, „ვეფხისტყაოსნის" ამ ნუსხაზე დართული ლექსიკონის უმთავრესი ღირსება ის არის, რომ იგი ხშირ შემთხვევაში საკუთარ განმარტებებსაც გვაწვდის. ზოგიერთი სიტყვის განმარტება საერთოდ პირველი ცდაა ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიაში.[2]

საყოველთაოდ ცნობილია, რომ პირველი ლექსიკოგრაფის სახელი დიდმა სულხან-საბა ორბელიანმა („სიტყვის პაპა") დაამკვიდრა ჩვენში. მას მხარში ედგა ვახტანგ მე-6, რომელმაც სათავე დაუდო აგრეთვე (სულხან-საბა ორბელიანთან ერთად) „ვეფხისტყაოსნის" ლექსიკის შესწავლას და შემდგომში მთელი მიმართულება შექმნა ამ დარგში.

---

[1] კალმასობა, 1936, გვ. 272.

[2] ს. ცაიშვილი, ძველი ლექსიკოგრაფიული ნაშრომი „ვეფხისტყაოსანზე" და მისი უცნობი ავტორი, ჟურნ. „მნათობი", 1984, ნომ. 8.

როგორც ბოლო წლებში გაირკვა, „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკაზე მუშაობა არ შეწყვეტილა ვახტანგის შემდგომ და მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან არაერთი საგულისხმო ნაშრომი შეიქმნა ამ მიმართულებით.[1] სწორედ ამ პერიოდშია შექმნილი „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერზე (A-855) დართული უნიკალური ლექსიკონი, რომლის მიხედვითაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენს წინაშე წარმოდგება სრულიად ახალი ლექსიკოგრაფი იოანე ლარაძე, რომელმაც გააგრძელა და განავრცო სულხან-საბასა და ვახტანგ მეექვსის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკის შესწავლა და მრავალი ახალი დაკვირვებით გაამდიდრა სახელოვან წინაპართა საქმე.[2]

მე-19 საუკუნიდან იწყება ძალზე ინტენსიური მუშაობა როგორც ზოგადად, ლექსიკოგრაფიის დარგში, ისე „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკის შესწავლისთვის. ამ თვალსაზრისით დაუვიწყარია თეიმურაზ ბაგრატიონის, ნიკო და დავით ჩუბინაშვილების და სხვათა ღვაწლი.

ჩვენს მეცნიერებაში გამოთქმულია შეხედულება, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ახალ ლექსიკოგრაფიულ შრომებსა და ვახტანგს შორის მაერთებელ ხიდად წარმოგვიდგება თეიმურაზ ბაგრატიონის ფუნდამენტური ნაშრომი „განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა“.[3]

მაგრამ ს. ცაიშვილის ბოლო წლების გამოკვლევებმა ნათლად დაგვანახა, რომ, როგორც თვით მეცნიერიც შენიშნავს, შუალედურ პერიოდში, კერძოდ, მე-18 საუკუნის 80-იან წლებიდან ე. ი. თეიმურაზ ბაგრატიონის შრომებზე თითქმის ნახევარი საუკუნით ადრე ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა პოემის ლექსიკის შე-

---

[1] ს. ცაიშვილი, რუსთაველი-გურამიშვილი, 1974, გვ. 68-111.

[2] ს. ცაიშვილი, რუსთაველი-გურამიშვილი, 1974, გვ. 68-111.

[3] თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება „ვეფხისტყაოსნისა“, გაიოზ იმედაშვილის რედაქციით, 1960, გვ. 217.

სწავლისათვის. აღნიშნულ სამუშაოთა ცენტრში დგას სწორედ „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერი A-855, რომელიც როგორც თარიღით, ისე თავისი მნიშვნელობით წინ დგას ყველა ხელნაწერ ლექსიკონთა შორის, რომლებიც ამავე პერიოდშია შექმნილი.[1]

როგორც ცნობილი გახდა, პეტრე ლარაძე მის მიერ გადაწერილ „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერის (H-4732, არტანუჯული ვარიანტი) ლექსიკონისათვის ძირითად წყაროდ იყენებდა თავისი ძმის იოანე ლარაძის მიერ გადაწერილ „ვეფხისტყაოსანზე" დართულ ლექსიკონს და თავის მხრივ ურთავს რამდენიმე განმარტებას.[2]

იოანე ლარაძის სახელთან დაკავშირებულია სხვა ხელნაწერებიც (516, 4007 და სხვ.). ყურადღებას იქცევს თავისი მხატვრული ასოებით იოანეს მიერ გადაწერილი სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი (გადაწერილი მე-18 საუკ. მეორე ნახევარი). თითოეული ანბანის ტექსტს თავში უზის ფერადებით დახატული მხედრული ასო. ზოგიერთი ასო შემკულია სიმბოლური ფიგურებით. მთელი სცენებია წარმოდგენილი. მაგ.: ასო ჯ-ს თან ახლავს ჯოჯოხეთის სურათი, ტ-ს უწერია: „სული მართალი უბრალოდ იტანჯების. დახატულია მუსლიმი ტირანი, რომლის ბრძანებით ჰგვემენ მართალს, ქრისტიანს. ც არის გამომხატველი ცოდვათა და უწერია: „ვაი მწერალთა უკეთურებისათა... ჰ-ს უწერია: „ჰა უგვარო ხმის გაცემა" და სხვ. ერთი ნიმუში ტ-ს მხატვრული ასოსი, ინგლისელ ანტიქვარს ალენს მოუთავსებია ახლად გამოსულ თავის საანტიქვარო კატალოგში.[3]

---

[1] ს. ცაიშვილი, ძველი ლექსიკოგრაფიული ნაშრომი „ვეფხისტყაოსანზე" და მისი უცნობი ავტორი, ჟურნ. „მნათობი", 1984, ნომ. 8.

[2] ს. ცაიშვილი, ძველი ლექსიკოგრაფიული ნაშრომი „ვეფხისტყაოსანზე" და მისი უცნობი ავტორი, ჟურნ. „მნათობი", 1984, ნომ. 8.

[3] ე. თაყაიშვილი, ემიგრანტული ნაშრომები, გ. შარაძის საერთო რედაქციით, თბ., 1991, გვ. 81-82.

როგორც ე. თაყაიშვილი გადმოგვცემს, ის ლექსიკონი მას უნახავს მუხრანში. მეორედ რომ მისულა, პატრონი სახლში არ დახვედრია. შემდეგ იგი თბილისში შეხვედრია, ექვთიმეს შეუხსენებია ლექსიკონის შესახებ. ხელნაწერის პატრონს ექვთიმესთვის აღუთქვამს, რომ იმ ლექსიკონს შესწირავდა საისტორიო საეთნოგრაფიო მუზეუმს და თან დაუყოლებია: „მესტუმრეთ მუხრანში და მოგართმევთო“. ექვთიმეს ვერ მოუხერხებია მუხრანში წასვლა და ხსენებული ლექსიკონი ამ ოჯახის ასულს საფრანგეთში ნაუღია, ეს ნუსხა შეუძენია ალენს. ექვთიმე საფრანგეთში ალენთან გასცნობია ამ ხელნაწერს. იგი აღწერს ლექსიკონს და შენიშნავს, რომ ეს ხელნაწერი არაფრით განირჩევა ჩვეულებრივი ხელნაწერისაგან, რომლებიც მრავლად მოიპოვება თბილისის წიგნსაცავებშიო.

იოანე ლარაძის მიერ გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“ შესრულებულია ლამაზი მხედრულით, დასაწყისი სტროფებისა და სათაური სინგურით.

ხელნაწერის ყოველმხრივი შესწავლა არკვევს, რომ აქ დაცულია პოემის იგივე რედაქცია, რაც გვაქვს 1712 წლის ანუ ვახტანგის გამოცემაში.[1]

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი (A-855) და მასზე დართული ლექსიკონი ფაქტიურად უცნობი იყო ს. ცაიშვილის გამოკვლევამდე, მან მოგვცა ხელნაწერისა და მასზე დართული ლექსიკონის ვრცელი, მეცნიერული დახასიათება. გვაქვს აგრეთვე მოსე ჯანაშვილის მოკლე აღწერილობა, რომელიც მოთავსებულია საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობის მესამე ტომში.[2]

---

[1] ს. ცაიშვილი, ლიტერატურული წერილები, 1966, გვ. 79.

[2] მ. ჯანაშვილი, საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, წ. III, 1903, გვ. 82.

წერეთლისეული ვეფხისტყაოსანი

კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია მინიატურებიანი (87 ილუსტრაცია) ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნისა“ (S-5006), რომელიც სპარსულ, გასანთლულ ქაღალდზეა დაწერილი და ილუსტრაციები შესრულებულია რამდენიმე მხატვრის მიერ.[1] ხელნაწერს ანდერძი არ ახლავს და არ ჩანს ვინ, როდის ან ვისი დაკვეთით გადაიწერა და შეიმკო ეს ხელნაწერი. იონა მეუნარგიამ იგი ხელის მიხედვით მე-18 საუკუნის დასაწყისით დაათარიღა. ექვთიმე თაყაიშვილმა კი ეს თარიღი რამდენადმე წინ გადასწია და ხელნაწერი მე-17 საუკუნის მეორე ნახევარს მიაკუთვნა, მაგრამ ბოლო დროს სარგის ცაიშვილმა ეჭვმიუტანებლად ცხადჰყო მისი მონაკვეთი გადაწერილია ვახტანგის გამოცემიდან, (ე. ი. ხელნაწერი 1712 წლის შემდეგდროინდელია). ამავე დროს დადგენილია, რომ ამ ხელნაწერის გადამწერს „ვეფხისტყაოსნის“ ერთი სხვა ცალიც (Q-261) ჰქონია გადაწერილი.[2]

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი (S-5006) სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია „წერეთლისეული ხელნაწერის“ სახელით.

1879 წლის 21 თებერვალს გაზეთმა „დროებამ“ გამოაქვეყნა ცნობა, რომ კნეინა პელაგია წერეთლისას აქვს ძველი წიგნები და მათ შორის „ვეფხისტყაოსნის“ ერთი შესანიშნავი, სურათებით შემკული ეგზემპლარი, რომელიც პოემის ვრცელ ვარიანტს შეიცავსო და ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ჯგუფმა, რომლებიც „ვეფხისტყაოსნის“ ახალ გამოცემას ამზადებდა,

---

[1] „ვეფხისტყაოსნის“ დასათაურება, მინიატურები შესრულებული XVI-XVIII ს.ს. შ. ამირანაშვილის შესავალი წერილი, 1966, გვ. 17-19.

[2] ს. ცაიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ისტორია, ტ. II, 1970, გვ. 38-39.

ხსენებული გაზეთიდან თხოვნით მიმართა საზოგადოებას, პოემის ხელნაწერები გვათხოვეთო.[1] ამ ცნობას გამოეხმაურა გრიგოლ დავითის ძე გურიელი და რედაქციას აცნობა: „მე, როგორც მახსოვს, ბიძაჩემს ქაიხოსრო გურიელს ჰქონდა დანაშთი მამიდგან ასეთი კარგი ვეფხისტყაოსანი რუსთაველისა და შიგ გამოხატული მოქმედი პირებით, რომელიც უნდა იყოს ჩემის აზრით, პირველი ან სისწორით გადმოწერილი. დღეს ის, როგორც ვიცით, აქვს ჩემს ბიძაშვილს პელაგიას, ნესტორ წერეთლის მეუღლეს. ამისათვის არ იქნება ურიგო, რომ „ვეფხისტყაოსნის“ რედაქციამ იმას მიმართოს თხოვნით, რომ გამოგზავნოს და, იმედია, უარს არ იტყვის“.[2] ამ ცნობას ახლდა შემდეგი სარედაქციო შენიშვნა: „ამავე საგნის შესახებ ჩვენ მივიღეთ კიდევ შემდეგი წერილი თ. დ. ნ-საგან... იყვნენ ისეთი ხელნაწერი ვეფხისტყაოსნები სრულის მხატვრობით, რომელნიც ძრიელ გამოირჩეოდნენ და ოქროს წონით ფასდებოდნენ. ერთი ამისთანა ვეფხისტყაოსანი ჰქონდა დიდ მეფე სოლომონს, რომელიც შემდეგ მეფის უძეოდ გარდაცვალებისა, დარჩა მეფის ასულს დარეჯან ბატონიშვილს, რომელიც დედა იყო თ. აბაშიძისა.

მე-18 საუკუნეში იმერეთის მეფის სოლომონ პირველის (1785-1784) დავალებით განუახლებიათ „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ძველი, დაზიანებული ხელნაწერი (S-5006), რომელიც შესანიშნავი ილუსტრაციებით ყოფილა შემკული. განახლებისას ტექსტი ხელახლა გადაუწერიათ, სურათები კი ძველი ხელნაწერიდან ახალში გადაუტანიათ. მაგრამ, რადგანაც მათი ფორმატი სხვადასხვა იყო და სურათები უფრო მცირე მოცულობის ქაღალდზე იყო შესრულებული, მათთვის ზემოდან და ქვემოდან აშიები შემოუწებებიათ და ასე გაუტოლებიათ იმ ქაღალდის ფორმატისა-

---

[1] გაზ. „დროება“, 1879, 21 თებერვალი.

[2] „ვეფხისტყაოსნის“ დასურათება, მინიატურები შესრულებული მე-16-18 სს., შ. ამირანაშვილის შესავალი წერილი, 1966, გვ. 17-19.

თვის, რომელზედაც ტექსტს წერდნენ. ზოგი სურათი, რომელიც ძალზე დაზიანებული იყო, ახალ ხელნაწერში აღარ გადაუტანიათ, სამაგიეროდ, დაუმატებიათ ერთი ახალი ილუსტრაცია. ტექსტის ის ნაწილი, რომელიც ძველ ხელნაწერს აკლდა, ვახტანგ მე-6-ის მიერ 1712 წელს დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით შეუვსიათ. ბოლოში კი პოემის გაგრძელებებიც დაურთავთ რომელილაც სხვა ხელნაწერიდან. ახლად გადაწერილი და მოკაზმული „ვეფხისტყაოსანი“ სოლომონ მეფისათვის მიურთმევიათ.[1]

1880 წელს გაზეთი „დროება“ იუწყებოდა, რომ ეს ხელნაწერი იმერეთის მეფის სოლომონ დიდის კუთვნილება ყოფილა, მისი გარდაცვალების შემდეგ ხელნაწერს დაპატრონებია მეფის ასული დარეჯანი.[2]

როგორც ცნობილია, დარეჯან ბატონიშვილი ცოლად ჰყავდა დიდ იმერელ ფეოდალს ქაიხოსრო აბაშიძეს. მათი შვილი იყო იმერეთის აჯანყების მეთაური ივანე აბაშიძე. საისტორიო წყაროებიდან ცნობილია, რომ ამ აჯანყებამ იფეთქა იმერეთში 1819 წელს, ხოლო შემდეგ გურიასა და სამეგრელოსაც მოედო. მისი მთავარი მიზეზი გახდა საეკლესიო რეფორმები, რომელსაც რუსეთი ატარებდა მის მფლობელობაში ახლად შესულ მხარეებში. თეოფილაქტე ეგზარხოსმა, ყოველგვარი წინასწარი „შემზადების“ გარეშე დაიწყო ქართული ეკლესიების დარბევა, სამრევლოების შემცირება, ნატურალურის ნაცვლად ახალი ფულადი საეკლესიო გადასახადების გაწერა. ადგილობრივი სამწყსოების შევიწროება და აბუჩად აგდება. ხალხი ამას არ შეურიგდა და აჯანყებამ მოიცვა იმერეთი და რაჭა. ერმილოვმა უბრძანა იმერეთის მმართველს გენერალ კურნატოვს აჯანყების მოთავეთა

---

[1] ექვთიმე თაყაიშვილი, მოგონებები, ჟურნ. „მნათობი“, 1958, ნომ. 7, გვ. 164-165.

[2] სოლ. ყუბანეიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ სტროფული შედგენილობა, თბ., 1959, გვ. 307-311.

მკაცრი დასჯა. მაგრამ იგი შეცვალა უფრო მკაცრ და დესპოტ პუზირევსკით, რომელმაც იმერეთში შესვლისთანავე აჯანყებულების დაპატიმრება დაიწყო. შეიპყრეს დოსითეოს ქუთათელი (საშინლად ნაცემი და ტომარაში სუნთქვაშეკრული გარდაიცვალა), ექვთიმე გენათელი, მიტროპოლიტი სეხნია წულუკიძე და სოლომონ მეფის ასული დარეჯანი. სუყველას ხელ-ფეხი შეუკრეს, თავზე ტომრები ჩამოაცვეს და თბილისის გზას გაუყენეს.

აჯანყების მოთავე ივანე აბაშიძე გურიაში გაიქცა და თავის ცოლის ბიძის, ქაიხოსრო გურიელის ოჯახს შეაფარა თავი სოფელ შემოქმედში, რომლის დახმარებით ახალ ლაშქრობას ამზადებდა მთავრობის სამხედრო ძალების წინააღმდეგ.

პუზირევსკიმ იმ განზრახვით, რომ ქაიხოსრო გურიელს თავის სახლში შეიპყრობდა, ჯარი ჩოხატაურში დააყენა და რამდენიმე კაზაკით შემოქმედში წავიდა. ქაიხოსრო გურიელი სახლში არ დახვდა. ძალზე აღელვებულს და გაბოროტებულს გზაზე სამი გურული გლეხი შემოეყარა. პუზირევსკიმ მოინდომა მათი გაროზგვა, როგორც ჩვეულებრივი გასართობი და გულმოსაფხანი ქმედება, რომელსაც მისი აზრით, არავითარი რეაქცია არ უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ გლეხები სრულიად „უცნაური მუჟიკები“ აღმოჩნდნენ, როცა პუზირევსკიმ მათრახი უჭირა ერთ გურიელს, წამსვე სამივე დაეძგერა მას, ცხენიდან ჩამოაგდეს, დაიგდეს მიწაზე და დაკლეს.

სოფელ შემოქმედის ახლოს დაბანაკებულ ქაიხოსრო გურიელის და აჯანყების მოთავის ხანისწყლის ხეობაში გამაგრებულ ივანე აბაშიძის ბრძოლა უშედეგოდ დამთავრდა. რუსეთის ჯარმა აჯანყება საბოლოოდ ჩაახშო. დამარცხებული ქაიხოსრო გურიელი და ივანე აბაშიძე ოსმალეთში გადაიხვეწნენ. ქაიხოსრო გურიელი ოსმალეთში გარდაიცვალა 1829 წლის 25 სექტემბერს და დასაფლავებულია ჩარჩამბაში (სამსუნიდან 40 კმ. დაშორებით) ფერისცვალების ბერძნული ეკლესიის ეზოში. ივანე შემდეგშიც განაგრძობდა ბრძოლას, მაგრამ იგი ღალატით მოკლეს ახალციხეში.

როგორც ცნობილია, ივანე აბაშიძეს ცოლად ჰყავდა ქაიხოსრო გურიელის ძმის სვიმონის ასული ელისაბედი (იმ ხანებში ივანეს სიმამრი ცოცხალი აღარ იყო). ივანემ იცოდა, რომ იმერეთში მის ოჯახს დაარბევდნენ და თან წაიღო ყველაფერი, რისი წაღებაც სახელდახელოდ შეიძლებოდა. მათ შორის იყო პაპამისის – სოლომონ მეფის ნაქონი „ვეფხისტყაოსნის“ ძვირფასი ხელნაწერი, რომელიც შემდეგში მზითვად წაუღია ქაიხოსრო გურიელის ასულს პელაგიას, იგი გათხოვილა საჩხერეში ნესტორ წერეთელზე.

1880 წელს ხელნაწერის პატრონმა დროებით სარგებლობისათვის დ. ი. ყიფიანის ხელით გადასცა თბილისში პოემის დამდგენ კომისიას. კომისიის მუშაობის დამთავრების შემდეგ ხელნაწერი კუთვნილებისამებრ დაუბრუნდა პელაგია წერეთელს.[1] ტექსტის დამდგენმა კომისიამ 1881 წელს გამოაქვეყნა კიდეც გაზეთ „დროებაში“ ხელნაწერთა მოკლე დახასიათება.

ბოლოს ხსენებული ხელნაწერის მფლობელი გამხდარა გიგო წერეთელი, რომლის ვაჟს ფრიდონს ხელნაწერი საჩხერიდან თბილისში ჩამოუტანია და კარგ ყდაში ჩაუსმევინებია, მაგრამ გზაზე სახლში მისვლის დროს ეტლში დავიწყებია, ეს ეტლი უქირავებია ცნობილი ქართველი ვაჭრის ფორაქიშვილის ერთ ნოქარს, უნახავს ეტლში ეს ხელნაწერი, ძალზე გახარებია, „ახლა კი გავკეთდი კაციო“! ფორაქიშვილს ეს ამბავი რომ გაუგია, ექვთიმე თაყაიშვილთან გაუგზავნია ნოქარი, წერა-კითხვის საზოგადოება შეიძენსო. მაგრამ ექვთიმე არ დახვედრია. ნოქარს ხელნაწერი მიუტანია ფორაქიშვილის სიძისათვის სოლოლაკში, მეწარმე დავით სარაჯიშვილისათვის, რომელსაც სამი თუმანი მიუცია ხელნაწერში.

„ცოტა ხანს შემდეგ, – იგონებს თაყაიშვილი, დავით სარაჯიშვილმა მიმიწვია სადილად, კვირა დღე იყო, სტუმრები ჰყავდა,

---

[1] ექვთიმე თაყაიშვილი, მოგონებები, ჟურნ. „მნათობი“, 1958, გვ. 164-165.

შეეედი თუ არა, მომაგება ის ხელნაწერი: „აი, საშენო“, დავხედე, მოვკიდე ხელი და ვუთხარი: „ამას თან წავიღებ და გულმოდგინედ შევისწავლი-მეთქი!“ „წაიღე, ოღონდ მალე დამიბრუნე, ბარონ დებაის უნდა ვაჩუქოო“ – უპასუხა სარაჯიშვილმა.[1]

ექვთიმე თაყაიშვილი გულისტკივილით აღნიშნავდა: „საერთოდ, ერთი პირდაპირ აღმაშფოთებელი თვისება სჭირდათ ქართველებს, შეგნებულებსა და თითქოს მამულიშვილებსაც კი. რაც რამ კარგი და თავმოსაწონი ნივთი ჰქონდათ, გააჩუქებდნენ ისეთ პირებზე, რომლებიც საქართველოს გარეთ ცხოვრობდნენ. სამარცხვინო სიმჩატეს იჩენდნენ ხოლმე. ერთხელ ქართველმა თავადაზნაურობამ ასნია ერეკლე მეორის ნაქონი თოფი – ის, რომლითაც კოხტა ბელადი მოკლა ასპინძის ომში – და მიართვა მეფისნაცვალს. კიდევ კარგი, რომ იმან უკანვე დააბრუნა, „ეს თქვენთვის ძვირფასი სახსოვარია და თქვენთანვე უნდა დარჩესო!“ ან არა და, ალექსანდრე ორბელიანი რომ იყო, ნამდვილი პატრიოტი, ვორონცოვს აჩუქა „ვეფხისტყაოსნის“ ერთი საუკეთესო ხელნაწერი, მე-17 საუკუნისა (იქიდან გადმოიღო გაგარინმა პირველად შოთა რუსთაველის სურათი). კიდევ კარგი, რომ რევოლუციის შემდეგ აღმოჩნდა ის ხელნაწერი ვორონცოვის არქივში და ისევ დაგვიბრუნდა, თორემ ხომ უნდა დაგვკარგოდა? ელახერნის ცნობილი ხატი იმპერატორ ალექსანდრე მეორეს აჩუქეს, მაგრამ იმანაც, მეფისნაცვლისა არ იყოს, შეგნებულობა გამოიჩინა და უკან დააბრუნა, მაგრამ ვინ იცის, რამდენი რამ იქნა ამრიგად, ქარაფშუტულად გაბოძებული, გაყიდვაზე და გადამთიელებთან მითვისებაზე რომ აღარა ითქვას რა? რომ ასე არა, ჩვენი მუზეუმები ახლა ერთიათად უფრო მდიდარი უნდა გვქონდეს ხელნაწერებითა და სამახსოვრო საგნებით, ხოლო უცხოეთის მუზეუმებში ამდენი ჩვენი სანუკვარი ძეგლი არ უნდა იყოს მოხვედრილი ქართული

---

[1] სოლ. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის სტროფული შედგენილობა, თბ., 1959, გვ. 164-165.

კულტურისა! ჰოდა, სწორედ ასეთს რასმე უპირებდა იმ, თუმცა სპარსული ყაიდის მაგრამ მაინც საუცხოო მინიატურების შემცველ ხელნაწერს დავით სარაჯიშვილი, რომელიც იმავე დროს, ნიადაგ ქართველების ხასიათის სიმჩატესა ბედოვლათობაზე წუწუნებდა და ერთხელ ამის გამო ილია ჭავჭავაძესაც კი ააწევინა გაწრისხებით ხმა, როგორც უკვე გავიხსენე. მერე-და, ვისთვის აპირებდა მიძღვნას? ბარონ დე-ბაისათვის".[1]

ექვთიმე თაყაიშვილის გადმოცემით, ბარონ დე-ბაი ერთი დილეტანტი მოხალისე იყო, მდიდარი, მოგზაურობდა სხვადასხვა ქვეყანაში, რაღაც-რაღაცეებს წერდა და იძენდა ძველ ნივთებს, როგორც მეცნიერი დიდს არაფერს წარმოადგენდა, მაგრამ გარკვეულ წრეებში მაინც უსაზღვრო პატივით სარგებლობდა (მთავრობაც დიდ პატივს სცემდა მას და საგანგებო მდივანიც კი ჰყავდა მიჩენილი).[2]

მრავალჯერ მიაკითხა მეცნიერს სარაჯიშვილმა ხელნაწერის წასაღებად, მაგრამ ექვთიმე თაყაიშვილი ყოველთვის ერთსა და იმავეს პასუხობდა: – კი, ბატონო, მაგრამ ჯერ კიდევ არ შემისწავლიაო.

დე-ბაი და სარაჯიშვილი საზღვარგარეთ გაემგზავრნენ. მაგრამ სარაჯიშვილის ცოლი ექვთიმესთან ხშირად აგზავნიდა კაცს ხელნაწერის დასაბრუნებლად. ჩანს ესენი აღარ მომეშვებიანო, იფიქრა მეცნიერმა და ხელნაწერი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკა-მუზეუმში შეიტანა, მისი აღწე-

---

[1] ექვთიმე თაყაიშვილი, მოგონებები, ჟურნ. „მნათობი", 1958, ნომ. 7, გვ. 164-165.

[2] სოლ. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის სტროფული შედგენილობა, 1959, თბ., გვ. 307-311.

ექვთიმე თაყაიშვილი, მოგონებები, ჟურნ. „მნათობი", 1958, ნომ. 7, გვ. 164-165.

ზ. ჭუბურიძე, ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ, თბ., 1983.

რილობაც გამოსცა.

სარაჯიშვილი საზღვარგარეთიდან რომ დაბრუნდა, ისევ მოიკითხა ხელნაწერი. ე თაყაიშვილმა უთხრა: „კაცო, ჩამოეხსენი ამ ვეფხისტყაოსანს, ვიღაც გადამთიელს რომ გინდა მაინცდამაინც გაატანო, აქაო და ბარონიაო, აი შენი სახელით შევწირე წერა-კითხვის საზოგადოებას და კიდევაც გამოვეცი“. მეცნიერმა უჩვენა ხელნაწერის აღწერილობის ტომი, სადაც „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი სარაჯიშვილის სახელით იყო შეტანილი. ეამა სარაჯიშვილს, გაეცინა და „კარგი, კარგიო!“

ხსენებული ხელნაწერის თავგადასავალი ამით არ დამთავრებულა. ერთ დღეს ექვთიმე თაყაიშვილს ესტუმრა ორი წარმოსადეგი, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი, სასიამოვნო შესახედავი ახალგაზრდა ვაჟკაცი. „ჩვენ ძმები წერეთლები ვართ და თქვენთან საქმე გვაქვსო“. ექვთიმე ფრიად ნასიამოვნები დარჩა ვაჟების მომხიბლავი გარეგნობით და ზრდილობიანი სიტყვა-პასუხით. „პელაგია წერეთლის გარდაცვალების შემდეგ მისი ქმრის ნესტორ წერეთლის ქონება რომ გავიყავით, ვეფხისტყაოსანი ჩვენ გვერგო, დედამ გამოგვატანა თბილისში ყდის გასაკეთებლად, გავუკეთეთ, მაგრამ ეტლში დაგვრჩა და მას შემდეგ დედაჩვენი აღარაა ჯავრით, დაკარგული ჰგონიაო, საქართველოში ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი იმაზე უკეთესი არ მოიძებნებაო, ხელნაწერები თურმე სულ თქვენთან მოდის და ჩვენსაზე ხომ არაფერი გაგიგიათო? – ჰკითხეს ძმებმა. როგორი ხელნაწერი იყოო, ჰკითხა ექვთიმემ, „დიდი იყო, ძველი, ტყავისა, თუ თქვენთანაა გვათხოვეთ და გაძლევთ პატიოსან სიტყვას, ისევ დაგიბრუნებთ, ოღონდ დედას ვაჩვენოთ და დავარწმუნოთ, რომ არ დაკარგულაო, – შეეხვეწნენ ძმები. თაყაიშვილმა უთხრა: „საერთოდ ყველაფერს მუზეუმში ვიტოვებთ, რასაც შემოგვწირავენ, არ დაგიმალავთ, ეგ ხელნაწერიც ვიცი, ოღონდ გეშლებათ, ქაღალდზეა ნაწერი და არა ტყავზე, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი სხვისი ნაყიდია, მერე შემოსწირა, ახლა საზოგადოების საკუთრებას შეადგენს და როგორლა შეიძლება წაღებაო“. ძმები მიადგნენ საზოგადოების გა-

მგეობას. იქ უპასუხეს: „ეგ ჩვენ არ გვეკითხება, თაყაიშვილის საქმეაო". მიადგნენ ისევ თაყაიშვილს. რაღას იზამდა. ექვთიმემ დანერა წერილი საზოგადოების ბიბლიოთეკა-მუზეუმის სახელზე, რომლის საფუძველზეც ძმებმა დროებით წაიღეს ხელნაწერი.[1]

გავიდა ერთი თვე, მაგრამ წერეთლებმა ხელნაწერი უკან აღარ დააბრუნეს. ექვთიმეს გამგეობაში კიტა აბაშიძემ ერთი ამბავი დააყენა, არ უნდა გაგეტანებინაო.

იმხანად საჩხერეში გამყრელიძის კარ-მიდამოზე ძველი ყორღანული სამარხი აღმოჩენილიყო და არქეოლოგიური გათხრების წარმოების საქმეს ექვთიმე თაყაიშვილი ხელმძღვანელობდა. მეცნიერი მის გასათხრელად გაემგზავრა. ბინა გამყრელიძის სახლში დაიდო. საჩხერეში მაშინ მოთავეობდა, „დედოფლობდა" ელისაბედ წერეთელი, ორმოცდაათიოდე წლის, რომანტიკული სულისკვეთების ქვრივი. თითონ გიორგი წულუკიძის ასული იყო. ქმარი საკმაოდ გონებაჩლუნგი ჰყავდა და ადრევე გარდაეცვალა. ელისაბედი ყველა წერეთელზე მდიდარი იყო, რადგან მის მამულში ბლომად მოიპოვებოდა შავი ქვის მადანი. იგი საჩხერის სკოლის მზრუნველთა საბჭოს თავმჯდომარე იყო და იმ სკოლის სასარგებლოდ ყოველ წელიწადს აწყობდა დიდ მეჯლისს ღია ცის ქვეშ, მუსიკითა და მთელი ქუთაისის გუბერნიიდან მიპატიჟებული სტუმრებით, გუბერნატორიანად. ელისაბედი სანოვაგეს უსასყიდლოდ მოაგროვებდა და სტუმრებს ორორ მანეთს ახდევინებდა. შეგროვილ თანხას კი სკოლას მოახმარდა ხოლმე.

ერთი ასეთი მეჯლისი სწორედ ექვთიმე თაყაიშვილის იქ ყო-

---

[1] ექვთ. თაყაიშვილი, მოგონებები, ჟურნ. „მნათობი", 1958, ნომ. 7.

სოლ. ყუბანეიშვილი, „ვეფხისტყაოსნის" სტროფული შედგენილობა, 1959, გვ. 307-311.

ს. ცაიშვილი, „ვეფხისტყაოსნის" ძველი რედაქციები, 1963, გვ. 41-70.

გ. ლომთათიძე, ქართული კულტურის მემატიანე ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1990, გვ. 185-190.

ფნას დაემთხვა და ელისაბედმა ექვთიმეც მიიწვია.

ელისაბედი გულთბილად შეხვდა ექვთიმეს, გადაკოცნა და მოიკითხა.

ელისაბედის მამა, გიორგი წულუკიძე, დიდხანს ცხოვრობდა გურიაში. მომრიგებელ მოსამართლედ მუშაობდა და თანაც შესანიშნავი მონადირე იყო. თაყაიშვილი კარგად იცნობდა მას.

ელისაბედი მართლა დედოფალივით განაგებდა იქაურობას და მთელი თავადიშვილთა ამალა ახლდა თან. მათ შორის სწორედ ის მომხიბლავი ძმები ნერეთლები.

ექვთიმემ მაშინვე ამოიცნო ძმები და ელისაბედს მოახსენა: კნეინა, ახლა სხვაზე ნურაფერზე მელაპარაკებით, მე და ეს ახალგაზრდები გაგვასამართლეთო! ეს ყმაწვილები მოვიდნენ ჩემთან და დროებით მთხოვეს საზოგადოების კუთვნილი ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი. თან პატიოსანი სიტყვა მომცეს, რომ დამიბრუნებდნენ და არკი დააბრუნეს! სხვისი ვათხოვე და ახლა არ ვიცი, რა პასუხი გავცე პატრონს, უხერხულ მდგომარეობაში ჩამაყენესო. ვაჟები დაიწვნენ სირცხვილით. ვაი, ეს რა დღეში ჩავვარდით, ბატონო! ქალბატონი ელისაბედი მოგვიცია თავდებათ, რომ ერთ კვირაში მოგიტანთო!

გავიდა ერთი კვირა, მაგრამ ძმები ნერეთლები არ გამოჩენილან. თაყაიშვილი თბილისში რომ დაბრუნდა და წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმში იკითხა ხელნაწერის ამბავი, უთხრეს, უკვე მოიტანესო. თაყაიშვილმა გადაშალა ხელნაწერი, დარწმუნდა, რომ ის ხელნაწერი იყო და დამშვიდდა.

ხელნაწერი ფრიდონ ნერეთლის შემოწირულად გატარდა მუზეუმის საინვენტარო დავთარში ნომ. 5006.[1]

---

[1] ექვთ. თაყაიშვილი, მოგონებები, ჟურნ. „მნათობი", 1958, ნომ. 7.

სოლ. ყუბანეიშვილი, „ვეფხისტყაოსნის" სტროფული შედგენილობა, 1959, გვ. 311.

ზ. ჭუმბურიძე, ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ, 1983, გვ. 27-277.

1911 წლის 7 მაისს „სახალხო ფურცელი“ უკვე იუწყებოდა, რომ წერეთლებმა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას შესწირეს დასურათებული „ვეფხისტყაოსანიო“. მაგრამ ამით არ დამთავრებულა ხსენებული „ვეფხისტყაოსნის“ ისტორია. ხელნაწერში მოთავსებული 87 სურათიდან ათი ისე ოსტატურად ამოეჭრათ, რომ კვალი არ ეტყობოდა.

1911 წლის ბოლოს ექვთიმე თაყაიშვილმა ოქსფორდიდან მიიღო ოლივერ უორდროპის წერილი, რომლითაც იტყობინებოდა, რომ ვიღაც სომხის ანტიქვარს მისთვის მიუტანია „ვეფხისტყაოსნის“ სურათები გასაყიდად. უორდროპმა გადაიღო ამ სურათების ფოტოპირები და თაყაიშვილს გამოუგზავნა თბილისში. როგორც გაირკვა, ეს ათი სურათი ჩვენთვის კარგად ცნობილი „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერიდან იყო ამოჭრილი.

ხსენებულ ხელნაწერს კარგად იცნობდა ქართველების გულწრფელი მეგობარი და მოამაგე, „ვეფხისტყაოსნისა“ და სხვა ქართული თხზულების ინგლისულად მთარგმნელი მარჯორი უორდროპი. ექვთიმე თაყაიშვილი ვიდრე ამ ნუსხას საზოგადოებას გადასცემდა, მანამდე უჩვენებია ეს ხელნაწერი მისთვის.

ექვთიმე თაყაიშვილმა წერილობით აცნობა უორდროპს, რომ თუ შეიძენდა იმ სურათებს, უნდა დაებრუნებინა თბილისში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის. მაგრამ უორდროპი ფასში ვერ მორიგებია გამყიდველს და სურათები ისევ პარიზში დაუბრუნებია. 1912 წლის იანვარში ექვთიმე თაყაიშვილის მცდელობით, ვაჭრებმა სურათები თბილისში ჩამოიტანეს და მიხაკა ურიას მეშვეობით სურათები ექვთიმეს მიუტანეს. სურათების მეპატრონეებმა ჯერ ათასი მანეთი მოითხოვეს, შემდეგ 500 მანეთსაც დასჯერდებოდნენ, მაგრამ მეცნიერმა გუბერნატორით დააშინა. ვაჭრები შეშინდნენ და თქვეს: „ბატონო, ჩვენ რა შუაში ვართ, ჩვენ, საერთოთ, მაგეებით ვვაჭრობთ და რას გვემართლებით, წერეთლებმა მოგვყიდეს ის სურათები 600 მანეთად. ისინი ვერ ამოჭრიდნენ შეუმჩნევლად სურათებს, მოგ-

ვცეს და ჩვენ ამოვჭერითო, ახლა ჩვენი ფული დაგვიბრუნეთ და ყველა სურათი უკან ინებეთო! თუ არ გჯერათ, თვით წერეთლებს ჰკითხეთო! ექვთიმემ ვაჭრებს უთხრა: „ეხლა ჩვენ მაგის გამოძიებას ვერ შევუდგებით და ვერც ვერაფერს მოგცემთ, წერა-კითხვის საზოგადოება მაგ თანხას ვერ აგინაზღაურებთ, მაგრამ რაკი დაზარალებულხართ, ვიშუამდგომლებ, რომ 200 მანეთი მაინც მოგცენო“.

ექვთიმე თაყაიშვილმა 1912 წლის 28 იანვარს წერილობითი მოხსენება წარუდგინა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეს გ. ყაზბეგს და სთხოვა, სურათები დაუყოვნებლივ შეეძინათ, რომ სამუდამოდ არ დაგვეკარგოსო“. ამასთან ერთად ე. თაყაიშვილი წერდა: „უნდა მოგახსენოთ, რომ წერეთლისეული ვეფხისტყაოსანი დიდად შესანიშნავია, ისეთი ღირსების სურათები არც ერთ სხვა ვეფხისტყაოსნის ხელნაწერს არ მოეპოვება“.[1]

საზოგადოებას წინა წლის ხარჯთაღრიცხვით ათასი მანეთი ჰქონდა. აქედან 275 მანეთი მისცეს სურათებში და მათ კვლავ წერეთლისეულ ხელნაწერში მიუჩინეს ბინა.[2]

ამჟამად ეს ხელნაწერი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტის S-5006 ფონდში.

---

[1] ექვთ. თაყაიშვილი, მოგონებები, ჟურნ. „მნათობი“, 1958, ნომ. 7. გვ. 166.

[2] სოლ. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის სტროფული შედგენილობა, 1959, გვ. 311.

ზ. ჭუმბურიძე, ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ, 1983, გვ. 270-277.

დიმიტრი სააკაძე

მე-17-18 საუკუნე ძნელბედობის ხანაა საქართველოს ისტორიაში. ქართველ ხალხს „გატენილ თოფებზე" ეძინა. დამპყრობელ თურქებისა და სპარსელების წინააღმდეგ მათ თავგანწირული ბრძოლა უხდებოდათ. მოზღვავებულ მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილში სისხლით მორწყული საქართველო საიმედო მოკავშირეს ეძებდა. ქვეყნის პოლიტიკური შავბედითობის გამო ბევრმა სიცოცხლის გადასარჩენად, ზოგმა იძულებით,[1] ერთმორწმუნე რუსეთს შეაფარა თავი იმ იმედით, რომ ცხოვრება კვლავ კალაპოტში ჩადგებოდა, ადრე თუ გვიან სამშობლოში დაბრუნების საშუალება მიეცემოდათ, მაგრამ, სამწუხაროდ, უმეტესობას ბედმა სამშობლოსთან სამუდამო განშორება არგუნა.

მე-17-18 საუკუნეში რუსეთი იქცა ქართველი მამულიშვილების პოლიტიკური მოღვაწეობისა და მწიგნობრობის თავშესაფრად.

რუსეთის ბევრ ქალაქში აღმოცენდა ქართული ახალშენი. აქედან ზოგიერთი მათგანი ქართველთა კულტურული მოღვაწეობის მძლავრ კერად იქცა.

მე-17 საუკუნის ოთხმოციან წლებში მოსკოვში ჩასულ არჩილ მეფეს დიდი იმედი ჰქონდა რუსეთის მეფისა, რომელსაც საქართველოსათვის სამხედრო-პოლიტიკური და ფინანსური დახმარება უნდა გაეწია, მაგრამ არჩილის ეს იმედი უშედეგო აღმოჩნდა. მისი სიცოცხლე საქართველოს გადარჩენის იმედის ოცნებაში მიილია.

---

[1] კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, 1954, გვ. 426.

მოსკოვში დასახლებული არჩილი, მისი ოჯახის წევრები (ალექსანდრე არჩილის ძე, დარეჯან არჩილის ასული), მათი ახლობლები (დავით თურქესტანიშვილი, ბაგრატ სოლოღაშვილი, დიმიტრი კავკასიძე, გაბრიელ ჩხეიძე, პეტრე ნექაბაძე და სხვები) ეწეოდნენ ნაყოფიერ კულტურულ-ლიტერატურულ საქმიანობას.

ვახტანგ მე-6 თავისი ათასორასიანი ამალით ქართლის საზღვრებს ტოვებდა იმ იმედით, რომ რუსეთის დახმარებით მშვიდობას დაუბრუნებდა სამშობლოს, მაგრამ იმედი საქართველოს გადარჩენისა აუხდენელ ოცნებად დარჩა და უცხო მიწაში თან ჩაიტანა საფლავში.

მოსკოვში ჩასული ვახტანგ მე-6-ის ირგვლივ შემოიკრიბნენ თვალსაჩინო მეცნიერები, მწერლები და პოეტები: ვახუშტი ბაგრატიონი, სახელოვანი მეცნიერი, გამოჩენილი გეოგრაფი და ისტორიკოსი, უბადლო კარტოგრაფი და ნაყოფიერი მთარგმნელი; მამუკა ბარათაშვილი, ქართული ლექსწყობის თვალსაჩინო სპეციალისტი და მგზნებარე პოეტი; ნიკოლოზ ორბელიანი, ქართული სტამბის ღვაწლმოსილი მუშაკი, ცნობილი ლიტურგისტი და სახელოვანი კალიგრაფი; ზაალ-ზოსიმე ორბელიანი, სულხან-საბა ორბელიანის უცვლელი და დაუღალავი თანაშემწე; კალიგრაფი ერასტი თურქესტანიშვილი, მელექსედეკ კავკასიძე. გაბრიელ გელოვანი და სხვები. მათ რიცხვს თანდათან შეემატნენ საქართველოდან გვიან წასული მწერლები: ვახტანგ ორბელიანი, დიმიტრი ბაგრატიონი და დიმიტრი სააკაძე.

ვახტანგის თაობამ განაგრძო და განავითარა ის სახელოვანი ტრადიციები, რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს არჩილმა და მისმა თანამოღვაწეებმა. სამშობლოს მხარეს მოცილებულნი და რუსეთში გახიზნული პატრიოტები ენერგიულად იღვწოდნენ ქართული კულტურის საგანძურის გამდიდრებისათვის. არცერთ მათგანს არ სცილდებოდა ფიქრი სამშობლოსა და მშობლიურ კულტურაზე.

დიმიტრი სააკაძე წარმომადგენელია ემიგრანტ პოეტთა

წრისა. გონიერი სახელმწიფო მოღვაწის, სამშობლოს ნათელი მომავლისათვის თავდადებული მებრძოლის ვახტანგ მე-6-ის ირგვლივ შემოიკრიბნენ, აგრეთვე, დავით გურამიშვილი, მამუკა გურამიშვილი, ონანა ქობულაშვილი, თომა ბარათაშვილი, ოტია ფავლენიშვილი, გაბრიელ გელოვანი და მრავალი სხვა.

დიმიტრი სააკაძის ბიოგრაფიული ცნობები ცოტაა შემორჩენილი. უცნობია მისი დაბადებისა და გარდაცვალების თარიღი. თუმცა, მის ბიოგრაფიას სხვადასხვა დროს შეეხნენ კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, გ. ლეონიძე, გ. მიქაძე, დ. ბრეგაძე, რ. ფირცხალაიშვილი, ნ. მახათაძე და სხვ.

დიმიტრი სააკაძის პირველი სრული ბიოგრაფიის ავტორია მისივე ლექსების გამომცემელი დ. ბრეგაძე. მისი ვარაუდით, დ. სააკაძის შემორჩენილი ლექსების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იგი მე-18 საუკუნის შუახანების პოეტია. დაბადებულია სოფელ ბობნევში (ატენის ხეობა) და მისი დაბადების ხანად მე-17 საუკუნის ბოლოს ასახელებს.[1]

როგორც ცნობილია, დიმიტრი სააკაძე 1784 წელს ბაქარს გაჰყოლია მოსკოვში და ქართული კოლონიის აქტიური წევრი გამხდარა. დიმიტრის ძირითადი საცხოვრებელი ადგილია მოსკოვი და პეტერბურგი. მისი ლექსების უმეტესობა პრესნაზეა დაწერილი და შემონახულია მხოლოდ გ. ავალიშვილის ანთოლოგიაში (S-303).[2]

მკვლევართა აზრით, გ. ავალიშვილმა დ. სააკაძის ლექსები შერჩევით შეიტანა ანთოლოგიაში, რომლის უმეტესობას შეადგენს ბარათები დ. ბაგრატიონისადმი მიწერილი (დ. ბაგრატიონი სიმამრი იყო გ. ავალიშვილისა).[3]

დიმიტრი სააკაძეს ახლო ურთიერთობა ჰქონია ბატონიშვი-

---

[1] დ. ბრეგაძე, ქართველი კულტურის მოღვაწენი რუსეთში, 1974, გვ. 148.

[2] იქვე.

[3] იქვე.

ლებთან. განსაკუთრებით პეტერბურგში მცხოვრებ ქართველ უფლისწულ გიორგი ვახტანგის ძესთან[1] და დიმიტრი ბაგრატიონთან. ბატონიშვილი გიორგი ცნობილია, როგორც გამოჩენილი სამხედრო-საზღვაო მოღვაწე, შვიდწლიანი ომის მონაწილე, არმიის გენერალი, სამხედრო საქმის საუცხოო მცოდნე, მამაცი მებრძოლი, „ჯარისკაცებზე მზრუნველი, „ბალშაია გრუზინსკაიაზე" წმინდა გიორგის ეკლესიის ამგები და „დეისტვიტელნი კამერგერი", რომელსაც რუსეთში ცხოვრების საუკეთესო პირობები ჰქონდა. გიორგი ვახტანგის ძე, როგორც ჩანს, მორალურად მფარველობდა და მატერიალურად ეხმარებოდა დ. სააკაძეს.

დიმიტრი სააკაძისათვის პირველ ხანებში გიორგი ვახტანგის ძე გამოდის ერთგვარი მფარველის როლში, მოხუცებულობის ჟამს იგი უკვე დიმიტრი ბაგრატიონს უწოდებს პატრონს. ბარათების უმეტესობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიძღვნილია დიმიტრი ბაგრატიონისადმი.

დიმიტრი ბაგრატიონი ცნობილია მაშინდელ მთელ მოწინავე ქართველებში, როგორც წარჩინებული და ფრიად განათლებული პიროვნება. ის იყო სულიერი მამა იმ დროს რუსეთში გადახვეწილი ქართველი პოეტებისა.

დ. ბაგრატიონის ცხოვრება-შემოქმედებაზე მშვენიერი მონოგრაფია დაგვიტოვა რ. ნაკაშიძემ.

როგორც ცნობილია, დიმიტრი ბაგრატიონი 1766 წელს ერეკლე მეორის წინააღმდეგ შექმნილ ოპოზიციაში იღებდა მონაწი-

---

[1] 1747-1748 წწ. გიორგი ვახტანგის ძეს მონაწილეობა მიუღია 30 ათასიანი დამხმარე კორპუსის ლაშქრობაში რეინზე. ამ ლაშქრობას სარდლობდა გენერალი ანშეფი ვ. რეპნინი. გიორგი ვახტანგის ძეს დავალებული ჰქონდა მოეწყო ფლოტი, რომლის მეთაურიც თვით იქნებოდა და რომლითაც იგი კრონშტანტიდან მიტავაში (კულრანდია) გადასხამდა დამხმარე ხუთ პოლკს. პეტრე პირველის შემდეგ ნიჩბოსანი საგალერო ფლოტი მოძველდა და ხმარებიდან გამოვიდა, მაგრამ გიორგი ვახტანგის ძემ იგი აღადგინა და სასწრაფოდ მოაგვარა ჯარისკაცების გადასხმის საქმე.

ლეობას, რის გამოც ერეკლემ იგი საქართველოდან გააძევა. ამის შემდეგ დიმიტრი მუდმივად ცხოვრობდა რუსეთში.

დ. ბაგრატიონის ოჯახური ცხოვრება ბედნიერად აეწყო. მისი მეუღლე მარიამ დიმიტრის[1] ასული ციციშვილი პავლე[2] ციციანოვის და იყო.

დიმიტრი სააკაძეს დ. ბაგრატიონი წარმოდგენილი ჰყავს, როგორც სიბრძნის წყარო, გმირთა გმირი, მტერთა მზარავი,

---

[1] დიმიტრი ციციშვილი დაიბადა რუსეთში. მისი მამა პავლე ვახტანგს გაჰყოლია რუსეთში 1724 წელს. იგი ძალზე განათლებული და მრავალი ენის მცოდნე ყოფილა„ კერძოდ, გერმანულის, ფრანგულის, რუსულის და ლათინურის. შეუდგენია გეომეტრიის სახელმძღვანელო რუსულ ენაზე. როდესაც ათანასე ამილახვარს სინოდმა 1761 წლის 21 დეკემბერს ნება დართო ქართული წიგნის საბეჭდავის გამართვა „ჯვართამაღლების ეკლესიაში“, კორექტორად ყოფილა მდივანი მეფე ვახტანგ მეექვსისა მელექსედეკ კავკასიძე; ზემდგომელად „ნადვორნი სოვეტნიკი“ ევგენ ამილახვროვი. რუსულ წიგნებს ასწორებდა ათანასეს ბიძაშვილი „ნადვორნი სოვეტნიკი“ დიმიტრი ციციანოვი. 1765 წ. დაიბეჭდა დავითნი, ლოცვანი, ჟამნი, სამოციქულო. ანბანი სამ ენაზე: ლათინურ, ბერძნულ და რუსულ ენაზე. „ეს ანბანი ობერპროკურორის ხელით მიერთვა იმპერატრიცას“.

დიმიტრი ციციშვილი იყო მამა საქართველოს მთავარმართებლის პავლე ციციანოვისა, იგი გარდაიცვალა მოსკოვში 1777 წელს, დასაფლავებულია ვსესვიატსკის ეკლესიაში. (იხ. თ. ჟორდანიას ფონდის 392/92 საქმეში დაცული პ. კარბელაშვილის რვეული).

[2] ბაქოს ციხის აღებისას, 1806 წ. 8 თებერვალს, პავლე ციციანოვი, როცა მას ციხის გასაღებს აბარებდნენ, ტყვიით განგმირულ იქნა. მისი თავი და ხელები ტანს მოჰკვეთეს და ჰუსეინ-ყული-ხანმა თეირანს გაუგზავნა შაჰს საჩუქრად, ხოლო ტანი კი ციხის კარებში სილაში ჩაფლო, შემდგომ რუსებმა მარკიზ პაულიჩის თაოსნობით თბილისში ჩამოასვენეს და დაკრძალეს ჩვენს საამაყო და წმინდა სიონში რუსული ძეგლითა და რუსული წარწერით. სხვათა შორის, დედოფალ მარიამის მიერ გულგანგმირული ლაზარევი (რომელიც დედოფალ მარიამს საძინებელ ოთახში თავს დაესხა დასაპატიმრებლად) აქ, ნარჩინებულთა სავანეში დაიფლო.

ადარებს ჰერკულესს, ჰექტორს და აქილევსს.

რ. ნაკაშიძე აღნიშნავს, რომ დიმიტრი ბაგრატიონი ძველი დროის ერთ-ერთი ქართველი პოეტია, რომელსაც სიცოცხლეში ეღირსა საკუთარი თხზულების დაბეჭდვა. მისი პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა დაიბეჭდა 1819 წელს.[1]

დიმიტრი სააკაძე მოსკოვში ეწეოდა ლიტერატურულ საქმიანობას თავისი ქვეყნისა და ხალხის სასარგებლოდ. მისი ლექსები, როგორც ცნობილია, ემიგრანტული პოეზიის ტიპიური ნიმუშია, რომელთაც ახასიათებთ სევდა სამშობლოს დაშორებული კაცის მძიმე ხვედრით გამოწვეული. პოეტს მტრისაგან სამშობლოს გათავისუფლების იმედი აქვს და ამ იმედს უნერგავდა და უფრო უძლიერებდა მას რუსეთში მყოფი ქართველობა. მას გულს უკლავს მშობლიური მხარის დატოვება, საქართველოს მძიმე მდგომარეობას იგი იძულებული გაუხდია რუსეთს წასულიყო. მას სამშობლო ქვეყნის მთაგორიანი ადგილები მუდამ თვალწინ უდგას. პოეტი თავის თავს „მიწიდან ამოგლეჯილ მცენარეს ადარებს, რომელიც ვერსად ვერ გაიხარებს, რადგან მშობლიურ მიწას მოწყდა. საინტერესოა მკითხველისათვის რამდენიმე ფრაზა მისი ერთი ლექსიდან:

„სვე და ბედმან მუხანათმან სამყოფთაგან აღმოგვხოცა,
სიყრმით ჩვენით თვალთა ჩვენთა ცრემლი აროს მოგვეხოცა,
სამყოფთაგან იავარდგვყო, სიზმარშიაც არ გვეოცა,
ცოდვის ნაცელად ღმერთსა ჩვენსა ჩვენთვის მეტი რა მოეცა.
ჩვენ მოგვივლინა უფალმან პირველ მოსესგან თქმულები,
სამკვდროსაგან განგვასხა, სხვაგან გვქნა დაკარგულები“.[2]

დ. სააკაძე გიორგი ვახტანგის ძეს წერს:

„ჯობდა სახელის მოხვეჭა ნიადაგ გვერძე წოლასა,

---

[1] რ. ნაკაშიძე, „დიმიტრიანი“, თბ., 1978, გვ. 9.

[2] ალ. ბარამიძე, ანთოლოგია, II, გვ. 224.
დ. ბრეგაძე, ქართველი მწერლები რუსეთში, 1958, გვ. 299.

გეძია ისევ სალიმი, არ გაქცეოდი მოლასა".[1]

დ. სააკაძის ლექსების უმეტესი ნაწილი მის განცდილ ამბებს გადმოგვცემს და მასში პოეტის ბიოგრაფიული ფაქტები ისახება.

დ. სააკაძეს სამიჯნურო-სატრფიალო ლექსების გარდა აქვს სატირულიც, რომელშიც იგი არ ინდობს არც საკუთარ თავს და არც სხვას.

როგორც ცნობილია, დიმიტრი სააკაძე მოხუცებულობის ჟამს ძალზე მძიმე მატერიალურ პირობებში ცხოვრობდა. ზოგჯერ ლუკმა-პურიც საძებნელი ჰქონია და დ. ბაგრატიონისადმი მიწერილ ბარათში იგი პატრონს აცნობს თავის უმწეო მდგომარეობას და არ მალავს, რომ სიბერის დროს გაჭირვებაში ჩავარდნილს ცრემლის ღვრა უხდება.

პოეტი გვარწმუნებს, რომ მასში დიდი პოტენციური ძალაა, მაგრამ „ნაღველში ამონაწები კალამი რას იქმს წერასა", მაგრამ საკმარისია სამშობლოს მხარის სურნელება და შთამაგონებელი ძალა, რომ „მაშინ იცნობთ, ბობნევშია, როცა ნახავთ სააკაძესო"; – მიმართავს თანამემამულეებს, რომელთაც მისი კალმის ძალა, დუხჭირი ყოფის გამო, ჯერ არ უგრძვნიათ საკმაოდ. მაგრამ, აქვე დასძენს პოეტი: „მე მექადის ეს სოფელი, ვეღარ წახვალ ბობნევშიო"...

დ. ბრეგაძე შენიშნავს, რომ პოეტი ენამწარე და დაუნდობელი ყოფილა, ამის გამო მას ბევრი მტერი ჰყოლია, იგი გაბმული ყოფილა დაუსრულებელ ინტრიგებში და ყოველთვის ვიღაცის უკმაყოფილო. გიორგი ვახტანგის ძე ხშირად საყვედურობდა დიმიტრის იმ ინტრიგული ბუნების გამო, რომელიც ხშირად იწვევდა უსიამოვნებას მოსკოვის ქართულ კოლონიაში.

დიმიტრი სააკაძის ზოგიერთი ლექსი („ვის მე ორნი ძვი-

---

[1] ალ. ბარამიძე, ანთოლოგია, II, გვ. 224.

დ. ბრეგაძე, ქართველი მწერლები რუსეთში, 1958, გვ. 299.

რფასი თვალნი აქვნდეს ანთრაკი და იაკინთე, და მმათისა დაკარგვისათვის ჰგოდებს“, „გარდასავალი თავადისა დიმიტრი ვასილის (შიოს) ძისა, რომელი შემთხვევია, მას ოქროს ქალას მიერ“), დაწერილია მის ცხოვრებაში მომხდარ სხვადასხვა მოვლენებთან დაკავშირებით.

თავისი მოკლე, მაგრამ მგზნებარე პატრიოტული ლექსებით დ. საკაძეს ქართული ლიტერატურის ისტორიაში გარკვეული ადგილი უკავია.

დ. საკაძე გარდა პოეზიისა, მთარგმნელობით საქმიანობასაც ეწეოდა. იგი მარტო გადამწერი კი არ არის, არამედ თავისებური კომენტატორიც. წაკითხულ ან გადაწერილ წიგნებზე იგი თავის აზრს გამოთქვამს. მაგ.: S-1625, რომელშიც თავმოყრილია „სხვადასხვა ფილოსოფოსების სწავლა-მოძღვრებანი და ანეგდოტები და სხვადასხვა მეფეთა შესახებ“. ჩვენამდეა მოღწეული დ. საკაძის ხელით გადაწერილი სამი ნათარგმნი თხზულება, რომლებიც დაცულია კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში. კერძოდ, A-293, მასში შეტანილია: მატიანე, რომელსა შინა წერილ არს დარღვევა უკანასკნელი წმიდისა ქალაქისა იერუსალიმისა და აღება კონსტანტინეპოლისა სამეუფოსა ქალაქისა ბერძენთა სახელმწიფოსა პირად პირადთა აღმწერელთაგან შემოკლებული . ბოლოში მინერილი აქვს: „თარგმნილი რუსულისაგან ქართულად თავადის სარიდან ჩოლოყაშვილისაგან. შემდეგ სხვა ხელით (ამავე ხელით აქვს მინაწერი (ნომ. 2319) მიწერილია: „აღწერილი კნიაზ დიმიტრი საკაძის მიერ“. შემდეგ მინერილი აქვს დ. ბაგრატიონის ერთსტროფიანი ლექსი.

A-586 ხელნაწერს ბოლოში იმავე ხელით ასეთი მინაწერი აქვს გაკეთებული: „გადმოთარგმნა წმინდა ესე წიგნი სარწმუნოებისა კეთილმსახურის მეფის არჩილისაგან. კურთხეულმც არის ხსენება მისი, ღმერთო, აცხოვნე ამ წიგნის ქართულის ენაზე გამწყობელი, თბილელ მიტროპოლიტი ნიკოლოზ ორბელისშვილი (სულხან-ორბელიანის ძმა, რომელიც ვახტანგ მე-6-ს გაჰყვა რუ-

სეთში). „მეფეს ვახტანგს ვერ ურჩ ვექმენ; თორემ ჩემისთანას ცოდვილის ბერისაგან ძნელად შესამართავი წიგნი იყო. გადმომღებელი ღმერთმან აცხონოს. აღიწერა წმიდა ესე წიგნი სააკაძის დემეტრესაგან. წელსა ათას შვიდას ორმოცდა სამსა. თვესა სეკდემბერსა, კ. (20)".

H-2319. ფენელონის „ულისეს ძის თელემაკის თავგადასავალი", თარგმნილი ქართულად რუსულიდან თავადის სარიდან ჩოლოყაშვილისაგან. ბოლოში მიწერილი აქვს: „აღწერილი კნიაზ დიმიტრი სააკაძის მიერ".

„ტელემახიდა" პოპულარული ყოფილა მე-18 საუკუნისა და ე. წ. „გარდამავალი ხანის" ქართულ ლიტერატურაში, მის ქართულ თარგმანზე უმუშავიათ დიმიტრი სააკაძეს, ვინმე აბელ ბამბეუქოვს, გრიგოლ ზურაბის ძე წერეთელს, დავით ლეონის ძე დადიანს და იესე გარსევანიშვილს.[1]

ქართული კლასიკური ლიტერატურისა და განსაკუთრებით, შოთა რუსთაველის პოეზიის სურნელება დ. სააკაძეს, მიუხედავად რუსეთში ხანგრძლივი ცხოვრებისა, ყოველთვის თან ახლდა და მის შემოქმედებას მხატვრულ ფერებს მატებდა. „ვეფხისტყაოსნის" აფორიზმები სიმხნესა და სიმტკიცეს უნერგავდა უცხოობაში მყოფ პოეტს და „ჭირსა შიგან გამაგრების" ძალასა და უნარს აძლევდა.

სანკტ-პეტერბურგის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში ინახება შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერი (ნომ. 14). რომელიც დიმიტრი ბაგრატიონის დაკვეთით გადაუწერია დიმიტრი სააკაძეს. ხელნაწერის ტექსტი მომდინარეობს ვახტანგისეული (1712) რედაქციიდან და დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე ლამაზი მხე-

---

[1] ტრ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, XVI-XVIII სს. თბ., 1960, გვ. 227-278. ვალერი ასათიანი, ანტიკურობა ძველ ქართულ მწერლობაში, 1987, გვ. 112.

დრულით, სათაურები და სტროფთა დასაწყისები კი სინგურით არის შესრულებული. ქაღალდისა და კალიგრაფიის მიხედვით, როგორც ს. ცაიშვილი აღნიშნავს, XVIII საუკუნის მიწურულს მიაკუთვნებენ.[1]

ხსენებულ ნუსხას მოეპოვება გადამწერის ანდერძი:

„ღმერთო, შეიწყალე ამისი დამწერი კნიაზ დიმიტრი საააკაძე". ანდერძის ქვეშ მიწერილი აქვს ერთსტროფიანი ლექსი, მიძღვნილი დიმიტრი ბაგრატიონისადმი:

„დიმიტრი მელმის დიმიტრის, მე შენი უშენობანი,
ამად რომ გვქონდა მრავალ წელს ერთმანეთისა ცნობანი,
სიყვარული და ალერსი, ჯდომა და სეირნობანი,
ბოლოს გაგვყარნა სოფელმან, წაგვიხვნა ლხინთა თხრობანი".[2]

ეს სტრიქონები ეკუთვნის დიმიტრი სააკაძეს. იგი იხსენებს დ. ბაგრატიონთან გატარებულ სანუკვარ დღეებს და წუხს, რომ მას არა აქვს შესაძლებლობა კვლავ მისი ნახვისა.

დიმიტრი სააკაძე, როგორც ალ. ბარამიძე აღნიშნავს, ღრმად მოხუცი უნდა გარდაცვლილიყო მე-18 საუკუნის 80-იან წლებში. მის წინ, შეიძლება ითქვას, ქართველ ემიგრანტთა რამდენიმე თაობამ განვლო. მისი უახლოესი ადამიანები და წრე ძირითადად ვახტანგის შთამომავლები, ვახტანგ მე-6-ის ირგვლივ შემოკრებილი პოეტები და ამალის წევრები არიან, რომლებიც არათუ თავისთვის წერდნენ ლექსებს, არამედ ხშირად ლექსებით ეხმაურებოდნენ ერთმანეთს და ყოველდღიურ ჭირ-ვარამს თუ სიხარულს მასში აქსოვდნენ.

---

[1] ს. ცაიშვილი, „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის ისტორია, ტ. II, 1970, გვ. 131.

[2] სანკ-პეტერბურგის სალტიკოვ-შედრინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილება, ხელნაწერი N14.

ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, 1940.

გ. მიქაძე, ქართ. მწერლობის კერები რუსეთსა და უკრაინაში, ქლი, II, 1966, გვ. 607.

დ. სააკაძის ბიოგრაფიიდან მკვლევართა მიერ მიკვლეული მასალებით დგინდება, რომ დიმიტრის, გარდა დავითისა და ელისაბედისა, რომლებიც მოსკოვში შესძენია, კიდევ ჰყოლია შვილი, რომელიც საქართველოში დაუტოვებია.

რ. ფირცხალაიშვილის მიერ მოტანილი საბუთიდან ვგებულობთ:

„ესე მტკიცე და უცვალებელი ნიგნი მოგართვი თქვენ, მეფის ძე ბატონიშვილს იულონს, მე, ბაბათაშვილმან შიოშ. ასე, რომ მე დავბერდი, უშვილო კაცი გახლდი და არცა ვინ შემნახავი და პატრონი მყვანდა. მოველ ჩემის მონდომებითა და ჩემი თავი შენ შემოგავედრე და ჩემი ყმა მამული თქვენ გიანდერძე.“[1]

მოტანილი მასალით დგინდება: როგორც რ. ფირცხალაიშვილი შენიშნავს, პოლკოვნიკ დავით სააკაძის უფროსი ძმა (მამის მხრივ) იყო სწორედ ის შიშოშ დემეტრეს ძე სააკაძე ბაბათაშვილი, რომელიც მე-18 საუკუნის 80-იან წლებში ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, მაგრამ, ვინაიდან შვილი არ ჰყოლია, თავისი ქონება იულონ ბატონიშვილისათვის უანდერძებია. ამ შიოშ ბაბათაშვილმა, შესაძლოა, არ იცოდა რუსეთში გვიან გაჩენილი თავის ძმის შესახებ.

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში მკვლევართა შორის კამათს იწვევს ერთი საკითხი, კერძოდ, იყო თუ არა დ. სააკაძე სახალხო გმირის გიორგი სააკაძის შთამომავალი. ამ საკითხის ირგვლივ აზრთა სხვადასხვაობაა.

დ. ბრეგაძე დ სააკაძეს თვლის გ. სააკაძის შთამომავლად იმ მოსაზრებით, რომ 1854 წელს შტაბს-კაპიტან პეტრე სააკაძეს (დიმიტრის შვილიშვილს), სენატში აღუძრავს საქმე, რომ მისი წინაპრები გიორგი სააკაძის (დიდი მოურავის) შთამომავლები იყვნენ, რომ მისი ბაბუა დავით სააკაძე მურავიოვი იყო და მო-

---

[1] რ. ფირცხალაიშვილი, იოსებ თბილელი და მისი დიდმოურავიანი“, 1978, გვ. 51-52.

ითხოვდა თავისი უფლებების აღდგენას საქართველოში. პეტრე სააკაძის საქმეში დაცული 1800 წლის 3 იანვრის გიორგი მეცამეტის სიგელში ვკითხულობთ: „წყალობითა ღვთისითა ჩუენ, მეფემან სრულიად ქართლისა, კახეთისა და სხვათა, მეათცამეტე გიორგიმ ესა მონმობა გიბოძეთ შენ, ჩვენის ქვეყნის თავადს სააკაძეს მოურავიოს დავით დიმიტრის ძეს. შენ ჩვენი ქვეყნის საქართველოს თავადი მოურავიოვი ხარ და როდესაც შენ მშობელ ქვეყანაში მოხვალ, პატივ იცემი თავად სააკაძე მოურავითა გვარობითა, მით, რაგვარადაც სხვანნი სააკაძე მოურავის შვილები ეგრეთვე შენ. აღიწერა წელსა ჩყ, თვესა იანვარსა გ. ტფილისს, წელსა მეორესა მეფობისა ჩვენისა“. სიგელს ამტკიცებს გიორგის ვაჟი დავით ბატონიშვილი: „ჩვენ სრულიად ქართლისა და კახეთის მეფის ძე და მემკვიდრე დავით თანა-მოწმობით ვამტკიცებთ იმისის სიმაღლისაგან მონმობითსა წერილსა ჩყ, თვესა იანვარსა გ. ტფილისს“. იქვე ხელმოწერა აქვს „დავით“.[1]

დ. ბრეგაძემ გაარკვია, რომ ამ წელს დავით დიმიტრის ძე სააკაძე საქართველოშია, ხოლო 1803 წლის 12 მარტს იგი თბილისის კომენდატად დაუნიშნავთ[2] იგი გარდაცვლილა 1805 წელს.

დიმიტრი სააკაძის წარმომავლობის საკითხს ეხება რ. ფირცხალაიშვილი წიგნში „იოსებ თბილელი და მისი „დიდმოურავიანი“. მას დ. ბრეგაძის დებულების სისწორეში ეჭვი შეაქვს. მისი აზრით, დიმიტრი სააკაძე ყველა თავის ლექსში თავისთავს მხოლოდ სააკაძედ მოიხსენიებსო. არგუენტად ასახელებს ვახტანგ მე-6-ის ამალის 1784 წლის ნუსხას, სადაც ვკითხულობთ: „Дворяни Дмитри Саакадзе.“ მისივე მოსაზრებით, გიორგი სააკაძის პირდაპირი მემკვიდრე გაცილებით ადრე აღარ იწერებოდა

---

[1] ი. თბილელი, „დიდმოურავიანი“, გ. ლეონიძის რედაქციით, თბ., 1939, გვ. 20.

დ. ბრეგაძე, ქართველი მწერლები რუსეთში, 1968, გვ. 278.

[2] დ. ბრეგაძე, ქართველი მწერლები რუსეთში 1968, გვ. 278.

სააკაძედ, ისინი მოურავიშვილებად იწერებოდნენ ჯერ კიდევ როსტომის მეფობის დროიდან. აგრეთვე დ. სააკაძეს სამემკვიდრეო მამულები ბობნევში ჰქონიათ. ბობნევში მფლობელობა ჰქონდათ ბაბათაშვილ-სააკაძეებს და მათ განაყოფებსო.[1]

რ. ფირცხალაიშვილი იქვე შენიშნავს, რომ დ. სააკაძე უფრო ახლობელია იოსებ თბილელისა, ვიდრე დიდ მოურავ გიორგი სააკაძისაო.

როგორც უკვე ითქვა, მეცნიერ-მკვლევარნი ამ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა აზრისა არიან და ეს საკითხი დღესაც კვლევის ობიექტად რჩება.

დიმიტრი სააკაძის მთლიანი მემკვიდრეობისა და შემოქმედების განზოგადება ჩენს კომპეტენციაში არ შედის, იგი გვაინტერესებს, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ გადამწერი.

---

[1] რ. ფიცხალაიშვილი, იოსებ თბილელი და მისი „დიდმოურავიანი“, 1978, გვ. 51-52.

ბირთველ თუმანიშვილი

საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში 30 ნომრით აღნუსხული 1802 წლის 10 ნოემბერს გადაწერილი „ვეფხისტყაოსნის“ გადამწერია ბირთველ გიორგის ძე თუმანიშვილი.

გადამწერის ანდერძში ვკითხულობთ: „აღვწერე თავადმან გიორგის ძე ბირთველ თუმანოვმან ჟამსა შინა დუშეთის უეზდის სუდში მსაჯულობისა ჩემისასა, აღმომკითხველნო, გთხოვთ საღმრთო მიჯნურობით შეწყნარებისა წიგნსა ამასა, რომელიც განსრულდა ნოემბრის ი. ქორონიკონს უ ჟ. წელსა ჩყბ“.[1]

თუმანიშვილები ფეოდალიზმის ეპოქაში და მისი დაშლის შემდეგაც, კარგახანს, მრავალმოდგმათა განმავლობაში იყვნენ სამეფო კარის მდივნები, სარგებლობდნენ „მდივან-მწიგნობრობის“ უფლებით.[2]

საისტორიო წყაროებით დადასტურებულია, რომ თუმანიშვილებს მემკვიდრეობით ჰქონდათ მინიჭებული „მეფის მდივანთა თანამდებობა“. ზაქარია – XV საუკუნეში გიორგი VIII-ისა და კონსტანტინე მეფის მდივან-მწიგნობარია. ნასრი - XVII საუკუნის დასაწყისში ლუარსაბ II-ის კარის მწიგნობარია. ბირთველი – XVII საუკუნის მეორე ნახევარში როსტომ მეფის მდივან-მწიგნობარია.

ავთანდილ თუმანიშვილი, ავტორი „ქალაქ გორის ისტორიისა“, ერთგან ამის გამო აღნიშნავს: „ვალი ნინაპართა ჩემთა იყო ესე, რათამცა მსახურობაი ჩუენნი შედგმულ იყო კალამსა შინა“.[3]

---

[1] საქ. სახელმწ. ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერი ნომ. 30. (მუზეუმმა შეიძინა მიხეილ თუმანიშვილისგან 1937 წელს). ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, 1963, გვ. 69-125.

ლამარა ტატიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ გადამწერნი“, გაზ. „სახალხო განათლება“ 1966, ნომ. 39.

[2] მიხეილ თუმანიშვილი, „წარსულიდან“, 1938, გვ. 7.

[3] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H ფონდი, ტ. V, 1949, გვ. 121.

მართლაც, თუმანიშვილთა საგვარეულოდან გამოვიდა არაერთი პოეტი, მთარგმნელი, გადამნუსხველი და ბიბლიოფილ-მწიგნობარი.

ბირთველ თუმანიშვილის ძირითადი სამოსახლო ადგილი სოფელი ხელთუბანი იყო. მას ორმოცდაათამდე დესეტინა მიწა და თხუთმეტიოდე გლეხი ჰყოლია.[1]

ბირთველის მამა გოგია (გიორგი), რომელიც თუმანიშვილთა ოჯახში დარჩენილი ცნობებით ცოცხალი ყოფილა 1799 წელსაც, მდივანი არ იყო. მეურნეობას უვლიდა ხელთუბანში. სახლთან მის მიერ აგებული იყო ციხე-სიმაგრე კოშკი და გაშენებული ბაღი, სადაც არა ერთხელ ყოფილა სტუმრად მეფე გიორგი მეცამეტე.

რუსეთის მეფის მოხელეები ხშირად აწუხებდნენ გოგიას ყოველგვარი ბეგარით და მოითხოვდნენ, რომ მას სურსათი მიეწოდებინა მეფის ჯარისათვის გორსა და სურამში.

ქართლის სხვა მემამულეთა მსგავსად გოგია განსაკუთრებულ გულმოდგინებას არ იჩენდა მოხელეთა და სამხედრო ხელისუფალთა ბრძანების შესრულებაში, მაგრამ, როგორც ჩანს, მას არც მტრულ გამოსვლებში მიუღია მონაწილეობა.[2]

თუ გოგია შორს იდგა სახელმწიფო საქმეებისა და მდივნობისაგან, ბირთველი მთლიანად მისდევდა გვაროვნულ ტრადიციებს. დაიბადა ხელთუბანში 1763 წელს. ახალგაზრდობიდანვე, საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე ჯერ მეფე ირაკლის, შემდეგ გიორგი მე-13-ის მდივანი იყო. 1800-1801 წლებში ბატონიშვილის ვახტანგ-ალმასხანისა, რომელიც ქართლის ერთ ნაწილს განაგებდა და იმყოფებოდა ქალაქ დუშეთში.

ჩვენში რუსეთის ხელისუფლების დამკვიდრების შემდეგ ბირთველი გადარქმეულ იქნა გუბერსკის სეკრეტრად და დაინიშნა დუშეთის მაზრის თანამსაჯულად – „სუდებნი ზასედატელად“,

---

[1] მიხეილ ხელთუბნელი, „წარსულიდან“, 1938, გვ. 174.

[2] მიხეილ ხელთუბნელი, „წარსულიდან“, 1938, გვ. 174.

შემდეგ ბირთველი ერთხანს, „გოროდნიჩად“ იყო გორში. შემდეგ სამსახურს თავი დაანება და მეურნეობას მიჰყო ხელი.[1]

„ბირთველს – წერს მისი შთამომავალი მიხეილ ხელთუბნელი, – უყვარდა წიგნები და ბევრ დროსაც ახმარდა მათ. საკუთარი ხელით გადასწერა 1812 წელს რუსთაველის პოემის საინტერესო ვარიანტი და აგრეთვე სხვა რამდენიმე წიგნი“.[2]

ბირთველ თუმანიშვილის მემკვიდრის ეს სიტყვები ლიტონი განცხადება არ არის. ჩვენს სიძველეთა საცავებში დაცული ხელნაწერები სრულიად ამართლებენ ამ განცხადებას.

ხელნაწერთა ინსტიტუტში (Q-ფონდი) ინახება „მიცვალება ღვთისმშობლისა“. ბირთველის მიერ 1799 წელს გადანუსხული. ანდერძში ვკითხულობთ: „განსრულდა ხელითა თუმანოვი გიორგის-ძე ბირთველისათა მაისის 4 წელსა 1799.[3]

დუშეთში 1802 წელს ბირთველის მიერ გადაწერილ „ვეფხისტყაოსანზე“ დართულ ანდერძს მკითხველი უკვე გაეცნო. აქ კი დავასახელებთ მის მიერ გადანუსხულ დე-პოლნიცას „მიმოსვლას“. ამ ნუსხიდან 1820 წელს ასლი გადაუღია ლუარსაბ ზაზას ძე თარხნიშვილს. ამ უკანასკნელის ანდერძში ვკითხულობთ: „დედანი ამის ისტორიისა ვათხოვე მის ბრწყინვალებას, გორის ქალაქის პოლიცმეისტერსა (!) ბირთველ თუმანოვს და იქიდან გადმოვსწერე მე, ზაზა ყორისალბაშის შვილმან, თავადმა, თავადმა თარხნიშვილმან, ლუარსაბ მოურაოვმა. ჩყკ წელსა. თებერვლის ა დღესა, გორის ქალაქსა შინა“[4]

ბირთველი 68 წლის ყოფილა, როცა 1831 წელს „ცხოვრება და ქადაგება იოანე ღვთისმეტყველისა“ გადაუნუსხავს: „სრულ იქმნა ესე ცხოვრება წმიდისა იოანნე მოციქულისა და მახარე-

---

[1] მიხეილ ხელთუბნელი, „წარსულიდან“, 1938, გვ. 176.

[2] მიხეილ ხელთუბნელი, „წარსულიდან“, 1938, გვ. 176.

[3] Q-869.

[4] Q-324.

ბლისა ხელითა გიორგის ძის ბირთველ თუმანოვისათა თთუესა ივნისის, ი-ას დღესა, ხოლო წელსა ჩყლა-სა, გევედრები აღმომკითხველნო, უკეთუ ცთომილება რაიმე იხილოთ, აქა მომიტევეთ ამისთვის, ვინაიდგან ვიყავ რიცხვით სამოცდარვის წლისა შობიდგან აქამომდე".[1]

მე-19 საუკუნის ოცდაათიან წლებში ბირთველი აირჩიეს მედიატორად ერისთავთა ქონების გასაყოფად, მაგრამ ამ საქმეში მონაწილეობა ვერ მიიღო, რადგან ქალიშვილის გათხოვებას თადარიგიანობდა.

ხსენებულ პერიოდში იგი ხვდებოდა რუსეთიდან დაბრუნებულ გიორგი რევაზის ძე ერისთავს, ელიზბარ ერისთავს, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანებს, დიმიტრი ყიფიანს და სხვებს. რომლებმაც 1832 წლის მომავალი შეთქმულების ამბავი გაუმხილეს და თანამგრძნობლად იგულებდნენ.

ბირთველ თუმანიშვილის ჩვენება ხსენებულ საქმეზე მოთავსებულია გ. გოზალიშვილის წიგნში „1832 წლის შეთქმულება" (1935, ტ. 1. 1. გვ. 252-255).

ბირთველი გარდაიცვალა 76 წლის ასაკში. დასაფლავებულია ქ. თბილისში.

ბირთველ თუმანიშვილის მრავალრიცხოვან შვილებს შორის უნდა დავასახელოთ ავთანდილი (1795, გარდაცვალების წელი უცნობია) – ავტორი 1816 წელს პეტერბურგში გამოცემულ წიგნისა **„История грузинского города Гори".**[2] როგორც მიხეილ ხელთუბნელი გადმოგვცემს, ავთანდილი ადრე დაობლებულა. თორმეტ წლამდე ხელთუბანში იზრდებოდა. შემდეგ მას აგზავნიან პეტერბურგში დავით ბატონიშვილთან და მისი მდივანი ხდება. ჩვიდეტი წლის ასაკში მონაწილეობას ღებულობს (1812 წელს)

---

[1] Q-463.

[2] ბუხნიკაშვილი, ავთანდილ თუმანოვი და მისი წიგნი „აღწერილობა საქართველოს ქალაქის გორისა", „ლიტერატურული საქართველო", 1939, N 28.

ნაპოლეონის წინააღმდეგ ომში.

ავთანდილმა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ პეტერბურგში ყოფნის დროს გამოამჟღავნა შემოქმედებითი ნიჭი და ოცი წლის ასაკში დაწერა ზემოთ დასახელებული წიგნი, მთელი რიგი ლექსები ლირიკული თუ სატირული ხასიათისა და რუსულიდან გადმოთარგმნა „ღეოღრაფია და ბუნებით ისტორია ასურეთისა“ (ხელნ. ინსტ. H-21-71), რომელიც დაცულია ხელნაწერების სახით (H-21-50).

ავთანდილი იყო დავით ბატონიშვილის სულიერი მეგობარი, მისი იდეების მოზიარე და თანამგრძნობი.დავით ბატონიშვილს უთანხმოება ჰქონია თავის ძმებთან, რომლებიც გიორგის მემკვიდრეობის უფლებას ედავებოდნენ. ასევე მტრულად უყურებდა თავადაზნაურობა და სამღვდელოებაც, რომელთაც დავითი მიაჩნდათ უღვთო ვოლტერის მიმდევრად. რუსეთის მთავრობა ალმაცერად უყურებდა დავით ბატონიშვილს და, თუმცა ჩინებსა და სხვადასხვა წყალობას არ იშურებდა მისთვის, მაინც სახიფათოდ თვლიდა დავითის გავლენას საქართველოში და ავთანდილს, როგორც დავით ბატონიშვილის უახლოეს და ერთგულ ადამიანს, ასეთივე მტრული დამოკიდებულება ექნებოდათ მის მიმართაც. ერთი კი ცხადია, რომ ავთანდილი სამუდამოდ ჩაამწყვდიეს ბელორუსიის ბობრუისკის ციხეში, სადაც ამწყვდევდნენ მხოლოდ იმას, ვისაც უაღრესად მნიშვნელოვან სახელმწიფო დამნაშავედ ითვლებოდა. დღემდე ბურუსით არის მოცული მისი ბიოგრაფია.

ბირთველ თუმანიშვილს მეორე მეუღლისაგან შესძენია გიორგი, პოეტი და პუბლიცისტი მიხეილი, მეგობარ ნიკოლოზ ბარათაშვილისა, გრიგოლი, ვასილი, ელისაბედი, კონსტანტინე, ივანე და ნინო გარდაცვლილან ზოგი ბავშვობაში, ზოგიც ყრმობის ასაკში.

გიორგი თუმანიშვილი, ნათლული ვახტანგ ბატონიშვილისა, იუნკერი ერევნის სამხედრო პოლკისა. მას მონაწილეობა მიუღია უამრავ დიდსა და პატარა ბრძოლებში. მისი ცხოვრებაც ძალზე ტრაგიკულად დამთავრდა.

გიორგი ჯერ კიდევ მოზარდი იყო, როდესაც მშობლებმა

გადაწყვიტეს სააქ-აღა მელიქ-აღამალოვთან დამოყვრება. ერეკლე მეორის ვაჟს ალექსანდრეს ცოლად ჰყავდა აღამალოვის უფროსი ქალი. მეორე და კი ითვლებოდა გიორგის საცოლედ, მაგრამ მომავალ ნეფე-პატარძალს ერთმანეთი არ ენახათ. არც ქალის მშობლები იცნობდნენ სასიძოს. ქორწინების დრო რომ დადგა, გიორგი გაემგზავრა ერევანში, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მას თურმე დაასწრო ერთმა მისმა შორეულმა ნათესავმა, ისიც მასავით გიორგი თუმანიშვილი ყოფილა, სამხედრო პირი და ქორწილიც გადაეხადათ, გიორგიმ იუკადრისა, შეურაცხყოფილად მიიღო ეს ამბავი და საქართველოდან გადაიხვეწა. ზოგი ამბობდა, რომ ირან-თურქთა ომში დაიღუპაო, ზოგიც – შავი ჭირითო.

გრიგოლი საქართველოს უზენაეს სასამართლოს და გორის საქალაქო სამმართველოში მუშაობდა.

ვასილი ქართველ გრენადთა პოლკის ოფიცერი იყო. მონაწილეობდა მრავალ ლაშქრობაში. მსახურობდა დუშეთის ქალაქის კომისრად, ჭრილობისაგან გარდაიცვალა. ელისაბედი ცოცხალი ყოფილა 1832 წელსაც.[1]

ბირთველ თუმანიშვილის უმცროსი ვაჟი მიხეილი თავის თაობისა და ნრის ერთი გამოჩენილი ადამიანთაგანი იყო. იგი იყო პოეტი, თეატრალი, საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, რომელსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა თავის დროის ყველა გამოჩენილ მწერალთან და საზოგადო მოღვაწესთან. განსაკუთრებით – ნიკოლოზ ბარათაშვილთან. 1840 წელს მიხეილი ცოლად ირთავს თავის დროისათვის ცნობილი დიპლომატის, პოლკოვნიკ მირზა აფრიამა ენიკოლოფაშვილის ასულს სოფიოს, რომლისგანაც შესძენია 12 შვილი. მათი შვილებიდან ორნი – გიორგი და ანასტასია წერეთლისა ქართულ მწერლობაში საკმაოდ ცნობილი პირები არიან.

---

[1] მიხეილ ხელთუბნელი, „წარსულიდან“, 1938, გვ. 176.

იოანე იალღუზისძე

სანკტ-პეტერბურგის საცავებში მრავალი ძველი ქართული ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნი ინახება. ისინი სამ საცავშია მოთავსებული: მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, ყოფილ „სააზიო ფონდში", სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკასა და მეცნიერებათა აკადემიის მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტში.

სანკტ-პატერბურგში დაცული ქართული სიძველეები უმეტესად რუსეთში გადახვეწილი ქართველების მიერ არის ჩატანილი. ზოგი კი რუსეთში დაწერილი ან გადაწერილი.

აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სანკტ-პეტერბურგის განყოფილებაში დაცულია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი". (E-75), გადაწერილი 1811 წლის 2 აპრილს იოანე იალღუზისძის მიერ.

ხსენებული ნუსხა ჩასმულია მაგარ ყდაში, დაწერილია მხედრულით, სათაურები და სტროფთა დასაწყისები სინგურით. ხელნაწერი დაზიანებულია შუაში. ბოლოში ახლავს გადამწერის ანდერძი: „დიდება ღმერთსა ყოველთა მასრულდა: – სრულ იქმნა ხელითა იოანე იალღუზისძისა აპრილის 21, წელსა 1811".[1]

მე-18 საუკუნის გასულსა და მე-19 საუკუნის დამდეგი წლების ცნობილი პოეტი, მთარგმნელი და კალიგრაფი იოანე იალღუზისძე-გაბარაევი[2] დაბადებულა 1770 წელს სოფელ ჯავაში, ოსი აზნაურის ოჯახში. სწავლა-განათლება მიუღია ერეკლესა და გიორგი მე-12-ის კარზე. იგი განსწავლული იყო „ქართულისა სა-

---

[1] E-74. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, ტ. II, 1970, გვ. 128.

[2] ივ. ლოლაშვილი, დავით სოსლანის აკლდამის საიდუმლოება, 1971, გვ. 86.

ღმრთოსა წერილითა და ღრამატიკოსობითა და ფილოსოფიითა“. მას, როგორც კალიგრაფს, არა ერთი ხელნაწერი გადაუნუსხავს. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ თეიმურაზ მეორის „სარკე თქმულთას“ ანდერძში ვკითხულობთ: „აღიწერა ესე სარკე თქმული ხელითა ღუბერსკის სეკრეტრისა იოანე იალღუზის ძისა, რომელ კუთვნილ არს თავადისა უფლის მაიორის და კავალერისა დავით თარხან-მოურავისადმი (!) ახმაროს ღმერთმან მისდა სათნოდ ცხოვრისა (!) ბედნიერებასა შინა. იანვრის კ-სა დღესა. ჩყკდ-სა წელსა, ქართულსა ქორონიკონს ფიბ-სა“.[1]

1808 წელს მეფე ერეკლე მეორის რძალი ქეთევანი იოანეს უკვეთავს სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონის“ გადანუსხვას.

გადამწერის მიერ ლექსიკონზე გაკეთებული ანდერძი გვამცნობს:

„ბრძანებითა მათისა უგანათლებულესობისა საქართველოსა მეფის რძლის წერეთლის ასულის, ქეთევანისათა სრულ ვჰყავ ლექსიკონი ესე იოანე იალღუზის ძემან და შევმატეცა ეკლესიისა და მას შინა საღმრთოთა იგავით მოსწავებათა განმარტებათ რომელიცა წერილ არს თვისსა ადგილსა“.[2]

იოანე იალღუზისძემ ხელი მოჰკიდა ოსეთის წარსულის შესწავლას. მე-19 საუკუნის დასაწყისში სათავეში უდგება ოსური კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას. მას დიდი დამსახურება მიუძღვის ოსი ხალხის წინაშე. 1820 წელს მან (ზეპირი გადმოცემით) ქართული ანბანის საფუძველზე შექმნა ოსური ანბანი. იოანემ დაწერა ოსური სახელმძღვანელო (ქართული შრიფტით). ქართულიდან ოსურად თარგმნა „სახარება“, „ლოცვანი“, „კურთხევანი“ და სხვ.

---

[1] S-5155. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. VII, 1978, გვ. 137.

[2] ქუთაისის სახელმწ. ისტ. მუზეუმის ხელნ. აღწერილობა, 1958, ტ. I, გვ. 210.

იოანე იალღუზისძეს ეკუთვნის ორიგინალური ლირიკული ლექსები და პოემა „იალღუზიანი", რომელიც გადმოგვცემს ოსეთის მეფის შვილის იალღუზინის საგმირო საქმეებს და ქადაგებს ქრისტიანულ იდეებს. ხსენებული პოემის ერთი ხელნაწერი ფერადი ილუსტრაციებით მოხატული, შესანახად დაუდვია ნუზალის ეკლესიაში.[1] პოემა საქართველოში რამდენჯერმე გამოქვეყნდა და რუსულადაც ითარგმნა.[2]

კ. კეკელიძე ნუზალის ეკლესიის ეპიტაფიის ავტორად იოანე იალღუზისძეს მიიჩნევს. იგი ამავე დროს იმასაც აღნიშნავს, რომ „პოეტს მიზნად ჰქონია დასახული აღეწერა: „ვისგან ვართ შთამომავალი, ვინ ვისგან იწვდის ყოფასა, ვინ გვართა გამომავალი, ვინ ვის გვარიდან ძეობდეს, ვინ ვისგან არს მომავალი... ე. ი. მას განუზრახავს, – განაგრძობს მეცნიერი. – საკუთარი გენიალოგიის წარმოდგენაც და ამ მიზნით აუწერია საგმირო საქმენი ალღუზინისა, უეჭველად იმ მიზნით, რომ ამ აღლუზისაგან გამოეყვანა თავისი გვარი იალღუზისძე და თავი ეღიარებინა ალღუზინის შთამომავლად."[3]

იოანე იალღუზისძის ლირიკული ლექსები (H-2130) მიძღვნილია იოანე ბატონიშვილის მეუღლე ქეთევანისადმი.

იოანეს ქართულიდან ოსურად უთარგმნია სამწუხრო და საცისკრო ლოცვანი, საქრისტიანო კათეხიზმო და ზნეობითისა სწავლითურთ და საღმრთო ლიტურღია. მესამე – სახარებაც, ეგზარხოსის განკარგულებით ზოგიერთი მათგანი პარალელური (ქართულ-ოსური)ტექსტები დაუბეჭდავთ და დაუგზავნიათ ოსეთის სამრევლოებისათვის.[4]

ერეკლე მეფისა და გიორგი მე-13-ის სამეფო კარზე შესაფერისი სწავლა-განათლება მიღებული და ქართულ ტრადიციებს ნაზი-

---

[1] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1960, გვ. 204-205.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] იქვე.

არები იოანე იალღუზისძე ინიშნება მოსამართლედ ოსეთში. მას მონანილეობა მიუღია ოსეთის 1802 წლის აჯანყების ჩაქრობაში და აგრეთვე მე-18 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში (20-იანი წლები) საქართველოს ეგზარხოსის მიერ შექმნილ კომისიის მუშაობაში, რომელშიც შედიოდნენ ჩრდილო ოსეთში მცხოვრები ქართველი ეკლესიის მოღვაწენი, რომელთაც ევალებოდათ ეკლესიების მოვლა-პატრონობა, დანგრეული ეკლესიების ნაცვლად ახლის აგება და როკის, კოშკის, მსხლების, ქეშელთისა და სხვა ხევებში ახლადმოქცეულ (გაქრისტიანებული) ოსებისათვის ეკლესიების აშენება. ამ საქმეში ეგზარხოსმა თეოფილაქტემ ჩააბა აგრეთვე ქვეშევრდომში მყოფი ბლაღოჩინები, მღვდლები და იოანე იალღუზისძეც, რომელიც 1821 წელს გამგზავრებულა ოსეთში.

როგორც ცნობილია, 1800 წლიდან მოყოლებული, იოანე ყველა აჯანყებაში მეფის რუსეთის მხარეზე ჩანს. 1821 წელს იოანე იალღუზის ძეს აჯილდოებენ „გუბერსკი სეკრეტრის“ ჩინით. იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა დამსახურების გამო იოანეს უბოძა ოქროს მედალი წითელი ლენტით (მას, როგორც ჩანს, არა ერთხელ მიუღია პოლიტიკური ხასიათის დავალებები ქართველი მეფეებისგან და რუსი მთავარმართებლისაგან).

იოანე იალღუზისძეს, დოსითეოზ არქიმანდრიტის შუამავლობით, დაენიშნა წლიური პენსია 400 მანეთის ოდენობით.[1]

იოანე იალღუზისძე ქართულ ენას ასწავლიდა „პრიხოდის სკოლაში“, რომელიც თბილისის სემინარიასთან არსებობდა.[2]

იოანე იალღუზისძე გარდაიცვალა 1830 წელს სამოცი წლის ასაკში.[3]

---

[1] ტრ. რუხაძე, ქართ. ეპოსი გარდამავალი ხანის ლიტერატურაში, თბ., 1939, გვ. 199.

[2] ტრ. რუხაძე, ქართ. ეპოსი გარდამავალი ხანის ლიტერატურაში, თბ., 1939, გვ. 199.

[3] ტრ. რუხაძე, ქართ. ეპოსი გარდამავალი ხანის ლიტერატურაში, თბ., 1939, გვ. 199.

იოანე იალღუზისძის მიერ გადაწერილი „ვეფხისტყაოსნის“ ნუსხა (E-74) მეცნიერ-მკვლევართა მოსაზრებით, წარმოადგენს პარიზის ქართულ ხელნაწერთა ფონდში მოთავსებული ნუსხის N-8 (P-12) პირს. ეს გამოირკვა ინსტიტუტის სანკტ-პეტერბურგის განყოფილების E-74 ხელნაწერისა და ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გამოქვეყნებული პარიზული ნუსხის P-12 აღწერილობისა და შედარების შედეგად.[1]

როგორც ს. ცაიშვილი აღნიშნავს, ამ ორი ხელნაწერის ასეთი სიახლოვე გვაფიქრებინებს, რომ პარიზული ნუსხა P-12 და სანკტ-პეტერბურგის E-74 შესრულებული უნდა იყოს იოანე იალღუზისძის მიერ.[2]

როგორც ცნობილია, პირველი ხელნაწერი (P-12) საქართველოდან წაუღია და პარიზის ბიბლიოთეკისათვის შეუწირავს 1825 წლის 17 ნოემბერს იმ ხანებში საფრანგეთის ელჩს ტფილისში კავალერ გამბას, ხოლო მეორე (E-74) რუსეთში გაუტანიათ.[3]

იოანე იალღუზისძე 1830-იან წლებამდე მოღვაწეობდა რუსეთში. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა რუსეთში მცხოვრებ დავით, დიმიტრი, იოანე, მარიამ ბატონიშვილებთან. აგრეთვე ნიკო დადიანთან, დავით მესხიშვილთან, გიორგი ავალიშვილთან, პეტრე ლარაძესთან, რომლებიც იმ დროს იქ იმყოფებოდნენ.

შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სანკტ-პეტერბურგის განყოფილებაში დაცული „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი (-74) იოანემ რუსეთში გადაწერა.

---

[1] ექვთ. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკა, ქართული ხელნაწერები და ოცი საიდუმლო დაწერილობის ნიშანი, პარიზი, 1933, გვ. 45.

ა. კობახიძე, ლენინგრადის საარქივო მასალები ვეფხისტყაოსანზე, გაზ. „კომუნისტი“, 1937, N 234.

[2] ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, ტ. II, 1970, გვ. 128.

[3] ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, ტ. II, 1970, გვ. 128.

მოსესა ყორღანოვი

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი (S-4997) გადანუსხული 1887 წელს მოსესა ყორღანოვის მიერ. გადამწერის ანდერძში ვკითხულობთ: „აღიწერა ესე ვეფხისტყაოსანი ქალაქსა ტფილისისა ხელითა აზნაურის მოსესა ყორღანოვისათ ძეთა ჩემთათვის. უფალმან მრავალჟამიერ ჰყოს სახსენებელნი მათნი და სალხინოთა აღმოკითხვიდნენ, ამინ. კურთხეულ იყვნეთ, რომელთაცა ამგვარი წიგნები ნახოთ და გადმოწეროთ, ამაზედან იჭირნახულოთ, ამად რომე, მათ გავლილ წინაპართა ხელმწიფეთა და ფალავანთა ამბავნი მეორედა განაახლოს. შესაქცევრად უცხო არის და მათად საგონებლად. უკეთუ ყრმან კაცმან რამე ამგვარი წიგნები ნახოს და იკითხოს. კარგია იმად, რომე ენასაც გაიმართავს და კაი მსწავლელიც შეიქმნება. ჟამი მოხვდება, რომე ამისთანა წიგნის კითხვა მრავალს ალაგას გამოაგდეს ხელმწიფეთა, თუ ამხანაკთა თანა და მრავალს მცნებასაც შეიმატებს კითხვითა.

დაიწერა და დასრულდა ესე წიგნი ვეფხისტყაოსანი ტფილის ქალაქსა, თვით პატრონის მოსეს ყორღანოვისა ხელითა თვესა აგვისტოს ათსა. წელსა ჩყლზ. რომელთა ეს წიგნი ამოიკითხოთ, ვითხოვ მე, ამის მწერალი ცოდვილი, მკითხველითაგან შენდობითა მომიგონებდეთ, აგრეთვე, ძენო ჩემნო, რათა თქვენცა იყვნეთ დღეგრძელობით და ხსენებულნი წინასა ღმერთისა საუკუნოთ, ამინ, აგვისტოს 10.1837 წელსა, ქორონიკონს ფკვ“.[1]

---

[1] S-4997. ხელნაწერთა ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. VI, გვ. 312-314. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, ტ. II, 1970, გვ. 84.

მოსესა ყორღანოვი ისე ღრმად ჩაწდომია პოემის შინაარსს და მოუხიბლავს პოემის პერსონაჟებს, რომ იგი თავის შვილებს, მომავალ თაობას მამაშვილურად ურჩევს წაიკითხონ პოემა და ღრმად გაიაზრონ თითოეული სიტყვა, როგორც გონებისა და ჭკუის საწვრთნელი, ცოდნის წყარო, რომელიც ყველგან გამოადგებათ.

ახლა გავეცნოთ გადამწერის მიერ ხსენებულ ნუსხაზე დართულ ლექს-ანდერძს:

„ესე წიგნი დაწერილა და დარჩების საკითხავად,
მწერალისა ხელი ლპების, მიწასა ძევს, არის ავად,
ქვეყანა სულ ცუდად მიდის, რაც უქნია იმავ თავად,

და

თუმცა ესე უწერია შესაქცევად ართუთავად.
მე დავწერე ყორღანოვმან კეთილშობილ მოსესამან.
თუმც ხელმწიფენი ყოფილან, განავლო მათმა ანბავმან,
არ გამკიცხოთ წერისათვის, დრონი მამცა ჩემმა ჟამმან,
შენდობითა მახსენებდეთ, ბერმა თქვას თუ გინა ყმამან.
ესე ლექსი რომ დავწერე, იტყვიან წელსა ათასსა;
მივყევ ნელა, შევასრულე, აქ მოემატა რვა ასსა,
კიდევ რიცხვსა ამას უნდა, გახდება ოცდა ჩვიდმეტსა,
როცა ესე გავათავე, იყო აგვისტოს თვის ათსა.“[1]

ხსენებულ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერში მოთავსებულია სხვა თხზულებებიც. მაგ.: მეფე ერეკლეს შემოკლებული ისტორია ომან ხერხეულიძისა. ამ თხზულებას წინ „შაჰ-ნამეს ქართული ვერსიის პროლოგიდან ცნობილი სამი სტროფი უსწრებს, ნაწყვეტი ქართლის ცხოვრებიდან; სარჩევი ვეფხისტყაოსნისა, ზალდასტანის გამოცდა და ზემოთ მოტანილი ლექს-ანდერძი.[2]

„ვეფხისტყაოსანში“ (S-4997) მოთავსებული ომან ხერხეული-

---

[1] ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, ტ. II, 1970, გვ. 84.

[2] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S-ფონდი, ტ. VI, 1969, გვ. 312-313.

ძის „ნეტარხსენებული მეფისა ირაკლის შემოკლებითი ისტორიის“ ანდერძში ვკითხულობთ: „დასრულდა ეს ვეფხისტყაოსანი და კიდევ ამის შემდეგ ნეტარხსენებული მეფისა ირაკლის შემოკლებული ისტორია ამის დამწერისა პატრონის მოსეს ყორღანოვისათა ძეთა ჩემ თათვის საკითხავათა და ჩემდა საგონებელთა... 1837 წელსა“.

შემდეგი მინაწერი კი ასე იკითხება:

„ღმერთო, მიბოძე შეძლება ამა წიგნისა წერასა,
თუ შენი ძალი დამფარავს, გარჯა მე მიზამს ვერასა,
ყველას ასე გაუვლია, ქვეყანა ვითა მღერალსა, და
დარჩეს წიგნი ესე ჩემგან, ნუ მახსენებდნენ მწერალსა.
ბევრი იტყვის: რა არისო, ამაზედან ცუდი გარჯა.
ესეც მითხრან რა დამაკლდა, ანუ რამცა დამეხარჯა,
მოვინდომე ამის წერა, თვარ მამადგა ვისგან გარჯა, და
რაცა იყო გადმოვწერე, ლექსი ვერსად დამეხვანჯა.
ეს ამბავი განავახლე ძეთა ჩემთა საკითხავად,
რა ყრმა კაცი გარდიკითხავს, იამების ართუ ავად,
შესაქცევად კარგი არის, ამბავია ძველად გვარად,
მახსენებდეთ მე, მოსესას ყორღანოვსა ჩემად გვარად“.[1]

ხსენებული ვეფხისტყაოსნის პროლოგში ჩართულია ერთი სტროფი, რომელსაც, როგორც ს. ცაიშვილი შენიშნავს, არ იცნობს უკანასკნელ ხანებში გამოსული ვრცელი ვაფხისტყაოსნის გამოცემები. გავეცნოთ ამ სტროფს:

„იგი მზისა შესადარი, არის ვითა მთვარე სრული,
ყოვლის ფერით შემკობილი ვსთქვათ, ვითაა ალვა რგული.
მისნი მჭვრეტნი მას იტყვიან, ედემით არის მოსული,
ქება მისი არვის ძალუცს, რაზომსც იყოს სიბრძნით სრული“.

„დაიწერა წიგნი ესე და დასრულდა ხელითა მისითა აზნა-

[1] ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, ტ. II, 1970, გვ. 84.

ური მოსეს ყორღანოვისათა ორთაჭალის კარახტინში ბრწყინვალის კნიაზ რევაზ თუმანოვისათვისა საკითხავად, შესაქცევად და ძველ ამბავთა საგონებლად. გთხოვთ ამა წიგნისა მქონელთა და ანუ აღმომკითხველთა, რომელთაცა კითხვით შექცევა მოინებოთ არა გაგვკიცხოთ, თუმცა რაიმე შეცდენა იხილოთ არამედ მოგვიხსენიოთ ჩვენ ამისი ცოდვილი ზემორე ხსენებული აღმომწერალი, რომელნიცა თქვენცა იყვნეთ წინაშე ღვთისა ხსენებულნი, ამინ".[1] მოსესა ყორღანოვის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები უცნობია. მხოლოდ მის მიერ გადაწერილი ვეფხისტყაოსნის მინაწერებიდან ვგებულობთ, რომ მას ჰყოლია ქალიშვილი ნინო, ვაჟი სერგეი და შვილიშვილი ანუშკა.[2]

[1] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S-ფონდი, ტ. VII, 1969, გვ. 71.
[2] S-4997.

პეტრე ქებაძე

მე-19 საუკუნის 30-იან წლებში სანკტ-პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში მომუშავე მარი ბროსე ქართული ხელნაწერების და ძველი წიგნების შეგროვების ერთ-ერთი მოთავეთაგანია.

მარი ბროსეს სიძველეების რამდენიმე შემკრებ-გადამწერი ჰყავდა. მათ შორის გამოირჩევა მთარგმნელი, მწიგნობარი და კალიგრაფი პეტრე ქებაძე.

პეტრე ქებაძე მე-19 საუკუნის ოციან და ოცდაათიან წლებში მოსკოვის სინოდალური სტამბის კორექტორი იყო, თუ როგორ მოხვდა იგი მოსკოვში, ამის შესახებ ხელნაწერთა ინსტიუტში დაცულ პეტრე კარბელაშვილის ჩანაწერებიდან ვგებულობთ.

პ. კარბელაშვილს მესტამბე პეტრე ქებაძის შესახებ დეკანოზი ი. ჩიჯავაძისა და მისი მეუღლე ნინოსაგან 1884 წლის მაისში ასეთი გადმოცემა ჩაუწერია: „სასხორელი პეტრე ქებაძე-კოჟელსკი რეგისტრატორი, დაიბადა სოფელ სასხორში-ნიჩბისში. ნიგნი უსწავლია ამავე სოფლის მღვდელ გაბრიელ ახსიაშვილთან. მამა მოჰკდომია და დედის ანაბარა დარჩენილა. იქნებოდა ათი წლისა, როდესაც რუსეთიდან მოიწერა იოანემ თავის ნათესავებთან „ერთი ჩემი ნაყმევი ბიჭი გამომიგზავნეთ ვინმე, გავზარდოო".

გედევანიანი გაბრიელ მღვდლის რჩევით გაგზავნეს პეტრე. იგი რუსეთიდან უგზავნიდა დედას და ნათესავებს ტანისამოსსა და ფულს".[1]

---

[1] ავთ. იოსელიანი, ქართული მწიგნობრობის წიგნისა და სტამბის ისტორიის საკითხები, 1990, გვ. 337-338.

1850 წელს პეტრე მიცვალებულ მარიამ დედოფალს ჩამოჰყოლია საქართველოში და რამდენიმეხანს უცოცხლია კიდევ. მას ნათესავებისთვის უყიდია სააზნაურო მამული კავთისხევში.

როგორც ამ ჩანაწერიდან შევიტყეთ, პეტრე ქებაძე იოანე ბატონიშვილს აღუზრდია მოსკოვში და პეტრეს მოღვაწეობაც ძირითადად რუსეთთან არის დაკავშირებული.

პეტრე ქებაძის სახელს ვხვდებით სხვადასხვა სიძველეთა საცავებში დაცულ ხელნაწერებსა და ძველ წიგნებზე.

საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ მე-19 საუკუნის „ლექსთა კრებულის" მინაწერში ვკითხულობთ: „1828, ივნისის 26, სადილის უკან, მეშვიდე საათზე, იყო საშინელი სასტიკი ქარი, რომ მოსკოვში მრავალ სახლებს კრიშები ააგლიჯა, ზოგი სულ წააქცია, სამრეკლოზე ჯვარებიც ბევრს მოგლიჯა, ხეები დაგლიჯა და რამდენიმე კაცებიც დახოცა. ქუჩაში ისეთი წყლები მოდიოდა, რომ დროშკები დაიტაცა. პეტრე ქებაძე".[1]

იმავე ინსტიტუტში დაცულ ანტონ პირველის „გრამატიკის" მინაწერით ვგებულობთ: „ეს ღრამატიკა მე, პეტრე ქებაძემ ვიყიდე კონსტანტინე ბატონიშვილისაგან".[2] „პეტრე ქებაძისა არის ეს წიგნი" – ვკითხულობთ მე-18 საუკუნის ერთი კრებულის მინაწერზე.[3]

მ. ჩიქოვანი პეტრე ქებაძის, როგორც მარი ბროსეს კორესპოდენტის შესახებ შემდეგს წერს: „მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის შემკრებთა პლეადას მიეკუთვნება აგრეთვე ცნობილი გადამწერი, მარი ბროსეს დაუღალავი ინფორმატორი პეტრე ქებაძე.

მართალია, ბროსეს არქივში არის ისეთი ხალხური ლექსები, რომელთა მთქმელისა და ჩამწერის შესახებ არავითარი ცნობა

---

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტის A ფონდის ხელნაწერი N 1432.

[2] ხელნაწერთა ინსტიტუტის H ფონდის ხელნაწერი N 1071.

[3] ხელნაწერთა ინსტიტუტის H ფონდის ხელნაწერი N 1625.

არ არსებობს. და, ამის გამო, ჩვენ არ შეგვიძლია ყველა შემკრების ღვანლი სრულიად წარმოვადგინოთ, მაგრამ ზოგიერთი მასალა მაინც გვაძლევს მსჯელობის საშუალებას“.[1]

პ. ქებაძეს გადმოუღია ეპიტაფიები. მაგალითად, სოფელ ძეგვის სამების ეკლესიის სასაფლაოს ქვების წარწერები, ტექსტები პროზაულია.[2]

პეტრეს რუსულიდან ქართულად უთარგმნია სუმაროკოვის ისტორიული ტრაგედია „სინავი და ტრუვორი“. 1815 წელს იოანე გედევანიშვილის მიერ გამოცემული „ლოცვანი“ დასტამბულია „პეტრე ქებაძის მუშაკობითა“.

სიძველეების შეგროვებასთან ერთად, პეტრე ქებაძე გადამნუსხველიც იყო. ამჟამად, ჩვენ გვინდა შევჩერდეთ სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში დაცულ პეტრე ქებაძისეულ „ვეფხისტყაოსანზე“ და მის ღვანლზე ამ ნუსხის მიმართ.

იმერეთის დედოფლის ანას დაკვეთით, ასლან საფიროვის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ (48/27) გადაწერა 1823 წლის 23 თებერვალს დამთავრებულა პეტერბურგში. გადამწერის ანდერძში ვკითხულობთ: „წელსა 1823 სანტ-პეტერბურღსა შინა სრულ იქმნა მათმა უმაღლესობამ იმერეთის დედოფალმა ანნამ დამაწერინა მე, უკეთუ რასმე შეცდომა იყოს. შენდობას ვმოქნეობ, ასლან საფიროვ თებერვლის კ –“.[3]

ხსენებული ხელნაწერი, ჩვეულებრივი ვახტანგისეული რედაქციის გარდა შეიცავს დამატებით 21 თავს, 355 ტაეპისაგან

---

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტის N 1625.

[2] ა. ს. პუშკინის სახ. ინსტიტუტის შრომები, 1948, ტვ. V, გვ. 93.

[3] სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, იოანე ბაგრატიონის კოლექცია ხელნაწერი N 48/27.

ლამარა ტატიშვილი, ლენინგრადის საცავებში, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1966, N 111.

და 1420 ლექსისაგან შემდგარს. ამავე ხანებში პეტრე ქებაძის ხელით ცალკეა დართული 52 ტაეპი, რომელიც მას თითქოს თამარ მეფის დროინდელი „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერიდან გადმოეწეროს.[1]

ანა დედოფალი იმერეთის მეფის დავით გიორგის ძის მეუღლეა. ანას მამა მამუკა იყო დიმიტრი ორბელიანისა და ერეკლე მეორის დის ანა ბატონიშვილის ვაჟი. ანას დედა ელიზბარ ქსნის ერისთავის და მაია გიორგი ყულარაღასის ასული. მამუკა ადრე გარდაცვლილა. 1770 წელს და მის მეუღლე მაიას დარჩენია ორი შვილი ვაჟი და ქალი ანა, რომელიც 1784 წლიდან იმერეთის დედოფალი ხდება. და ბოლოს, იმერეთის მეფის სოლომონ მეორის მიერ დევნილი, რუსეთის მთავრობის ნებართვით 1802 წელს საბოლოოდ სახლდება რუსეთში და იმპერატორ ალექსანდრეს ჩარევის წყალობით მოახერხა პატიმრობიდან გამოეხსნა თავისი ვაჟი კონსტანტინე, რომელიც სოლომონ მეორეს მუხურის ციხეში ჰყავდა გამომწყვდეული.[2] კონსტანტინე შედის რუსეთის არმიაში, იწოდებოდა კონსტანტინე იმერეტინსკად, იყო რუსეთის არმიის გენარალ-მაიორი.

ანა დედოფალი უაღრესად განათლებული, მწიგნობარი და ქართული კულტურის მოღვაწეთა დიდი მეცენატი იყო. მას ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი ის დიდი და ფართე ლიტერატურული ტრადიციები, სიყვარული მშობლიური ენისა და მწერლობისა, რაც ორბელიანთა გვარს ოდითვე მოსდევდა.

ანა დედოფლის დაკვეთით მრავალი ხელნაწერი იქნა გადანუსხული, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია.

ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ოსე გაბაშვილის მიერ

---

[1] ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თბ., 1944 (თ. ლომოურის რედაქციით), გვ. 81-82.

[2] ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თბ., 1944, (თ. ლომოურის რედაქციით), გვ. 81-82.

1822 წელს გადაწერილი ერთ-ერთ კრებულის (K-301) ანდერძში ვკითხულობთ: „მათს უმაღლესობას, ჩემს ხელმწიფას იმერთა ხელმწიფეს ანნას, ორბელიანთა ასულს ებრძანა გადაწერა წიგნისა ამის და აღვწერე მე ზაქარია მოძღვრის ძემან პროთოიერმან ოსე გაბაონმან. გარდა ამისა, ექსორიობასა შინა რუსეთს ბელგოროდის ქალაქსა, მონასტერსა წმინდისა ნიკოლოზისასა, აღვწერე: – ორი სამოციქულო, ორი დიდი მეტაფრასი, ერთი კონდაკი, წლისწმინდის იამბიკოთ თქმული იოანე პეტრინისა, ერთი კლემაქსი, ერთი ჟამნი მისის თვეებით, სხვა ლოცვები, დაუჯდომელი პარაკლისი, იესო ტკბილი, ოთხი ესენი აღვწერე და ჯერეთ კიდევ აქ ვარ მადლითა ღვთისათა დაცულნი. მე ვითარ გამიგრძელდა მწირობა ჩემის წელთა ქრისტესით ჩყკბ, დეკემბრის-კ.“[1]

როგორც ცნობილია, ოსე გაბაშვილი მამა-პაპით მაღალი მწიგნობრული კულტურის ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელია. იგი სახელოვანი მწიგნობრის ზაქარია გაბაშვილის ვაჟია, ძმაა დიდი ბესიკისა.

ზაქარია გაბაშვილი-მოძღვარი ორბელიანთა კარის საყდრის სულიერი მსახური იყო. ქართლიდან გაძევებულმა ზაქარია გაბაშვილის ოჯახმა სწორედ იმერეთის სამეფოში ჰპოვა თავშესაფარი და ოსე ანა დედოფალს ჯერ კიდევ ქართლიდან იცნობდა.

ოსე გაბაშვილს დიდი უბედურება დაატყდა თავს. 1812 წელს ერთდროულად დაეღუპა მეუღლე და შვიდი შვილი მოარული სენისაგან, რომელიც მაშინ იმერეთში მძვინვარებდა. ამ უბედურების შემდეგ ოსე გელათში მის მიერ აშენებულ კელაში საცხოვრებლად აღიკვეცა თავისი ძმის ნიკოლოზ დეკანოზთან ახლოს.[2]

ოსეს ამ დიდ უბედურებას დაემატა ის, რომ იგი 1818 წელს ზაქარია არქიმანდრიტთან ერთად მეფის რუსეთის მთა-

---

[1] ო. კასრაძე, „წარსულის ფურცლები“, ჟურნ. „განთიადი“, 1977, ნომ. 2.

[2] ო. კასრაძე, „წარსულის ფურცლები“, ჟურნ. „განთიადი“, 1977, ნომ. 2.

ვრობამ გადაასახლა ბელგოროდში.[1]

[1] ოსეს და არქიმანდრიტ ზაქარიას (გურგენიძე) დაპატიმრების მიზეზად ასახელებენ სახლთუხუცეს ზურაბ ნერეთლისა და მისი ვაჟის გრიგოლის ყოვლად სამარცხვინო საქციელს. ანა დედოფლისადმი მიწერილი წერილიდან ვგებულობთ: საძმო-სანერეთლო მამულის გაყოფისას წერეთლებს შორის დავა ამტყდარა, სადაც მათდა უნებურად ჩათრეული ზაქარია და ოსე სრულიად უდანაშაულოდ დასჯილან (ა. იოსელიანის პუბლიკაციით). წერილში ვკითხულობთ: „სანატრელმა ბატონმა მეფე სოლომონმა მიბრძანა მე, და დამანერინა წყალობის წიგნი სახლთუხუცესის ზურაბ ნერეთლისათვის, ქაიხოსროსათვის და მათის ძმის ბერის წერეთლისათვის. მაშინ სახლთუხუცესმან თავის ძმის, ბერის სახელი აღარ დამაწერინა და მისი სახელის ადგილი დასანერად დამატოვებინა ცარიელი სტრიქონი. და ეს ბრძანა, – მიზეზი ბატონ მეფესაც მოხსენებული აქვსო. მე და ჩემს ძმას ბერს ცოტა რამ ერთმანეთში სიტყვა გვაქვსო და ახლა, ბერის სახელს ნუ დასწერო. მოგეხსენება სახლთუხუცესის ამბავი, რომ მეორე იმერეთის გამგებელი ის იყო და როგორც ინება, ისე იქმოდა და მე დაუტოვე ადგილი დასაწერი სახელი ბერის წერეთლისა.

სოლომონ მეორის გადადგომის შემდეგ ბერმა და მისმა ვაჟმა იოანემ დაიწყეს ბრძოლა თავიანთი უფლებების აღდგენისათვის. ოსეს რომ გაუგია ეს ამბავი, წერილი მიუწერია ზურაბ ნერეთლისათვის: „ან მეფეს რატომ უყავი საქმე, რომ მოატყუე და წარსანყმენდელ ბრალში ჩააგდეთ, ან მე რას მემართლებოდი, რომ ამაში გამრიეო“. ოსეს წერილიდან ჩანს, რომ ზურაბ ნერეთელივით ბერ ნერეთელსაც უცდია ოსეს და ზაქარიას გამოყენება მეფის სოლომონ II-ის სამეფო ბეჭდის მოჭრის საქმეში. ოსე ვადმოგვცემს: „საჩხერეს, ბერი ნერეთლისას, სადილად წამიყვანეს. მესტამბე მოეყვანათ და მითხრეს: ამ მესტამბეს ბეჭედს ვაჭრევინებთ, ეგების ჩვენი მამული არ დაგვეკარგოსო“. საჩხერის სტამბის გამგებელს, რამდენჯერმე დაუშლია სამეფო ბეჭდის მოჭრა და ვერც შეუტყვია მოჭრა თუ არა ასეთი ბეჭედი სინამდვილეში მესტამბე დავით ზუბაშვილმა. მაგრამ, როგორც ზაქარია აღნიშნავს: „ორი კვირა რომ გავიდა, ამ მესტამბემ ლაპარაკი დაიწყო, ზაქარია არქიმანდრიტმა მიცვალებულის მეფის სოლომონის ბეჭედი მომაჭრევინაო“. ოსე ამ ფაქტის შესახებ აღნიშნავს: „ამ საქმისათვის ატყდა გრიგოლ ნერეთელი და რაც იმერეთში ნაჩალნიკი იყო ყველას წიგნები მისწერა სახლთუხუცესის მაგივრად და შეგვასმინა,

მეფის რუსეთის მთავრობის მიერ დაპატიმრებული და იმერეთიდან ბელგოროდის მონასტერში გადასახლებულ ცნობილ მწიგნობარ-კალიგრაფს ოსე ზაქარიას ძე გაბაშვილს და გელათის არქიმანდრიტ-მესტამბე ზაქარიას პეტერბურგიდან ქართულ ხელნაწერ წიგნებს გადასაწერად (საჭირო მასალით) უგზავნიდა იმერეთის დედოფალი ანა. იგი დიდად სწყალობდა პატიმარ მწიგნობრებს, ნამდვილ დედობრივ მზრუნველობას იჩენდა მათ მიმართ, ეხმარებოდა ფულით, ტანსაცმლით და ყველაფერს აკეთებდა მათ გადასახლებიდან გასათავისუფლებლად, მაგრამ ისინი, მიუხედავად ანას დიდი მცდელობისა, ვერ მოესწრნენ გათავისუფლებას.

ოსე გაბაშვილის მიმოწერიდან დასტურდება, რომ ანა დედოფალი ბესარიონ გაბაშვილის ლექსებითა და მისი პირადი ამბებით მეტისმეტად ყოფილა დაინტერესებული და მის შესახებ ცნობების მიწოდებას ავალებდა ოსეს.

რომ ოსემ და ზაქარია არქიმანდრიტმა მეფის ბეჭედი მოაჭრევინა და მეფის წყალობის წიგნი დაწერეს. ცარიზმის მოხელეებს ოსესა და ზაქარიასთან ერთად დაუპატიმრებიათ მესტამბე დავით რომანოზის ძე ზუბალაშვილი-რაზმაძე და ივანე წერეთელი. თბილისში დაუბარებიათ გრიგოლი, ოსეს დაწერილი სიგელი უთარგმნიათ და ბერი წერეთლისათვის მამული დაუბრუნებიათ. გრიგოლ წერეთელს დიდი ქრთამით გამოუხსნია თავი და ასევე სხვა გზებით მოუხერხებიათ მესტამბე დავით ზუბალაშვილის და ივანე წერეთლის გამოხსნა. დაისაჯნენ მხოლოდ ზაქარია არქიმანდრიტი და ოსე გაბაშვილი. ზაქარიასა და ოსესთვის 1820 წლის სექტემბერში მიუსჯიათ ჯერ თბილისში სამწლიანი პატიმრობა, სამი წლის შემდეგ კი გადასახლება ბელგოროდში ოთხი წლით და სასჯელს, როგორც სასულიერო პირნი, მოიხდიდნენ მონასტერში. სასჯელის მოხდის შემდეგ ოსე ტოვებს ბელგოროდს (ზაქარია ერთი წლით ადრე გარდაიცვალა), მაგრამ სამშობლოში დაბრუნების უფლებას მაინც არ აძლევენ, ამიტომ იგი იძულებულია დასახლდეს ასტრახანში და განაგრძოს კალიგრაფიული მოღვაწეობა.

ბესიკ გაბაშვილი მე-18 საუკუნის 80-იანი წლებიდან დავითის მეფობისა და ანას დედოფლობის პერიოდში რუსეთ-თურქეთის ომის (1787-1791 წწ.) დაწყებისთანავე რუსეთში გაიგზავნა დიპლომატიური მისიით და განუყრელად ახლდა გრ. პოტიომკინს.[1]

ოსე გაბაშვილი ხშირად წერდა ბესიკით დაინტერესებულ ანა დედოფალს. 1826 წლის 6 ივნისს მიწერილ წერილში ოსე დედოფალს წერს: „რომელიც თქვენ წიგნები, ან ის გიორგის სასწაულები, ანუ სხვათა ანუ ლექსები ძმისა ბესარიონისა გეთხოვათ, ყოველივე ერთად წარმოვგზავნე თქვენისა უმაღლესობისა წინაშე და არა უწყი მოგერთვა თუ არა. ეს ორჯერ მომირთმევია რაც მებრძანა და მე რა ვყო თუ არავინ მოგართმევს, მე ვისაც გამოვატანე ვგონებ თავისად განისაკუთრებს და თუ კიდევ არ მოგერთვა, განსაკუთრება ეს იქნება.[2]

ანასადმი მიწერილ ერთ წერილში ოსე წერს: „გებრძანათ ქართლის ცხოვრების აღწერა კიდევ. თქვენ იცით, მე შენს ბრძანებას აღვასრულებ და თუ გამომიგზავნით ქართლის ცხოვრებას დედნად, ვეცდები, ღვთით, მალე აგიწერო და აღვასრულო ბრძანება თქვენი". მაგრამ მათი მიწერ-მოწერა 1836 წელს შეწყდა.

ანა დედოფლის გარდაცვალების (გარდ. 1836 წ.) შემდეგ ხსენებული „ვეფხისტყაოსნის" მფლობელი ანას ვაჟი კონსტანტინე ბაგრატიონი ყოფილა. მისგან ეს ხელნაწერი შეუსყიდია პეტრე ქებაძეს, რომელსაც პოემისათვის დაურთავს 52 სტროფი. გავეცნოთ ამ მინაწერს: „მე პეტრე ქებაძემ შემდგომად დედოფლის ანნას გარდაცვალებისა ვიყიდე კონსტანტინე ბატონიშვი-

---

[1] ა. იოსელიანი „ახალი მასალები ბესიკის დიპლომატიური მოღვაწეობის შესახებ", ისტორიის ინსტიტუტის მასალები, ნაკვ. 34, 1962.

[2] საკტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა ფონდი K. ა. იოსელიანი, ქართული მწიგნობრობის წიგნისა და სტამბის ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 337.

ლისგან ეს წიგნი". პეტრე ქებაძე აქვე შენიშნავს: „ეს მუხლები ერთი ვეფხისტყაოსანისა იყო. ძველებური, დიდიხნის დაწერილი თავის მხატვრობითა. შევამოწეთ სხვა ვეფხისტყაოსნებს და არც ერთში არ იყო, მარტო იმ ვეფხისტყაოსნის გარდა და იქიდამ გადმოვწერე და თავ-თავის ალაგას დაუნიშნე, სადაც ეს წითლური მუხლები სწერია, ესენი რომ გათავდება, ეს შავად დაწერილი მუხლები იმას ზედ მოებმის, ზოგან ორი მუხლი ერთად არის დაწერილი შავათ, ის ორივე ერთათ უნდა, ვინც ეს წიგნი გადაწეროთ, ეს მუხლები ჩაუწეროთ, სადაც ეს წითლური ციფრები უსხდეს და ხაზიცა იყოს წითლური, იქ უნდა ჩაუწეროთ. დიდად საჭირო არის, რომელიც გადმომიწერია თამარ მეფის დროს დაწერილ „ვეფხისტყაოსნისაგან".[1]

ხელნაწერის პროლოგი და შუა მონაკვეთი მომდინარეობს ვახტანგისეული რედაქციიდან. ხელნაწერს ერთვის გაგრძელებანი, აგრეთვე იოსებ თბილელის მიერ შეთხზული ორივე ანდერძი. ზემოთ მოტანილი 52 სტროფი, რომელიც პეტრე ქებაძემ დაურთო ხელნაწერს, როგორც ს. ცაიშვილმა გაარკვია, ემთხვევა ხელნაწერს W-27.[2] დაცულს ოქსფორდის ბოდლის ბიბლიოთეკის უორდროპისეულ ფონდში (თარნახმოურავისეული ხელნაწერი, მე-17 ს.).

ხსენებულ ნუსხას პეტრე ქებაძის მიერ დამატებული აქვს ინდოხატაელთა და მისი მომდევნო ამბები, ბოლოში ერთვის ვახტანგის განმარტებები.

---

[1] სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, ხელნაწერი ნომ. 48/27.

სოლ ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა სტროფული შედგენილობა, 1959, გვ. 320. ლ. ტატიშვილი, ლენინგრადის საცავებში, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1966, ნომ. 111.

[2] ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, 1970, ტ. II, გვ. 337-347.

პეტრე ქებაძეს „ვეფხისტყაოსნის“ ეს ხელნაწერი შემდეგში ცნობილი მწერლისა და მთარგმნელის გიორგი ავალიშვილისათვის უჩუქებია.

1850 წელს პეტრე ქებაძე საქართველოში ჩამოჰყა გარდაცვლილ მარიამ დედოფალს და იგი მარი პროსესათვის პეტერბურგში გასაგზავნად სხადასხვა კუთხეებში ხელნაწერებსა და ძველ წიგნებს აგროვებდა. გარდა ამისა, მარი ბროსე მწერალ დიმიტრი მელვნეთხუციშვილს[1] და პეტრე ქებაძეს პეტერბურგში გამოცემულ ქართულ წიგნებს უგზავნიდა საქართველოში გასავრცელებლად.

1851 წლის ბოლოს დ. მელვინეთხუციშვილი თბილისიდან პეტერბურგში მარი ბროსეს წერდა: „სექტემბრის გასულს ჩამოველ ტფილისში და ვნახე პიოტრ ივანიჩი ქებაძე. ამასთან რაც აკადემიიდან გამოგზავნილი წიგნები რამდენიმე ეგზემპლარი ეხლა გავყიდეთ და დანარჩენისათვის ვთხოვეთ აქაურს გუბერნატორს და ღუბერსკის მარშალს. ამათ მიიღეს კმაყოფილებით მონაწილეობა და ისურვეს. გაგზავნა უეზდის ნაჩალნიკებთან და

---

[1] დიმიტრი კონსტანტინეს ძე მელვინეთხუციშვილი— ისტორიკოსი და მწერალი, დაიბადა და აღიზარდა ქ. გორში. მსახურობდა სასამართლოში. 1847 წელს მარი ბროსემ ჩააბა ისტორიული მასალების შეკრების საქმეში. ბროსესთან ერთად შეკრიბა ნარნერები, საბუთები, ხელნაწერები. მან დამოუკიდებლად იმოგზაურა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და შეკრებილი მასალა გაუგზავნა პეტერბურგში ბროსეს, რომელმაც გამოაქვეყნა იგი რუს. აკად. მოამბეში. 1851 წელს დიმიტრი მონაწილეობდა ქართული თეატრის აღდგენაში. წერდა პიესებს, ლექსებს. 1852 წელს მთავარმართებელ ვორონცოვის დავალებით წამოიწყო არქეოლოგიური გათხრები უფლისციხეში, მაგრამ ბოლომდე არ მიუყვანია. სიცოცხლის ბოლო წლებში გაატარა სოფელ ხიდისთავში (გორის რაიონი).

მისი ხელნაწერი ნაშრომები, ნარკვევები, ისტორიული მასალები დაცულია სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში, მარი ბროსეს ფონდში.

უეზდის მარშლებთან, მაგრამ რადგანაც ამ მომავალს დეკემბერში საქართველოს თავად-აზნაურნი სრულიად შეიყრებიან ტფილისში თავთავის მარშლებით და ნაჩალნიკებით აღმორჩევისათვის მარშლებისა და სხვათა. ამისათვის უკეთ ვარჩიეთ ეს წიგნები აღარ გაიგზავნოს და აქვე გაისყიდოს ღუბერსკის მარშლის შემწეობით. იმედი მაქვს დეკემბერში სრულებით გაიყიდოს. ეხლა გაყიდულისა რვა თუმანი აქვს ქებაძეს. ამ ფულის გამოგზავნას ვაპირებდი ამასთანავე, მაგრამ პიოტრ ივანიჩი ითხოვს მისწეროთ, სახელდობრ, რამდენი ეგზემპლარი იყო ამასთან გამოგზავნილი ფრანციცული და ქართული, რომ მერე სრული ანგარიში მივცე აკადემიასო. თითონ წავიდა სოფელში და სხვა წიგნები რაც ჰქონდა გასასყიდი სრულებით მე მომაბარა. მეც ვცდილობ მალე მივაბარო გასასყიდლად... გუბერსკის მარშლის სეკრეტარს, რომელიცა ცდილობს ეგრეთვე დიდის სურვილით. [1] იმავე ბარათის აშიაზე მარცხნივ დიმიტრი მელვინეთხუციშვილი მეტად გულთბილად ახასიათებს პეტრე ქებაძეს: „მე და პიოტრ ივანიჩი ხშირად ვართ ერთად, როდესაც აქ იყო. ეს საუცხოო მშვიდობიანი კაცი ყოფილა. მან სთხოვა რაპორტით აკადემიას და მეც მითხრა მოგწეროთ – გამოგიგზავნოთ ოცი ეგზემპლარი გეოგრაფია ვახუშტისა და ოცი ეგზემპლარი ლექსიკონი ჩუბინოვისა, გასასყიდლად ითხოვენ".[2]

მეტად მნიშვნელოვანია მელვინეთხუციშვილის მიერ 1852 წლის 13 ივლისს თბილისიდან პეტერბურგში მარი ბროსესადმი გაგზავნილი ბარათის შემდეგი ადგილი: „პიოტრ ივანოვიჩ ქებაძე იყო გუშინ ჩემთან და მაჩვენა თქუენი მოწერილი წიგნი. თქუენი თვალების ტკივილზედ ვწუხვართ და ღმერთსა ვთხოვთ მშვიდობით განთავისუფლებას"... და „გთხოვთ უმორჩილესად უშუ-

---

[1] „საისტორიო მოამბე", 1952. ნომ. 6, გვ. 21. ლ. ტატიშვილი, ლენინგრადის საცავებში, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1966. ნომ. 3.

[2] „საისტორიო მოამბე", 1952, ნომ. 6, გვ. 22.

ამდგომლოთ შეეწივნეთ აკადემიაში, ესოდენ შრომის მიღებისათვის მიეცეს მას რაიმე ჯილდო, რადგანაც საკუთრივ თვინიერ სხუა საქმისა, მხოლოდ ამ წიგნების გასასყიდლად აკადემიის ბრძანებით სცხოვრობს თბილისში თავის ხარჯზე ქირით დაჭერილ სახლში".[1]

როგორც ერთი ბარათიდან ირკვევა, პეტრე ქებაძე ბოლო ხანებში ხშირად ავადმყოფობდა, ხელი უკანკალებდა და მარი ბროსეს ვეღარ უწერდა წერილებს და ამიტომ ბროსესთან გასაგზავნ წერილებს დიმიტრი მელვინეთხუციშვილს აწერინებდა. ერთი ადგილი ამ ბარათიდან: „დიდად სურდა დაწვრილებით ესე თითონ მოეწერა, მაგრამ ძალიან ხელი უკანკალებს ავადმყოფობს. არ არის დიდიხანი რაც მორჩა და აი, ჩემთან ზის, ამ წიგნს მაწერინებს".[2]

ღრმად მოხუცი პ. ქებაძე გარდაიცვალა 1856 წლის ზაფხულში ქვემო ხანდაკში და იქვე დაკრძალეს.

პეტრე ქებაძის გარდაცვალებას ეხება დ. მელვინეთხუციშვილის მიერ 1856 წლის 5 ივლისს გორიდან მარი ბროსესადმი მიწერილი ბარათი: „მრავალჯერ განვიზრახე წიგნის მორთმევა, რომლითაც მსურდა მომეხსენებინა... სიკვდილი საწყალი ჩუენი პიოტრ ივანიჩის ქებაძისა. ამან დამიტევა მე თქუენი წიგნი, ატლასები თავისი წიგნებით, რამდენიმე ლექსიკონი და წვრილი წიგნები, რომელთაც არავინ ყიდულობს.[3]

პეტრე ქებაძეს მარი ბროსესათვის ანგარიშის ჩაბარება ვერ მოუსწრია, სხვადასხვა პირებისათვის ნისიად ჰქონია წიგნები გაცემული.

---

[1] „საისტორიო მოამბე", 1952, ნომ. 6. გვ. 23-24. ლ. ტატიშვილი, ლენინგრადის საცავებში, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1966, ნომ. 3.

[2] „საისტორიო მოამბე", 1952, ნომ. 6, გვ. 18.

[3] „საისტორიო მოამბე", 1952, ნომ. 6. გვ. 18.

დავით მესხიშვილი-რექტორი
(გიორგი თუმანიშვილისეული „ვეფხისტყაოსანი")

საისტორიო წყაროებით დადასტურებულია, რომ მესხიშვილები ქართული კულტურის სარბიელზე მე-18-19 საუკუნის დამდეგს დაწინაურებული საგვარეულო ყოფილა. ისინი მე-17 საუკუნეში მესხეთიდან თბილისში გადმოსახლებულან და დამკვიდრებულან. დაკავშირებული იყვნენ ანჩისხატის ეკლესიასთან. მღვდელი პეტრე მესხი (გ. 1680) ანჩისხატის მნათე იყო. ჩვენამდე მოაღწია მისმა ნაწერმა „მშვენიერის ხუცურის ხელით კონდაკმა"... „პეტრე"... ანჩისხატის დეკანოზები იყვნენ მისი შვილი, მხატვარი გრიგოლი და მისი ვაჟი ალექსი, რომლისგანაც იწყება სახელგანთქმულ კალიგრაფთა რიგი. ალექსია სწორედ კალიგრაფთა დინასტიის ნამდვილი მეთაური. მათი დამსახურებათა გამო ერეკლე მეორეს მესხიშვილებისათვის ალექსიშვილობა უბოძებია.[1]

ალექსი თავის მიერ გადაწერილ წიგნებში თავისთავს ყოველთვის მხატვრის ძეს უწოდებს: „იესო ტკბილო, უოხე სულსა ჩემსა ფრიად ცოდვილსა მწერალსა ამისსა მხატვრის ძესა ალექსის". „... წერად ხელვყავ ტფილურთა მოქალაქე ქმნილის მხატვრის გრიგოლ მღუდლის, დეკანოზის ძემან... მღუდელ-დეკანოზმან ალექსი".

ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული „ოთხთავის" მხატვარი თხუთმეტი წლის ალექსია. ხსენებულ ხელნაწერს ყრმა ალექსი

---

[1] ლ. ქუთათელაძე, სულხან-საბა ორბელიანის მინიატურული პორტრეტი და მისი შემსრულებელი ალექსი მეხსიშვილი, „საბჭოთა ხელოვნება, 1959, ნომ. 10, გვ. 17-20.

მხატვრის შემდეგი მინაწერი ახლავს: 1. „ღმერთო, შეიწყალე გრიგოლ მხატვრის შვილი ალექსი, ამ წიგნის დამჩხაბავი“. 2. „დაიწერა ქალაქსა ტფილისსა ხელითა მხატვრის გრიგოლის შვილის ალექსისათა“. 3. „მომიხსენებდით ძმანო, რომელი დაშვერ წერისა ამის სახარებისასა და რაოდენიცა იხილოთ ნაღვანსა ამას წინა ნაკლუევანი, ანუ ცთომილნი, უდრტვინველად გამართეთ და შენდობა ყავთ ჩემთვის... მეუფეო იესო ქრისტე, შეიწყალე მამა ჩემი გრიგოლ მხატვარი და დედაჩემი თამარ და მათი ძე დიაკონი ალექსი, დავწერე მე წლისა იე (15)“.[1]

იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ ალექსის შესახებ ვკითხულობთ: „ესე იყო მეცნიერი კაცი, მოძღუარი სულიერი ანტონ კათალიკოზისა, მწერალი ხუცურისა და მხედრულისა, რომელიც ღირს ქებისა არს ნაწერებისაგან. ამან მრავალნი საღმრთო წერილნი და ისტორიანი გარდასწერნა. და ამან კეთილად აღზარდა შვილნი თვისნი გიორგი, სოლომონ და დავით, რომელთაც ასწავლნა სამეცნიერო წერილნი, საღმრთონი და მგალობლობაცა“.[2]

გიორგი ოჯახში აღზრდილა და დახელოვნებულა ნიკოლოზ აფხაზი,რომელსაც ანანურის ტაძარი მოუხატავს და აქვე განუახლებია ცამეტი ასურული მამის ფრესკები.[3]

ალექსი დაახლოებული ყოფილა ანტონ კათალიკოსთან, როცა ანტონი გადააყენეს, ალექსისთვისაც შეურაცხყოფა მიუყენებიათ.

როგორც კ. კეკელიძე აღნიშნავს, ალექსი რუსული ორიენტაციის მიმდევარი ყოფილა, იგი ყურადღებას აქცევს ალექსის

---

[1] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის Q-ფონდის ხელნაწერი ნომ. 2716.

[2] იოანე ბატონიშვილი, „კალმასობა“ ნ. 1, 1936, გვ. 68-77. II, 1948, გვ. 182-202.

[3] პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ა. გაწერელიას რედაქციით, 1936, გვ. 169.

მიერ „თთუენის“ გაწყობას რუსული ტიბიკონის მიხედვით.[1]

ალექსის მიერ გადანუსხული წიგნები ჩვენამდე ბევრია მოღწეული, რაც საშუალებას გვაძლევს სრულად წარმოვიდგინოთ მისი დიდი ოსტატობა. მას გადაწერილი აქვს როგორც საერო, ასევე სასულიერო შინაარსის წიგნები. (სასულიეროდან ყურადღებას იპყრობს ოთხთავები: S-2714, H-1114 და Q-264; H-1666; ტიბიკონები H-399, H-459, სჯულის კანონები A-344, A-478; თვენი A-1093: ხრონოგრაფი H-1671; ჟამნი -1096; ლოცვანი -0295; წმინდანთა ცხოვრება H-2071. საეროდან: ვისრამიანი H-716, ქილილა და დამანა S-5004, სულხან–საბას ლექსიკონი S-4748). წერდა საბუთებსაც.

ალექსის განსაკუთრებულად ჰყვარებია ჩართული წერა დიდი, დეკორატიულ-მთავრული ასოებით და წიგნის გაფორმებისათვის იყენებდნენ დიდი ხნის შემუშავებულ ხერხებს (თავსართ-ბოლოსართები, საზედაო ასოები, სინგურის სტრიქონები ტექსტში და სხვ.)[2]

ამ გვარის შვილი იყო დავით მესხიშვილი-რექტორი, ქართული კულტურის ერთი ყველაზე თვალსაჩინო მოღვაწე მე-18 საუკუნის ბოლო ათეული წლებისა და მე-19 საუკუნის მიჯნაზე, ლიტერატორი, პედაგოგი, კომენტატორი, კალიგრაფი, ლექსიკოგრაფი, პოეტი და მთარგმნელი, ანტონ პირველის მოწაფე.

დავით მესხიშვილი დაიბადა 1749 წელს.[3] სწავლობდა თელავში, შემდეგ მან სწავლა განაგრძო მოსკოვის სლავურ-ბერძნულ-ლათინურ აკადემიაში. 1790-1831 წწ. იყო თელავის სემინარიის რექტორი. აქედან მოდის მისი შერქმეული სახელი – რექტორი.

---

[1] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 334-337.

[2] გ. მიქაძე, გარდამავალი ხანის მწერლობა, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1966. ვახტანგ ბერიძე, ძველი ქართველი ოსტატები, 1967, გვ. 164.

[3] მასალები დავით რექტორის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ, ლიტერატურული ძიებანი, ტ. 13, 1961. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1955, 26. 11.

ერეკლე მეორის მეფობის ბოლო ათეულ წლებში, როცა საქართველოში კვლავ გაცხოველდა კულტურული საქმიანობა, როცა მეფის კართან დაკავშირებული ქართველი ინტელიგენცია ცდილობდა რუსეთ-ევროპის ცივილიზაციისათვის ეზიარებინათ თავიანთი სამშობლო, ფაქტიურად განათლების საქმეს მეთაუროზდა ქართლ-კახეთის სამეფოში. 1790 წელს ერეკლემ იგი თელავის სემინარის რექტორად დანიშნა. დარჩენილ საბუთებში ნათქვამია: „ჩვენ მეფემან ირაკლიმ განგაწესეთ თელავის ქალაქის სემინარიის რექტორად შენ ალექსიშვილი დავით, ასე, რომ მოწაფეთ შემოგიკრეფთ და ფილასოფია უნდა მოასმენინო და ზოგთ საეკლესიო წიგნი და წერაო“ და სხვ.[1]

დავითის აღზრდაში მთავარი დამსახურება ანტონს მიუძღვის.

ანტონ კათალიკოსი დავით ალექსის ძეს უწოდებდა ქართველთა შორის პირველ ისტორიკოსს.[2]

მიუხედავად იმისა, რომ დავითი ანტონის მოწაფეა და უაღრესად პატივს სცემს, იგი მაინც წინააღმდეგია ძველის, სქოლასტიკურის, ხალხისათვის უკვე გაუგებარი ფორმებისა და მედგარი დამცველია ახლის, უფრო დემოკრატიულის სტილისა. არსებული წიგნები მას აღარ აკმაყოფილებდა არც შინაარსისა და არც, განსაკუთრებით, ფორმის მხრივაც.[3]

იოანე ბაგრატიონი დავითზე წერდა: „დავით ალექსიძე, ანჩისხატისა დეკანოზისა შვილი, ესეცა აღზარდა ანტონ კათალიკო-

---

[1] მასალები დავით რექტორის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ, ლიტერატურული ძიებანი, ტ. 13, 1961. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1955, 26.11.

[2] ს. ავალიანი, ანტონ პირველი, თბ., 1987, გვ. 92.

ვუკოლ ბერიძე, დავით რექტორი-ლექსიკოგრაფის საბა ორბელიანის გამგრძელებელი, ტფილისის უნივერსიტეტის შრომები, 1, 1936, გვ. 310-333.

ვახტანგ ბერიძე, ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967, გვ. 163.

[3] გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1955, 20.11.

ზმან და მიიღო სწავლა ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველებისა. ეს არს გონება მკვეთრი და კარგი მეხსიერი. მწერალი მშვენიერი, ვითარცა ხელნაწერობით, აგრეთვე დათხზვითაც. ამან შექმნა წიგნი თვისგან შექმნილი და უწოდა „ჩემ მიერ ნაღვაწი". და აგრეთვე შემატა ლექსიკონს. ამან ასწავა სკოლასა შინა თელავს მრავალთა მოწაფეთა საფილოსოფოსო სწავლანი, რომელიცა დადგინებულ იყო მეფის ირაკლის თეიმურაზის ძისაგან რეკტორად და მეცა ვიყავ მასთან რიცხვთა შორის მოწაფეთა.

ესე არს უცხო ისტორიკოსი ძველთა და ახალთა მოთხრობათა, რომელიცა ქებულ არს ერთა ჩვენთაგან".[1]

დავით მესხიშვილის ცნობილ ხელნაწერ კრებულში მოთავსებულია მისი „იამბიკო მეფისა ირაკლის შესხმად", რომელსაც წამძღვარებული აქვს შემდეგი შენიშვნა: „როდესაც ღრამატიკას ვჰკითხულობდი, დია პატარაც ვიყავ და მაშინ დიდმა კათალიკოსმა, მეფის იესეს ძემან ანტონ მიბრძანა მისის სიმაღლის მეფის ირაკლის ქება იამბიკოთი ჰსთქვიო და მაშინ ვჰსთქვი. მე კეთილშობილმან ალექსის ძემან დავითმან, რომელი ორმოცდახუთისა განვლისა, ვიქმენ სრულიად კახეთის სამეფოსა რექტორად".[2]

საქართველოს ტახტის უკანასკნელი მემკვიდრის დავით ბაგრატიონის განათლებაში დიდი წვლილი მიუძღვის დავით რექტორს, რომელსაც მოწაფე (იგულისხმება დავითი) ყოველთვის დიდი პატივისცემით და მადლიერებით იხსენებდა. არა ერთი მხურვალე პოეტური სტრიქონი უძღვნა მან თავის გამზრდელს. ერთ-ერთი მათგანი წაუმძღვარა კიდეც თავის თარგმანს „ნაბუქოდონოსორისაგან წარტყვევნა იერუსალიმისა":

„ეს ჩემი შრომა რექტორსა შევსძღვენ,
ჩემსა გამზრდელსა, ჩემსა ლალასა,

---

[1] იოანე ბაგრატიონი, მცირე უწყებანი ქართველთა მწერალთათვის, 1948. გვ. 192-200.

[2] გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1955, 20.11.

ბრძენს, მეცნიერსა, სწავლულსა კაცსა,
განვითარებულს, ქართლისა თვალსა“.[1]

როგორც ცნობილია, 1782 წელს ერეკლესა და ანტონის უშუალო ინიციატივით გაიხსნა თელავის სემინარია, რომელიც თბილისის სემინარიის დონეზე იდგა. ამ სემინარიის პირველი რექტორი გაიოზი (რექტორი) იყო.

თელავის სემინარია გაიხსნა თელავის სკოლის საფუძველზე, რომელიც ერეკლე მეორემ 1758 წელს თავის სასახლეში დაარსა. ამ სკოლაში ყველა ასაკისა და წოდების ადამიანი სწავლობდა, მათ შორის მეფის წულებიც. სკოლის დირექტორად ერეკლემ მოიწვია ანტონის უახლოესი თანამშრომელი ფილიპე ყაითმაზაშვილი-გაქართველებული სომეხი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის სომხური ლიტერატურის ქართულად თარგმნის საქმეში (რასაც იგი ძირითადად ანტონის მითითებითა და ხელმძღვანელობით აკეთებდა).

თბილისისა და თელავის სემინარები რუსული სემინარიების მიხედვით იყო დაპროგრამებული და თეორიულად იმავე დონეზე იდგა. აქ, გარდა სასულიერო საგნებისა, ასწავლიდნენ გრამატიკას. რიტორიკას, ლოგიკას, მეტაფიზიკას, ფიზიკას, ფილოსოფიას, არისტოტელეს კატეგორიებსა და ა. შ.

სახელმძღვანელოები ძირითადად შედგენილი ან თარგმნილი იყო ანტონის მიერ. კერძოდ, ლოგიკა, მეტაფიზიკა და ეთიკა ბაუმასტერის ქართული თარგმანების მიხედვით ისწავლებოდა. ფიზიკის სახელმძღვანელოდ გამოყენებული იყო ანტონის მიერ შედგენილი „შემოკლებული ფიზიკა თეორეტიკებრი“. გრამატიკას ანტონის „ქართული გრამატიკის“ მიხედვით ასწავლიდნენ, კატეგორიებს – ანტონის თხზულებით „კატეგორია სიმენტნეი“ და ა.შ.

სამსავე რექტორი, როგორც ვახტანგ ბატონიშვილი გადმო-

---

[1] გაზ. „თბილისი“, 1989, 9. 10. დავით ბაგრატიონის „ნაბუქოდონოსორისაგან წარტყევნა იერუსალიმისას“ წინასიტყვაობა.

გვცემს, „იყვნენ კაცნი განსწავლულნი ზემოხსენებულისა მის კათალიკოზისა ანტონისაგან.“[1] ე. ი. სამივე მათგანი ანტონის მოწაფეები იყვნენ, ხოლო თვითონ ანტონი ორივე სემინარიის „პროდექტორად, დირექტორად და დიდასკოლასად“ ითვლებოდა. ორივე სემინარიას მეფე აფინანსებდა.[2]

თბილისის სემინარიაში ხშირად ანტონიც კითხულობდა ლექციებს, და, როგორც ცნობილია, ზოგჯერ ერეკლე მეორეც ესწრებოდა ხოლმე.

თბილისის სემინარია 1795 წელს მტერთა შემოსევის დროს დაინგრა, თელავის სემინარიამ კი 1801 წლამდე იარსება, ე. ი. რუსეთთან შეერთებამდე. იგი დაარბიეს ცარიზმის უგუნური პოლიტიკის გამტარებლებმა. ამის შესახებ დავით რექტორი წერს: „მას ჟამსა რუსნი მოვიდეს იმპერატორებასა ალექსანდრე პირველისასა, ძისა პავლე პირველისა იმპერატორისა, და სხოლა შეურაცხყვეს და სადა სახელი ღვთისა იქადაგებოდა, ჰყვეს ავაზაკთა, ხოლო მე პირდაპირადნი განსაცდელნი შემამთხვივნეს და მრავალნი ბოროტნი მოაწივნეს ჩემზედა“.[3]

1806 წელს დავითი თბილისში გადმოსახლდა და ანჩისხატის ეზოში დაიდო ბინა, მაგრამ იგი ხშირად თავის მშობლიურ სოფელ კისისხევშიც იმყოფებოდა. დავითმა სიცოცხლის ბოლო წლები სიღარბეში გაატარა. იგი გარდაიცვალა ოთხმოცი წლის ასაკში 1824 წლის 2 ნოემბერს.[4]

დავით რექტორი მუშაობდა ლექსიკოგრაფიაში, გადაწერა და შეავსო სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი და დაურთო კომენტარები.[5] დავითს ეკუთვნის აგრეთვე ნათარგმნი თხზულებანიც.

---

[1] ს. ავალიანი, ანტონ პირველი, თბ., 1987, გვ. 81.

[2] ს. ავალიანი, ანტონ პირველი, თბ., 1987, გვ. 85. Q-409.

[3] ს. ავალიანი, ანტონ პირველი, თბ., 1987, გვ. 81.

[4] ს. ავალიანი, ანტონ პირველი, თბ., 1987, გვ. 81.

[5] S-1827 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. VIII, თბ., გვ. 36.

დავით რექტორის პოეტური მემკვიდრეობის ერთი ნაწილი სატრფიალო ლექსებია. თავისი ეპოქის ლიტერატურულ ტრადიციას აგრძელებს დავითი ლექსთა ციკლში „მდურვა სოფლისადმი". ლექსთა ერთი ციკლი სახოტბო ხასიათისაა. მაგ., „ცხოვრება ლეონ ბატონიშვილისა", „ქება თამარ მეფისა", „ქება ირაკლი მეორისა და გიორგი მეცამეტისა", „ქება დოსითეოზისა", დავით სატირულ ლექსებსაც წერდა.

ქართული მწერლობისათვის დიდად მნიშვნელოვანია მისი „კატალოგი", რომელიც 1810 წელს შეადგინა, ამ კატალოგში სამასზე მეტი ძეგლია აღნუსხული. დავით რექტორმა, როგორც ფართო ჰორიზონტის განმანათლებელმა, სახელმძღვანელოებიც შეადგინა (არიხმეტიკა, გალექსილი ღრამატიკა, „ოთხნაწილედი სწავლანი", „აღსარების წიგნი მოწაფეთათვის").

ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ ერთ „კრებულში" ვკითხულობთ: „მე უმცირესი ვინმე ძე ალექსანდრესისა და თელავის ქალაქის სემინარიის რექტორი (!) დავით მოვახსენებ მებრ თხოვისა მათისა და რომელთამე საქართველოისა მეზობელთა მხარეთა ადგილთ. ამის უკუე წერილთა აღუწერ თქუესა ღრეოღრაფიურებრ, რომელ არს ინსტრუქცია, აღწერა ახალციხისა.

– ახალციხისა ქუეყანა, რომელიც არის ქართლისა ქვეყნის ნაწილი ერთი, რომელიც უჭირავს ახლა ხვანთქარისა".[1]

დავით მესხიშვილის კატალოგი დაცულია სანქტ-პეტერბურგში, მეცნიერებათა აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტში. ერთ ხელნაწერში დავითი წერს: „ესენი აღვწერე, რაც მახსოვან, რომელიმე ამათწერილთაგანი მეც მაქვს და რომელი სახლსა ჩემსა იპოვებოდა და ნარტაცებულ იქმნა წელსა 1795 ნ. სექტემბრის 12 სამშაბათს. დროსა აღა-მაჰმად-ხან ასტრაბადელის შემოსვლისას... მე რომელი ვიცოდი დავწერე ქართულ ენაზედ, რომელი ვისგან არის ნათარგმნი და ვის დროს, რომელიც მახსოვს

[1] გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1940, ნომ. 2.

და წელსა ქრისტეს აქეთ 1810 წელს სექტემბერს". ხელს აწერს: „კეთილშობილი დავით რექტორი".[1]

დავით მესხიშვილის კატალოგი ყველაზე სრული ნუსხაა, რომელიც კი ჩვენამდეა მოღწეული.

დავით რექტორის მიერ გადაწერილი წიგნებიდან შეგვიძლია დავასახელოთ შემდეგი: ჩარდავრიშიანი (S-61), ტროადის დაცემა (S-5), კრებული (S-65), სიტყვისგება მაჰმადიანთა მიმართ (S-81), დავით გურამიშვილის თხზულება (S-103), კრებული (S-105), თეიმურაზ მეორის სარკე თქმულთა (S-106), ბაუმეისტრის ლოგიკა (S-112), ჰაერსა შინა მროკველი ანუ მრონინე (S-136), იოანე დამასკელის კატიღორია (S-145), ბარამგულიჯანიანი (S-170), პეტრე დიახოსისის კავშირი (S-192), სახსოვარი იშვიათად საპოვართა ქმნულებათა (S-200ა), დავით სიბრძნის მოყვარე (S-200ბ), ახსნა პორფირის შეყვანილებისა (S-203), გარჩევისათვის საზოგადოდ კაცთა სახისა (S-207), ვასილი დიდის ექვსთა დღეთა (S-272), შემგზავსებითი წიგნი (S-1143), ბაუმეისტრის საზღვარი ფილოსოფიისა (S-1154), ალექსანდრე მაკედონელის ისტორია (H-376), თამარიანი (H-4045), ვეფხისტყაოსანი (H-1079), კრებული (H-1082), კრებული (H-1100), ვოლტერის ალზირა (H-1382), კრებული (A-342), სამგზავრო გეოგრაფია (A-1414), თევნი (A-1427), იოანე მმარხველის სჯულის კანონი, საბას ლექსიკონი (Q-401) და სხვ.

როგორც ცნობილია, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკოლოგიური მემკვიდრეობის გაგრძელების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა დავით ალექსი მესხიშვილმა-რექტორმა. რომელიც იყო დიდი მწიგნობარი, მეცნიერი და პედაგოგი, აღმზრდელი იოანე, დავით და თეიმურაზ ბაგრატიონებისა, სახელმძღვანელოთა შემდგენი, ფილოსოფოსი და პოეტი, აგრეთვე შესანიშნავი კალიგრაფი და მრავალი ხელნაწერის გადამნუსხველი. მანვე შეადგინა ქართველ მწერალთა თხზულებათა კა-

[1] გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1940, ნომ. 2.

ტალოგი, რომელშიც 270 ნაშრომის დასახელებას შეიცავს.

ექვთიმე თაყაიშვილის განმარტებით: „რომ შეიძლებოდეს შეკრება დავით რექტორის მიერ გადაწერილი ყველა ხელნაწერისა, იმათგან შეიძლებოდა მთელი ბიბლიოთეკის შექმნაო".

წიგნების გადაწერას დავითის მოღვაწეობაში დიდი ადგილი ეჭირა. როგორც კალიგრაფი, იგი არ ჩამოუვარდებოდა თავის ძმას სოლომონს.[1] მის მშვენიერ მხედრულ ხელს იშვიათად თუ ვინმე შეედრება: ასოები ძალიან სასიამოვნო პროპორციისაა. არაა ზედმეტი სამკაულები: სინგურის სტრიქონებისა და საზედაო ასოების გამოყენება. თვით ეს საზედაო ასოები კარგ გემოვნებას მოწმობს და როგორც შენიშნულია, მისი ხელნაწერების დათვალიერებისას იგრძნობა, რომ დავითმა წიგნის „გემო იცოდა" და როგორც პროფესიონალი მაღალ დონეზე იდგა.

იოანე ბატონიშვილი „კალმასობაში" ალექსის ვაჟების შესახებ წერდა: „ამათაც ისწავეს ხუცურისა და მხედრულის წერა. გარნა მხედრულის წერასა შინა ჯერეთაცა არც ძველად და არც ახლად არავინ თქმულა უკეთეს ამათსა. და მეტადრე სოლომონ

---

[1] სოლომონი ანჩისხატის დეკანოზად ყოფილა 1791-1808 წლებში. გარდაიცვალა 1808 წელს და დაკრძალულია ანჩისხატის ტაძრის ღვთისმშობლის ხატის წინ ამბრიონის მარცხნივ.

პ. კარბელაშვილი სოლომონის შესახებ შემდეგს მოგვითხრობს: 1795 წელს 12 სექტემბერს აღა-მაჰმადხანის შემოსევის დროს, სოლომონი „განუშორებლივ იდგა თავის საყვარელ ანჩისხატის ტაძრის კარებთან და ელოდა რით დამთავრდებოდა თავგანწირული ბრძოლა ერეკლე მეფისა ყიზილბაშებთან; ვიდრე სიონთან არ მიცვივდნენ ყიზილბაშები, მანამ ფეხი არ მოიცვალა სოლომონ დეკანოზმა, მაშინ კი მოიკიდა ზურგზე ხელით-უქმნელი ანჩისხატი და გაუდგა ვერისაკენ საბუთალოზედ და ასე ზურგით აიტანა მცხეთამდე ეს ამოდენა ხატი; აქედან ურმით ანანურში წაასვენა გერგეტისაკენ. 1802 წელს იმპერატორ ალექსანდრე პირველს უბოძებია ოქროს გულის ჯვარი და კამილავკა 400 მან. სიკვდილამდე პენსია.

დეკანოზისა".[1] თეიმურაზ ბაგრატიონის (გიორგი მე-13 ძის) ბიბლიოთეკის კატალოგში, რომელიც თეიმურაზისავე შედგენილია, სოლომონის მიერ გადაწერილი ერთი წიგნის შესახებ ნათქვამია: „მრგვალის-ხელით ესრეთი წერილი არს, რომელ დღესაც, რომელნიც ქართველთაგანნი წერის ხელოვნებაში ქებულნი არიან, ყოველთავე ასე უთქვამს და ასე ეტყვიან, რომელ ეგევითარი მშვენიერი ხელით წერილი ძნელად არს, რომ დაეწეროს ვისმე, რომელნიც რჩეულნი და ჩინებულნი მწერალნი არიან ანუ ყოფილანო".[2] სოლომონი მხედრულად წერდა როგორც საერო, ისე სასულიერო წიგნებს. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია ოთხთავი Q-268, ლოგიკა A-15, A-356, A-276, A-1106. ძალზე ოსტატურად წერდა ნუსხურადაც. მაგ.: A-618. (დიდი ფორმატის წიგნის კრებული), მაგრამ განსაკუთრებით თვალსაჩინოა ოთხთავი (Q-268). რომელიც მორთულია სინგურის მთავრული ასოებით და მათეს სახარების პირველი გვერდი, ჩასმული ორნამენტულ ჩარჩოში, თავისი ინტენსიური ყვავილოვან-ფოთლოვანი სახეებით დიდ დახელოვნებას მოწმობს. სოლომონს საკუთარი თხზულებებიც ჰქონია. მისი ვაჟი ტარასი (1793-1874). 1854-1874 წლებში ქვათახევის არქიმანდრიტად იყო. იქვეა დაკრძალული) ერთი თვალსაჩინო კულტურულ მუშაკთაგანი, მთარგმნელი, ავტორი და ერთი უკანასკნელი წარმომადგენელი ტრადიციული კალიგრაფიული ხელოვნებისა, რომელსაც გადაწერილი აქვს მრავალი სასულიერო და საერო, სამეცნიერო და მხატვრული შინაარსის წიგნები. ბევრი მათგანი ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში. [3]

---

[1] იოანე ბაგრატიონი, „კალმასობა", II, გვ. 148.

[2] პ. კარბელაშვილი, ძველი ანჩისხატის ტაძარი ქ. ტფილისში, 1902, გვ. 43-47.

[3] ს. ბარნაველი, ტარასი ალექსიშვილის „ქუეყნიერი სამოთხე": სსმ. მოამბე, ტ. XVII-B. 1953, გვ. 251-260.

ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, ტ. II, 1970, გვ. 165-166.

დავით რექტორის, როგორც კალიგრაფის მოღვაწეობა თითქმის ნახევარი საუკუნე გრძელდებოდა.

დავით რექტორმა გიორგი თუანიშვილის დაკვეთით 1823 წელს გადაწერა „ვეფხისტყაოსანი“ (H-1079), რომლის ტექსტი 1712 წლის ვახტანგისეული გამოცემის ტექსტს მისდევს და აშიებზე ერთვის სტროფები, რომლებიც ე. წ. არტანუჯულ ვარიანტს განეკუთვნება.[1]

ხსენებულ ხელნაწერის ტექსტში ჩართულია გიორგი თუმანიშვილის ნათქვამი სტროფები. გიორგის მიერაა ნასწორები, ტექსტის მრავალი ადგილი თითქმის ყოველ გვერდზე. ზოგან შეცვლილია მთელი სტრიქონები. ეს ხელნაწერი, როგორც ს. ცაიშვილი შენიშნავს, ძირითადად ვახტანგისეული გამოცემის პირს წარმოადგენს, პირობით არის შემოტანილი ე. წ. არტანუჯული ვარიანტების ხელნაწერთა შორის, რადგან აშიებზე მინაწერი „არტანუჯული ვარიანტის“ სტროფები აქედან შევიდა სხვა ამავე ტიპის ნუსხებში. ამდენად. H-1079 წარმოადგენს „არტანუჯული ნუსხების“ პროტოგრაფს“.[2]

მართალია, „არტანუჯული ვარიანტის“ ხელნაწერები არსებითად ვახტანგისეული რედაქციიდან მომდინარეობენ, მაგრამ, როგორც გზადაგზა, ისე ბოლოშიც ამ „ვარიანტის“ პირველ შემქმნელს დაურთავს მის მიერვე შეთხზული სტროფები და თითქოს უცდია 1719 წლის გამოცემის ცალკეული ხარვეზების შევსება, შემდეგში სხვა გადამწერლებს უნებურად გაურცელებიათ პოემის ამ ტიპის „ვარიანტი“.[3] ამრიგად, ვეფხისტყაოსნის „არტანუჯული ვარიანტის“ შექმნა პოეტს გიორგი თუმანიშვილს მიეწერება.[4]

---

[1] ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, ტ. II, 1970, გვ. 165-166.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] იქვე.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ჩართულია გიორგი თუმანიშვილის საკუთარი სტროფები.

ხსენებული „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერის გადამწერს დავით რექტორს დაურთავს „საძიებელი წიგნისა ამის „ვეფხისტყაოსნისა“. მასვე აღუნიშნავს ყოველი სათაურის თავში თავების რიცხვი. ამის შემდეგ იგი წერს: „ამ ვეფხისტყაოსანს საძიებელი, დაწყების რიცხუები, თავების ზედაწარწერა. ფურცლის ნიშნები საძიებელში მე გაუკეთე. ძველთაგან არც დაბეჭდილს ვეფხისტყაოსანსა ჰქონდა და არც ხელნაწერთა. კეთილშობილი ალექსის ძე დავით, რექტორი“.[1]

ახლა გავეცნოთ დ. რექტორის მიერ გიორგი თუმანიშვილისათვის გადანუსხულ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერზე დართულ ანდერძს: „დიდება ღმერთსა, სრულ-მყოფელსა ყოვლისა კეთილსასა, სრულ იქმნა ძალითა ღვთისათა, „ვეფხისტყაოსანი“ აღვწერე მე, კეთილშობილმან ალექსის ძემან, რექტორმან დავითმან მისის ბრწყინვალების სტატსკის სოვეტნიკის და კავალერის ეგნატის ძის თავადის გიორგის თუმანოვისათვის, თუესა ფებრუარსა რიცხუსა კი, წელსა ჩყკგ (1823) ქორონიკონს ფია“.[2]

---

[1] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S-ფონდი, ტ. 3, გვ. 68.

ლამარა ტატიშვილი, „ვეფხისტყაოსნის გადამწერნი“, გაზ. „სახალხო განათლება“, 1966, ნომ. 39.

[2] ქართული ხელნაწერთა აღწერილობა, S-ფონი, ტ. 3, გვ. 68.

ლ. ტატიშვილი, „ვეფხისტყაოსნის გადამწერნი“, გაზ. „სახალხო განათლება“, 1966, ნომ. 39.

გიორგი თუმანიშვილი

სამდივანმწიგნებრო ასპარეზზე მოღვაწე თუმანიშვილთა გვარის წარმომადგენელთა შორის აღსანიშნავია ერეკლე მეორის სამეფო კარის მდივანმწიგნობრის, პოეტისა და პოლიტიკური მოღწევის, ეგნატე თუმანიშვილის ძე გიორგი. მეცენატი და საკმაოდ პოპულარული პოეტი, რომელსაც ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა დავით რექტორთან, პეტრე ლარაძესთან, ალ. ჭავჭავაძესთან და სხვა მწერლებსა თუ საზოგადო მოღვაწეებთან. გიორგი აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში. იგი რუსეთში გაჰყოლია იოანე ბატონიშვილს და დასწრებია 1801 წლის მანიფესტის გამოქვეყნებას.[1]

გიორგი თუმანიშვილის მამა ეგნატე იყო ორი მეფის უახლოესი მრჩეველი, თვით პოეტი, მამა პოეტისა, დიდი ძალაუფლებისა და გავლენის მქონე პიროვნება.

ირაკლი მეორისა და გიორგი მეცამეტის მდივანბეგი ეგნატე თავის მრავალფეროვან სახელმწიფოებრივ მოღვაწეობასთან ერთად, ხანდახან პოეზიასაც გუნდრუკს უკმევდა ხოლმე.

ციციანოვი ახასიათებს რა იმ პირთა, რომელნიც ბატონიშვილმა დავითმა დაუსახელა თავ. ბაგრატიონს, როგორც საქართველოს აჯანყებულები, აღნიშნავს 1805 წლის 28 თებერვლის რაპორტში იმპერატორ ალექსანდრესადმი, რომ გიორგი ერთგულია რუსეთისა „Всей душой и везде усердие оказивает".

პეტერბურგში ყოფნის დროს გიორგის ალექსანდრე პირველმა აჩუქა ბეჭედი 776 მანეთად ღირებული. გიორგი რუსეთიდან ბრუნდება მეფის მთავრობის საჩუქრებით – კოლეჟსკი ასესორის

---

[1] პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, 1935, გვ. 240.

ხარისხით.[1]

1803 წლიდან გიორგი რუსეთის სახელმწიფო სამსახურშია. ჯერ მუშაობდა თბილისის საბაჟო გადასახადების ასაკრეფად, შემდეგ, 1804 წლიდან დაინიშნა თბილისის საბაჟოს დირექტორად. ამ დროს იგი ნადვორნი სოვეტნიკის ხარისხს ატარებდა.

1812 წელს ბაქოდან თბილისში საკუთარი ხარჯებითა და ინიციატივით კავკასიაში რუსეთის ჯარების მთავარსარდლის პ. დ. ციციანოვის ცხედრის გადმოსვენებისათვის გენერალ-ფელდმარშლის ბარკალაი დე ტოლის გამოგზავნილ მოწერილობაში გ. თუმანიშვილმა მიიღო უმაღლესი წყალობა. 1814 წ. რატიშევი აღნიშნავს გიორგის დამსახურებას და ადგენს ჯილდოზე. 1820 წელს – სტატსკი სოვეტნიკი და კავალერია. 1823 წელს გ. თუმანიშვილი სამსახურიდან გავიდა. 1830 წელს უჯამაგიროდ შეიყვანეს საქართველოში ყალბი აქტების აღმოსაჩენად დაწესებულ კომისიაში. 1836 წელს გიორგი აირჩიეს საქართველოს საოლქო სტატისტიკური კომიტეტის წევრ-კორესპონდენტად.

მთელი თავისი ცხოვრება გიორგი თუმანიშვილმა რუსეთის მთავრობის ერთგულებაში გაატარა.

მთავარმართებელი პ. ციციანოვი ეგნატე და გიორგი თუმანიშვილებს სახელმწიფოს წინაშე ასე ახასიათებს: **„Преданы всегда были сердцем и душою Росии, а последным директором и везде усердие оказывает".**

გიორგი გარდაიცვალა 1837 წელს.[2]

გიორგი თუმანიშვილს ცოლად ჰყავდა ეშყაშაბ თამაზ ორბელიანის ასული მარიამი (მაია). ცნობილი თავისი სილამაზით. ალ. ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის შთაგონების წყარო. მაიასათვის ლექსი მიუძღვნია ალ. ჭავჭავაძეს („ვერცხლმა მა-

---

[1] „Акты", 1-2. გვ. 178.

[2] Акты, 1-2, გვ. 178.

პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, 1936, გვ. 240.

კვირვა მთრთოლვარემ“[1] და პეტრე ლარაძეს (S-155. ფ. 179 გ).

1837 წელს ნიკოლოზ პირველის პატივსაცემად გამართულ მეჯლისზე მაიას სიმშვენიერით მოხიბლულმა მ. ი. ლერმონტოვმა თავისი ლექსი „ყაზიბეგის მთას“ („Спеша на Север издалека") ავტოგრაფის მეორე გვერდზე, მაიკო ქაიხოსროს ასულ ორბელიანთან ერთად, ფაქიზად ჩაინიშნა მაიას სახელი.[2]

გიორგი თუმანიშვილის ოჯახს ყოველგვარი პირობები ჰქონდა ბედნიერი ცხოვრებისათვის. ქეთევან ორბელიანის გადმოცემით, „ერმილოვის დროს „დროშკა“ ერთი თეკლე ბატონიშვილს ჰყავდა, მეორე გრიგოლ სარაჯიშვილს, გიორგი კნიაზსა და გიორგი თუმანიშვილს. სულ ოთხი იყო მთელ ქალაქში.“[3]

თუმანიშვილების ბედნიერებას სიხარული შემატა შვილებმა. უკვე ხანში შესულ გიორგის მაიასთან შეეძინა ორი შვილი: ბარბარე და ალექსანდრე. ბარბარე მოუნათლავს კავკასიის არტილერიის უფროსის გენერალ-მაიორის თევდორე ისაიას ძე ახვერდოვის მეუღლე პარასკოვია ნიკოლოზის ასულ არსენიევს, რომელიც ლერმონტოვის დედის ბიძაშვილი იყო.[4]

მარიამისა და გიორგი თუმანიშვილების ასული ბარბარე ცოლად გაჰყოლია მეფის ნაცვლის ვორონცოვის ცნობილ ექიმს ა. ს. ანდრეევსკის.

ბარბარესათვის ზმა მიუძღვნია სოლ. რაზმაძეს ლექსში „დიანას მეჯლიში“.[5]

ალექსანდრე კი, როგორც პლ. იოსელიანი გადმოგვცემს, ბოლომდე შერჩა სამხედრო სამსახურს და გენერალ-მაიორის ჩი-

---

[1] ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, (ი. გრიშაშვილის რედაქციით), 1940, გვ. 306.

[2] იაკობ ბალახაშვილი, ლერმონტოვის ქართველი ნაცნობები, 1941, თბ., გვ. 25.

[3] ლიტერატურის მატიანე, ნომ. I-II, 1940, გვ. 392.

[4] იაკობ ბალახაშვილი, ლერმონტოვის ქართველი ნაცნობები, 1941, გვ. 25.

[5] A-1284. ჟურნ. „ცისკარი“, 1858, ნომ. 12.

ნამდე მიაღწია. იგი გრიგოლ ორბელიანთან ერთად იმყოფებოდა რუსეთის არმიაში და მასთან ძალზე დაახლოებული ყოფილა.[1] ალექსანდრესაგან მიიღო ყოფილმა წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გიორგისათვის დავით რექტორის მიერ გადაწერილი ორტომიანი ანთოლოგია (S-1512 და S-1511), რომლის ანდერძში დავითი წერს: „მისმა ბრწყინვალებამ, თავადმან გიორგი ეგნატეს ძემან თუმანოვმან და სტატსკი სოვეტნიკმან და კავალერმან მიბრძანა სხვათა და სხვათა მეშაირეთაგან თქმულისა ერთად შეკრება და აღწერა. მეცა ბრძანებისა მისისა მორჩილმან შრომით და ღვანლით შევჰკრიბე, რომელიც ვჰპოვე. და აქა ერთად შევჰკრიბე და აღვსწერე". (S-1512. ფ. 2465).

გიორგი თუმანიშვილი აქტიურად მოღვაწეობდა მისთვის გადაწერილი კრებულისათვის მასალების შერჩევაში და უშუალოდ მითითებას აძლევდა დავითს ანთოლოგიის შედგენისას.[2]

პეტრე ლარაძე ამიტომაც მიმართავდა გიორგი თუმანიშვილს: „ხარ ლექსთ მკრებარიო".

დასახელებულ ანთოლოგიის შესახებ ცნობილი ისტორიკოსი პლ. იოსელიანი „დუშეთის აღწერილობაში" წერდა: „ეს ლექსები შეკრებილია ქართული სიტყვიერების მოყვარულის, განსვენებული სტატსკი სოვეტნიკის თავადი გ. ე. თუმანიშვილის შედეგად. ეს (არის) ანთოლოგია, რომელიც დაწერილია, მეფე ერეკლე მეორის დროინდელი, თელავის სემინარიის რექტორის დავით ალექსიშვილის ხელით. ის დაწერილია დაახლოებით 1820 წელს და არსებობს მხოლოდ ერთ ცალად".[3]

ამავე ხელნაწერს გოლისხმობდა პლ. იოსელიანი თავის მე-

---

[1] პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, 1936, გვ. 264.

[2] გ. მიქაძე, მასალები დავით რექტორის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ, „ლიტერატურული ძიებანი", ტ. 13, 1961, გვ. 219-223.

[3] **Описание города Душети, Тифлисской Губернии, 1860, стр. 65-66,** შენ. 36.

ორე შრომაშიც, როდესაც გ. თუმანიშვილის შესახებ ამბობდა: „ამან შეკრიბა ერთ წიგნად ლექსნი ძველად თქმულნი და უწოდა ქართველთა მწერლობისა ამის საუნჯესა „მრავალ-ყვავილოვანი“, დღესაც აქვს შვილსა მისსა ღენერალ-მაიორსა ალექსენდრეს“.[1]

როგორც მიხეილ ხელთუბნელი გადმოგვცემს. გარდა საუცხოო მდივნობისა, თუმანიშვილები, როცა მოცლილები იყვნენ, თავისუფალ დროს კითხვასა და ლიტერატურულ საქმიანობას უთმობდნენ. ბევრი მათგანი პოეტი იყო და მწერლობა თითქმის ყოველი მათგანისათვის ღრმა სულიერ მოთხოვნილებას წარმოადგენდა.

მუდმივი ომებისა, თავდასხმებისა, აოხრებისა და სხვადასხვა ისტორიული პირობების გამო ძველი ბიბლიოთეკები დაიღუპა, მაგრამ ის, რაც გადაურჩა ჟამთა სიავეს, აშკარად გვიჩვენებს, რომ ეს გვარეულობა ნაყოფიერად თანაეზიარა ქართულ მწერლობას.[2]

ეგნატე მდივნის არქივში შემონახულია წიგნების სია მისი ბიბლიოთეკისა, რომელიც მას გაუტანია თბილისიდან აღა-მაჰმადხანის შემოსევის დროს, და, რომელიც ნაწილობრივ დაღუპულა ეგნატეს ქონების აკლებისას. ამ წიგნებში, მრავალი სასულიერო წიგნის გვერდით არსებულა ბევრი ხელნაწერი და ნებეჭდი წიგნი საერო შინაარსისა, მათ შორის, სამეცნიეროც.[3]

ეგნატე თუმანიშვილის ბიბლიოთეკაში, რომელიც შემდეგში გიორგის საკუთრება გამხდარა, დაცული ყოფილა ვახტანგ მე-6-ის „სამართლის წიგნის“ ნუსხა, რომელსაც მოეპოვება კრიპტოგრაფიული მინაწერი. კრიპტოგრამაში მოხსენებულია წიგნის

---

[1] პლ. იოსელიანი, „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, 1936, გვ. 264.

[2] მიხეილ ხელთუბნელი, „სალიტერატურო – საზოგადოებრივი წარსულიდან“, თბ., 1938, გვ. 176.

[3] მიხეილ ხელთუბნელი, „სალიტერატურო – საზოგადოებრივი წარსულიდან“, თბ., 1938, გვ. 175.

მფლობელი გიორგი თუმანიშვილი: „ესე სამართლის წიგნი თუმანიშვილი მდივნის ეგნატეს ძის გიორგისა არის".[1]

გიორგი თუმანიშვილი დიდ მზრუნველობას იჩენდა ძველი და ახალი ქართული ძეგლების შეკრება-გამრავლებაზე. მისი დავალებით ქართველი კალიგრაფების მიერ გადაწერილია არა ერთი და ორი საყურადღებო ხელნაწერი. გიორგი თითონაც ეწეოდა კალიგრაფიულ მუშაობას. 1789 წელს მას გადაუნუსხავს დავით ბატონიშვილის „გრამატიკა".[2] ხოლო 1828 წლის შემდეგ დაუწერია „ეკლესიის სამკაულთა სია" (H-469).

დავით რექტორმა გიორგის გადაუნუსხა ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვანი ძეგლები. მაგ.: „ბარამგულიჯანიანია" (S-170), თეიმურაზ მეორის „სარკე თქმულთა" (S-106), დავით გურამიშვილის „დავითიანი" (S-103), ჩვენთვის საინტერესო „ვეფხისტყაოსანი" (H-1079). ლექსთა კრებული (S-105) და სხვ.

გიორგი თუმანიშვილის მეთვალყურეობით წარმოებდა პეტრე ლარაძის კალიგრაფიული მუშაობა, ცნობილია, რომ გიორგის დაკვეთით გადაწერა პეტრემ არტანუჯული ვარიანტი „ვეფხისტყაოსნისა" (S-47-32).

როგორც ერთი ხელნაწერიდან ირკვევა, გიორგი თუმანიშვილს მოსკოვში გადასაწერად გაუგზავნია გიორგი ავალიშვილისათვის პეტრე ლარაძის „დილარიანი". გ. ავალიშვილი ამის შესახებ წერს: „წიგნი ესე დილარიანი, გამოგზავნილი ჩემდა თბილისით თავადისა გიორგი ეგნატის ძისა თუმანოვის მიერ... მივიღე ჩყლგ-ს წელსა... მოსკოვს და შევამოსინე... გ. ავალოვმან" (S-1193 თავფურცელი).

პეტრე ლარაძეს არა ერთი ლექსი მიუძღვნია გიორგი თუმა-

---

[1] გ. მიქაძე, ძველი ქართული საიდუმლო დაწერილობის უცნობი ნიმუში, „საიუბილეო კრებული კ. კეკელიძის დაბადებიდან 80 წლისთავზე", 1959, გვ. 281-284; „ახალგაზრდა კომუნისტი", 1956, ნომ. 55.

[2] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. 1, 1949, გვ. 282-283.

ნიშვილისათვის (S-155). იგი კარგად იცნობდა გიორგის პოეტურ შემოქმედებას და მოსწონდა მისი ლექსები. პეტრე ლარაძე აღნიშნავს, რომ გიორგის ლექსები მას წერის სტიმულსაც აძლევდა. იგი თავის ლექსებში ზოგჯერ „მუშაკს“ უწოდებს თავის თავს. რადგან ეს სახელი თვით გიორგის შეურჩევია თავის ლიტერატურულ ფსევდონიმად.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გიორგი თუმანიშვილის ოჯახი ახლო მეგობრულ ურთიერთობაში იმყოფებოდა ორბელიანებთან, ჭავჭავაძეებთან, ბარათაშვილებთან, მესხიშვილებთან, ავალიშვილებთან და ქალაქის სხვა მოწინავე ოჯახებთან, მწერლებთან და მწიგნობრებთან. 1824 წელს გიორგის მეუღლეს მარიამს მოუნათლავს ნიკოლოზ ბარათაშვილის უმცროსი ძმა გიორგი, რომელიც ადრე გარდაცვლილა.[1]

1819 წელს გიორგი აცილებს აღმოსავლეთში სამოგზაუროდ მიმავალ გიორგი ავალიშვილს (S-450).

ბუნებრივია, რომ გ. თუმანიშვილის გარშემო შემოკრებილ იმდროინდელ მოწინავე მწიგნობარ მწერლებს, ქართული მწერლობის ტრადიციის გვარად, ლიტერატურული პაექრობაც ექნებოდათ (S-155. ფ. 148-149).

აღსანიშნავია გ. თუმანიშვილის მოღვაწეობა მწერლობის დარგში. მისი ლირიკული ლექსები უხვადაა შეტანილი მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ხელნაწერ კრებულებში. გიორგის ბერი ლექსი თავის დროზე ხალხში სიმღერად იქცა. იგი ბესიკისა და საიათნოვას პოეტური სკოლის მიმდევარია. მის მუხამბაზებში ძირითადად გადამღერებულია ძველი მოტივები. მისი ლექსებისათვის ნიშანდობლივია ქალაქურ-აშუღური პოეზიისათვის დამახასიათებელი ეპითეტები და მეტაფორები, გამოყენებული სახეებისა და ცნებების სიუხვე, უცხო ლექსიკის გამოყენება და სხვ.

გიორგი თუმანიშვილი კარგად იცნობს ქართულ მწერლო-

---

[1] ლიტერატურის მატიანე, 1-2, 1940, გვ. 522.

ბას. მის შემოქმედებაში გამოხმაურებას პოულობს „ვისრამიანი“, თეიმურაზ პირველი და ბესიკი. ხოლო დიმიტრი თუმანიშვილისა და ალ. ჭავჭავაძის პოეზიის უშუალო ზეგავლენით თხზავს ლექსებს. მაგ. დიმიტრი თუმანიშვილის ცნობილი ლექსი „ახალ აღნაგო“ იმ დროს ძალზე გავრცელებული ყოფილა და საქვეყნოდ იმღერებოდა კიდეც.[1] ამ ზეგავლენით გიორგის შეუთხზავს „ვჰფუცავ კრონოსი დიადა“. ასევე ალ. ჭავჭავაძის ლექსი „ვაჰ, დრონი, დრონის“ ზეგავლენით გიორგის შეუთხზავს ლექსი „ჰოი, ჟამნო, ჟამნო“.

გიორგი თუმანიშვილს შეუთხზავს აკროსტიქული ლექსი, რომლის სტრიქონთა დასაწყისში იკითხება „მუშაკი თუმანოვი“.

გიორგის შეუთხზავს ზმაც, სადაც რვაჯერ გამოყვანილია „ანა“.

„ნარნარად მრხეო ზანანავ, სიტკბოებითა მანანავ,
შვენებითა ზაფრანავ, შემპყრობელად ვარდის მანავ,
გული მოჰკალ სევდიანავ, ღრუბელსა მჯდომს შესაგვანავ,
ულმობელო მაგისთანავ, შეიწყალე გულის დანავ“.

ეს ზმა გიორგის მიუძღვნია თავის დისთვის, ანა თუმანიშვილისათვის, რომელსაც 1825 წელს გადაუწერია „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი (S-1727).

გიორგი თუმანიშვილის ლექსების დასათაურება გივი მიქაძეს ეკუთვნის. მაგ.: „ამხელი თვალთა“, „ჰოი, ვითარად“, „ხმატკბილი იადონი“, ეჰა, მნათობო“, „ვარდო ამაყო“, „ულმობელო დიანავ“, „სრა არს უცხო საშვებელი“, „დავჰკარგე ფერითა მდიდრად შე-

---

[1] ეს ლექსი ითარგმნა რუსულად და ინგლისურად. მას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ა. პუშკინზე, რომელმაც ეს ფაქტი აღნიშნა თხზულებაში „მოგზაურობა არზრუმში“. დ. თუმანიშვილის ეს სიმღერა ნოტებზე გადაიტანა ზ. ფალიაშვილმა (გ. ლეონიძე, ალ. პუშკინი და ქართული სიმღერა, კრ.: ა. ს. პუშკინი საქართველოში, თბ., 1938. ტრ. რუხაძე, ძველი ქართ. ლირიკის ისტორიიდან, 1954).

მკული“, „ვჰფუცავ კრონოსი დიადა“, “ჰოი, ჟამნო, ჟამნო“, „ეშყისა ზღვასა“, „აპოლორ სვეობისა“, „დახე მაისს, ბულბულო“, „ვით შეამკო ველნი“, „ნარნარად მრხეო“, „ოთხმან ნივთმან“, „მეცა ვიყავ თქვენსავითა“, „ვარდი რა გაიაფდეს“, „წალკოტს ყვავილნი“, „ეჰა, ყოველად სატრფო“, „ვჭობ სიყვარულით“, „ჰე, ვარდო, ფერით მდიდარო“, „საბრალო არს გულმოკლული“, „ვაქებ კაცსა გონიერსა, ცრუ სოფლისა განმშორთველსა“ და სხვ.

გიორგი თუმანიშვილი თავის ლექსებს ზოგჯერ ინიციალებს აწერდა: „თ. გ. თ.“ „თავადი გიორგი თუმანიშვილი“.

დავით რექტორმა გიორგი თუმანიშვილისათვის 1828 წელს გადაწერილ „ვეფხისტყაოსანს“ (H-1079) დაურთო „საძიებელი ნიგნისა ამის „ვეფხისტყაოსნისა“, მასვე აღუნიშნავს ყოველი სათაურის თავში თავების რიცხვი. ამის შესახებ დავითი წერს: „ამ ვეფხისტყაოსანს საძიებელი, დაწყების რიცხუები, თავების ზედაწარწერა, ფურცლის ნიშნები საძიებელში მე გაუკეთე. ძველთაგან არც დაბეჭდილ ვეფხისტყაოსანსა ჰქონდა და არც ხელნაწერთა. კეთილშობილი ალექსის ძე დავით, რექტორი“.[1]

ხსენებულ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერს დავით რექტორმა შემდეგი შინაარსის ანდერძი დაურთო: „დიდება ღმერთსა, სრულ-მყოფელსა ყოვლისა კეთილსასა, სრულ იქმნა ძალითა ღვთისათა „ვეფხისტყაოსანი“ აღვჰწერე მე, კეთილშობილმან ალექსის ძემან, რექტორმან დავითმან მისის ბრწყინვალების სტატსკის სოვეტნიკის და კავალერის ეგნატის ძის თავადის გიორგის თუმანოვისათვის, თთუესა ფებრუარსა რიცხუსა კი, წელსა ჩყკგ (1823) ქორონიკონს ფია“.[2]

როგორც ცნობილია, დავით რექტორის მიერ გადაწერილ

---

[1] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S-ფონდი, ტ. III, გვ. 68. ლამარა ტატიშვილი, „ვეფხისტყაოსნის გადამწერნი“, გაზ. „სახალხო განათლება“, 1966, ნომ. 39.

[2] ს. ცაიშვილი. ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, ტ. II, 1970, გვ. 165.

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერში გიორგი თუმანიშვილს შეუტანია ცვლილებები თავისი პოეტური შესაძლებლობის მიხედვით. „გაუჩალხავს“ და ადგილ-ადგილ თავისებურადაც შეუსწორებია პოემის მთელი რიგი ცალკეული სიტყვები და რამდენიმე სტროფით განუვრცია ტრადიციული რედაქციის ტექსტიც, ვახტანგისეულ გამოცემაში შემჩნეული ხარვეზების შესავსებად.[1] ამასთან გიორგის შეუთხზავს და „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერში ჩაურთავს 11 სტროფი, რომელშიც მოთხრობილია ტარიელის ინდოეთში დაბრუნების ეპიზოდი. პოემის სხვადასხვა ადგილას ჩაურთავს აგრეთვე ხუთი სტროფი.[2]

გ. თუმანიშვილის ნასწორები და გავრცობილი ტექსტი შემდეგ, 1827 წელს გიორგისავე დაკვეთით გადაწერა პოეტმა და კალიგრაფმა პეტრე ლარაძემ (S-4782), რომელმაც დაურთო ცნობილი ანდერძი. მოგონილი ცნობით, თითქოს გ. თუმანიშვილმა არტანუჯში აღმოაჩინა „ვეფხისტყაოსნის“ უცნობი ხელნაწერი და იქიდან გადმოწერა მან ხსენებული ხელნაწერი.[3]

სამეცნიერო ლიტერატურაში პეტრე ლარაძის მიერ გადაწე-

---

[1] ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, 1969, გვ. 302-303. ა. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 3, თბ., 1952. ლ. ტატიშვილი, ვეფხისტყაოსნის გადამწერნი, გაზ. „სახალხო განათლება“, 1966, ნომ. 39.

[2] ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, 1969, გვ. 302-303. ა. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 3, თბ., 1952. ლ. ტატიშვილი, ვეფხისტყაოსნის გადამწერნი, გაზ. „სახალხო განათლება“, 1966, ნომ. 39. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, 1970, გვ. 165.

[3] ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, 1969, გვ. 302-303. ა. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 3, თბ., 1952. ლ. ტატიშვილი, ვეფხისტყაოსნის გადამწერნი, გაზ. „სახალხო განათლება“, 1966, ნომ. 39. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, 1970, გვ. 165.

რილი (S-4782) ნუსხიდან მომდინარე ხელნაწერებს ე. წ. არტანუჯული რედაქციის ნუსხებს უწოდებენ.[1]

ამრიგად, „ვეფხისტყაოსნის“ „არტანუჯული ვარიანტის“ შექმნა, როგორც უკვე გარკვეულია, მიეწერება გიორგი თუმანიშვილს.[2]

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი (S-1079) შემოწირულია ანა ალექსანდრეს ასულ ამილახვრისაგან.[3]

ანა ამილახვარი ეგნატე თუმანიშვილის ასულის ანა თუმანიშვილ-ამილახვრის ვაჟის ალექსანდრეს ქალიშვილია. როგორც ირკვევა, ანა დიდი ბებია-ანას მოსახელეა. გიორგი თუმანიშვილი კი ანას მამის ალექსანდრე ამილახვრის ბიძაა (დედის მხრივ). გიორგი თუმანიშვილისეული „ვეფხისტყაოსანი“ (H-1079), როგორც ჩანს, ეგნატემ მზითევში გაატანა თავის შვილს ანას. ეს ხელნაწერი ამ გზით მოხვდა ალექსანდრეს ოჯახში. შემდეგ ალექსანდრემ ხსენებული ნუსხა მზითევში გაატანა თავის ასულს ანას.

---

[1] ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, 1969, გვ. 302-303. ა. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 3, თბ., 1952. ლ. ტატიშვილი, ვეფხისტყაოსნის გადამწერნი, გაზ. „სახალხო განათლება“, 1966, ნომ. 39. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, 1970, გვ. 165.

[2] ს. ცაიშვილი ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, 1970, გვ. 165.

[3] ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, 1970, გვ. 165.

ანა თუმანიშვილი-ამილახვარი

სიძველეთა საცავებში დაცულ ხელნაწერებსა და ძველ წიგნებზე მინაწერებიდან ვეცნობით ზოგიერთ იმ მადლიან ქართველ ქალთა სახელებს, რომელნიც დარაჯად უდგნენ საქართველოს სულიერი კულტურის განძეულს.

ქართველი ქალები სამშობლოს მამულიშვილებსაც უზრდიდნენ და ამავე დროს დიდ საერო საქმესაც აკეთებდნენ – წერდნენ და გადაწერას აწარმოებდნენ.

უნდა აღინიშნოს ქართველი მწიგნობარი ქალის ანა თუმანიშვილ-ამილახვრის ღვაწლი, რომელსაც მრავალი ლიტერატურული ძეგლი გადაუნუსხავს.

ანა თუმანიშვილი დაბადებულა 1788 წლის 24 მარტს, ერეკლე მეორის სამეფო მდივან-მწიგნობრის ეგნატე ბაინდურის ძე თუმანიშვილის ოჯახში.

ეგნატეს შვილები, ცნობილი პოეტები, გიორგი და დავით თუმანიშვილები ქართული ლიტერატურის ისტორიაში საკმაოდ ცნობილი პირები არიან.

ეგნატე დახელოვნებული კალიგრაფი ყოფილა. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ ოთხთავს (H-395), რომელიც ეგნატეს მიერ არის გადაწერილი, შემდეგ მინაწერი ახლავს: „ეგნატე ბაინდურის ძე ემსახურებოდა ორთა საქართველოს მეფეთა, ესე იგი, ირაკლი მეორეს და გიორგის, მდივნობის ხარისხითა, და შემდგომად მათისა იმპერატორების დიდებულების ალექსანდრე პავლეს ძისაგან მიენიჭა ჩინი კოლეჟსკის სოვეტნიკობისა პენციით ვიდრე საომცდა ათი თუმანი ვერცხლის ფული“.

ეგნატეს გარდაცვალების შემდეგ ეს მინაწერი გაუკეთებია მის ძეს დავითს. ეგნატეს ვაჟს იესესაც. ეტყობა, ტრადიციული

სკოლა ჰქონია გავლილი. იესეს გადაუწერია ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული (H-400) „დელაპორტის მოგზაურობა“ ქართულად ნათარგმნი „ტფილისის კეთილშობილის სასწავლებლის მოძღვრის პროტოერის იოანე ქართველოვის მიერ“ და გადანერილი „გორის უეზდის თავადის, მისის იმპერატორის დიდებულების ხელმწიფის არმიის პორუშჩიკის იესე თუმანოვის მიერ 1812 წელს, აგრეთვე „ქილილა და დამანა“ (H-387) და სხვ.

ანა ეგნატეს ასულ თუმანიშვილს გადანუსხული აქვს ქართული ლიტერატურის არა ერთი ძეგლი. მაგ.: „ყარამანიანი“, (S-2391), „ვისრამიანი“ (S--1727), „ვეფხისტყაოსანი“ (S-1727), „მირიანი“ (H-459), აგრეთვე პროზაული „ბარამიანი“ (S-1746).

ანა თუმანიშვილი გათხოვილა ავთანდილ ამილახვარზე, რომლისგანაც შესძენია ორი შვილი: ალექსანდრე (დაბ. 1805 წ.) და ნინო (დაბ. 1806 წ. S-395).

ნინო ამილახვარი დაქორწინებულა დრამატურგ დავით ერისთავზე, რომლის ოჯახი წარმოადგენდა მწიგნობრობის დიდ კერას. გიორგი ერისთავი – მამა დავით ერისთავისა, გამოჩენილი დრამატურგი, პირველი ქართველი კომედიოგრაფი და საზოგადო მოღვაწე იყო.

დავითსა და ნინოს შესძენიათ სამი შვილი: ცნობილი ქართველი პოეტი რაფიელ ერისთავი, „ცისკრელი“ პოეტი ქალი ბარბარე, რომელიც ქართულ ლიტერატურაში ცნობილია თავისი ქმრის – ზაქარია ჯორჯაძის გვარით და ანა. გათხოვილი ჭავჭავაძეზე.[1]

ანა ეგნატეს ასულ თუმანიშვილ-ამილახვარს 1825 წელს გადაუწერია „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი (S-1727), დაცული ხელნაწერთა ინსტიტუტში.[2]

---

[1] გ. მიქაძე, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები, 4, 1973, გვ. 43.

[2] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S-ფონდი (1727), ტ. 3, 1963, გვ. 153-154.

ხსენებული „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი ჩასმულია მუყაოს ყდაში, ყოველი ცალკე თავი შემკულია თავკაზმულობით, სათაურები კი სინგურით. აქვს ფერადი ორნამენტული თავსამკაულები. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდში შემოსულია რაფიელ ერისთავის ნიგნებიდან.

ხსენებულ პოემას ახლავს გადამწერის ანდერძი: „დასრულდა ჩყკე (1825 წ. 25 ოქტომბერი) აღვწერე მე, თავადის ავთანდილ ამილახროვის კნეინა ანნამ ეს ვეფხისტყაოსანი ძისა ჩემის თ ა ალექსანდრესათვის. ანნა“.[1]

ანა ამილახვრის მიერ გადანუსხულ „ვეფხისტყაოსანზე“ მიწერილია აკროსტიქული ლექსები. ერთ მათგანში გამოყვანილია ორი სახელი: „დავით და ანა“, მეორე აკროსტიქში – „ვეფხისტყაოსანი“. ხსენებული აკროსტიქული ლექსები პოეტ დავით თუმანიშვილს თავის დისთვის მიუძღვნია:

„დაწერილ ესე შენ მიერ
ამად რომელ მდედრმან ესე
ვითარ წარწერე და დაშვერ,
ითქვასცა ქება სხვათაგან.
აღმოჩნდა ამაო ქმნილებად,
ნაღვაწ შენნი შენდა ხსენებად,
ნათქვი მზეთა მათ საქებად,
ავად არსადა ხსენებად.
ვიქმენ მიმღებელ შენ მიერ
ეგრეთვე მასთან ეპისტოლის,
ფრიად ვჰყავ გულს მოდგინება,
ხის ყდითა ნემცურ სამოგვით
ტკბილ წიგნის ამის სრულებით,
ყოვლად ათშვიდ რვეულებით,

---

[1] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S-ფონდი (1727), ტ. 3, 1963, გვ. 153-154.

არ ყვნა ნაკაზმულობით.
ორფერ არ იასპულობით.
შეკრული მიიღე შენი ძმის დავით თუმანოვისაგან.[1]

იმავე გვერდის აშიაზე სხვა ხელიდან მიწერილი აქვს:

„ამ შენს ნაღვაწსა მდუმარედ დავმზერი სევდით აღსილი,
ალერსით ვჰკოცნი ცრემლფრქვევით, სად გიწერია სახელი,
რად არ მეღირსა უბედურს გამეცან მშობლის მშობელი!
ასულმაც დედას მოგბაძა, წვრილნი გვყო დაობლებული“[2]

კ. ბარბარე (ჯორჯაძისა).

ამ ლექსის ავტორი ბარბარე ჯორჯაძეა (ბარბარეს ბებია „მშობლის მშობელი“). ბარბარეს დედა ადრე გარდაცვლია და თორეტი წლის გოგონა გაუთხოვებიათ. ეს ლექსი ბარბარეს გათხოვების შემდეგ დაუწერია, რადგან თავის თავს „კნეინად“ იხსენიებს.[3]

ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ „ანთოლოგიას“ პეტრე ლარაძის ხელით მიწერილი აქვს ლექსი. მიძღვნილი ანა თუმანიშვილისადმი.

ან ამან მომკლა
„ანამან მომკლა ანა მან სურვილთა (?) მომიტანა მან,
კოკობი ვარდი ნარგიზმა აპკურა ცეცხლი ანა მან“[4]

ლექსში ზმურად გამოყვანილია სახელი ანა.

ანა თვითონაც წერდა ლექსებს. მის მიერ გადაწერილ ხელნაწერებს დართული აქვს ლექსები. ანა დაუფლებული ყოფილა

---

[1] S-1727. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. III, 1963, გვ. 153-154.

[2] S-1727. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. III, 1963, გვ. 153-154.
გ. მიქაძე, დავით თუმანიშვილი, ლიტერატურული ძიებანი, IV, 1962, გვ. 196.

[3] ე. ირემაძე, ლიტერატურული მედალიონები, 1946, გვ. 46. გ. მიქაძე, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები, IV, 1978, გვ. 44.

[4] S-5131, 105, 1512.

საიდუმლო დამწერლობას. გავეცნოთ „ბარამიანის“ ხელნაწერზე მიწერილ კრიპტოგრამას, რომელიც გაშიფრა გ. მიქაძემ და შედგება ექვსი სტრიქონისაგან: „ესე ბარამიანი დავწერე მე კოლეჟსკის სოვეტნიკის მდივნის ეგნატის ასულმა ანანამ“.[1]

„ჩემო უსაყვარლესო და ულხენისა გულის / ჩემის ლხენავ და სულსა შინა ჩემსა / ოქროს მელნით აღბეჭდილო“.

„ყარამანიანის“ ხელნაწერზე მიწერილი კრიპტოგრამა კი ასე გაშიფრა გ. მიქაძემ:

თუმცა არა ვარ საფერი შენისა ტრფიალებისა,
მონად მიყოლე ნაფრდვილად, მდიდრობაზედან კლებასა,
მომიტკბი, რაც რამ გაწყინე, მემწე, რაც მომეკლებისა,
ნუ მიმცემ მტერთა საყვედრად, მყავ ღირსი ახლოს ხლებასა.[2]

ეს ლექსი ვახტანგ მეექვსის ეპიტაფიიდან არის ამოღებული.

ახლა გავეცნოთ „მირნის“ ტექსტზე დართულ ლექს-ანდერძს:

„ვითავე და აღვწერე ესე წიგნი მირისა,
წასაკითხად საამო ყოვლის კაცის პირისა,
ამბავი განმარტებით ლხინისა და ჭირისა.
ყოველნი წამკითხველნო შეგაქციოთ ამანა,
დღეგრძელობა მიბრძანეთ, მოგახსენებთ ანანა,
თქვენცა მოგცეთ სიცოცხლე მაცხოვარმა მამამა,
თუ რამ შეცდომა ნახოთ ამ წიგნისა თავზედა,
მოხუცობაში გახლდით, სათვალე მქონდა თვალზედა“.[3]

1825 წელს ანა თუმანიშვილმა თავის მიერ გადაწერილ „ვისრამიანს“ შემდეგი ლექსი დაურთო:

---

[1] გ. მიქაძე, ბარამიანის გადამწერის ვინაობისათვის, „ლიტერატურული გაზეთი“, 1966, ნომ. 25.

[2] გ. მიქაძე, საქართველოს პოეტი ქალები, ძველი ქართული მწერლობის და რუსთველოლოგიის საკითხები, IV, 1978, გვ. 47.

[3] H-459. საქ. სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, 1946, გვ. 337.

„მე ვარ უმოყვრო მოყვარე, ჭირთაგან მოყვარიანად,
ვერ დამეთვალნეს სევდანი, ვერ ამიღია სიალნად,
მოკრბით ყოველნო ტრფიალნო, ბაგე ლაღ-მინასათისად
კაეშანთ რაზმი იტვირთეთ თქვენ, მზისა მოკამათისად,
სული შესწირეთ, ვინადგან დაგამხობსთ შორს-ქმნა მათისად, და
გული უძღვენით, გასჭვრიტეთ, რა გეგზნათ ცეცხლთა მათისად".[1]

არსებობს მოსაზრება, რომ ეს ლექსი უნდა ეკუთვნოდეს თხზულების გადამწერს ანა თუმანიშვილ-ამილახვარს.[2]

---

[1] S-1728.

გ. მიქაძე, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, ძველი ქართული მწერლობის და რუსთველოლოგიის საკითხები, IV, 1978, გვ. 44.

[2] S-1728.

გ. მიქაძე, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები, IV, 1978, გვ

პეტრე ტაბლიაშვილი

არაერთხელ თქმულა და დაწერილა „ვეფხისტყაოსნის“ მტრული, კლერიკალური რეაქციის გამოლაშქრებაზე.

ზოგიერთი მკვლევარი კლერიკალურ წრედ მხოლოდ სამღვდელოებას მიიჩნევდა და ავიწყდებოდა, რომ სასულიერო წოდებიდანაც იყვნენ ისეთნი, რომელნიც ეთაყვანებოდნენ რუსთაველის პოემას და მის გადანუსხვას ანარმოებდნენ. ერთ-ერთი მათგანი პეტრე ტაბლიაშვილი იყო.

პეტერ ტაბლიაშვილი (ტაბლიანიძე, ტაბლიევი) ნაყოფიერი კალიგრაფი ყოფილა. მას მრავალი სასულიერო და საერო ხასიათის ხელნაწერი გადაუნუსხავს.[1] 1816 წელს პეტრეს გადაუწერია მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანი“, რომლის ანდერძშიც ვკითხულობთ: „აღიწერა და გასრულდა ამირანდარეჯანიანი ქება ხელითა უღირსის მღუდლის პეტრესითა თუესა აგვისტოსა ი (10) სა ჩყივ (1816)“.[2]

1825 წელს პეტრეს გადაუწერია სასულიერო ხასიათის კრებული.

პირველ თხზულებას „სვინდისის ლოცვა ექუსნაწილედისას“ შემდეგი სახის ანდერძი აქვს დართული: ა. „დასასრული ექუსნაწილედისა სვინდისის ლოცვისა. დიდება ღმერთსა სრულმყოფელსა ყოვლისა კეთილისასა. სრულ იქმნა ძალითა ღმრთისათა წელსა ჩღთ-ს. ნოემბრის იზ-ს რიცხვსა.

აღწერილ არს პეტრე ტაბლიევისაგან ჩყკე.“

---

[1] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A-ფონდის ხელნაწერი ნომ. 1776.

[2] ამავე ინსტიტუტის H-ფონდის ხელნაწერი ნომ. 14.

ბ. „სათნო და საყუარელი, ღმრთივ წერილ ესე აღვსწერე მე, გლახაკმან პეტრე ტაბლიევმან, მოსახსენებლად ჩემ უღირსებისა აღმომკითხუელისაგან“.

გ. „მოიხსენიე, უფალო, აღმწერელისა ამის წიგნისა მშობელნი მოსე და თამარ და მეცა ცოდვილი მაცხოვნე“.

დ. „ღმრთის მოყვარენო ერნო, აღმომკითხუელნო ამის წიგნისანო, გვედრი ყოველთა, ევედრენით ქრისტესა ცოდვილისა და უღირსისა მონისა მისისა პეტრესთვის, წელსა ჩყკე, აგვისტოს იგ-ს“.[1]

ხოლო მეორეს, მზეჭაბუკ ჯამბაკურ-ორბელიანის „განმარტება მამაო ჩვენოს“ ასეთი შინაარსის ანდერძი ახლავს: „დასასრული მამაო ჩუენოს განმარტება (!) სალოცავსა. თქმულ არს მზეჭაბუკ ჯაბაკურიანისაგან აგვისტოს 10, წელსა ქრისტესით ჩღიზ (1767), ხოლო ქართულსა ქორონიკონსა უნე.

ვიწყე წელსა ჩყკე-ს (1825) და თუესა აგვისტოს ია-ს (11) და შევასრულე მასვე აგვისტოს იდ-სა (14), გლახაკმან ტაბლიასშვილმა პეტრემ მოსეს ძემ. ამინ.[2]

1825 წელს პეტრეს გადაუნუსხავს „ვეფხისტყაოსანი“, რომლის მინაწერშიც ვკითხულობთ: „გადაწერილია პეტრე მოსეს ძის ტაბლიაშვილისაგან, რომელიც გადაწერა 1825 წ.“[3]

1830 წელს პეტრე ტაბლიაშვილს მზეჭაბუკ ჯამბაკურ-ორბელიანის „დასასრული მამაო ჩუენო“ გადაუნუსხავს. ანდერძში ვკითხულობთ: „დასასრული მამაო ჩუენო“ განმარტებით ლოცვისა. თქმულ არს მზეჭაბუკ ჯამბაკურიანისაგან აგვისტოს 10 წელსა ქრისტესით 1767. ხოლო ქართულსა ქორნიკონსა, უნე. ხოლო აღწერილ არს გლახაკის პეტრე ტაბლიევისაგან თუესა

---

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტის A-ფონდის ხელნაწერი ნომ. 1776.

[2] ხელნაწერთა ინსტიტუტის A-ფონდის ხელნაწერი ნომ. 1776.

[3] H-2686. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1967, გვ. 65. ექვთიმე თაყაიშვილი, „Описание“, ტ. II, 1908, გვ. 557.

თებერვალსა რიცხუსა 5, წელსა ქრისტესით 1830 – ქორონიკონს ფიჰ".[1]

მე-19 საუკუნის ოცდაათიან წლებშივე პ. ტაბლიაშვილს გადაუნუსხავს შოთა რუსთაველის პოემის ე. წ. „არტანუჯული" ნუსხა, რომლის ჭვირნიშანი 1831 წელს უჩვენებს. გავეცნოთ გადამწერის ანდერძს: „სრულ იქმნა, დიდება ღმერთსა, ყოველთა კეთილთა მიზეზსა დამბადსა, თუმც იყვნეს წიგნნი ვეფხისტყაოსნობით ხმობილნი საქართუელოსა შინა ბეჭდილნი და ხელნერილნიცა. გარნა ფრიად განრყუნილნი და არად სახმარნი, იმისთვის მისცემოდა გულსმოდგნება თავადსა სტატსკი სოვეტნიკს და კავალერს თუმანოვს გიორგი ეგნატის ძეს და მოეპოვა უძუელესი ხელნაწერი ვეფხისტყაოსანი, კერძოთა არტანუჯისათა და ესე მე პეტრე ყარიბმან ლარაძემ მრავლითა შრომითა და ღვაწლის დადებით აღეწერა (!) მშუენიერის ხელით და ადვილ-საკითხავთ. ხოლო მე ესე კნიაზ მამუკა ორბელიანის სამრავალჟამიეროდ და ბედნიერებასა შინა მოსახმარებლად აღვნერე ფრიად უღირსმან პეტრე დიაჩოქმან ტაბლიაშვილმან, მოსეს ძემ".[2]

მოტანილი ანდერძიდან ჩანს, რომ პეტრე ტაბლიაშვილს „ვეფხისტყაოსნის" ეს ნუსხა მამუკა ორბელიანის დაკვეთით გადაუწერია.

მამუკა (მაკარ) თომას ძე ორბელიანს (1800-1871) კავკასიური ბრძოლების სახელგანთქმულ გმირს, მწერლობის დიდ მოყვარულს, ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა იმ დროის გამოჩენილ ქართველ მწერლებთან, ალექსანდრე ჭავჭავაძესთან, გრიგოლ ორბელიანთან, ნიკოლოზ ბარათაშვილთან, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანებთან, გიორგი ერისთავთან და სხვებთან.

მამუკა გატაცებული ყოფილა პოეზიით და თვითონაც წე-

---

[1] H-1228.

[2] S-1586. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ტ. II, 1963, გვ. 44-45. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1967, გვ. 65.

რდა ლექსებს.

საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტის H-ფონდის ხელნაწერ 101-ში მოთავსებულია მამუკას ორი ლექსი. 1 „მომიგონებენ ჩემს გვრიტს სიცოცხლეს“ და 2 „ნუ შმაგობ ფიქრო, ცეცხლებრ აღგზებულ“.

მეორე ლექსი გვხვდება იმავე ინსტიტუტის ერთ კრებულში (Q-ფონდის ნომ. 27). მამუკას ლექსი „აღარა ვხედავ წარსულ დროებას“. გამოქვეყნებულია ჟურნალ „ცისკრის“ 1862 წლის მეცხრე ნომერში.

ელისაბედ ორბელიანი გადმოგვცემს: „მამუკას უყვარდა ლექსები, საერთოდ პოეზია, მოსწონდა პუშკინი და ხშირად მღეროდა მის პოემას („**Братья Разбойники**“).[1]

მამუკა ორბელიანი ჯერ პორუჩიკი და მერე როტმისტრი იყო ლეიბგვარდიის ჰუსართა პოლკისა. მამუკა მონაწილეობდა 1832 წლის შეთქმულებაში, რის გამომჟღავნების შემდეგ ჩარიცხეს კავკასიის ხაზზე კაზახთა პოლკში.

1836 წლის იანვარში მამუკა შვებულებით თბილისში ჩამოდის. ამავე წლის 26 იანვარს დავით ყორღანაშვილი თბილისიდან ატყობინებდა გრიგოლ ორბელიანს: „მამუკა ორბელიანი აქ არის ოტპუსკად, მაგრამ ოტპუსკი ჭკვაში არ მომდის. მისი საქმე სრულებით გადმოსვლა უნდა იყოს, რომ გული დაბინავდეს თავის ალაგასა“.[2]

მამუკა შვებულებაში ოთხ თვემდე იმყოფებოდა და მერე ოჯახით გამგზავრებულა საბრძოლო ხაზზე. იგი ამ დროს უკვე პოლკოვნიკი ყოფილა. 1836 წლის 15 ივლისს ზაქარია ორბელიანი თბილისიდან წერდა თავის ძმას გრიგოლს: „**Мамука с месяц тому назад уехал от сюда, с семейством на линию и пробыв здесь около 4-х месяцев в отпуску. Он полко-**

---

[1] ლიტერატურის მატიანე, 1970 წ. 1-2 გვ. 433.

[2] საქ. ცენტრალური არქივი, საქმე ნომერი 176.

вник командир Хоперского Корочаевое полка имеет Анну 2 степени".[1]

იმავე ხანებში მამუკა ბრძოლაში დაჭრილა. 1836 წლის 15 ოქტომბერს ზაქარია ორბელიანი თბილისიდან გრიგოლ ორბელიანს აცნობებდა: „მამუკა ლინიაზედ ძალიან დაუჭრიათ, მძიმედ არისო".[2]

1837 წელს, როცა თბილისში პუშკინის მოკვლის ამბავი მოვიდა, მამუკა ორბელიანს გამოუთქვამს სურვილი შურისაძიებლად პუშკინის მკვლელ დანტესთან ორთაბრძოლაში გასულიყო.[3]

მამუკა ორბელიანი განჯის მაზრის უფროსთან იმყოფებოდა, როცა 1845 წლის 9 ივლისს მის მოადგილედ გენიალური ქართველი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი დაინიშნა.

მამუკა ორბელიანმა გენერალ-მაიორის ხარისხამდე მიაღწია. როგორც პეტრე ტაბლიაშვილის მიერ გადანუსხულ „ვეფხისტყაოსნის" მინაწერიდან შევიტყვეთ, ხელნაწერი მამუკა ორბელიანისთვის ყოფილა გადაწერილი.

„ვეფხისტყაოსნის" ხსენებულ ხელნაწერს ზემო ყდის საცავ ფურცელზე ანერია: „ეს ვეფხისტყაოსანი ეკუთვნის კნეინა ქეთევან გიორგი ერისთავის ასულს ჯამბაკურიან-ორბელიანისას".[4]

აქ მოხსენიებული ქეთევან გიორგი ერისთავის ასული (1806-1897) მეუღლე იყო მამუკა ორბელიანისა.

ქეთევან ერისთავ-ორბელიანისას დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული მუდმივი თეატრის შექმნის საქმეში.

გ. ერისთავის კომედია „გაყრას" პირველი წარმოდგენის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ქეთევან ორბელიანი იყო.

---

[1] საქ. ცენტრალური არქივი, საქმე ნომერი 176.

[2] საქ. ცენტრალური არქივი, საქმე ნომერი 176.

[3] ვ. შადური, რუსი მწერლები საქართველოს შესახებ, 1949, ტ. I, გვ. 138.

[4] ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდის ხელნაწერი – 1586.

ბელეტრისტი გიორგი წერეთელი წერდა: რომელ ერთისთვის უნდა გაეძლო გ. ერისთავს. ბატონიშვილის მარიამის ტუქსვისა, პლატონ იოსელიანის ხეპრობისა, რევაზ ერისთავის ხრიკებისა თუ ჭილაშვილის ქართულ-რუსულის გამოთქმისათვის.

მართლაც, რომ გ. ერისთავი საქმეს თავს ვერ მოაბამდა, გონებაგანათლებული და ჭკუადამჯდარი ქეთევან ორბელიანისა, დიდი გიორგი ერისთავის ასული რომ არ გასჩენოდა მფარველად. ქეთევანმა მტკიცე ხასიათი გამოიჩინა. ის არ შეუშინდა არც რევაზ ერისთავის ხრიკებს, არც ბატონიშვილის მუქარას, თანაუგრძნობდა თავის ნათესავის ნიჭს და მომავალში ქართული თეატრის დაარსების იმედს არ კარგავდა. აი ამ ქალმა მიიმხრო სხვა წარჩინებული გვარის ქალებიც, კერძოდ, ბაბალე ანდრეევსკისა, ან ოგდობჟიოსი, ან. გაგარინისა".[1]

რეპეტიციების მოსაწყობად ქეთევან ორბელიანს თავისი ბინა დაუთმია სცენის მოყვარულთათვის და თვითონაც „გაყრაში", რომელიც თბილისის გიმნაზიის სცენაზე პირველად დაიდგა 1850 წლის 2 იანვარს, თათელას როლი შეუსრულებია.

1850 წლის 14 იანვარს, ილია ორბელიანი ქეთევანის მიერ შესრულებული როლის შესახებ თბილისიდან წერდა თავის უფროს ძმას გრიგოლ ორბელიანს: „ქართულ თეატრში ითამაშეს გიორგი ერისთავის შეთხზული „გაყრა" ჩინებულად, მართლად საუცხოოდ. ბილეთების შოვნაში თავის მტვრევა იყო; მამუკას ცოლმა ისე ითამაშა, რომ უმაღლეს აკტრისას არ შეეძლო. იმის როლი იყო სომხის დედაკაცის, თათელასი".[2]

ხსენებულ „ვეფხისტყაოსნის" ნუსხაზე ზემოყდის საცავ ფურცელზე წერია: „წელსა 1880, ქ. თბილისი კნეინა ალექსანდრა

---

[1] ჟურნალი „კვალი", 1893 წ. ნომერი 2. ლ. ტატიშვილი, გრ. ორბელიანის პირადი წერილები, გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1966, ნომ. 25.

[2] ლ. ტატიშვილი, გრიგოლ ორბელიანის პირადი წერილები, გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1966 წ. ნომ. 25.

მელიქოვისას".[1]

ასეთია ზოგიერთი ცნობა „ვეფხისტყაოსნის" (S-2686) დამკვეთისა და მის მფობელთა შესახებ.

ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია 1833 წლის 17 მარტს გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი" (H-1205). მასზე დართული მინაწერის მიხედვით, პოემა გადაუნუსხავს აზნაურ სოლომონ ბლაღოჩინის ძე ილ. ნასიძეს.

„ვეფხისტყაოსნის" (H-1205) შესწავლამ მკვლევარი გივი მიქაძე იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ეს პოემა ორი პირის მიერ არის გადაწერილი, ერთი მათგანი პეტრე ტაბლიაშვილია.[2]

„ვეფხისტყაოსნის" ამ ნუსხის გარდა სოლომონ ნასიძეს სხვა ხელნაწერებიც ჰქონია გადაწერილი.

მე-19 საუკუნის დამდეგს მას გადაუწერია ლექსად დაწერილი „წმინდა მარინას ცხოვრება".

ხელნაწერი ვინმე ნინოს შეკვეთითაა გადანუსხული. შემკვეთის ანდერძში ვკითხულობთ: „იესო ჩუენთვს ჯუარს გებულო, მარინა ქალწულმონამისა მეოხებით მეოხ მყავ მხევალსა შენსა ნინას".[3]

„მარინას წამების" გადამნუსხველი ლექსად დაწერილ ანდერძში ამბობს:

„ნეტარ ხარ წმინდავ მარინავ,
ტკბილად გიბრძანებს უფალი,
თავსა დაგადგა გვირგვინი.
შეგამკო ვით დედოფალი.
ედემი მოგცა სამყოფად,
სამოთხე დამშვენებული.

---

[1] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S-ფონდი. ტ. III, ხელნაწერი ნ 1586. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, ტ. 2, 1970, გვ. 156.

[2] H-1948.

[3] გ. მიქაძე, ვეფხისტყაოსნის კრიპტოგრამები, შოთა რუსთაველი, 1966, გვ. 363-364.

მეცა მაცხოვნე სოლომონ
მწერალი თავისუფალი.
ოი, წმინდაო, მოწამეო
დიდებულო, საშინელო
ვეშაპი მოჰკალ რომელმან
ლომბრიოზ მძლეთა მძლეო.
სატანაცა შენ აღხოცე,
ჩაახეთქე ჩაღმა ქვეო
მეოხ ეყავ მას ნინასა
მის სახელზე აღვწერეო.
ვისაც ხელთ იყოს ეს წიგნი
მას მიეც ედემს ნათელი,
ქმარი და შვილი უცოცხლე,
რაც ედგას თვალთა ნათელი.
მას მოარიდე მავნენი და
ეშმაკობასა საფრთხენი,
თავი და ქმარი უცოცხლე,
რაც იქმნას მათგან ნაშენი".[1]

სოლომონ ნასიძესვე გადაუნუსხავს „ესოპეს ცხოვრება"[2] და სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონი".[3]

დავუბრუნდეთ პეტრე ტაბლიაშვილის მიერ გადაწერილ თხზულებებს.

1840 წელს პეტრე ტაბლიაშვილს გადაუწერია კრებული, რომლის მინაწერიდანაც ვგებულობთ: „აღიწერა ჩყმ (1840) წელსა, ივნისის ივ (16), მღუდელი პეტრე".[4]

1858 წელს პ. ტაბლიაშვილის მიერ გადაწერილ ამბროსი მე-

---

[1] H-1948.

[2] A-1299.

[3] H-786.

[4] H-1764.

დიოდანელის თხზულებების კრებულს გადამწერის სამი ანდერძი ახლავს. პირველ თხზულებას ერთვის: 1. პირისპირ არხიმანდრიტის გაიოსის დაწერილიდამ გადმოვსწერე მე, უღირსმან მარტყოფის სობოროს მღუდელმან პეტრე ტაბლიაშვილმან, საოხად სულისა ჩემისა, 1853, თებერ.“[1]

მეორე თხზულებას ერთვის: 2. „გადმოვსწერე ჩყნგ წელსა. თებერვლის 18-დღესა. მარტყოფის მაცხოვრის სობოროს მღუდელი პეტრე ტაბლიანიძე“.[2]

მესამე თხზულებას ერთვის: 3. „თვით გაიოსის ნათარგმნიდან გადმოვსწერე 1853 წელსა. თებერვლის 24 დღესა მღუდელმა პეტრე ტაბლიანიძემა“.[3]

1853 წელს 16 მარტს პ. ტაბლიაშვილს ჰომილეტიკური კრებული გადაუწერია.[4]

ღრმა მოხუცობაში მყოფი პეტრე ტაბლიაშვილი კვლავ განაგრძობდა კალიგრაფიულ საქმიანობს.

1875 წლის პირველ ივლისს ხანდაზმული, მხედველობადაკლებული და ჯანმრთელობაშერყეული პეტრე ტაბლიაშვილი „სწავლანი წმიდისა და დიდისა ორმოცისანის“ გადანუსხვას შესდგომია. ხელნაწერის ანდერძში ვკითხულობთ: „ჩყოე (1875) წელსა, ივლისის ა (1), მე, უღირსმან მღუდელმან პეტრე მოსეს ძე ტაბლიევმან, ვიწყე წერად სიყუარულისათვის კეთილისა ამის სწავლისა, გარნა ვიყავი მოხუცი შობითგან ოგ 73 წლის, ხოლო მღუდლობაში სრულის ორმოცის წლისა, და მაკლდა თვალით მხედველობა და აღარცა მქონდა მაჯაში სიმაგრე. ღმერთო, დამასრულებინე, შენს მადლს, ამინ“.[5]

---

[1] H-3112.

[2] H-3112.

[3] H-3112.

[4] H-3113.

[5] Q-247.

პეტრე ტაბლიაშვილს გადაუწერია „კონდაკი“, (S-1331), „ანდრია სალოსის ცხოვრება“ (საქ. ცენტ. საისტ. არქივს ხელნაწერი ნ. 124), „კრებული“ (H-1013), „სახარება“ იოანესი თავი პირველი (H-1059), „პარაკლისი“ (საქ. ცენტ. საისტ. არქივის ხელნაწერი ნომ. 1451). A-ფონდის ხელნაწერი ნომ. 471, ბიბლია (ძველი აღთქმის წიგნები) გადაწერილია 1851 წელს სამი გადამწერის მიერ. ერთ-ერთი მათგანი პეტრე ტაბლიაშვილია. ანდერძში ვკითხულობთ: „მოიხსენიე, ღმერთო, აღმწერელი ამისი მღუდელი პეტრე ტაბლიევი“ (ნუსხურად).[1]

პეტრე ტაბლიაშვილს, ალბათ, კიდევ ექნებოდა სხვა ხელნაწერებიც გადანუსხული, მაგრამ მათ ჩვენამდე არ მოუღწევია, ან ჯერ კიდევ გამოვლინებული არ არის.

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, – ფონდი, ტ. II, 1986, გვ. 197.

პეტრე ლარაძე

გარდამავალი ხანის პოეტთა რიცხვს განეკუთვნება ცნობილი საზოგადო მოღვაწე, კალიგრაფი, პოეტი და პროზაიკოსი პეტრე გიორგის ძე ლარაძე.

პეტრე ლარაძე დაიბადა 1770 წელს. იგი ადრე დაახლოებია ირაკლისა და გიორგი მე-13-ის სამეფო კარს.

პეტრე ლარაძე გამგე ყოფილა თბილისში არსებული სამეფო წიგნსაცავისა, რომელიც 1795 წელს აღა-მაჰმადხანის მიერ თბილისის აოხრების დროს დაიწვა.

პეტრე ლარაძე კარგახანს ცხოვრობდა პეტერბურგში და ახლო ურთიერთობა ჰქონდა თეიმურაზ, დავით, დიმიტრი, იოანე, თეკლე, მარიამ, მიხეილ, გრიგოლ, ოქროპირ ბატონიშვილებთან, აგრეთვე იმჟამად იქ მცხოვრებ გიორგი ავალიშვილთან, დავით ალექსიშვილთან, ალ. ჭავჭავაძესთან და სხვებთან.

პეტრე ლარაძის ბიოგრაფიიდან მარტო ისიც იკმარებდა, რომ მან საკუთარი რისკითა და მოხერხებით სპარსეთიდან გამოაპარა იქ გახიზნული თეიმურაზ ბაგრატიონი, რომელიც მხოლოდ ამის შემდეგ შეურიგდა რუსეთის ხელისუფლებას და პეტერბურგში დაეფუძნა საცხოვრებლად.

მიუხედავად დიდი ამაგისა, პირველ ხანებში პეტრე შერისხული იყო თავის გაზრდილის თეიმურაზ ბაგრატიონის მიერ (ფიქრობენ, რომ პირველ ხანებში მაინც, თეიმურაზი განიცდიდა სპარსეთიდან გამოპარვას და პეტრეს თვლიდა მისი ამ ნაბიჯის ინსპირატორად და მთავარმართებელ ტორმასოვის აგენტად).

როგორც დავით და ბაგრატ ბატონიშვილები გადმოგვცემენ: „ტორმასოვი ეზრახოდა და შეუჩინა გაზრდილი ლალა მისი პეტრე ლარაძე, აზნაური, რომელმანცა მოაცთუნა და მოიყვანა მუ-

ნით, ხოლო მოვიდა რა თბილისს, წარგზავნა იგიცა რუსეთსა შინა". პეტრეს თეიმურაზის წამოყვანის გამო შეტაკებაც კი მოსვლია სპარსელებთან.[1]

თეიმურაზის ირანიდან ჩამოყვანის ეპიზოდი უფრო დაწვრილებით აქვს გადმოცემული პოეტს თავის ლექსში „ჩახრუხაულნი და შაირნი, მწირობასა შინა თქმულნი, ოდეს ემსახურა მეფის ძეს თეიმურაზს და ძლიერის ხელოვნებით გამოიყვანა სპარსეთით".[2] პეტრე წუხს, რომ მეფემ თხუთმეტი წლის ნამსახური დაუკარგა. მისთვის დავთმე თვისტომნი, ძმანი, ნათესავნი, ეხლა კი „მანვე მკლა მოუკლავითაო". მას ისე, როგორც გიორგი სააკაძეს შეეძლო ეთქვა: „ზოგთ ბაგრატიონთ ასე სჭირთ, არ ახსოვთ სამსახურიო, და პოეტი ამბობს: „ადრე ვგრძნობდი, შრომა ჩემი შთაიელიდა უნიჭადრეო". მაგრამ არაფერია, „მრავალი უკლავს გლახ ჩემებრ ენასა მაბეზღარასაო". გულით მაინც ვერ იმეტებს პეტრე თეიმურაზ ბატონიშვილს.[3]

თეიმურაზ ბატონიშვილმა, მიუხედავად პეტრეს სურვილის წინააღმდეგობისა, იგი თავისთან წაიყვანა რუსეთში გადასახლების ჟამს. პეტრე ამის გამო ძლიერ შეწუხებულა.

პეტრე ლარაძე 1810 წლის შემდეგ პეტერბურგში ცხოვრობდა. იგი თითქოს მოწმე ყოფილა იმ ბრძოლებისა, რომელიც გაიმართა მოსკოვის გარშემო კუტუზოვ-ბაგრატიონსა და ნაპოლეონის ჯარებს შორის.[4]

პეტრე ლარაძე პეტერბურგში მყოფ ბატონიშვილებთან ჩა-

---

[1] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1960, გვ. 370-375.

[2] S-155.

[3] დ. ბრეგაძე, შ. რუსთაველი და პეტრე ლარაძე, 1946, გვ. 39-40. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1966, გვ. 696.

[4] დ. ბრეგაძე, შ. რუსთაველი და პეტრე ლარაძე, 1946, გვ. 39-40. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1966, გვ. 696.

ბმული იყო ლიტერატურულ საქმიანობაში. იგი ლექსებით აწარმოებდა მათთან მიმონერას.

პეტრე ძალზე პოპულარული ყოფილა პეტერბურგის ემიგრანტთა წრეში. თავისი საქციელით ყველასათვის საყვარელი ადამიანი, ყველას დამხმარე და შემცოდებელი. იონა ხელაშვილი გვამცნობს: „ის ყველასთანაა, ყველას ეტკბობა, სურს ყველას დაეხმაროს, მაგრამ მტრებიც ბევრი ჰყავს. ზოგს სურს ჩირქი მოსცხოს მის პიროვნებას და ზოგჯერ ეჭვიც შეაქვთ პეტრეს აზნაურობაშიო.[1] საქ. სახელმწიფო მუზეუმის სიგელ-გუჯრების ფონდში (11040) დაცული დოკუმენტიდან ვგებულობთ: თეკლა ბატონიშვილთან ვიღაცას დაუსმენია პეტრე, რომ ლარაძეებს არაფერი ხელი არ აქვთ სოფელ შოშილეთის ყმებზე, და ამ ადგილებზე მათ უკანონოდ აქვთ აზნაურობაო. ამის შესახებ პეტრე დაწერილებით აძლევს ახსნა-განმარტებას თეკლა ბატონიშვილს და თან დასძენს: „მე ამას ვერ ვბედავ, რომ თქვენმა უგანათლესობამ სამართალი კარგად არ უწყოდეს, საცოდავს და უსამართლოს ნუ ინებებთ და, როგორც თქვენ განსჯით, თქვენგან სამართლისა მე ყაბული მაქვს. სხვებრ ნება თქვენი ასრულდეს. თქვენი უგანათლებულესობის მონა-მოსამსახურე პეტრე ლარაძე, წელსა ჩყლ, აპრილსა იე დღესა".

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პეტრე ლარაძე პეტერბურგის ემიგრანტთა წრეში მეტად პოპულარული შეიქნა. ბატონიშვილები უკვეთავდნენ პეტრეს დაეწერა ამა თუ იმ პირზე ლექსები. მაგ.: „შაირნი მაშინ ჰსთქვა პეტრე ლარაძემ, ოდეს მეფის გიორგის ასული მინგრელიის დედოფალი ნინა მობრძანდა პეტერბულს და თან მომყოლთა მისთა თავადთა და აზნაურთა სთხოვეს პეტრეს დანერა შაირთა".[2]

---

[1] დ. ბრეგაძე, შ. რუსთაველი და პეტრე ლარაძე, 1946, გვ. 39-40. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1966, გვ. 696.

[2] დ. ბრეგაძე, შ. რუსთაველი და პეტრე ლარაძე, 1946, გვ. 39-40.

პეტრე ლარაძე ქართული კლასიკური და „აღორძინების ხანის“ ლიტერატურის ბრწყინვალე გამგრძელებელია. იგი თანამედროვეების მიერ ლექსის ოსტატად იყო მიჩნეული. ალ. ჭავჭავაძე პეტრეს შესახებ წერდა:

„თქვენცა იცნობთ პეტრე ყარიბს,
ძველნი კვალნი არ უგმიან,
ლექსნი მისნი ტყუილნიცა
სხვათა მართალთ ემჯობიან“.[1]

იონა ხელაშვილი „კალმასობაში“ ეუბნება პეტრე ლარაძეს: „შენი ლექსები ასეთ გვარზე შეგიწყვიათ, რომე უდრის რუსთველისაგან ქმნულსა წიგნსა „ვეფხისტყაოსნად“ წოდებულსა“.[2]

როგორც ცნობილია, შოთა რუსთაველმა მომდევნო საუკუნეების ქართული მხატვრული ლიტერატურა თითქმის მე-19 საუკუნემდე თავის გავლენის ქვეშ მოიქცია. ის პოეტი შემოქმედად არ ჩაითვლებოდა, ვინც რუსთაველს ვერ მიბაძავდა.

„აღორძინების ხანის“ მწერლობის ერთ-ერთი დიდი წარმომადგენელი არჩილი აცხადებდა: „ვინც ვერ მიჰყვეს რუსთვლის თქმულსა, გარდმობრძანდეს ასე აქეთ!“
და „მელექსობა არ შეშვენის, დააყენეთ მისაბაქედ!“
ან „სხვათ მელექსეთ არ ვახსენებ, არც ბააკა დვალაძესა,
არც დათუნა ქვარიანსა, შოთას რად ვერ წაბაძესა?!!“[3]

ამ საკითხთან დაკავშირებით, კ. კეკელიძე შენიშნავდა: „შემდგომ საუკუნეთა პოეტები მეთექვსმეტედან დაწყებული, თავის თხზულებათა დასაწყისში შთაგონებისათვის მიმართავდნენ არა მუზებს, არამედ „დიდ რუსთველის“ სახელს. რადგანაც, მათი აზრით, რუსთაველს, „ქართულთა ენით მელექსე ვერ ედრების“ –

---

[1] ალ. ჭავჭავაძის თხზულებანი, 1940, გვ. 129.

[2] „კალმასობა“, 1936, გვ. 272.

[3] არჩილიანი (ალ. ბარამიძისა და ბერძენიშვილის გამოცემა), ტ. II, 1937, გვ. 4-5.

ვერვინ, არც არავინ უნდა იწუხებდეს თავს მელექსეობით, ვინაიდან „მისის ლექსების მკითხველსა და სხვა რადმცა მოეწყინებისა?“ მელექსეობის დარგში ჩვენი პოეტი (პეტრე ლარაძე) განუმეორებელი ოსტატია.“[1]

როგორც ჩანს, თანამედროვენი პეტრე ლარაძის ლექსებს ამსგავსებდნენ რუსთაველის ლექსს და ხაზს უსვამდნენ რუსთაველის გავლენას.

თვითონ პეტრე ლარაძე რუსთაველს მიიჩნევს მელექსეთა დასაბამად. მისი აზრით, რუსთაველი და თეიმურაზი არიან პირველნი:

„ორნი ყოფილან პირველნი ქართლოსელთ მესტიხეთანი,
ენა ტკბილი და რიტორი, სიტყვისა მარჯვედ მკვეთანი.
თვით მეფე თეიმურაზ და ვის აქვნდა გული მხნეთანი,
და
შოთა, რომელსა აქებენ მჭევრ მეთქვნი ქართველთ ერთანი“.[2]

პეტრე ლარაძემ დიდი სამწერლო მემკვიდრეობა დაგვიტოვა. მისი სახელით ჩვენამდეა მიღწეული ლექსების კრებული „მრავალფერყვავილოვანი“ და რამდენიმე ეპიკური ნაწარმოები: ისტორიული პოემა „ჰამბავი სახელოვანი“ და რომანტიკული პოემები „დილარიანი“, „სახე-მგოსანი“. ერეკლე მეფეს გაუცვნია და მოსწონებია: „ვინცა იხილა მეფითურთ, აქებდა, ვერა ნასობდაო“.[3]

ამ თხზულებებიდან „დილარიანი“ მოღწეულია ჩვენს დრომდე, ხოლო „სახე მგოსნის“ კვალი ჯერ არსად ჩანს. ერთ დროს ამ თხზულების და „სავანე გმირთას“ დაკარგვას გულისტკივილით აღნიშნავდა ზ. ჭიჭინაძე. „სახე მგოსანში“ 1900 შაირი ყო-

---

[1] კ. კეკელიძე, საქართველოს პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ვითარება რუსთაველის ეპოქაში კრ. რუსთაველი სკოლაში, 1962, გვ. 1.

[2] S-155.

[3] დ. ბრეგაძე, შოთა რუსთაველი და პეტრე ლარაძე, 1946, გვ. 38.

ფილა. როგორც ცნობილია, „დილარიანი“ და „სახე-მგოსანი“ სიუჟეტურად თითქმის იმეორებენ „ვეფხისტყაოსანს“.[1]

„მრავალფერყვავილოვანი“ შეიცავს გალექსილ ქართლის ცხოვრებას და წვრილ-წვრილ ლექსებს, მიძღვნილს სხვადასხვა პირებისადმი, კერძოდ, ბატონიშვილებისადმი.

„მრავალფერყვავილოვანიდან“ ზოგიერთი ლექსი შეტანილია დ. ჩუბინაშვილის ქრესტომათიაში (1863, 2, გვ. 110) და ქართული მწერლობის ანთოლოგიაში, რომელიც 1828 წელს დაიბეჭდა. სხვები კი ჯერჯერობით ხელნაწერადაა დაცული (S-387) და 155 ხელნაწერები). ამის გარდა, პეტრე ლარაძის ლექსები დაუცავს 1577, 1636, 1080, 1886, 3723 და H-ფონდის 450, 2130, 2230 ხელნაწერებს.

თავის დროზე იმდენად პოპულარული ყოფილა პეტრე ლარაძის ლექსები ქართველ მკითხველში, რომ, როგორც ალ. ხახანაშვილი გადმოგვცემს, მე-19 საუკუნის 60-იან წლებში მისი ლექსები ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა ქართველ საზოგადოებაში.

პეტრე ლარაძე არა მარტო მეხოტბე, არამედ ნიჭიერი პამფლემისტიც იყო. მან არ დაზოგა ცბიერი და ენამზაკვარი ფეოდალები. ზოგიერთ თავის ლექსში აქებდა და კიცხავდა პეტერბურგში მოღვაწე ზოგიერთ ქართველს, რომელიც ქართველების სახელს არცხვენდა. ასეთი ფაქტი მომხდარა: „(ხელნ. ნომ. 2130) პეტრეს თურმე დიდად წყალობდა სამეგრელოს დედოფალი ანა. ეს შეშურდა ზაზა ანდრონიკაშვილს, რომელმაც სახელი გაიტეხა ქართველების გამყიდველობითა და ღალატით. ზაზამ პეტრეს დაუწყო ქიშპობა და მტრობა და დედოფალს იმდენი შეასმინა, რომ ლარაძე იგი განაძებინა და ვინათგან ლარაძე მცირე გვარისა იყო და იგი, ზაზა, დიდი გვარისა – თავადი, ჰკადრა ამ ლარაძემ და მუხამბაზი მიწერა“.

---

[1] დ. ბრეგაძე, შოთა რუსთაველი და პეტრე ლარაძე, 1946, გვ. 38.

პეტრე ლარაძისა და გრიგოლ ბატონიშვილის[1] სატირის სა-

---

[1] გრიგოლ იოანეს ძე ბაგრატიონი შვილია პირველი ქართული ენციკლოპედიის „კალმასობის“ ავტორის – იოანე ბატონიშვილისა და იმერეთის მეფის სახლთუხუცესის ზურაბ წერეთლის ასულის ქეთევანისა. გრიგოლის შვილებიდან ქართული კულტურის ისტორიას მხოლოდ ივანეს (ივანე გრუზინსკი) სახელი შემორჩა. მამისა და პაპის გარდაცვალების (1830 წ.) შემდეგ ოთხი წლის ასაკში დარჩენილ ივანეს არავინ დარჩა, რომ მისთვის საქართველოსა და ქართული კულტურისადმი სიყვარული ჩაენერგა, მაგრამ მან დიდი ამაგი დასდო ჩვენს მწერლობას იმით, რომ ნახევარი საუკუნის განმავლობაში სათუთად შეინახა თავისი პაპის იოანე ბატონიშვილის მდიდარი კოლექცია, კიდევ უფრო გაამდიდრა ის და გარდაცვალების წელს გადასცა სანკტ-პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკას.

გრიგოლს თავისი დროისა და მდგომარეობის შესაფერისი განათლება ჰქონდა მიღებული. იგი ერეკლეს მეფის პირდაპირი შთამომავალი იყო და ტახტის კანონიერ პრედენდენტად ითვლებოდა. რუსეთის ხელისუფლება ყოველ ღონეს ხმარობდა გრიგოლის შესაპყრობად.

1812 წლის კახეთის სახალხო ავჯანყება, რომელიც მიმართული იყო მეფის რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ, „მაშინ გადაიყვანეს მეფის ძის იოანეს შვილი გრიგოლ ქართლით კახთა“, წერდა დავით ბაგრატიონი თავის „ახალ ისტორიაში“, გრიგოლი კახეთის მეფედ აღიარეს. მაგრამ ზაზა ანდრონიკაშვილმა თავისი მოხერხებითა და ცბიერებით (გრიგოლს მშობლების გარდაცვალება აუწყა), მოტყუებული გრიგოლი პაულიჩს მიჰგვარა. პეტრეზაოდის ციხეში მყოფ გრიგოლს არ ასვენებდა ბოლმა და აღშფოთება ზაზა ანდრონიკაშვილის მიმართ. დატყვევებული ბატონიშვილი თავის გულისტკივილს პოეზიაში აქსოვდა. 1815 წლიდან გრიგოლი მეფის რუსეთის ჯარშია. თავისი ხანმოკლე ცხოვრების საუკეთესო წლები მას ბრძოლასა, პატიმრობასა და ლაშქრობაში აქვს გატარებული. შთაბეჭდილებანი ლაშქრობის შესახებ გრიგოლმა აღწერა თავის მოგზაურობაში (H-2178). მეცნ. აკად. აზიის ხალხთა ინსტ. სანკტ-პეტერბურგის განყ. სახელმწ. ფონდი E-79 დაცულია გრიგოლის ნაწარმოები „ქართლის ცხოვრების გალექსილი ვარიანტი, რომელსაც ავტორმა უწოდა „გარდასავალი ჩვენისა მეფისა საქართველოსა და ეგრეთვე საქართველოსა მცხოვრებთა ამბავი“.

განი გამხდარა ზაზა ანდრონიკაშვილი, მეფის მოხელეებს უჭერდა მხარს და მარკიზ პაულიჩს მიჰგვარა 1812 წლის აჯანყებაში მონაწილე გრიგოლი, რომელიც პეტერბურგს გადაასახლეს და „პეტრეზაოდის“ ციხეში ჩასვეს (დ. ბატონიშვილი, ახალი ისტორია, 1941, გვ. 44).

პეტრე ლარაძე სხვადასხვა ფსევდონიმით არის ცნობილი („ყარიბი“, „ეგრისელი“, „არტანუჯელი“).

1819-20-იან წლებში პეტრე ლარაძე საქართველოშია და 1819 წელს აცილებს აღმოსავლეთში სამოგზაუროდ მიმავალ გიორგი ავალიშვილს.[1]

პეტრე ლარაძე გარდაიცვალა 1837 წელს. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ ერთი კრებულის (S-5009) მინაწერიდან ვგებულობთ, რომ „პეტრე ლარაძე მზრუნველი და მამა სახლისა გარდაიცვალა თებერვლის კდ (24) შუადღის უკან, ჟამსა მეათე საათისასა, ჩყლზ წელსა, საუკუნოდ იყავნ კურთხევით ხსენება მისი უფლისა მიერ ღმერთისა ჩვენისა, ამინ“.

ლექსების დიდ კრებულში, რომელსაც პეტრე ლარაძემ „მრავალფერყვავილოვანი“ უწოდა, იგი ზოგადად ჩამოთვლის მის ქმნილებებს:

„ერთ წიგნად დილარიანი შევთხზე-ყე ტკბილუბნობითა,
ერთ წიგნად სახე-მგოსანი შაირითა ვყავ მჯობითა,
ამა წიგნსა სძეს სახელად მრავალფერყვავილოვანი,
მით, რომე სხენან სხვადასხვა ჰამბავნი სახელოვანნი.“[2]

საისტორიო პოემას „ჰამბავნი სახელოვანნი“ კ. კეკელიძემ „დავითიან-ბაგრატიონთა მატიანე“ უწოდა.

ექვთიმე თაყაიშვილმა, დ. ღამბაშიძემ, მ. ჯანაშვილმა კი „საქართველოს ძველის დროის თავგადასავალი ან „გალექსილი

---

[1] S-4782 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. VI, 1969, გვ. 78-79.

[2] კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1966, გვ. 696.

ქართლის ცხოვრება“ უწოდეს.[1]

პეტრე ლარაძის მიერ გადანუსხულ „ვეფხისტყაოსანს“ (S-4732), დაცულს კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში, შემდეგი შინაარსის ანდერძი ახლავს: „სრულ იქმნა დიდება ღმერთსა, ყოველთა კეთილთა მიზეზსა დამბადსა, თუმცა იყუნეს წიგნნი ვეფხისტყაოსნობით ხმობილნი საქართუელოსა შინა ბეჭდილნი და ხელწერილნიცა, გარნა ფრიად გარყუნილნი და არსად სახმარნი, ამისთვის მისცემოდა გულსმოდგინება თავადს სტატსკის სოვეტნიკს და კავალერს თუმანოვს გიორგი ეგნატის ძეს და მოეპოვა უძველესი ნაწერი ვეფხისტყაოსანი კერძოთა არტანუჯისათა, და ესე მე პეტრე ყარიბმან ლარაძემან მრავლითა შრომითა და ღუაწლის დადებითა მუნით გადმოვსწერე იანვრის ა-სა (1) დღესა, ჩყკზ-სა (1827) წელსა“.[2]

ხსენებული ნუსხა არტანუჯული რედაქციისა და შესრულებულია ლამაზი კალიგრაფიული ხელით. ხელნაწერს მოეპოვება გიორგი თუმანიშვილის მიერ ჩამატებული 17 სტროფი.[3]

პეტრე ლარაძეს გიორგი თუმანიშვილის დაკვეთით „ვეფხისტყაოსნის“ (S-4732) გადაწერა დაუმთავრებია 1827 წლის პირველ იანვარს.[4]

გადამწერის მოწმობით, ხსენებული ხელნაწერი წარმოადგენს პირს უძველესი ხელნაწერისას, რომელსაც დართული აქვს ლექსიკონი ბოლო მინაწერით. „განმარტება ლექსთა ამათ, რომელიც უხმარნია ბრძენსა მას შოთა რუსთველსა, თვისა ამას რომლისა ვეფხისტყაოსანსა შინა, რომელნიცა ვიეთთგანმე მძიმედ საცნობელ და მისახდომ იქნებიან ამისთვის აქ ანბანსა ზედა ასხმულ

---

[1] კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1966, გვ. 696.

[2] S-4732. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. VI, 1969, გვ. 78-79.

[3] ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, ტ. II, 1970. გვ. 159.

[4] ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, ტ. II, 1970. გვ. 159.

არიან ლექსნი იგი მისგანვე განმარტებითა თვისითა, მხილველთაგან ადვილ მისახდომელად; ხოლო მრავალთა უწყიან და არა სახმარ არს მათთვის განმარტებათა ლექსთა და ესე შრომა დაშთების მათთვის, რომელთაცა სახმარ ექმნების. ესრეთ ეწერა უძველესსა და ძნელად აღმოსაცნობელსა დედანსა შინა".[1]

გასული საუკუნის ოციანი წლების ბოლოს ხელნაწერის სახით გავრცელდა „ვეფხისტყაოსნის" (H-4732) რედაქცია, რომლის თავისებურება ის იყო, რომ იგი ბევრად მოკლე იყო, ვიდრე ვრცელი რედაქციები, მაგრამ ოდნავ უფრო ვრცელი, ვიდრე „ვეფხისტყაოსნის 1712 წლის ანუ ე. წ. ვახტანგისეული რედაქცია. მის გავრცელებას ხელს უწყობდა თვით მისი გადამწერისავე ზემოთ მოტანილი ძალზე ცნობისაწადელი ანდერძი.[2]

აღსანიშნავია, რომ მკლევართა ერთმა ნაწილმა (იუსტინე აბულაძე, სარგის კაკაბაძე, სოლომონ ყუბანეიშვილი და სხვ.) გაიზიარა „არტანუჯული ვარიანტის" სიძველე და მას პოემის ერთ-ერთ მოკლე და ძველ რედაქციად მიიჩნევდა.[3]

პირველთაგანმა ეჭვი „არტანუჯის ვარიანტის" საეჭვო ღირსებებზე გამოთქვა ექვთიმე თაყაიშვილმა, რომელმაც ერთერთ თავის ნაშრომში აღწერა ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ერთი ჯგუფი. მანვე მიუთითა ხელნაწერში შემჩნეული გვიანდელი ენობრივი ფორმები (მათ შორის რუსულის გავლენით მე-18-19 საუკუნეებში გავრცელებული ფორმები: „მეფა", „იგა", „ხელმწიფა" და ა. შ.)[4]

---

[1] ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, ტ. II, 1970. გვ. 159. იუსტინე აბულაძე, „რუსთველოლოგიური ნაშრომები", 1967, გვ. 18.

[2] ს. ცაიშვილი, წერილები და ნარკვევები, ტ. I, 1984, გვ. 321-330.

[3] იუსტინე აბულაძე, ვეფხისტყაოსნის 1926 წლის გამოცემის შესავალი, გვ. 18.

[4] ექვთ. თაყაიშვილი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. III, 1908 წ., გვ. 580-591 (რუსულ ენაზე).

ცნობილმა რუსთველოლოგმა ალექსანდრე სარაჯიშვილმა, რომელმაც საყურადღებო გამოკვლევა მიუძღვნა ამ საკითხს და თვით პეტრე ლარაძისეული ხელნაწერის ზოგ წყაროს მიაკვლია, აღნიშნა, რომ „არტანუჯის ვარიანტის" წარმომავლობის ლარაძისეული ვერსია უფრო ლეგენდაა, ვიდრე სინამდვილეო".[1]

უკანასკნელ წლებში ამავე საკითხს შეეხო ცნობილი რუსთველოლოგი ალ. ბარამიძე, რომელმაც ზოგი საბუთის მოშველიებით განამტკიცა ალ. სარაჯიშვილის მოსაზრებები.[2]

უკანასკნელი გამოკვლევებით და დიდძალი მასალის მოშველიებით, ს. ცაიშვილმა დაასაბუთა, რომ პეტრე ლარაძემ გამოიყენა ვახტანგისეული გამოცემიდან გადაწერილი ერთ-ერთი ნუსხა (გადამწერი დავით რექტორი (H-1079), ტექსტში ჩართო ამავე ნუსხის აშიებზე მიწერილი ზემოთ ნახსენები გიორგი თუმანიშვილისეული ინტერპოლაციები (ჩანართები) და ასე შეიქმნა ე. წ. „არტანუჯული ვარიანტი" „ვეფხისტყაოსნისა" და ხელნაწერის ღირსებათა განდიდების მიზნით შეთხზა ზემოთ მოტანილი ლეგენდა ხელნაწერის დედნის სიძველისა და მისი არტანუჯის მხარეში მოპოვების შესახებ".[3] აღსანიშნავია ისიც, რომ თვით პეტრე ლარაძის ერთ-ერთი ფსევდონიმი იყო „არტანუჯელი" და შემდეგ კი სხვა ხელნაწერები შუალობით თუ უშუალოდ მომდინარეობენ პეტრე ლარაძის ნუსხიდან (H-4732).[4]

ამრიგად, როგორც გამორკვეულია, პეტრე ლარაძე თავისი ლექსიკონისათვის ძირითად წყაროდ იყენებდა თავისი უფროსი ძმის იოანე ლარაძის მიერ გადაწერილ „ვეფხისტყაოსანზე" და-

---

ს. ცაიშვილი, წერილები და ნარკვევები, ტ. I, 1984, გვ. 321-330.

[1] ალ. სარაჯიშვილი, არტანუჯის ვარიანტი, ვეფხისტყაოსნისა, კრებ. ძველი საქართველო, ტ. IV, 1914-1915, გვ. 1-30.

[2] ალ. ბარამიძე, ნარკვევები, ტ. III, 1952, გვ. 81-84.

[3] სარგის ცაიშვილი, წერილები და ნარკვევები, ტ. I, 1984, გვ. 321-330.

[4] A-1091.

რთულ ლექსიკონს (855).

პეტრე ლარაძის მიერ გადაწერილი „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერზე დართული ლექსიკონის შესახებ თეიმურაზ ბაგრატიონის კატალოგში ასეთი ცნობა არსებობს: „ლექსიკონი აზნაურისა პეტრე ეგრელ ლარაძისაგან „ქართველთა სტიხოტვორისა, პიიტიკოსისაგან, და გამოკრებილი შემოკლებულად“.[1]

როგორც ჩანს, შენიშნავს ს. ცაიშვილი, ამ ხელნაწერზე დართული უფროსი ძმის მიერ შესრულებული ლექსიკონით, რომელიც იმ ხანად, ალბათ, ლარაძეთა ოჯახში ინახებოდა, უსარგებლია მოგვიანებით პეტრე ლარაძეს (მისი სიძველის ლეგენდაც შეუთხზავს. ამ დროს ე. ი. 1827 წელს, როცა პეტრემ შექმნა ე. წ. „არტანუჯული ვარიანტი“, იოანე უკვე გარდაცვლილია.), ხოლო აქედან კი მისი ავტორის ღვაწლის აღსანიშნავად იოანე ლარაძის დაკვირვებებმა ვეფხისტყაოსნის ლექსიკაზე თავი იჩინა ჯერ ხელნაწერულ ლექსიკონებში, შემდეგ კი თეიმურაზ ბაგრატიონისა და სხვა მკვლევართა სპეციალურ ნაშრომებში.[2]

ამრიგად, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი 4732 პეტრე ლარაძეს გადაუწერია დავით რექტორის მიერ გიორგი თუმანიშვილისათვის გადაწერილი ხელნაწერიდან (H-1079), რომელშიც თავის მხრივ გიორგი თუმანიშვილს შეუტანია მის მიერ შეთხზული 17 სტროფი (ამის შესახებ ჩვენ უკე აღვნიშნეთ). თავის მხრივ კი პეტრე ლარაძის ეს ხელნაწერი შეიქმნა დედანი „არტანუჯული ვარიანტის“ შემცველ სხვა ხელნაწერებისათვის.

---

[1] სარგის ცაიშვილი, წერილები და ნარკვევები, ტ. I, 1984, გვ. 321-330.

[2] სარგის ცაიშვილი, ძველი ლექსიკოლოგიური ნაშრომი „ვეფხისტყაოსანზე“ და მისი უცნობი ავტორი, ჟურნ. „მნათობი“, 1984, მონ. 8, გვ. 150.

ივანე დავითის ძე სომხიევი

კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის (H-ფონდში დაცული 783 ნომრით აღრიცხული „ვეფხისტყაოსნის“ გადამწერი ივანე დავითის ძე სომხიევია.[1] ივანეს პოემის გადაწერა დაუმთავრებია 1857 წლის 27 მარტს.

ამჟამად დადგენილია, რომ ხსენებულ ნუსხაში 476-ე სტროფის მიყოლებით ცხრა სტროფია ჩამატებული, რომელსაც კავშირი არა აქვს პოემის სიუჟეტთან.[2]

„ვეფხისტყაოსნის“ (H-783) ხელნაწერზე დართულ ანდერძში ვკითხულობთ: „1857-სა წელსა, მარტის 27 დავწერე ეს წიგნი მე, ივან დავითის ძემ სომხიოვმა, დუშელმა.“[3] [4]

მკვლევარი გივი მიქაძე, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა ეს ხელნაწერი, აღნიშნავს: „აღნიშნული სტროფების დაწვრილებითმა შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ისინი წარმოადგენს დამოუკიდებელ ლექსს, რომელიც სრულიად შემთხვევით არაკვალიფიციური გადამწერის წყალობით ტექსტში მოხვედრილა. პოემის რომელიღაც ხელნაწერში (რომლიდანაც მომდინარეობს ივ. სომხიევის გადაწერილი ნუსხა) უცნობ მელექსეს ჩაუდვია დასახელებული ლექსის შემცველი ფურცელი, რაც თვით ლექსშივეა აღნიშნული: „სააშიკო ამა წიგნსა (ვეფხისტყაოსანში – გ. მიქაძე) ფურცელი ძეს აქა მთელიო“. ეს ლექსი შემდეგ პოემის გადაწე-

---

[1] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H-ფონდი, ტ. II, 1951, გვ. 167.

[2] სოლ. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის სტროფული შედგენილობა, 1959, გვ. 317-318. შ. რუსთაველი, საიუბილეო კრებული, თბ., 1966, გვ. 365.

[3] H-783. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, ტ. II, 1970, გვ. 148.

[4] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H-ფონდი.

რის დროს ივ. სომხიევს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტთან ერთად გადაუწერია. ასე გაჩნდა პოემაში ეს ჩანამატი სტროფები.

ლექსის ავტორი უცნობია. მისი ვინაობა დაფარულია ლექშივე, რომელშიც ვკითხულობთ: „უსაკუთრესად იკითხეთ, ასოდ მიპოვით სახელითო“, ხოლო მეორე ადგილას საგანგებოდ მიუთითებს: „ის ხომ არ დამემოწმება, ვისაც ს-ანით აქვს შვილისაო“. სწორედ მოტანილმა ტაეპმა მოგვცა გასაღები ლექსის ავტორის საძებნად. ჩვენთის ნათელი გახდა, რომ საქმე გვქონდა აკროსტიქულ ლექსთან. მართლაც, ტაეპების დასაწყისი ასოების ერთად წაკითხვისას მივიღებთ: „სალომე იმედის ასული თანამეცხედრე წინამძღვრიშვილის დომენტი მღვდლისა“.[1]

როგორც გაირკვა, „ვეფხისტყაოსნის... (H-783) ხელნაწერში ჩამატებული ცხრა ტაეპი სრულიად დამოუკიდებელი ლექსია და მისი ავტორია სალომე იმედის ასული წინამძღვრიშვილი

მოგვაქვს სალომეს ლექსი გ. მიქაძისეული პუბლიკაციით:

„სააშიკოს ამა წიგნსა ფურცელი ძეს აქა მრთელი.
ლომებრ გმირნი საქებარნი. კარგნი მართებთ ამათ მთქმელი.
მსურს, მაგრამა ვერ შევმართე, მოწყალებას ღვთისგან ველი.
ეგებ მეც რამ მომახსენოთ, აღმოვიღოთ თვალთა წველი.
იწვიან ორნი მნათობნი, მწადდა მეც ცრემლი დამერთო,
მეტყველებანი დადუმდა, ჭირი ჭირზედა დამერთო,
დიდი იმედის სიტყვანი ვის სახელ გვარზე დაერთო,
ის არას არგებს სოფელსა, რომელს სახმილო დაერთო.
ასპიროზ ვისაც უქია, მას ვევედრები სახელით,
უსაკუთრესად იკითხეთ, ასოდ მიპოვეთ სახელით.
ლუსკუმათა მაქვს სიტყვანი, არ მიმიღია ვის ხელით,
იადონ მსგავსად ისმინეთ, არ შეგაწუხებთ აწ ხველით.
თითოეულად მოგახსენოთ თარგმანი ამ სახელისა,
აღმოიწვების კალამი, მცირედ ნაშრომი ხელისა,

---

[1] გ. მიქაძე, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა კრიპტოგრამები, საიუბილეო კრებული, „შოთა რუსთაველი“, 1966, გვ. 365.

ნაშრომ-ნაღვაწნი კვლადაცა, არ ახლად თქმული ძველისა,
ავთანდილს მინდა ვეუედრო შესხმად ფრიდონის ქველისა.
მეცალოს ამა მოყმეთა, მეცა შევასხამ ქებასა,
მცდარან, უსაქმოდ ყოფილან, მით შეამკობენ კრებასა,
ხელაბმით მიჯობს ვედრება, ამა ამბისა ხლებასა,
და
ეგრეც თუ ამოდ ქცევამან, არ ღირს მყოს მუნით შვებასა.
წინასწარმეტყველთ, ქადაგეს, მოსვლა სულისა წმინდისა,
მოძღვარნი იყვნენ მის გამო, კურნენ ვინც მათთან მიდისა,
ვეუედრებ მეცა ცოდვილი, მსუბუქ მყონ ცოდვის მზიდავსა.
და
ისრეილთ წინა ვუძღოდე, სვეტი მეც ვპოვო კიდისა.
შეუსხამს ქება რუსთველსა, აქა სამთავე გმირისა.
ვიძივე, მაგრამ ვერა ვცან დადენა ცრემლთა მილისა,
ლექსს რასმე მეცა ვეწყობი, ვიცი დათმობა გულისა,
და
ის ხომ არ დამემონმება, ვისაც სანათ აქვს შვილისა.
დოლმატი მსურს ამისთვისა, საუბრის წართქმა მეტანი,
მერგოს სიმდაბლით მახმობარს სასურველისა ჭვრეტანი,
ნაკერნი სატან, საითგან სულსა აქვს ცეცხლთა ხვრეტანი,
და ტირილი მესმას მარცხენით ხელთა და ფეხთა წყვეტანი.
მაღალ მზავობრის ბაგეთა სულმან ვერ ნახა ნათელი,
ვიდიადობს სოფლის ზრუნვას, სრულად მოყვასთა მძრახველი.
ლირნი, ბოროტის მოქმედი, არ სიხარულის მნახველი,
და
სადაღა ვიყო, რამგამა, თუ კი მინთია სანთელი".

მკვლევარი გ. მიქაძე აღნიშნავს, რომ სალომეს შესახებ ცნობები არ მოიპოვებაო, მაგრამ საქ. საისტორიო არქივში მიკვლეულია ორი საბუთი, რომლის მიხედვით ჩანს, რომ დომენტი ქარელში მცხოვრები მღვდელი ყოფილა.

დომენტი წინამძღვრიშვილი ქარელში სასწავლო აღმზრდელობით საქმიანობას ეწეოდა. 1787 წელს მისთვის აღსაზრდელად

იოანე მამუჩაშვილი მიუბარებიათ. იოანე შემდეგ ბატონიშვილებთან იმყოფებოდა პეტერბურგში და იქ მოღვაწეობდა.

იოანეს პეტერბურგში 1811 წელს დაუსრულებია თავისი პოემა, რომელშიც თავის მოძღვარ დომენტი წინამძღვრიშვილზე წერს:

„დომენტიმ ისე მიმიღო, არ შეედრება მამაცა,
არც დაიშურვა წიგნები, მასვა, მაჭამა, ჩამაცვა".

მკვლევარი გ. მიქაძე ვარაუდობს, რომ ზემოთ მოტანილი აკროსტიქი მგოსანი ქალის სალომე წინამძღვრიშვილის პირველი და უკანასკნელი პოეტური ნიმუში არ უნდა იყოსო.

გარდა ამისა, საყურადღებოა სალომეს პრეტენზიული კილო თავის პოეტურ შესაძლებლობაზე: „იადონ, სგავსად ისმინეთ, არ შეგაწუხებთ ან ხველით", ან „მეცალოს, ამა მოყმეთა (ე. ი. ვეფხისტყაოსნის გმირებს – გ. მ.) მეცა შევასხამ ქებასაო".

ჩვენი აზრით, სალომესვე ეკუთვნის საქ. სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში დაცული (ნომ. 37) „ვეფხისტყაოსნის" ნაკლული ადგილების შევსება. რუსთაველური შაირითვე დაწერილი მოკლე და გრძელი ანდერძი „ანბანთქება". აქ სალომე თავისთავს წვიმეტიანის გვარით იხსენიებს, ვფიქრობთ, ეს მისი ქალიშვილობის ანდა ლიტერატურული ზეგვარი უნდა იყოს.

„ანბანთქების" ვრცელი ანდერძიდან ჩანს, რომ მისი ავტორი ღრმად მოხუცია, „ახლო მოსვლია სიკვდილი, ყურსა ეხშობის სმენანი".

მოგვაქვს მოკლე „ანდერძ-ანბანთქება".

„აწ დასრულდა ანდერძი ანბანთ-ქებათა მცირითა,
მკითხველო, თავს ნუ შეინყენთ, ცრემლს ნუ მოიდენთ ძალითა,
ნურც ამას მძრახავთ, უგვანი ლექსი შევმზადე წბელითა,
და
ვერცა ვარ კარგი რიტორი, ვერც მოშაირე ძირითა
ვერც დავიქადებ ძირიდგან კეკლუცსქესობა სვიანსა
მაგრამ ცოტა რამ ლექსითა სიტყვასა ვაწყობ წყლიანსა,
გემუდარებით ყველასა: ჩემებრივ სოფლისა მჩავანსა,
და უბრძანოთ მცირე შენდობა სალომე წვიმეტიანსა

სასოვ სოფლისავ ამოდ ისმინე აწ ესე ლექსი.
ადამის მხსნელ-არს ცხოვართა მწყემსი.
ლუკა გვასწავებს მამაო ამ კვირიას აქვს მზგევსი.
ორშაბათს ვჭამე ამისთვის ვკვნესი.
მართლად მაუწყე თუ არის წესი,
ედემს არა მოვსწყდე არ მეგზნას კვესი,
აწ მებრძანა გადანერად ეს ანდერძი ჩემგან თქმული.
გარდავსწერე მას მიუძღვენ, ვის მზედ სახავს ჩემი გული.
ღმერთმან ასრე მოახმაროს, არ დააჩნდეს გულსა წყლული, და
სიკვდილის ჟამს დამიტიროს, მოიხსენოს ჩემი სული.
მიჯნურსა გული რკინისა და ფეხი ჰქონდეს ქვისანი,
თვალნი ქორულად მხედველნი და მუხლი შავარდნისანი,
გონება აზრით შემტყობი მართ აგრე ვითა მისანი
და მაშინ შეგიყვარებენ ულამაზესნი მზისანი".
ანდერძი „ანბანთქება".
„ანდერძს დავიწყებ კვნესითა, ვეღარ მეტყველებს ენანი,
ახლოს მამსვლია სიკვდილი, ყურსა ეხშობის სმენანი,
აწ რა ყოფილა საწუთრო სოფლისა გამოჩენანი, და
ადვილად დასთმობს სურვილსა, არს ძნიად დასათმენანი,
ბაგესა ფერი ეკრთობის აღარ ედების ვარდსაღა,
ბინდად შევცვალი ხედვანი მთვალ, მივფრინავ სადაღა,
ბროლსა ქარვად ჰყოფს სულთ მხდელი რაღას უგდიხარ რაღასა, და
ბოდიშითა გთხოვთ შენდობას არავის დავსთხოვ დავსაღა".

ხელნაწერს მარჯვენა ყდაზე მინერილი აქვს ცალკეული მინანერები: „განახლებულ იქნა წელსა ჩყნგ-ს ივლისის ლ დღესა სალომე ნვიმეტიანის ხელით".

დავით ამირიძე

დავით ივანეს ძე ამირიძეს, კნიაზ ივანე დავითის ძის ჯამბაკურ-ორბელიანის მოურავს, 1867 წლის 21 თებერვალს დაუმთავრებია „ვეფხისტყაოსნის“ (A-654) გადაწერა.[1]

თ. ჟორდანიას აზრით, ეს „ვეფხისტყაოსანი“ ორი გადამწერის მიერ უნდა იყოს შესრულებული. კარძოდ, ი. ზანდუკელისა და დავით ამირიძის მიერ.[2]

ხსენებული ნუსხა კრებულს წარმოადგენს. 1-22 ფურცლებზე მოთავსებულია ვეფხისტყაოსნის გაგრძელებანი, ხოლო მომდევნო ფურცლებზე სხვადასხვა თხზულებანი. ვეფხისტყაოსნის (A-654) გაგრძელების გადამწერია დავით ამირიძე.[3]

კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის იმავე ფონდში ინახება „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი (A-656), ეს ნუსხაც კრებულს წარმოადგენს. პირველი ნაწილი უკავია ვეფხისტყაოსანს, შემდეგ ვახტანგ მე-6-ის კომენტარების ნაწყვეტს, ხოლო დანარჩენი – სხვადასხვა თხზულებებს.

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერს (A-656) მოეპოვება ჭვირნიშანი (1835 წ.). ს. ცაიშვილის აზრით, ნაწილი ამ ხელნაწერისა გადაწერილი უნდა იყოს დავით ამირიძის მიერ.[4]

---

[1] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A-ფონდის ხელნაწერი ნომ. 654.

[2] თ. ჟორდანია, „აღწერილობა“, ნ. II, 1902, გვ. 138 (რუსულ ენაზე).

ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, 1963, გვ. 128.

სოლ. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის სტროფული შედგენილობა, 1959, გვ. 320.

[3] ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, ტ. II, 1970.

[4] A-656.

ხსენებულ ნუსხას გააჩნია სხვადასხვა გვერდებზე ანდერძმინაწერები. მაგ.: „წიგნი ეკუთვნის დავით ამირიძეს, დასრულდა ესე ამბავი ვითა სიზმარი“, „ეს ვეფხისტყაოსანი მე მქონდა და დავასრულე აგვისტოს 19-ს 1861 წელსა“, „დასრულდა ესე მეფის (თამარის) ქება შესხმანი და გადამოვწერე მე დავით ივანეს ძემ ამირიძემ წელსა ჩყოზ-ს, იანვრის კზ-ს“. ე. ი. 1867 წ. 27 იანვარი“.[1]

გარდა „ვეფხისტყაოსნისა“, დავით ამირიძეს, როგორც კალიგრაფს, კიდევ გადაუწერია ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული „დილარიანი“, რომლის მინაწერი გვამცნობს: „წელსა ჩყოთ-სა (1879) ოკტომბრის კე (25) დავიწყე ამ დილარიანის გადაწერა მე, დავით ივანეს ძემ ამირიძემ, ჟამსა სიბერისასა, რომელიც ამჟამად ვარ სამოცდა ერთის წლისა. მხილველნო, გევედრებით, ცუდის შრომისათვის ნუ დამგმობთ და შენდობა მაღირსეთ მე ცოდვილსა და უკეთუ შეცდომა იყოს რამ, ანუ ასო ნაკლები, გევედრებით, გაასწოროთ და ვინც ითხოოთ, მალე პატრონს მიუტანეთ. დავით ივანეს ძე კნიაზ ივანე დავითის ძის ჯამბაკურ ორბელიანის მოურავი“.[2]

როგორც მინაწერიდან ირკვევა, დავით ამირიძეს „დილარიანი“ 61 წლის ასაკში გადაუწერია „ჟამსა სიბერისასა“.

დავით ამირიძე თუ 1879 წელს 61 წლისა იყო, იგი დაბადებული უნდა იყოს 1818 წელს. „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი (A-654) მას უნდა გადაეწერა 49 წლის ასაკში.

---

[1] A-656.

[2] ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი, ხელნაწერი ნომ. 2388 (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. III, თბ., 1963, გვ. 33.)

სვიმონ ტაბიძე

1841 წელს სანკტ-პეტერბურგში ზაქარია ფალავანდიშვილმა, მარი ბროსემ და დავით ჩუბინაშვილმა გამოსცეს „ვეფხისტყაოსანი“, ამ ნუსხას (ბროსესეულ გამოცემას) ბოლოში მიბეჭდილი აქვს: „სვიმონ მესტამბე ტაბიძე ბეჭდვაზე იყო მცდელია, დავბეჭდეთ წიგნი ან ახლად, განახლდა ძველის ძველია“.

სვიმონ ტაბიძეს ვეცნობით არა მხოლოდ როგორც მესტამბეს, არამედ როგორც კალიგრაფსაც.

ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი მე-12-ის ძეს. გამოჩენილ მოღვაწეს (ისტორიკოსს, რუსთველოლოგს, ლექსიკოგრაფს, ფოლკლორისტს, პოეტს, დრამატურგს, მთარგმნელსა და მემუარისტს) თეიმურაზ ბაგრატიონს არა ერთი ხელნაწერი დაუმზადებია, იგი შეკვეთითაც აწერინებდა თავის თანამშრომლებს: სვიმონ ტაბიძეს, იოანე ბაზლიძეს, ტარასი ალექსიშვილს და სხვებს.

სვიმო.ნ ტაბიძე ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა (თანამშრომლობდა) თეიმურაზ ბაგრატიონთან.

ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული„ ანთოლოგია“ (ნომ. 5131) მე-19 საუკუნეში სვიმონ ტაბიძეს გადაუწერია გიორგი ივანეს ძე აბაშიძისათვის.[1]

ხსენებულ „ანთოლოგიაში“ ჩართულ აკროსტიქულ ლექსში შექებულია გიორგი აბაშიძე:

---

[1] გიორგი ივანეს ძე აბაშიძე იყო ცნობილი აჯანყების მეთაურის ივანე აბაშიძის ძე და შვილიშვილი დარეჯან ბატონიშვილისა, რომელიც ბებიასთან ერთად 10 წლის ასაკში მეფის ხელისუფლებამ რუსეთში გადაასახლა.

„გულით მდაბლით ენისაგან უნდოსა,
იას სიტყვათ და ვარდთ გამოხატვასა,
რაოდენ ძალმიცს გვარსა დიდთ თავადთასა,
გიძღვნი ჩემ მონის აბაშიძეს მფარავსა,
იოანეს ძეს ძველათ გვართ მთავართასა
მდაბალი მონა ტაბიძე, ქვეყნის გურიით სვიმონა,
მოგართმევს შესხმას ერთგულად, ვინ თავი თქვენ დაგიმონა“.[1]

გარდა „ანთოლოგიისა“. სვიმონას გადაუწერია „ცხოვრება მეფის ირაკლის მეორისა“ (H-1779). მასვე შეუდგენია „რეესტრი იონა მღვდელმონაზვნის (ხელაშვილის) წიგნებისა“.[2] სვიმონ ტაბიძეს 1840 წელს გადაუწერია ალექსანდრე სულხანიშვილის მიერ სპარსულიდან ქართულად თარგმნილი „ბახტიარნამე“.

სვიმონ ტაბიძე პოეტიც ყოფილა. მის მიერ დაწერილი სხვადასხვა პირისადმი მიძღვნილი ლექსები დაცულია საქ. მუზეუმში და სანკ-პეტერბურგში (HBO, E-156).

როგორც ჩანს, სვიმონ ტაბიძე კარგად უთავსებდა სასტამბო მუშაობას კალიგრაფიულ მოღვაწეობას.

აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სანკ-პეტერბურგის განყოფილებაში დაცულია „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი (M-47), გადაწერილი 1839 წელს (შედგება 317 ტაეპისაგან). ეს ნუსხა აღწერა მარი ბროსემ და ხელნაწერის გადამწერად სვიმონ ტაბიძეს თვლის, გადაწერის თარიღად კი 1839 წელს ასახელებს.

ხსენებულ ხელნაწერის სატიტულე ფურცელზე ვკითხულობთ: „ვეფხისტყაოსანი“ ანუ ახალი დაბეჭდილი ქართულსა ენასა ზედა ამაღლებულისა საქართველოს მპყრობელისა უფლისა ვახტანგისათა შრომითა და წარსაგებელითა მასუე მპყრობელისათა. გაიმართა ხელითა კარის დეკანოზის შვილის მიქელი-

---

[1] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. VII, ?973, გვ. 122.

[2] ლ. მენაბდე, ნაშრომი განძად დაშთების... 1989, გვ. 48.

სათა, ქალაქსა ტფილისს ქრისტეს აქეთ. ათას შვიდას და ათორმეტსა დასაბამითგან ვიდრე აქამომდე შვიდი ათასსა ორას ოცსა".[1]

ხელნაწერში ვახტანგის კომენტარები წინ, ტექსტში გადმოუტანიათ სათანადო სტროფის შემდეგ. ს. ცაიშვილისა და რ. ორბელის შენიშვნით, ვახტანგის კომენტარები მარი ბროსეს ხელით არის შესრულებული. ს. ცაიშვილის რწმუნებით, მარი ბროსე ამ სახით ამზადებდა პირველ ხანებში „ვეფხისტყაოსნის" ახალ გამოცემას.[2]

---

[1] აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სანკტ-პეტერბურგის განყოფილება, ხელნაწერი 47-24.

[2] ა. კობახიძე, ლენინგრადის საარქივო მასალები „ვეფხისტყაოსანზე", გაზ. „კომუნისტი", 1987, ნომ. 234.

ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, ტ. II, 1970, გვ. 131.

Р. Орбели, Собрание грузинских рукописей института востоковедения, т. 9, Москва, стр. 54.

გრიგოლ მიქელაძე

ბერ-მონაზონმა გრიგოლ მიქელაძემ 1851 წელს გადანუსხა „ვეფხისტყაოსანი“ (პოეტ კონსტანტინე ჭიჭინაძის არქივიდან).

როგორც ს. ცაიშვილი შენიშნავს, ამ ხელნაწერის ტექსტი (მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, 1712 წლის გამოცემას მისდევს, ოღონდ რამდენიმე ადგილას შეუვსიათ ამ გამოცემის ხარვეზი, მაგ.: დამატებულია სტროფი „მე დავშვერ ვითა წესია საურავ გადახდილისა“ (1937 წლის გამოცემით 558-ე სტროფი), რის რუსთველობაზე ჯერ კიდევ დავით რექტორმა და თეიმურაზ ბაგრატიონმა მიუთითესო“.[1]

ხსენებული „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერისათვის გადამწერს პოემის ბოლოში ჩაურთავს 13 სტროფი და პოემისათვის დაურთავს ანდერძი, რომელიც ინტერესმოკლებული არ იქნება მკითხველისათვის.

„დაღათუ არა ჯერ იყო ჩემ მიერ წერა ამისა მეგობრისა სიყვარულმან მიყო ნიგნისა ამის წერად და დავსწერე მოკლე ჟამ, მაგრამ ფრიად ძველი და დარღვეული იყო დედანი და ნაკლე, რაც შემეძლო ვეცადე გასწორება და რაც აკლია ვერ მივხვდი უწერელი ადგილები დაუტევე და ვინც მრთელი ვეფხისტყაოსანი იშოოს მით შეასრულოს და სხვა თუ რამე ნაკლულობა ნახოთ ნუ მიზრახავთ და ნუცა მწყევთ, ფრიად მოხუცებულმა ვსწერე, ვიდრე სამეოცდა ათორმეტის წლის განვლილმა-მდაბალი მონაზონი გრიგოლ ბერი მიქელაძე, საირმის უდაბნოსა შინა მცხოვრები. მხილველთა ყოველთა გთხოვთ, შენდობას მიბრძანებდეთ: წელსა ჩყნა, დეკემბრის კ-სა. თავადის კაცია ახვლედიანის სვი-

[1] ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, ტ. II, 1970, გვ. 141.

მონის ძის არის და მრავალ წელ ახმაროს სიცოცხლესა და ბედნიერებასა შინა და მისცეს ღმერთმან დღეგრძელი და საუკუნო სუფევა ამინ".[1]

როგორც ანდერძიდან ჩანს, გრიგოლ მიქელაძეს ხსენებული „ვეფხისტყაოსანი" გადაუნუსხავს 72 წლის ასაკში სვიმონ ახვლედიანისათვის.

ხელნაწერის გადამწერს ანდერძის შემდეგ მოუთავსებია არსენ იყალთოელის ლექსის ცნობილი სტროფი ასეთი სათაურით: „თქმული რუსთაველისა თამარ მეფის ქვასა ზედა დაწერილი".

„როს ნაჭარმაგევს მეფენი შვიდნივე პურად დამესხნეს,
თურქნი, სპასნი და არაბნი საზღუართა გარე გამეხსნეს,
თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა შინა შთამეხსნეს,

და

ან ამისსა მოქმედსა, ხელი გულზედა დამესხნეს".[2]

XII საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწის, არსენ იყალთოელის მიერ ეპიტაფიად დაწერილ ოთხსტროფიან ლექსში შექებულია დიდგორის ბრძოლაში გამარჯვებული მეფე დავით აღმაშე-

---

[1] ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, ტ. II, 1970, გვ. 141. შ. მესხია, ძლევაი საკვირველი (დიდგორის ბრძოლა და თბილისის შემოერთება), 1972, გვ. 158.

[2] ამ ლექსმა საუკუნე ნახევრით გადასწია ქართული ბოლორითმოვანი ლექსის გამოჩენა. ეს ლექსი დართული ჰქონდა „ხელმწიფის კარის გარიგებას" (აღწერილია ქართველ მეფეთა ცერემონიალი და წესრიგი), რომელიც ექვთ. თაყაიშვილმა იპოვნა ერთ დიდ აზნაურის კარის ზღურბლთან, მსახური ნაგავთან ერთად გარეთ ჰყრიდა ამ შესანიშნავ ძეგლის ფურცლებს. ამ ძეგლის სასწაულებრივ გადარჩენას ექვთ. თაყაიშვილი მართებულად უწოდებს „ზეიმს ჩვენი ისტორიისას". ბოლორითმოვანი ლექსი მე-14 საუკუნემდე არ ჰქონია არც ერთ ევროპელ ხალხს, თვით იტალიური პოეზიის გენიამ ამგვარი ლექსი შექმნა მხოლოდ რენესანსის ეპოქაში (იგულისხმება დანტე და პეტრარკა).

ნებელი, რომელმაც მძიმე ბრძოლებით ქვეყნის საზღვრებს იქით გადარეკა ყველა ჯურის დამპყრობელი – თურქების, სპარსელებისა და არაბების სახით, დავითმა გააერთიანა და ერთიან კულტურულ-პოლიტიკურ ერთეულად აქცია ამერ-იმერი, მან ახლო თუ შორეული მეზობელი ქვეყნების მეფენი „მისსა ჩრდილსა (მფარველობის) ქუეშე“ შეჰყარა, „ნაჭარმაგევს პურად დასხა“ და მრავალ ომგადახდილ ქვეყანას მშვიდობა მოუპოვა.

ამ სტროფს მოსდევს სხვა ხასიათის ერთსტროფიანი ლექსი, იმავე ხელით მინაწერი:

„რა აქლემი ცასა ზმიდეს კაზმა სიბრძნე იჩინოს,
ვირი მღერდეს, მგელი მღუდოლობდეს, დათვი მოძღურად
იჩინოსა,
მგელი ლომსა, ჩიტი გნოლსა, მწყერი სდევდეს მიმინოსა,
მაშინ მიხუდე შენსა მზესა შესაყრელად სალხინოსა.“[1]

[1] ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, ტ. II, 1970, გვ. 141.

ნინო ზედგენიძე

ვეფხისტყაოსნის გადამწერთა შორის უნდა მოვიხსენიოთ ნინო ზედგენიძე, რომელმაც მის მიერ 1809 წელს გადაწერილ „ვეფხისტყაოსანს" შემდეგი შინაარსის ანდერძი დაურთო: „ნებითა და შეწევნითა აღიწერა ესე „ვეფხისტყაოსანი" სრული და უნაკლებო, ზედგენიძის ქალი ნინოსაგან. ვინც ამოიკითხოთ ეს წიგნი, შენდობას მიბრძანებდეთ, ამინ."[1]

მე-19 საუკუნის ერთ-ერთი კრებულის გადაწერისას ნინომ ბევრი იმუშავა და ხელნაწერის ძნელად წასაკითხი ადგილების ამოკითხვისას და შეცდომების გასწორებისათვის, იგი მკითხველთა წინაშე ბოდიშობს, რაც მე ვერ შევნიშნე და ვერ გავასწორე, იქნებ თქვენ შეათავოთო. გავეცნოთ ამ მინაწერს: „ზედგენიძის ასულმა ნინომ ვიშრომე და ვიღვაწე წმინდისა ქალწულ-მოწამისა მარინასი. აღვწერე და ვიხილეთ და მცირედ ნაწერი და მის ნაწერზე ვასწორეთ და ისე შევიკრძალეთ ნუსხითა, უკეთუ ნაკლებობა იხილოთ ან მთარგმნელისაგან ცთომილებათა და მიუხდომლობითა რამე შეგვემთხვეოდეს, სიყვარულისათვის ნუ საწყევარ და საგინებელი ვიქნები, თქვენ კეთილად მცნობნო და მომხდომნო, უფალმა უწყის, რომლისა შემძლებელი ვიყავი, სიმართლესა და სიკეთესა ვცდილობდი, რომლითაცა შევიტყევი, გასწორებასა ვცდილობდი და რომელიცა ვერ შევიტყევი, დამრჩა გასამართავი არა თუ უსწავლელთა, არამედ, სწავლულთა და მეცნიერთა ვეუდრები, რათა სიმშვიდითა, ჩვენ ზედა უდრტვინველად ყოველი ცდომილება ამა წიგნისა, ან სიტყვა, ანუ წინწილი გამართეთ".[2]

---

[1] ლიტ. მუზ. ხელნაწერი, ნომ. 31.

[2] ლამარა ტატიშვილი, „ხელმადლიანი ქართველი ქალები", ჟურნ. „საქართველოს ქალი", 1969, ნომ. 12.

ონოფრე კანდელაკი

კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი (H-2323), რომელიც გადაწერილია 1806 წელს ქალაქ ვორონეჟში მღვდელ ონოფრე კანდელაკის მიერ.[1]

ონოფრე კანდელაკი მის მიერ გადაწერილ „ვეფხისტყაოსანს“ ლექსად ასეთ მინაწერს უკეთებს:

„აჰა იკითხე მკითხველო,
წერა რათ შეეფერების,
მე საქართველოდ მოსრულვარ,
ჩემს ხელთაგან იწერების,
ონოფრე სიონთ მოსული
კანდელაკ სახელ მედების,
აწ ვარონოში დაწერით
ვეფხობით სახელ ედების
ვწერე ეს წიგნი კალმითა,
ძვლითა, ლერწმითა და ფრთითა,
მეფის ძის მღდლათა ხლებაში,
მოშორებული სახლითა
ალექსის ძესა მივართვი,
ანდრია სახელ ხმობილთა,
ვინც იკითხვიდეთ, მიბრძანეთ,
შენდობას ვითხოვ ცდომილთა“.[2]

---

[1] H-2323 (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. V, 1949, გვ. 223.)

[2] ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, 1970, გვ. 110.

ივანე გვარამაძე

ახალციხის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი (ნომ. 132). გადაწერილი მე-19 საუკუნეში, ვინმე მესხ-ივანე გვარამაძის მიერ.

ხელნაწერი წარმოადგენს კრებულს, გარდა ვეფხისტყაოსნისა, მოთავსებულია სასულიერო ხასიათის ლექსები და სხვადასხვა თხზულებანი.[1]

ხელნაწერში მოთავსებული „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი მომდინარეობს დ. ჩუბინაშვილის მიერ 1846 წლის გამოცემიდან (რომელიც ფაქტიურად ბროსე-ჩუბინაშვილ-ფალავანდიშვილის 1841 წლის გამოცემის განმეორებას წარმოადგენს.[2]

ხსენებულ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს ხელნაწერში წინ ერთვის მცირე წინასიტყვაობა, რომელშიც საუბარია ვეფხისტყაოსნის ღირსებებზე, მისი ავტორის დროსა და წარმომავლობაზე, ეს წინასიტყვაობა თვით გადამწერს მესხ მწიგნობარს ივანე გვარამაძეს (ვინმე მესხს) უნდა ეკუთვნოდეს.[3]

მე-19 საუკუნის ქართველ მწიგნობართა შორის აღსანიშნავია ქართულ მწერლობაში ცნობილი „ვინმე მესხი“ – ივანე გვარამაძე, გადამწერი ზემოხსენებული „ვეფხისტყაოსნისა“. იგი დაბადებულია 1831 წელს მესხეთში. თვით ივანე გვარამაძე მოგვითხრობს, რომ „ჩვენ წინაპართ წარმომადგენნი პირველად აწყვერში (აწყურში – ვ. ა.) მდგარან და მერე აწყვერიდამ გადმოსულან ახალციხისაკენო“[4]

---

[1] ახალციხის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერი, ნომ. 132.
ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, ტ. II, 1970, გვ. 171-172.

[2] სოლ. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან, 1966, გვ. 61-65.

[3] ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, თბ., 1970, გვ. 171-172.

[4] ვალერი ასათიანი, ანტიკურობა ძველ ქართულ მწერლობაში, თბ., 1987, გვ. 105.

ივანეს მონათხრობმა უნებურად გაგვახსენა „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი ინტერპოლატორი ვინმე მესხი მელექსე, აწყურის მხარის მცხოვრები რუსთაველის მიმბაძველი და ინტერპოლატორი „ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისაო“.

„ვეფხისტყაოსნის“ ეპიზოდური დამატებათაგან, ხვარაზმელთა ამბავი და გმირთა სიკვდილის ამბავი, რომლის პროზაული ტექსტის ავტორი სარგის თმოგველი ყოფილა, მას ანდერძი დაუტოვებია „ლექსი მიქენით, ამისთვის ენანი მომახმარენითო“, ვინმე მესხ მელექსეს გაულექსავს. ხვარაზმელთა ამბის ეპილოგში ნათქვამია:

„ეს ამბავი დარჩომოდა სარგისს ლექსთან შეუწყობლად,
აგრე თმოგვი თმოგველთაგან შესავლითურთ დარჩა ობლად,
ესე სიტყვა მოახსენეს, ვინ ჩანს გმირთა რაზმთა მწყობლად,
მან მიბრძანა, ლექსად თქვიო, მჭევრ ქართულად,
დაუშრობლად“.[1]

„ვინმე მესხი“ – ივანე გვარამაძე – მასწავლებელი მიხეილ თამარაშვილისა, რომლისაგანაც ამ უკანასკნელმა მარტო წერა-კითხვა კი არ შეისწავლა, არამედ „ღრუბელსავით შეისვა მამულის სიყვარული და მისთვის თავადადების აუცილებლობა“.[2]

ზ. ჭიჭინაძე ივანე გვარამაძეზე წერდა: „ვინმე მესხი – ანუ მოძღვარი ივანე გვარამაძე, ქართველებში ცნობილი პირია. ქართველ კათოლიკეთა საზოგადო საქმეთა ასპარეზზედ მას შესამჩნევი ადგილი უჭირავს, თითქმის უპირველესი. უკეთესი მოღვაწე-მოძღვარი, მწერალი და საქართველოს ისტორიის მცოდნე მათში ბევრი არავინ არის“.[3]

ამ დიდად განათლებულმა პიროვნებამ, როგორც მ. თამარა-

---

[1] კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, 1969, გვ. 301.

[2] შ. ლომსაძე, მიხეილ თამარაშვილი, თბ. 1964, გვ. 8.

[3] ზ. ჭიჭინაძე, ქართველი კათოლიკე მოღვაწე ივანე გვარამაძე (ვინმე მესხი), თბ., 1904, გვ. 3.

შვილის ერთი უცნობი ბიოგრაფი წერს, ივანე გვარამაძემ „საგანგებო წვრთნა დაუწყო მ. თამარაშვილს, ვითარცა დიდი საქმისათვის მოვლენილ კაცსა“.[1]

ივანე გვარამაძე ახალციხის სასწავლებლიდან, რომლის დატოვებაც სხვადასხვა მიზეზთა გამო მოუხდა, კათოლიკური საეკლესიო ლიტერატურის დამოუკიდებლად ათვისების შემდეგ გადადის ქუთაისში და საფუძვლიან მეცადინეობას იწყებს ქართული კულტურის გამოჩენილ მოღვაწესთან პეტრე ხარისჭირაშვილთან. ამის შემდეგ ივანე გვარამაძე ახალციხეში ბრუნდება და საეკლესიო მოღვაწეობას ეწევა. 1859 წელს მიემგზავრება კონსტანტინეპოლში. აქ იგი ეუფლება სხვადასხვა ენას და იღრმავებს ცოდნას მეცნიერების სხვადასხვა დარგში. კერძოდ, ღვთისმეტყველებაში, ისტორიასა და ფილოსოფიაში.

სამშობლოში დაბრუნებული ივანე გვარამაძე ახალციხიდან თბილისში გადმოდის და რამდენიმე ხანს კათოლიკურ ეკლესიაში მოღვაწეობს. იგი თბილისში უახლოვდება იმდროინდელ ქართველ მოწინავე საზოგადო მოღვაწეებს. კერძოდ, რაფიელ ერისთავს, ბარბარე ჯორჯაძეს და სხვებს. ივანე გვარამაძე ივანე კერესელიძის სტამბაშიც ყოფილა და სტამბის ქართულ წიგნების საქმიანობასაც გასცნობია და მისი შესწავლა განუზრახავს, „მოცალეობისას სტამბაში დავდიოდი და ასოებს ვაწყობდიო“.[2]

„ვინმე მესხი“ – ივანე გვარამაძე ავტორია მრავალი წიგნისა და საგაზეთო, საჟურნალო წერილისა, რომელიც იბეჭდებოდა იმდროინდელ პრესაში („დროება“, „ივერია“, „კვალი“, „კრებული“, „აკაკის კრებული“, „მოგზაური“, „მოამბე“ და სხვ.). ეს წერილები ძირითადად ეძღვნებოდა ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორის, ნუმიზმატიკის და სხვა საკითხებს.[3]

---

[1] შ. ლომსაძე, მიხეილ თამარაშვილი, თბ., 1964, გვ. 10.

[2] ზ. ჭიჭინაძე, ქართველ კათოლიკეთ მოღვანე ივანე გვარამაძე (ვინმე მესხი), 1904, გვ. 3.

[3] ვ. ასათიანი, ანტიკურობა ძველ ქართულ მწერლობაში, 1987, გვ. 108.

1878-1879 წწ. გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებული მესხეთის წარსულისადმი მიძღვნილი „ისტორიული ქრონიკების“ ავტორი ივანე გვარამაძეა.

1882 წელს თბილისში გამოსცა მის მიერ შედგენილი „ქართლის ცხოვრების“ პირველი ნაწილი, რომელშიც ვრცლად არის გადმოცემული ქრისტიანობამდელი საქართველოს ისტორია. მეორე წიგნის გამოცემა კი შეფერხებულა. ივანე გვარამაძის წიგნები იბეჭდებოდა, აგრეთვე, ახალციხესა და კონსტანტინეპოლში. მის მიერ დატოვებული ხელნაწერები, როგორც ვალერი ასათიანი გადმოგვცემს, ოც ტომს შეადგენს.

ივანე გვარამაძეს დიდი წვლილი მიუძღვის მესხეთ-ჯავახეთში ქართული ენის, ქართული მწიგნობრობის კვლავ აღორძინების საქმეში. იგი ათეული წლების მანძილზე აზიარებდა ახალგაზრდობას ცოდნას, დღენიადაგ ზრუნავდა სასწავლო-საგანმანათლებლო კერების ზრდასა და სრულყოფაზე.[1]

ივანე გვარამაძემ ცალკე წიგნებად გამოსცა „ქართლის ცხოვრება“, „მშობლები და მათი შვილები“, „სიტყვის კონა“, „ზოგადი გეოგრაფია“ და სხვა. მასვე ეკუთვნის აგრეთვე 38000 სიტყვის შემცველი ქართული ლექსიკონი. ანუ, როგორც თვითონ უწოდებს ამ შრომას „ქართული ენის საუნჯე“.[2]

ივანე გვარამაძე მესხეთ-ჯავახეთის ხალხური შემოქმედების ნიმუშების-ლექსების, ზღაპრების, ანდაზების, გამოცანების, ისტორიული გადმოცემების შემკრებ-გამომქვეყნებელია. პირველად მის მიერ არის ჩაწერილი და გამოქვეყნებული ქართული ფოლკლორის ისეთი შედევრები, როგორიცაა: „თხა და ვენახი“, „სანყალი დედაბრისასა თაგვნი ყანასა მკიანო“ და სხვ. რომელნიც შემდეგ იაკობ გოგებაშვილმა თავის სახელმძღვანელოებში

---

[1] ვ. ასათიანი, ანტიკურობა ძველ ქართულ მწერლობაში, თბ., 1987, გვ. 108.
ზ. ჭიჭინაძე, ქართველ კათოლიკეთ მოღვაწე ივანე გვარამაძე, (ვინმე მესხი), 1904, გვ. 4.

[2] ვ. ასათიანი, ანტიკურობა ძველ ქართულ მწერლობაში, 1987, გვ. 109.

„(დედაენა“, „ბუნების კარი“) შეიტანა.[1]

როგორც ვ. ასათიანმა გამოარკვია, „ვინმე მესხის“ ხელნაწერებში ვხვდებით ჰომეროსის, ჰესიოდეს, ჰეროდოტეს, თუკიდიდეს, პლატონის, არისტოტელეს, ქსენოფონტეს, სტრაბონის, მენანდრეს, პლუტარქეს, იოსებ ფლავიოსის, ევსევი კესარელის, სენეკას, ტაციტუსის, პლინიუსის, კვინტუს, კვიციუსის, ანტიკური სამყაროს ავტორთა არა მარტო შემოქმედების განხილვას, არამედ მათი ქვეყნის სხვადასხვა მხარეთა გეოგრაფიულ დახასიათებასა და შეფასებას.

ივანე გვარამაძეს, როგორც ანტიკური ლიტერატურის, ბერძნული მითოლოგიის, ისტორიისა და ფილოსოფიის ღრმა მცოდნეს, დაუწერია „ბერძენ-რომაელების წარმართ ღმერთების და საგეოგრაფო ადგილთა განმარტება“, რომელიც დაცულია ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში და გამოაქვეყნა ვალერი ასათიანმა წიგნში: ანტიკურობა ძველ ქართულ მწერლობაში 1987 წელს.

„ვინმე მესხი“ ივანე გვარამაძე გარდაიცვალა 1912 წელს ახალციხეში და დაკრძალულია რაბათის ისტორიული „ზემო-ეკლესიის“ ეზოში.[2] [3]

ივანე გვარამაძის მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობა დაედო საფუძვლად ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, რომლის დაარსების ერთ-ერთი მოთავე და სიკვდილამდე მისი დამცველი იყო „ვიმე მესხის“ მემკვიდრე, ცნობილი სახალხო მასწავლებელი კოტე გვარამაძე.[4]

---

[1] ვ. ასათიანი, ანტიკურობა ძველ ქართულ მწერლობაში, 1987, გვ. 109.

[2] ვ. ასათიანი, ანტიკურობა ძველ ქართულ მწერლობაში, 1987, გვ. 109.

[3] ვ. ასათიანი, ანტიკურობა ძველ ქართულ მწერლობაში, 1987, გვ. 109.

[4] ს. ცაიშვილი, სახალხო განათლების მოღვაწენი, თბ., 1954, გვ. 98-101.

ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი

ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებათა გაგრძელების „ომანიანის“ ავტორია.

ომაინიანი ან ომანიანის[1] ამბავი „ზედ მიებმის ამბავსა „ვეფხისტყაოსნისასა“, რომელიც ლექსითა და პროზით გაწყობილის სამიჯნურო-სადევგმირო თხზულებაა. მასში მოთხრობილია ტარიელის ვაჟის სარიდანისა და ავთანდილის ასულის დაქორწინება. შემდეგ კი მათი მემკვიდრის ომანის თავგადასავალი.

„ომანიანს“ უძღვის 25-სტროფიანი შესავალი, დართული აქვს ერთსტროფიანი ეპილოგი, სადაც ავტორი აღნიშნავს, რომ ფირდაუსტმა (ფირდოუსი) ღირსეულად შეამკო როსტომი, „ტარიელისთვის რუსთველსა უშვენის ნაუბარია“, ხოლო თვითონ „მე მათ საფერად ვერა ვთქვი, ამად ვარ საგმობარიაო“, აქ ავტორი იგონებს „როსტომიანის“ ამბებს და შენიშნავს: „ქაიხოსროვის შედეგად შაჰ-აბას ერანს მჯდომია, უცხო დაიპყრა ქვეყანა, ერან-თურანის ზომია“.[2] როგორც მოტანილი სტროფიდან ირკვევა, „ომანიანის“ ავტორი ყოფილა შაჰ-აბასის (1587-1629) თანამედროვე.[3] „ომანიანი“ შეთხზულია შაჰ-აბასის სიცოცხლეში, არა უგვიანეს 1628 წლისა.[4]

---

[1] ომანიანი, ვეფხისტყაოსნის გაგრძელება, რომანი მე-17 საუკუნისა, გამოცემულია 1937 წ. ომანიანი, გამოსაცემად მოამზადა ლ. კეკელიძემ, თბ., 1958, 1979.

[2] ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1966, გვ. 288-289. კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, 1969, გვ. 304-305.

[3] ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1966, გვ. 288-289. კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, 1969, გვ. 304-305.

[4] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1960, გვ. 369-375.

„ომანიანის“ ავტორის ვინაობის შესახებ ცნობებს გვაწვდის არჩილი, რომლის თქმითაც:

„ქაიხოსრომან შიგ-ჩართვით ლექსად თქვა ომანიანი,
ომანის სიმხნე, სიქველე, ჯაჭვისცმა მაემნიანი.
კარგად რამ უთქვამს, მის გამო არა ვსთქვი მისი ზიანი,
ყვავილშიც გამოერევა სულითა ქუფრი რიანი“.[1]

როგორც მოტანილი სტროფიდან ირკვევა, „ომანიანი“ შეუთხზავს ვინმე ქაიხოსროს, რომლის ნაღვაწსაც დადებითად აფასებს არჩილი.

„ომანიანის“ ავტორობის შესახებ მეცნიერთა შორის სხვადასხვა აზრი არსებობდა. ზოგი მეცნიერის თვალსაზრისით, ხსენებული თხზულების ავტორი არის ქაიხოსრო მუხრანბატონი (ზ. ჭიჭინაძე, ე. თაყაიშვილი, გ. ჯაკობია). მაგრამ კ. კეკელიძე ოთხ ქაიხოსროს ასახელებს და „ომანიანის“ ავტორად მიიჩნევს ქართველ პოეტს, კულტურული ტრადიციებით ცნობილ ომანიშვილ-ჩოლოყაშვილთა გვარის ერთ-ერთ წარმომადგენელს, თეიმურაზ პირველის მოურავს, ქაიხოსრო ომანის ძე ჩოლოყაშვილს, „შესანიშნავი ნიჭისა და ენერგიის მხედართმთავარს, რომელიც შიშის ზარსა სცემდა და მუსრს ავლებდა დაღესტნის ლეკებს.[2]

ისტორიული და სამეცნიერო წყაროებიდან ცნობილია, რომ შაჰ-აბასის ინტრიგების გამო ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი მოღალატედ შერაცხეს და 1613 წელს თეიმურაზ პირველმა „მოჰკლა ღალატად“.[3]

ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი რუსთაველის ეპიგონი პოეტია, ცნობილ ომანიშვილ-ჩოლოყაშვილთა (ერთი შტო ირუბაქიძეებადაა ცნობილი) შთამომავალი. ომან ჩოლოყაშვილისა და არაგვის ერისთავის ასულ ბარბარეს შვილია. იგი ძმაა ცნობილი საეკლე-

---

[1] ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1966, გვ. 188-189.

[2] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1960, გვ. 369-375.

[3] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 585. ტრიფონ რუხაძე, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი და მისი ომანიანი, ლიტერატურული ძიებანი, VIII, 1953, გვ. 179-196.

სიო მოღვაწისა და მწერლის, მეფე თეიმურაზ პირველის მიერ რომში დიპლომატიური მისიით გაგზავნილი ნიკოლოზ ომანის ძე ჩოლოყაშვილისა (ბერობაში – „ნიკიფორე ბერად“, და „ნიკიფორე ირბახად“ წოდებული), რომლის ხელშეწყობით 1629 წელს რომში დაარსდა ქართული სტამბა, მისი მოთავეობით და სტეფანე პაოლინის შემწეობით, ამ სტამბაში ჩამოისხა ქართული ანბანი და გამოიცა ქართულ-იტალიური ლექსიკონი – პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი; შემდეგ „ლოცვანი“ ქართულ ენაზე.

საერთოდ, მის სახელთანაა დაკავშირებული პირველი ნაბეჭდი წიგნების რომში გამოცემის საქმე.[1]

ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი სწავლა-განათლების მისაღებად მშობლებმა რვა წლის ასაკში გაგზავნეს იტალიაში, სადაც ბერძნულ სკოლაში მიებარა სასწავლებლად. იგი იქვე აღიკვეცა ბერად.[2] 1608 წელს დაბრუნდა საქართველოში და კახეთის მეფის თეიმურაზ პირველის კარის მოძღვარი გახდა. 1614 წელს შაჰ-აბას პირველის საქართველოში ლაშქრობის დროს ნიკოლოზი იერუსალიმში წავიდა. 1625 წელს ანტისპარსული ბრძოლის პერიოდში თეიმურაზ პირველის დავალებით დიპლომატიური მისიით მიემგზავრება ევროპაში.[3] მას დიდი დამსახურება აქვს ქართველი ერის წინაშე, არა მარტო როგორც პოლიტიკურ მოღვაწეს, არამედ პირველი ნაბეჭდი წიგნის ერთ-ერთ გამომცემელს რომში.

1629 წელს ნიკოლოზი საქართველოში დაბრუნდა და მეტეხის ეკლესიის წინამძღვარი გახდა.[4] 1632 წლიდან კი სამეგრე-

---

[1] გ. აკოფაშვილი, ქართველი დიპლომატი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი-ნიკიფორე ირბახი, თბ., 1977, გვ. 45-48.

[2] მიხეილ თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1902, გვ. 70.

[3] კ. კეკელიძე, ნიკიფორე ირბახი, კრებული, ლიტერატურული მემკვიდრეობა, წ. 1, 1935, გვ. 140.

[4] კ. კეკელიძე, ნიკიფორე ირბახი, კრებული, ლიტერატურული მემკვიდ-

ლოს მთავრის ლევან მეორე დადიანის უახლოესი თანამშრომელი და მისი პოლიტიკური მოღვაწე გახდა.[1] იგი 1648-1649 წლებში იერუსალიმის ქართველთა ჯვარის მონასტრის წინამძღვარია. 1650 წლიდან საქართველოშია ლევან მეორის კარზე. იგი დასავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი გახდა.[2] 1657 წელს ლევან დადიანის გარდაცვალების შემდეგ, სამეგრელოს ახალმა მთავარმა ვამეყ მესამემ სხვა თავის მონინააღმდეგეთა შორის ნიკიფორე ირბახიც შეიპყრო. ეს დიდად განათლებული, თავისი ქვეყნის ერთგული ადამიანი, რომლის მოღვაწეობაც ფასდაუდებელია, კაცი, რომლის მიზანს შეადგენდა საქართველოს პოლიტიკური და კულტურული აღორძინება, რომელსაც თანამედროვენი მას უწოდებდნენ „ბრძენსა და ფილოსოფოსს, რიტორს, „ღირსსა ყოვლისა სიკეთისა," აღესრულა სამეგრელოს მთავრის ვამეყ მესამე დადიანის პატიმრობაში[3].

მეცნიერთა კვლევა-ძიებით დადგინდა, რომ „ომანიანი" შექმნილია მე-17 საუკუნის პირველ მეხუთედში და თხზულებას სახელწოდება „ომანიანი" შერქმეული აქვს ავტორის მიერ მამის ომანის პატივსაცემად.[4]

„ომანიანი" დაწერილია ნაწილობრივ ლექსად, ნაწილობრივ პროზაულად. თხზულება იწყება რუსთავლური შაირით, რომელსაც მცირე ხნით ენაცვლება პროზა. შემდეგ კი კვლავ მოდის დიდი პოეტური მონაკვეთი. მეორე ნაწილი მთლიანად პროზაა.

რეობა, წ. 1, 1935, გვ. 140.

[1] გ. აკოფაშვილი, ქართველი დიპლომატი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი-ნიკიფორე ირბახი, 1977.

[2] გ. აკოფაშვილი, ქართველი დიპლომატი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი-ნიკიფორე ირბახი, 1977.

[3] გ. აკოფაშვილი, ქართველი დიპლომატი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი-ნიკიფორე ირბახი, თბ., 1902.

[4] ტრ. რუხაძე, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი და მისი ომანიანი, ლიტერატურული ძიებანი, VIII, 1959, გვ. 179-196.

პოეტური ნაწილი „ვეფხისტყაოსნის“ გაელენით არის დაწერილი. პროზა კი აშკარად ატარებს „ამირანდარეჯანიანის“, „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიებისა და სხვა ანალოგიური ჟანრის ძეგლთა მიბაძვის ნიშნებს,[1]

მხატვრული არასრულყოფის მიუხედავად,[2] „ომანიანი“, მაინც საინტერესო მასალას შეიცავს საზოგადოების სხვადასხვა ფენის ცხოვრების წესზე.

***

როგორც ცნობილია, „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთ ხელნაწერს არ ახლავს გადამწერის არც ანდერძი და არც დამკვეთის რაიმე ცნობა. დასანანია, რომ მათ სახელებს ვერ ვხვდებით „ვეფხისტყაოსნის“ გადამწერ-კალიგრაფთა გვერდით. აგრეთვე, მრავალ გადამწერთა ვინაობა ჯერჯერობით დაუდგენელია, მაგრამ მათი ღვაწლის წარმოსაჩენად, მათ სახელებს ზოგადად მაინც მოვიხსენიებთ.

კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი (Q-798), გადაწერილი 1842 წელს ეფემია ჯავახიშვილის მიერ;

ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული „ვეფხისტყაოსანი“ (204) დიაჩოქ ეპიფანე გაწერელოვს 1843 წელს იღუმენ იოანე ჭალაგანიძისათვის გადაუნუსხავს;

ხარების მონასტრის იკონომისმა ნიკიფორემ (Q-246), 1867 წელს მის მიერ გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“ მიუძღვნა თავის დედას გეგეჭკორის ასულს კესა მარტვილელს (ხსენებული ხელნაწერი მუზეუმმა შეიძინა 1933 წელს ნინო ბაგრატის ასულ დგებუაძისაგან).

---

[1] ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1966, გვ. 289, კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1958, გვ. 369-376.

[2] ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1966, გვ. 289, კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1958, გვ. 369-376.
ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. XI, გვ. 147.

დიაჩოქი ზაქარია გაგუნოვი (H-288, გადან. 1829 წ.);

ქაიხოსრო დავითის ძე ხიზანოვი (Q-484, 1829 წ.);

მანუელ ჩარკვიანი (H-403, მე-19 საუკ.);

იოსებ ქებულაძე (A-530, 1834);

ელისაბედ ჩუბინაშვილი (H-2930, მე-19 საუკ.);

მოსკოვის ლიტერატურისა და ხელოვნების სახელმწიფო არქივის ფონდში (1345) „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერს (296) მიაკვლია მკვლევარმა შალვა გოზალიშვილმა და გამოაქვეყნა გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში“ 1966 წელს (28). ეს ხელნაწერი 1812 წლის 30 ნოემბერს ნინო მაისურაძეს გადაუწერია. პოემის ბოლო ფურცელზე მოთავსებულია გადამწერის ანდერძი: „წელსა ჩყიბ (1812) თვესა ნოემბრის მ (30) ამ რიცხვში დაწერილ არს: საქართველოს აზნაურიშვილი მაისურაძის ასული ნინო; პირველი ხელნაწერი არის და რაც შეცდომით მამსვლია ნუ დამგმობთ“.

ივანე იოსების ძე ბროძელი (ლიტ. მუზ. ხელნ. 12914, 1860-1862 წ.წ.);

სოლომონ ონიკოვი (A-859);

პოდპორუჩიკი სოლომონ გიორგის ძე გარაყანიძე (H-933, 1934 წ. ეს ნუსხა მუზეუმმა შეიძინა თამარ ზაალიშვილისაგან);

დიაჩოქი ბასილ სიმონის ძე ცხაკაია (Q-737);

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია ორი ხელნაწერი, ავეტიკ გორგიჯანოვის მიერ 1839 წელს გადაწერილი (F-20242), რომელიც ერთ დროს პოეტ ოვანეს თუმანიანის საკუთრება ყოფილა, შემდეგ დაკარგულად ითვლებოდა, შემდეგ აღმოჩნდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

მეორე ხელნაწერის გადამწერია სვიმონ ტერ-სიმონოვი (F-194, 1849 წ.);

ჯვრის მამის მდივანი გიორგი მიქიროვეჯი (S-278, 1836 წლის 28 აგვისტო. ხსენებული ნუსხა მუზეუმმა შეიძინა გამრეკელისაგან);

თომა არზუმანაშვილი (ლიტ. მუზ. ხელნ. 18380, 1863 წ.);

სიმონ მიქიევი (Q-1369, 1839 წ.);

გლახუა გიორგის ძე ქუთათელაძე (H-1839, 1832 წ.);

სიმონ ყორღანოვი (S-3442, 1850 წ.);

ნიკოლაოზი (H-2055, მე-19 საუკ. პირ. ნახ. ამ ხელნაწერის მფლობელი ყოფილა ნინო ივანეს ასული ყარალოვისა);

სოლომონ ბლაღოჩინის ძე ილ. ნასიძე (H-1205, 1833 წ.);

ქაიხოსრო ბაქრაძე (საქ. ცენტ. არქივის ხელნაწერი Q-798, 1813 წ.);

მაისურაძე (Q-733, მე-19 საუკ.), ხსენებულ ნუსხას თავფურცელზე აწერია: „ვეფხისტყაოსანი“ ხელნაწერი მესხეთიდან, დაწერილია მაისურაძის პაპის პაპის მიერ სოფ. მუსხში. ხელნაწერი 1942 წელს მუზეუმს გადასცა რუსთაველის სახ. ლიტერატურის ინსტიტუტმა;

ნინო ამილახვროვისა (H-66, 1832 წ. მუზეუმმა შეიძინა 1909 წელს);

სოლ. ყუბანეიშვილის არქივში ინახება მე-19 საუკ. 20-იან წლებში გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“, ბირთველ თუმანიშვილის მიერ გადაწერილი. როგორც კ. კეკელიძე შენიშნავდა, ეს ის ბირთველ თუმანიშვილი კი არ არის, რომელმაც 1802 წელს გადაწერა „ვეფხისტყაოსნის“ ნუსხა, არამედ სხვა ბირთველ თუმანიშვილიაო.

ბევრი ხელნაწერი შემოწირულია კერძო ოჯახებიდან, ცალკეული პირებისაგან, შემოსულია საზოგადო მოღვაწეთა ბიბლიოთეკებიდან და ზოგიც შეძენილია თვით მუზეუმისაგან. სანიმუშოდ დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს:

ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმის ხელნაწერი (214, გადაწერილი მე-19 საუკ. პირ. ნახ.) მუზეუმისათვის შემოუწირავს კირილე ლორთქიფანიძეს.

ამავე მუზეუმს გადასცა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი (593, მე-19 საუკ.) ზესტაფონის რაიონის სოფ. ალავერდის მცხოვრებმა ლერი კიკნაძემ.

აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი (E-75|106, მე-19 საუკ.) 1840 წელს შეუწირავს ბაგრატოვს (სულხან ბარათაშვილს).

დავით ბარათაშვილს საქ. ლიტერატურული მუზეუმისათვის შეუწირავს „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი (S-2525, მე-19საუკ.);

ალექსანდრე ილიას ძე ჯავახიშვილს (ხოვლელი) – 1933 წელს (Q-261, მე-18 საუკ. მეორე ნახ.);

ბიძინა გრიგოლის ძე მაყაშვილს (ხოვლელი) – 1933 წელს (Q-261, მე-18 საუკ. მეორე ნახ.);

ბიძინა გრიგოლის ძე მაყაშვილს – 1911 წელს (H-461, მე-17-18 საუკ.);

თინათინ დავითის ასულ კეზელს – 1912 წელს (H-740, მე-17-18 საუკ.);

რაჟდენ ყარამანის ძე დათეშიძეს 1911 წელს შეუძენია „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი (K-205, მე-17 საუკ. მიწურული), რომელიც ერთ დროს ხელთ ჰქონია ექვთიმე თაყაიშვილს. მას შესანახად გადაუცია საქ. საისტორიო საზოგადოებისთვის. აქ 1117 ნომრით გაუტარებიათ, მაგრამ შემდეგ ეს ხელნაწერი დაუბრუნებიათ ქუთაისში და საინვენტარო წიგნში გაუტარებიათ 1930 წელს.

საქ. ცენტ. არქივის ხელნაწერი (537, მე-18 საუკ. მეორე ნახ.) 1925 წელს შეუწირავს იაგორ ციციშვილს.

გ. მაზნიაშვილს – 1936 წელს (Q-375, 1841 წ.);

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი (K-383, მე-17 საუკ.) დაკარგული ფურცლები შემდეგ აღუდგენიათ და ჩაუკრავთ ტექსტში. აღდგენილი ტექსტი გადმოუღია ნიკოლოზ პოლტარაცკის. შემოწირულია სოფ. სევაში (რაჭა) მცხოვრებ კ. ბაქრაძისაგან. ამ ხელნაწერის შესახებ სოლ. ყუბანეიშვილი შენიშნავდა, რომ ხომ არ არის ეს იგივე ხელნაწერი, რომელზედაც არის ცნობა 1909 წელს „დროების“ ნომერ 263. „როგორც გვატყობინებენ, რაჭაში სევას მცხოვრებს, თავად გრიგოლ ერისთავს ჰქონია ძველისძველი ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნისა“.

თებრონია იორამის ასულ თარხან-მოურავს მუზეუმისათვის შეუწირავს „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი (H-741, მე-19 საუკ. პირვ. ნახ.);

მარიამ გიორგის ასულს თარხნიშვილს – (H-742, 1869 წ.);

მაგდანა ზურაბის ასულს იმედაშვილს – (H-743, მე-19 საუკ.);

ვასილ კარბელაშვილს – (H-925, მე-18 საუკ.);

ნინო კლიმენტის ასულს ბოლგარსკისაგან შემოსულია 1913 წელს (H-964|ა. მე-18 საუკ.);

ნინო ბოლგარსკის – (H-964|ბ, მე-19);

ექვთიმე თაყაიშვილს 1916 წელს – (H-1280, მე-19 საუკ.);

ახლა დავასახელებთ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა მფლობელებს:

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში გადაწერილი „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერის (Q-768) მფლობელი ალ. სიმონის ძე გამრეკელია. მაგრამ ამ ხელნაწერის პირველი მფლობელი თ. ი. აფხაზი ყოფილა. ალ. გამრეკელს ამ წიგნს უძღვნის თ. ი. აფხაზი, 6 თიბათვეს, 1899 წ. თიანეთი;

1826 წელს ყარაბაღში, სოფ. ჩანახჩიში გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“ (Q-768), რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია „ვეფხისტყაოსნის“ ყარაბაღული ვარიანტის სახელით, გვიანდელი მინაწერით ვგებულობთ, რომ ეს წიგნი ეკუთვნის „მის მაღალს კეთილშობილებას მიხაკ ყორღანოვს“.

ლიტერატურულ მუზეუმში დაცული „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერის (18378, მე-19 საუკ. პირ. მეოთხ.) მფლობელი ყოფილა სვიმონ მელვინეთუხუცესი, რასაც ადასტურებს ერთსტროფიანი ლექსი, რომელიც, როგორც ივ. ლოლაშვილი შენიშნავს, 1850 წლის 17 მაისს სიმონ სახლთუხუცესს მიუწერია:

საქ. ცენტ. არქივის „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერის (A-1123, 1833 წ.) მფლობელი მაკრინა მაჩაბლის ასული.

ამავე არქივის „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერის (59, 1853 წ.) პირველი მფლობელი ევა ფირცხალაურია. არქივში შემოსულია

სოფელ იკოთში მცხოვრებ ნინო პეტრიაშვილისაგან (მეორე მფლობელი).

ოქსფორდის ბოდლეს ბიბლიოთეკის უორდროპის ფონდის „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერის (W-17, მე-17 საუკ. ბოლო) მფლობელი იმერეთის მეფის დავითის ასული მზეხათუნი ყოფილა. ხელნაწერში ჩართულ ილუსტრაციების მეორე გვერდზე არის სხვადასხვა შინაარსის მინაწერები და ლექსები ქართულ, სპარსულ, ლეკურ და თურქულ ენებზე. აქედან ოთხი ქართული ლექსი ეკუთვნის გოგია ბატონიშვილს (1778-1807), რომელიც მას იმერეთში ჩაუწერია.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში დაცულია „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი (K-256359|2), რომელიც თარიღდება მე-19 საუკ. პირველი ათეული წლებით. მისი მფლობელი ყოფილა ვახტანგ საძაგლიშვილი. ეს ხელნაწერი შემოსულია ბუკინისტური მაღაზიიდან.

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი (S-1515, მე-19 საუკ. პირ. ნახ.) მიღებულია პეტრე უმიკაშვილისაგან. პირველი მფლობელი ამ პოემისა, როგორც პ. უმიკაშვილის მინაწერიდან ირკვევა, ყოფილა სტეფანე მელქოს ძის ალექსანდრე ჩიგიანიშვილისა, ტფილისის მოქალაქისა.

„ჩიგიანაშვილს ეს წიგნი გამოერთვა ამრუაანთ თათელასათვის, რომელიც მისი დისწული იყო და მეუღლე ტერ შმოვანაანთ აბიმელიქიანთ ჭილა პოღოსასი (მეიდანთან ბაზრის ყმანვილებს წიგნს ასწავლიდა 1840-იან წლებში, ბეჭზე დანერილს და ანერინებდა ბეჭზევე). პ. უმიკაშვილი.

საქ. ცენტ. არქივში „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი (445, მე-19 საუკ.) 1924 წელს შემოსულია ილია ჭავჭავაძის წიგნებიდან.

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი (S-4988, მე-18 საუკ. მეორე ნახ.) მუზეუმში შემოსულია 1909 წლის შემდგომ ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკიდან.

საქ. ცენტ. არქივის „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი (44, მე-18 საუკ. მეორე ნახ.) 1924 წელს შემოსულია სოფ. მერეთში მცხ. ნი-

კოლოზ ფურცელაძისაგან.

ამავე არქივის „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი (92, მე-19 საუკ. პირვ. ნახ.) შემოსულია 1924 წელს თელავში მცხ. დიმიტრი დეკანოზიშვილისაგან.

ამავე არქივში დაცული „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი (289), მე-19 საუკ.) შემოსულია 1925 წელს გ. მუხრანელისაგან.

გიორგი ლეონიძის სახ. ლიტ. მუზეუმის „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები (25742 და 25743, მე-19 საუკ. შუა წლებში), 1969 წლის 16 დეკემბერს მუზეუმს შეუძენია არჩილ კორინთლისაგან.

საქ. ცენტ. არქივის „ვეფისტყაოსნის“ ხელნაწერი (166, მე-18 საუკ.) შემოსულია 1925 წელს ყოფ. ლაზარევის ინსტიტუტიდან, მოსკოვი.

ლიტერატურული მუზეუმის „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი (2909, მე-19 საუკ. დასაწყისი) აუკინძავს ტარასი კანდელაკს.

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი (Q-376, მე-19 საუკ.) 1936 წელს მუზეუმმა შეიძინა სოფ. მეტეხში მცხ. შაქრო მაღალაშვილისაგან.

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი (Q-280, მე-19 საუკ. პირვ. ნახ.) შეძენილია ალექსი ლეონიძისაგან;

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი (Q-296, მე-18 საუკ. მიწურული) – ანასტასია კვესაძისაგან;

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი (Q-433, მე-19 საუკ.) – სოფიო ფალავასაგან;

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი (Q-484, 1840 წ.) 1937 წელს – ლანჩხუთში მცხ. ელისე ჯიჯეიშვილისაგან;

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი (Q-609, მე-19 საუკ.) – ლოლუასაგან;

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი (H-937, მე-19 საუკ.) – გრიგოლ დიდებულიძისაგან;

საქ. მეცნ. აკადემიის ბიბლიოთეკაში შემოსულია ორი „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი (K-71|4, მე-19 საუკ. მიწურულს და მე-20 საუკ. დასაწყისი) და (K-72|4, მე-19 საუკ. პირვ. მეოთხედი)

იოსებ და ვახტანგ ასლანიშვილების კოლექციიდან.

„ვეფხისტყაოსნის გადამწერებმა კარგად იცოდნენ, რომ მათი ხელით იქმნებოდა უდიდესი განძი, რომელიც ეროვნული კულტურის საფუძველს შეადგენდა. მათ მიერ გადაწერილ ხელნაწერებზე დართულ ანდერძ-მინაწერები ხშირად ძალზე საინტერესო საყოფაცხოვრებო ცნობებს შეიცავს. ზოგჯერ ისეთი უშუალო და ემოციურია, რომ დღევანდელ მკითხველს სრულიად ცოცხლად წარმოუდგება წიგნის მწერალი, რომელსაც ხშირად მძიმე პირობებში („მტრისგან გამოვარდნილი“, მოხუცი და სნეული – „თვალებს იწყალებდა“) უხდებოდა მუშაობა, მაგრამ იგი მაინც წერდა.

მადლიერი მკითხველი მუდამ ღირსეულად აფასებდა და აფასებს კალიგრაფ ქალთა და მამაკაცთა უანგარო ჯაფას, მადლობას წირავდა მუშაკობისათვის. მომაქვს ერთ-ერთი მკითხველის მადლობა: „8-დან 15-ს ივნისს ვისარგებლე და დიდად ვისიამოვნე წიგნისა ამის წაკითხვითა, კურთხეულ იყოს უფლისა მიერ, ვის მიერცა არის ძვირფასი წიგნი ესე“.

ან და მარადის დაუვიწყარია „ვეფხისტყაოსნის“ გადამწერ-კალიგრაფთა ღვაწლი. მათ ნამუშაკევთან ერთად უკვდავია მათი სახელებიც. სწორედ მათზეა ნათქვამი: „მშრომელთა ხელი მიწდების და ნაშრომი განძად დაშთების“... ან „ხელი მწერლისა ლპების, ხოლო ნაწერი მისი ჰგიეს უკუნისამდე“, ან „მშრომელნი მტუერ და ნაცარ ვიქნებით, ხოლო ნაშრომი ჰგუს უკუნისამდე“.

ამის შემდეგ გვახსენდება დიდი გალაკტიონის სიტყვები:

„ბევრს კი ვერ ვპოვებთ ხელნაწერებში
დაკარგულ ჟამთა სიავის გამო,
რამდენი მწარე ღამის მთევია,
რასაც ჩვენამდე მოუღწევია“.

მითითებული ლიტერატურა

ჯავახიშვილი ივ. ქართული ენისა და დამწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., 1956.

ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია, 4, 1967.

ჯავახიშვილი ივ. საქართველოს ეკონომიური ისტორია, თბ., 1907.

ჯავახიშვილი ივ. ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა, ანუ პალეოგრაფია, თბ., 1926.

აბაშმაძე ვახტანგ, შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობის საკითხები, თბილისის უნივერსიტეტი შოთა რუსთველს. თბ., 1966.

აბულაძე იუსტინე, „რუსთველოლოგიური შრომები", 1967.

აბულაძე იუსტინე, „ვეფხისტყაოსანი" (იუსტინე აბულაძის რედაქციითა და შესავალი წერილით), 1926.

აბულაძე ილია, ვეფხისტყაოსნის ახლად მიკვლეული უძველესი (მე-16) ხელნაწერის ფრაგმენტი, „მაცნე", 1964.

ავალიანი ს. ანტონ პირველი, 1987.

ამირანაშვილი შ. „ვეფხისტყაოსანი" ძველ ქართულ ხელოვნებაში, 3, 1988.

ამირანაშვილი შ. ვეფხისტყაოსნის დასურათება (მე-16-18 ს. მინიატურები), 1966.

ამირანაშვილი შ. ქართული ხელოვნების ისტორია, 1961.

ამირანაშვილი შ. ბექა ოპიზარი, თბ., 1937.

ამირანაშვილი შ. შოთა რუსთაველის პორტრეტული გამოსახულება ძველ ქართულ ხელოვნებაში, „თბილისის უნივერსიტეტი შოთა რუსთაველს", 1966.

ათანელაშვილი ლ. ცნობები მამუკა თავქალაშვილისეული ვეფხისტყაოსნის შესახებ, „მაცნე", 1974, ნომერი 4.

აკოფაშვილი გ. ქართველი დიპლომატი ნიკოლოზ ჩოლოყა-

შვილი – ნიკიფორე ირბახი, თბ., 1977.

არაბული გ. ზოგი რამ ნანუჩას შესახებ, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1979, ნომერი 4.

არაბული გ. ნარკვევები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, 1983.

ასათიანი ლ. ძველი საქართველოს პოეტი ქალები, 1936.

ასათიანი ვ. ანტიკურობა ძველ ქართულ მწერლობაში, 1987.

ასათიანი გ. იოსებ თბილელის ბიოგრაფიისათვის, ჟურნ. „მნათობი“, 1968, ნომერი 10.

ასათიანი გ. იოსებ თბილელის „დიდმოურავიანი“, ჟურნ. „ცისკარი“, 1968.

არჩილიანი, 2. გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა, თბ., 1937.

ბატონიშვილი ბაგრატ, ახალი მოთხრობა (თ. ლომოურის რედაქციით), 1944.

ბაგრატიონი იოანე, „კალმასობა“, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით), 1948.

ბაგრატიონი ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა (ანუ „საქართველოს სამეფოს ისტორია“), ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.

ბატონიშვილი დავით, ახალი ისტორია, (თ. ლომოურის გამოცემა), 1941.

ბაგრატიონი ანტონ, წყობილსიტყვაობა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარი და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა, თბ., 1980.

ბაგრატიონი თეიმურაზ, განმარტება ვეფხისტყაოსნისა, გაიოზ იმედაშვილის რედაქციით, გამოკვლევითა და საძიებლით, 1960.

ბარამიძე ალ. ნარკვევები ძველი ქართული მწერლობის ისტორიიდან, 1, 1945, 4, 1964.

ბარამიძე ალ. ინგოროყვა პ., „ვისრამიანი“, 1938.

ბარამიძე ალ. გურგენასეული ვეფხისტყაოსანი (მოკლე აღნე-

რილობა), ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 3, 1952.

ბარამიძე ალ. ისევ „ვეფხისტყაოსნის“ დევნის საკითხის გარშემო, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, ნომერი 3, 1986.

ბარამიძე ალ. რუსთაველი და მისი პოემა, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966.

ბარამიძე ალ. სულხან-საბა ორბელიანი, 1958, ქართლის ცხოვრების რუმიანცევისეული ხელნაწერის გარშემო, თ. ს. უ. შრომები, 1947.

ბარამიძე ალ. შოთა რუსთაველი, თბ., 1975.

ბარამიძე ალ. სიბრძნე მალალობელი, ვახტანგ მე-6, ლექსები და პოემები, ალ. ბარამიძის რედაქციითა და შენიშვნებით, 1947.

ბარამიძე ალ. შოთა რუსთაველი, თბ., 1975.

ბარნაველი ს. ტარასი ალექსიშვილის „ქუეყნიური სამოთხე“: სსმ მოამბე, ტ. XVII-B, 1953.

ბაქრაძე დ. ისტორია საქართველოსი, 1889.

ბაქრაძე ა. ვეფხისტყაოსნის გადამწერნი, შოთა რუსთაველი. ისტორიულ-ლიტერატურული ძიებანი, 1966.

ბაქრაძე ა. მე-17-18 ს.ს. ქართულ მდივან-მწიგნობართა გენიალოგიისათვის (საქ. მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე), ტ. 5, 1961.

ბერძენიშვილი ნ. დოკუმენტები საქართველოს ისტორიიდან, ნ. 1. 1961.

ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები, ნ. 2, ნ. 5.

ბერიძე ვ. ძველი ქართველი ოსტატები, 1967.

ბერიძე ვ. ქართული ხელნაწერების ალბომი, 1970.

ბურჯანაძე შ. თავად ზურაბ წერეთელი, ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. 20. 1959.

ბრეგაძე დ. ქართველი მწერლები რუსეთში, 1958.

გაბაშვილი ვ. სულხან-საბა ორბელიანი როგორც დიპლომატი;

სულხან საბა ორბელიანი, 1658-1958, საიუბილეო კრებული, საქ. მეცნ. აკად. გამოცემა, 1959.

გაბაშვილი ტ. „მიმოსვლა“, ელენე მეტრეველის რედაქციით, 1956.

გვაზავა გ. აკად. ნ. მარი და შოთა რუსთაველი, გაზ. „საქართველო“, 1917, ნომ. 8-9.

გოზალიშვილი შ. უცნობი ხელნაწერი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, ნომერი 23.

გორდეზიანი ბ. ლიტერატურული წერილები, 1966.

გაწერელია ა. ნარკვევები ქართული პოეტიკიდან, 1988.

გამსახურდია ზ. წერილები, ესსეები, თბ., 1991.

გამსახურდია ზ. რუსთაველი და ანტონ 1-ლი, „მაცნე“ ენისა და ლიტერატურის სერია, ნომერი 4, 1984.

გრიგოლია კ. „ახალი ქართლის ცხოვრება“, 2, 1954.

გუგუშვილი მ. ვეფხისტყაოსანი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში. ლიტერატურული ძიებანი, ტ. 3.

დოდაშვილი რ. მარი ბროსე ქართული მწერლობის მკვლევარი, 1962.

დონდუა ვ. საისტორიო ძიებანი, თბ., 1967.

ეკალაშვილი ს. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მსოფლმხედველობისათვის, კრებული, შ. რუსთაველი, „ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი“, თბ.; 1966.

ენაკოლოფაშვილი ი. ვეფხისტყაოსნის ერთი ხელნაწერის ისტორია, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, ნომერი 43.

ვახუშტი. ქართლის ცხოვრება, ნაწ. 2. გამოც. ჩუბინოვისაგან, ს. პეტერბურგი, 1834.

ვახტანგ მე-6, სამართლის წიგნი, 1955.

ვართაგავა ა. როგორ ცხოვრობენ ფრესკები, თბ., 1991.

თაყაიშვილი ექვთიმე, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკა, ქართული ხელნაწერები და ოცი საიდუმლო დაწერილობის ნი-

შანი, პარიზი, 1933.

თაყაიშვილი ექვთიმე, რჩეული შრომები, 1, 1968.

თაყაიშვილი ექვთიმე, ემიგრანტული ნაშრომები, თბ., 1991.

თაყაიშვილი ექვთიმე, „ოპისანიე", 1908.

თაყაიშვილი ექვთიმე, მოგონებები, ჟურნ. „მნათობი", 1958, ნომერი 7-11.

თამარაშვილი მ. ისტორია კათალიკოსობისა ქართველთა შორის, ტფ. 1902.

თანიაშვილი ს. „ამირანდარეჯანიანი" (ჯაკობიას რედაქციით), 1941.

თბილელი იოსებ, „დიდმოურავიანი" (გ. ლეონიძის რედაქციით) 1939.

იოსელიანი პლ. წერილი გაზ. „კავკაზსში", 1870, ნომერი 13.

პლატონ იოსელიანის შენიშვნა ტიმოთე გაბაშვილის „მიმოხილვის" გარშემო, 1852.

იოსელიანი პლ. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკაკი გაწერელიას რედაქციით, 1936.

იოსელიანი ავთ. ქართველი მწიგნობრობის წიგნისა და სტამბის ისტორიის საკითხები, თბ., 1990.

იოსელიანი ავთ. ახალი მასალები ბესიკის დიპლომატიური მოღვაწეობის შესახებ, ისტორიის ინსტიტუტის მასალები, ნაკვ. 34, 1962.

იოსელიანი ავთ. საქართველოს ისტორიის ქრონიკები, 1989.

იმედაშვილი გ. რუსთველოლოგიური ლიტერატურა, 1957.

იმედაშვილი გ. ვეფხისტყაოსანი და ქართული კულტურა, 1988.

იმედაშვილი გ. ვეფხისტყაოსანი და ძველი ქართული მწერლობა, 1989.

იორდანიშვილი ს. ნარკვევები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1958.

იორდანიშვილი ს. ნარკვევები ქართული ლიტერატურის

ისტორიიდან, 1953.

ინგოროყვა პ. თხზულებათა კრებული, 1, 1963.

ინგოროყვა პ. რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა, რუსთაველის კრებული, თბ., 1938.

კაკაბაძე ს. რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, 1966.

კაკაბაძე ს. „საისტორიო მოამბე", ტ. 1, 1924.

კაკაბაძე ს. საქართველოს ისტორია, 1922.

კარბელაშვილი ც. ვეფხისტყაოსნის გურგენასეული ხელნაწერი, ძველი ქართული მწერლობის საკითხები, 2, 1964.

კეკელიძე კ. შოთა რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, 1979.

კეკელიძე კ. ქართული ფეოდალური ლიტერატურის პერიოლდიზაცია, თბ., 1973.

კეკელიძე კ. რუსთველოლოგიური ეტიუდები, თ. ს. უ. შრომები, ტ. 3, 1936, ტ. 4. 1957, ტ. 8. 1962.

კეკელიძე კ. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, 1960, ტ. 2, 1981.

კეკელიძე კ. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 2, 1941, ტ. 3, 1960.

კეკელიძე კ. ავტორი „ვეფხისტყაოსნისა" და დრო მისი დაწერისა, ჟურნ. „მნათობი", 9-10, თბ., 1931.

კეკელიძე კ. ბარამიძე ალ. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1969.

კობახიძე ა. ლენინგრადის საარქივო მასალები ვეფხისტყაოსანზე, გაზ. „კომუნისტი", 1937.

ლაისტი არტურ. „საქართველოს გული", 1927.

ლენგი დ. ქართველოლოგიური კვლევა-ძიება ოქსფორდში, ჟურნ. „ცისკარი", 1977, ნომერი 4.

ლიტერატურის მატიანე, 1970, ნომერი 1-2.

ლეონიძე გ. ვეფხისტყაოსნის ახალი ხელნაწერი, კრებული.

ლეონიძე გ. ლიტერატურული მემკვიდრეობა, ტფ. 1935.

ლეონიძე გ. გამოკვლევები და წერილები, 1959.

ლეონიძე გ. წინასიტყვაობა „სიბრძნე სიცრუის“ (ს. იორდანიშვილის რედაქციით), 1938.

ლეონიძე გ. ალექსანდრე პუშკინი და ქართული სიმღერა, კრებული: ა. პუშკინი საქართველოში, თბ., 1938.

ლოლაშვილი ივ. დავით სოსლანის აკლდამის საიდუმლოება, თბ., 1971.

ლოლაშვილი ივ. სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობიდან (1698-1718), თბ., 1959.

ლოლაშვილი ივ. რუსთაველის ეპოქის ჩვენამდე არმოღწეული სალიტერატურო მემკვიდრეობის გარშემო, თბ., 1965.

ლომთათიძე გ. ქართული ლიტერატურის მატიანე ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1990.

ლომსაძე შ. მიხეილ თამარაშვილი, თბ., 1964.

ლორთქიფანიძე მ. ქვემო ქართლი XVII საუკუნის მეოთხედში, ნაწ. 3-4, თბ., 1988.

მეგრელიძე ი. რუსთველოლოგიური რჩეული ლიტერატურა, 1, თბ., 1979.

მეგრელიძე ი. ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1989.

მანველაშვილი ალ. ვეფხისტყაოსანი და რუსთაველის ზნეობრივი იდეოლოგია, სტამბოლი, 1933.

მახათაძე ნ. ქართული ლიტერატურის კერები პეტერბურგში, თბ., 1967.

მაჭავარიანი ელ. ქართული ხელნაწერები, ვ. ბერიძის რედაქციით, 1970.

მაჭავარიანი ელ. შოთა რუსთაველის პორტრეტი ე. წ. ზაზასეული „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერიდან, პალეოგრაფიული ძიებანი, 2, 1969.

მენაბდე ლ. ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. 1, ნაკ. 1-2, თბ., 1962, ტ. 2, თბ., 1969.

მენაბდე ლ. სულხან-საბა ორბელიანი, თბ., 1953.

მენაბდე ლ. ნაშრომი განძად დაშთების, თბ., 1989.

მეტრეველი ელ. ვახტანგ მეექვსის ეპიტაფიის ავტორი, თ. ს. უ. შრომები, 1951.

მელიქსედ-ბეგი ლ. სომეხი გადამწერნი ვეფხისტყაოსნისა, ლიტერატურული მემკვიდრეობა, 1, 1935.

მიქაძე გ. ქართული ხელნაწერების აღწერა და შესწავლა, თბ., 1957.

მიქაძე გ. ხელნაწერთა კრიპტოგრამები, „შოთა რუსთაველი", 1966.

მიქაძე გ. ვეფხისტყაოსნის გადამწერი ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილი, 1970.

მიქაძე გ. მასალები დავით რექტორის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ, „ლიტერატურული ძიებანი", ტ. 13, 1961.

მიქაძე გ. გიორგი თუმანიშვილი, კრ.: ძველი ქართული მწერლობის საკითხი, ტ. 1, თბ., 1962.

მიქაძე გ. ალ. ხახანაშვილისეული ზოგიერთი ხელნაწერის შესახებ, „კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები", 1966.

მიქაძე გ. ძველი საქართველოს პოეტი ქალები, ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები, 4, 1973.

მიქაძე გ. დავით თუმანიშვილი, „ლიტერატურული ძიებანი", 1962.

მიქაძე გ. ბარამიანის გადამწერის ვინაობისათვის, „ლიტერატურული გაზეთი", 1956, ნომერი 25.

მიქაძე გ. მამუკა ბარათაშვილის „ლექსის სწავლის წიგნი", თბ., 1950.

მჭედლიშვილი გ. კვლავ „ვეფხისტყაოსნის" დევნის შესახებ, ჟურნ. „კრიტიკა", ნომერი 5, 1989.

ნადირაძე გ. რუსთაველის ესთეტიკა, თბ., 1958.

ნაკაშიძე ნ. საქართველო-რუსეთის პოლიტიკური ურთი-

ერთობა მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში, 1968.

ნუცუბიძე შ. ქართული ფილოსოფიის ისტორია, 2, თბ., 1958.

ონიანი შ. ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერები, პოეზია, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება", 1959.

ონიანი შ. ვეფხისტყაოსნის ორი სტროფი ვანის ქვაბთა მონასტრის ერთ წარწერაში, კ. კეკელიძისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, 1959.

ონიანი შ. ნუზალის ეკლესიის ეპიტაფია, ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები, 4, 1973.

ჟან-შარდენი. მოგზაურობა საქართველოში, 1935.

ჟორდანია თ. ქრონიკები, 1, ტფ., 1892.

ჟორდანია თ. „ოპისანიე", წიგ. 2, 1902.

როგავა ა. ანტონ პირველის დამოკიდებულება საერო მხატვრულ მწერლობისადმი, 1981.

რუხაძე ტრ. ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან (16-18 სს.), 1960.

რუხაძე ტრ. ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, თბ., 1954.

რუხაძე ტრ. ქართული ეპოსი „გარდამავალი ხანის" ლიტერატურაში, თბ., 1939.

რუხაძე ტრ. ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი და მისი ომანიანი, ლიტერატურული ძიებანი, 1953.

რუხაძე ტრ. აღორძინების პერიოდის მწერლების ცნობები რუსთაველსა და „ვეფხისტყაოსანზე", 1976.

რუხაძე ტრ. ვეფხისტყაოსნის წინააღმდეგ ბრძოლის სოციალიდეური მოტივები, ა. ს. პუშკინის სახ. პედინსტიტუტის შრომები, 1941.

სარაჯიშვილი ალ. არტანუჯის ვარიანტი ვეფხისტყაოსნისა, კრებული, ძველი საქართველო, ტ. 4, 1914-15.

საქართველოს სიძველენი, ტ. 2, 1902.

სანიკიძე ლ. დედაისტორია, 2, 1986.

საისტორიო მოამბე, 1952, ნომერი 6.

სივსივაძე ნ. გაბნეული ხელნაწერების კვალდაკვალ, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1970.

სოსელია ო. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), ტ. 2, თბ., 1981.

ტატიშვილი ლ. ვეფხისტყაოსნის გადამწერნი, გაზ. „სახალხო განათლება“, 1966, ნომერი 39.

ტატიშვილი ლ. ზაქარია ფალავანდიშვილის წერილები მარი ბროსესადმი, ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება“, 1966.

ტატიშვილი ლ. ლენინგრადის საცავებში, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1966, ნომერი 111.

ტატიშვილი ლ. გრიგოლ ორბელიანის პირადი წერილები, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966.

ტატიშვილი ლ. ხელმადლიანი ქართველი ქალები, ჟურნ. „საქართველოს ქალი“, 1969, ნომერი 12.

ფეშანგი, „შაჰნავაზიანი“ (ლეონიძისა და იორდანიშვილის გამოცემა), 1935.

ფირცხალაიშვილი ს. იოსებ თბილელი და მისი „დიდმოურავიანი“, თბ., 1978.

ფირცხალაიშვილი ალ. მე-18 საუკუნის მოსკოვის ქართული კოლონიის ისტორიიდან, ჟურნ. „მნათობი“, 1958, ნომერი 5.

შადური. რუსი მწერლები საქართველოს შესახებ, ტ. 1, 1949.

შანიძე მ. „ეძიებდეთ და ჰპოვებდეთ“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1971, 16. 07.

შარაძე გ. ვეფხისტყაოსნის ე. წ. ზაზასეული ხელნაწერის გარშემო, „მაცნე“, 1970, ნომერი 4-5.

შარაძე გ. თეიმურაზ ბაგრატიონი, 1974.

შარაძე გ. ვორონცოვის არქივიდან, „ლიტერატურული საქართველო“, 1969, ნომერი 2.

შარაძე გ. არქეოგრაფიული ძიებანი, თბ., 1973.

შარაძე გ. პლატონ იოსელიანი – რუსთველოლოგი, თბ., 1980.

ცაიშვილი ს. ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1957.

ცაიშვილი ს. ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, 1963.

ცაიშვილი ს. ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, ნ. 1-2, 1970.

ცაიშვილი ს. ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული წყაროები.

ცაივშილი ს. „ლიტერატურული წერილები", 1966.

ცაიშვილი ს. შოთა რუსთაველი და დავით გურამიშვილი, 1974.

ცაიშვილი ს. სახალხო განათლების ქართველი მოღვაწენი და სახალხო მასწავლებლები, ტ. 1, თბ., 1953.

ცაიშვილი ს. ვეფხისტყაოსნის ვრცელი რედაქციები, 1963.

ცაიშვილი ს. ძველი ლექსიკოგრაფიული ნაშრომი „ვეფხისტყაოსანზე" და მისი უცნობი ავტორი, ჟურნ. „მნათობი" 1984, ნომერი 8.

ცაიშვილი ს. ვეფხისტყაოსნის კირიონისეული ხელნაწერი, ჟურნ. „მოამბე", 1963, ნომ. 3. ნომ.

ჭავჭავაძე ილ. თხზულებანი, ტ. 5, 1991.

ჭიჭინაძე ზ. ქართული მწერლობა მე-16-18 საუკ. 1888.

ჭიჭინაძე ზ. ქართველ კათოლიკეთ მოღვაწე ივანე გვარამაძე (ვინმე მესხი), თბ., 1904.

ჭუმბურიძე ზ. ქართულ ხელნაწერთა კვალდაკვალ, თბ., 1983.

ხერხეულიძე ომან. მეფობა ირაკლი მეორისა, თბ., 1989.

ხელთუბნელი მიხ. „წარსულიდან", 1938.

ქავთარია მ. დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა, „მეცნიერება", თბ., 1965.

ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, თბ., 1906.

ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა (ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა), თბ., 1942.

ქიქოძე მ. ვახტანგ მე-6-ის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, „მეცნიერება", თბ., 1988.

შინაარსი

წინათქმა ---------- 5
შესავალი ---------- 9
მამუკა თავქარაშვილი ---------- 55
იოსებ თბილელი ---------- 62
ბეგთაბეგ თანიაშვილი–მარტიროზაშვილი ---------- 81
პაპუნა ბებურიშვილი ---------- 94
თარხანმოურავისეული ვეფხისტყაოსანი ---------- 98
სულხან-საბა ორბელიანი ---------- 107
ყაზახეთან ბეჭდვას ასული ---------- 130
გივი თუმანიშვილი ---------- 133
იოანე ავალიშვილი ---------- 137
გურგენასეული ვეფხისტყაოსანი ---------- 143
ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილი ---------- 149
ბაღდასარაშვილი მუშრიბ გასპარა ---------- 157
მანანა ზედგინიძე ---------- 162
იოანე ლარაძე ---------- 168
წერეთლისეული ვეფხისტყაოსანი ---------- 176
დიმიტრი სააკაძე ---------- 188
ბირთველ თუმანიშვილი ---------- 201
იოანე იალღუზისძე ---------- 207
მოსესა ყორღანოვი ---------- 212
პეტრე ქებაძე ---------- 216

დავით მესხიშვილი-რექტორი ---------- 228
გიორგი თუმანიშვილი ---------- 241
ანა თუმანიშვილი-ამილახვარი ---------- 252
პეტრე ტაბლიაშვილი ---------- 258
პეტრე ლარაძე ---------- 268
ივანე დავითის ძე სომხიევი ---------- 280
დავით ამირიძე ---------- 285
სვიმონ ტაბიძე ---------- 287
გრიგოლ მიქელაძე ---------- 290
ნინო ზედგენიძე ---------- 293
ონოფრე კანდელაკი ---------- 294
ივანე გვარამაძე ---------- 295
ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი ---------- 300
მითითებული ლიტერატურა ----------312

შენიშვნები

გვერდი	სტრ.	დაბეჭდილია	უნდა იყოს
8	11	ყაზახაანთ ბეჟოიას ასული	ყაზაანთ ბეჟუას ასული
130	1 (სათაური)	ყაზახაანთ ბეჟოიას ასული	ყაზაანთ ბეჟუას ასული
130	3	ყაზახაანთ ბეჟოიას ასული	ყაზაანთ ბეჟუას ასული
130	21	ვაჯი	ვიაჯი
274	13 (სარჩევი)	ერეკლეს მეფის	ერეკლე მეფის
323	9 (შინაარსი)	ბეჟოიას ასული	ყაზაანთ ბეჟუას ასული

შენიშვნები

გვერდი	სტრ.	დაბეჭდილია	უნდა იყოს
28	17	განმაროტება	განმარტება
35	5	მხრივ ...	მხრივ.“
	14	„ჩაერთოთ ...	ჩაერთოთ,
	15	მიაჩნდათ ...	მიაჩნდათ.“
36	3	ქართველთა ...	ქართველთა,
	4	„ცხოვრება გიორგი მეცამეტისა ...	„ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“,
39	17	„ეეფხისტყაოსანს ...	„ეეფხისტყაოსანს“ ან მის ავტორს?“
40	3	არ მომხდარა.	არ მომხდარა
	14	თავისუფლების გამო.	თავისუფლების გამო“
43	1	ეხელისუფლება	ხელისუფლება
54	1	ზუსტი რიცხვი	„ზუსტი რიცხვი
	11	მუზეუმისათვის	მუზეუმისათვის.“
	13	გამოექვეყნებია	გამოექვეყნებინა
57	სარჩ. 1	„შაჰნავაზიანითათვის“	„შაჰნავაზიანისათვის“
65	23	ახალციხემდე ...	ახალციხემდე,“
71	10	ნუ დამძრავო ...	ნუ დამძრავო.“
73	12	ზაზასა ...	ზაზასა.“
81	17	მეფის კარგზე	მეფის კარზე
83	12	უნდა იყოს VII საუკუნის	უნდა იყოს XVII საუკუნის
103	18	ქუჩუქ-ლამბათში დასძინა იოსებმა,	ქუჩუქ-ლამბათში, – დასძინა იოსებმა,
134	12	1701-1704 წლებში (	1701-1704 წლებში)
146	12	უმცროს	უმცროსი
	3	გიორგიმ ე-12 კარზე	გიორგი მე-12 კარზე
162	25	მგალობელ-მნიგნო-ბგრები	მგალობელ-მნიგნობრები
200	3	ჰქონიათ.	ჰქონია.
216	15	კოჟელსკის	კოლეჟსკის
229	17	გიორგი	გიორგის
247	22	ბერი ლექსი	ბევრი ლექსი
252	26	იესესაც.	იესესაც
290	4	(მცირეოდენი	მცირეოდენი
295	21	ახალციხისაკენო“	ახალციხისაკენო.“
297	2	ღაუწუო	დაუწყო
314	22	რამ დაასველა	რამ დაასველა?
231	7	თელავის სემინარის	თელავის სემინარიის
323	5	მარტიორზაშვილი	მარტიროზაშვილი